570/2
1961
XVI

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის

გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XVI

ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია

აფხაზეთის ასსრ

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. XVI

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

АБХАЗСКАЯ АССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1961 — Тбилиси

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტის
შრომები

Ტ. XVI

ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია
აფხაზეთის ასსრ

8630

ТРУДЫ
ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. XVI

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ
АБХАЗСКАЯ АССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი—1961—ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი აკადემიკოსი
ალ. ჯავახიშვილი

Редактор Академик
А. Н. Джавахишвили

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია.—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ნ. ნაჭყებია

აფხაზეთის ასსრ-ის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგადი დახასიათება[1]

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მის შემადგენლობაში შედის: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის, გალის ადმინისტრაციული რაიონები და ქალაქები—სოხუმი და ტყუარჩელი. აფხაზეთის ტერიტორია 8.7 ათას კვ. კმ-ს უდრის, რაც საქართველოს სსრ-ის მთელი ტერიტორიის 12,3%-ს შეადგენს.

აფხაზეთის ასსრ. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს სსრ-ის ეკონომიურ რაიონს.

აფხაზეთის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური პირობები.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი მეურნეობის განვითარება-ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური წყობის კანონზომიერებას კერძოდ კი მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონს.

სოციალისტურმა მშენებლობამ ძირფესვიანად შეცვალა აფხაზეთის რევოლუციამდელი შრომის ტერიტორიული დანაწილება და მეურნეობის სტრუქტურა.

თუ რევოლუციამდელი აფხაზეთი სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა სუსტად განვითარებული მრეწველობით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან და მის სპეციალიზაციასთან ერთად იქმნება მრავალდარგოვანი მრეწველობა.

რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აღგილობრივი ბუნებრივი რესურსების სამეურნეო გამოყენებას; ერთი მხრივ, ამ რესურსებზე დაყრდნობით საფუძველი ჩაეყარა მძიმე მრეწველობას, მეორე მხრივ, ნიადაგებისა და ჰავის რაციონალურმა გამოყენებამ განაპირობა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება და მძლავრი საკურორტო მეურნეობის შექმნა.

---

[1] ტომის მოცულობის შეზღუდვის გამო ყველა სტატია იბეჭდება მნიშვნელოვანი შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავისი საწარმოო სპეციალიზაციით რესპუბლიკის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში წარმოადგენს მძლავრი სუბტროპიკული მიწათმოქმედების, მეთამბაქოეობისა და საკურორტო მეურნეობის, საკმაოდ განვითარებული ქვანახშირის მოპოვების, ელექტროენერგეტიკის და კვების მრეწველობის რაიონს.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის კომპლექსში დიდი ადგილი უკავია ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე და ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე დაყრდნობით შექმნილ მრეწველობას.

ბუნებრივი რესურსების გამოყენებით შეიქმნა თბო-ენერგეტიკული ხე-ტყის და სამშენებლო მასალათა მრეწველობა.

აღნიშნული დარგებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა თბო-ენერგეტიკული მრეწველობა, რომელიც იძლევა აფხაზეთის მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 25%. აღნიშნული დარგი აერთიანებს ქვანახშირის მრეწველობასა და ელექტროენერგეტიკულ მრეწველობას. დღეს ტყვარჩელი წარმოადგენს საქართველოს ქვანახშირის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრს. 1958 წელს მასზე მოდიოდა რესპუბლიკაში მოპოვებული ქვანახშირის თითქმის 43%. ქვანახშირის მრეწველობის განვითარებამ აფხაზეთის ეს ერთ დროს მივარდნილი მთიანი რაიონი გადააქცია ინდუსტრიის მძლავრ კერად, რომელიც დიდ როლს თამაშობს საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საერთო კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი მის სოფლის მეურნეობას ეკუთვნის.

სოციალისტური მშენებლობის წლებში აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მოხდა დიდი ძვრები, რომლებმაც საფუძვლიანად შეცვალეს სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დარგები ვითარდება გეგმაზომიერად, ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად. ამის საუკეთესო მაგალითია მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა.

სოფლის მეურნეობის ძირფესვიანი გარდაქმნის პროცესში შეიცვალა ტერიტორიის ბუნებრივი პირობების შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია სამეურნეო თვალსაზრისით ძველთაგანვე იყო ათვისებული, ეკონომიური კომპლექსის გარდაქმნამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაითრია დიდძალი ახალი მიწები, რომლებიც წინათ სრულიად გამოუყენებელი, ან ნაკლებად გამოყენებული იყო სოფლის მეურნეობაში.

მნიშვნელოვან ნაბიჯს სუბტროპიკული კულტურებისათვის საჭირო მიწების ასათვისებლად აფხაზეთის დაბლობი, დაჭაობებული ტერიტორიების ამოშრობა წარმოადგენდა.

ბუნებრივი პირობების გარდაქმნამ, რომელიც მეურნეობის განვითარების პროცესში მოხდა, მიწის ფონდის გეოგრაფიაში გამოიწვია ახალი სტრუქტურის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მიწის ფონდის სტრუქტურა %-ში 1958 წლის დამლევისათვის ასეთ სურათს ატარებს:

სახნავ-სათესი	სათი-ბები	საძოვ-რები	მრავალ-წლიანი ნარგავები	ტყე და ბეჩკები	დანარჩენი მიწები	სულ
7,0	0,2	12,4	4,6	58,5	17,3	100

აფხაზეთის მიწის ფონდის სტრუქტურა ხასიათდება მრავალწლიანი ნარგავების მაღალი ხვედრითი წონით, იგი დამუშავებაში მყოფი მიწების 38,4% უდრის, მთლიანად საქართველოში კი მხოლოდ 19,5%-ს.

მრავალწლიანი ნარგავებიდან განსაკუთრებით დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ სუბტროპიკულ კულტურებს, რომლებიც აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგად გადაიქცა.

აფხაზეთის სუბტროპიკული მეურნეობა წარმოადგენს საკმაოდ მრავალდარგოვან კომპლექსს. იგი ერთიანებს მეჩაიეობას, მეციტრუსეობას, სუბტროპიკულ მეხილეობას და სხვა დარგებს, რომლებიც ერთი მეორისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული პროპორციითაა წარმოდგენილი.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აფხაზეთი ცალკეული სუბტროპიკული კულტურების შეთანწყობით განსხვავდება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი რაიონისაგან, როგორიცაა აჭარის ასსრ.

ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მონაცემები, რომლებიც საუკეთესოდ გვიჩვენებს ამა თუ იმ კულტურის მიერ დაკავებული ფართობის ხვედრით წონას აფხაზეთსა და აჭარაში 1958 წლის მონაცემების მიხედვით (პროცენტებში).

	ჩაი	ციტრუსები	ტუნგი	სუბტროპიკული ხეხილი	ბამბუკი	სულ
აფხაზეთი	60,2	14,5	16,5	8,6	0,2	100
აჭარა	42,7	36,4	14,2	4,8	2,1	100

როგორც ცხრილიდან ჩანს, აჭარისაგან განსხვავებით, აფხაზეთის სუბტროპიკულ მეურნეობაში ჩაის კულტურა მეტი ხვედრითი წონით გამოირჩევა. სამაგიეროთ აჭარაში თავისი მნიშვნელობით უფრო წინ დგას ციტრუსოვანი მეხილეობა. თითქმის ერთნაირი ადგილი უკავია ორივე ავტონომიური რესპუბლიკის სუბტროპიკულ მეურნეობაში ტუნგის კულტურას.

აფხაზეთის სუბტროპიკული მეურნეობის მთავარი დარგია მ ე ჩ ა ი ე ო ბ ა.

1958 წლის მონაცემებით ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი თითქმის 9446 ჰექტარი იყო, რაც საქართველოს საერთო ფართობის თითქმის 18%-ზე მეტს შეადგენს.

ჩაის კულტურა გადაიქცა აფხაზეთის რიგ კოლმეურნეობათა ეკონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერებისა და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდ.

აფხაზეთის მეჩაიეობის სწრაფი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ჩაის მეურნეობის განვითარების შესახებ, სადაც ხაზგასმული იყო, რომ საქართველომ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საკუთარი ჩაით.

განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა ჩაის ბუჩქის გასავრცელებლად აფხაზეთის გორაკ-ბორცვიანი ნაწილის წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. ჩაის ბუჩქმა კარგად გაიხარა აგრეთვე სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებზეც, თუმცა ზოგიერთი უცხოელი სპეციალისტი პირველ ხანებში ეჭვის თვალით უყურებდა ამ კულტურის ეწერ მიწებზე გავრცელებას.

აფხაზეთის ჩაის პლანტაციების ფართობის უდიდესი ნაწილი (88,3%) განლაგებულია გალისა და ოჩამჩირის ადმინისტრაციულ რაიონებში. მეჩაიეობის ყველაზე მძლავრ რაიონს წარმოადგენს გალის რაიონი, რომელზედაც მოდის ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების ფართობის თითქმის 53%. ჩაის ბუჩქი გალისა და ოჩამჩირის რაიონში გავრცელებულია როგორც გორაკ-ბორცვიან, ისე ამაღლებულ ვაკე-დაბლობზე და დაბლის ნაწილში. მეჩაიეობით აღნიშნულ რაიონებში გამოირჩევა ახიგვარის, ოქუმის, ჭუბურხინჯის, სიდის, ზემო ბარღების, მოქვის, კოჩარის, ათარის და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. თუ აფხაზეთის ამ რაიონებში ჩაის ჩაის პლანტაციები თითქმის შეუწყვეტელ მასივებადაა გაშლილი, გაგრის რაიონში ჩაის პლანტაციები სულ არ არის, სოხუმისა და გუდაუთის ადმინისტრაციულ რაიონებში კი ისინი მხოლოდ ცალკეული უბნების სახით გვხვდება.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აფხაზეთის ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარება. ამ პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკას უნდა შეემატოს კიდევ 5680 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

აფხაზეთის სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ციტრუსოვანი მეხილეობა, რომელზედაც მოდის საქართველოს ციტრუსების ნარგავების 24%-ზე მეტი (2270 ჰექტარზე მეტი). ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მეჩაიეობასთან შედარებით ეს დარგი ნაკლებად ეფექტურია, რადგანაც ციტრუსების ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის პერიოდული ყინვები, რის გამო კოლმეურნეთა ის დიდი შრომა, რაც მეციტრუსეობაზე იხარჯება, ხშირ შემთხვევაში შედეგს არ იძლევა. თუ ჩაის ფართო მასივებს უმთავრესად აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი უკავია, ციტრუსები პირიქით, თითქმის 80% ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით, ძირითადად გავრცელებულია შესაფერის მიკროკლიმატურ რაიონებში. ისიც უნდა აღინიშნოთ, რომ ციტრუსების პლანტაციების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შეუფფრებელ ადგილებშია განლაგებული. სხვა სუბტროპიკული კულტურებიდან საკმაო ფართობით გამოირჩევა ტუნგი (2563 ჰექტარი). მისი ხვეღრით წონა საქართველოს ტუნგის საერთო ფართობში დაახლოებით 30% განისაზღვრება. ამ კულტურის დანერგვა აფხაზეთში ჩაისა და ციტრუსებზე უფრო გვიან დაიწყო, მაგრამ იგი საკმაოდ სწრაფად გავრცელდა. ეს კულტურა ციტრუსებზე უფრო ნაკლებად განიცდის ყინვების გავლენას, მაგრამ იმის გამო, რომ ნაკლებად შემოსავლიანია, მისი პლანტაციები არ იზრდება. თუმცა იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებად შრომატევადი დარგია, ისევე, როგორც ჩაის ბუჩქი. ტუნგიც ძირითადად ოჩამჩირისა და გალის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიაზეა გავრცელებული.

დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები, დაფნა, ბამბუკი, სუბტროპიკული ხეხილი, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფართობი უკავია, გაფანტულია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე, მაგრამ აფხაზეთის სუბტროპიკულ მეურნეობაში დიდი ეკონომიური მაჩვენებლებით არ გამოირჩევა.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიური შესაძლებლობის გადიდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ამ მეურნეობიდან ისეთ პროდუქციას ვღებულობთ, რომლის წარმოება საბჭოთა კავშირის სხვა რაიონში, გარდა შავი ზღვისპირა სუბტროპიკული რაიონებისა ფართო მასშტაბით არ შეიძლება. აფხაზეთი კი საქართველოს სუბტროპიკების ერთ-ერთი მთავარი რაიონია და პირველ რიგში სწორედ ეს დარგი გამოხატავს მის მონაწილეობას საქართველოს და საკავშირო შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში.

მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა და მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა. ამ დარგზე მოდის მრავალწლიანი ნარგავებისათვის განკუთვნილი მთელი ფართობის 53%-ზე მეტი. მეხილეობას აფხაზეთის სანაპირო ზოლის დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზოლში თითქმის ყველგან მისდევენ. მაგრამ განსაკუთრებით მაინც კამოირჩევა სოხუმისა და გაგრის ადმინისტრაციული რაიონები. სოხუმის რაიონში ხეხილის ბაღები ფართო მასივებთაა განლაგებული ქ. სოხუმის ირგვლივ. გაგრის რაიონში კი მეხილეობით გამოირჩევა ღუსელიძის, განთიადის და ნაკადულის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები. აქაური ხილის ბაზაზე მუშაობს საკონსერვო მრეწველობა. ამ დარგს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამსვენებელთა უზრუნველსაყოფად ზაფხულის პერიოდში.

მევენახეობის განვითარებით აფხაზეთში გამოირჩევა რამდენიმე მიკრორაიონი, რომლებიც თავმოყრილია სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის ადმინისტრაციულ რაიონებში.

აფხაზეთში მევენახეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება ქ. გუდაუთის მიდამოები (ახალსოფელი, ბომბორი და ლიხნი).

აფხაზეთის მევენახეობა მეღვინეობის მიმართულებისაა. უკანასკნელ პერიოდში დაიწყეს სადესერტო ვაზის ჯიშების გავრცელება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დამსვენებელთა ახალი ყურძნით მოსამარაგებლად.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეთამბაქოეობა, მას დიდი ადგილი უკავია აფხაზეთის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში და სუბტროპიკულ მეურნეობასთან ერთად იგი წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს. 1958 წლის მონაცემებით აფხაზეთის კოლმეურნეობებმა მთელი ფულადი შემოსავლის 42,5% მეთამბაქოეობიდან მიიღეს. აფხაზეთის თამბაქო გამოირჩევა თავისი მაღალი ღირსებებით და ამიტომაც მას, როგორც მაღალხარისხოვან საკუპაჟე მასალას, ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთამბაქოეობის ძირითად რაიონს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა სოხუმის ადმინისტრაციული რაიონი, კერძოდ კი გორაკ-ბორცვიანი წინამთების ზონა 300 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან. საკმაო ფართობი უკავია თამბაქოს პლანტაციებს გუდაუთისა და გაგრის რაიონებშიც. შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს მეთამბაქოეობა აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ოჩამჩირე-გალის ადმინისტრაციული რაიონები), რომელზედაც მოდის აფხაზეთის მთელი თამბაქოს პლანტაციების ფართობის დაახლოებით 20%.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში, აღნიშნულ დარგებთან შედარებით, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს მარცვლეული მეურნეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა და მეცხოველეობა.

აფხაზეთის ძირითადი მარცვლეული კულტურაა სიმინდი, რომელსაც მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის 99%-ზე მეტი უკავია. აფხაზეთის ტერიტორიაზე სიმინდის წარმოებით გამოირჩევა ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჰარბტენიანი ზონა, რომელიც მოიცავს გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების დაბლობ ნაწილს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმინდის წარმოებით გალისა და ოჩამჩირის რაიონები, რომლებზედაც მოდის აფხაზეთის სიმინდით დათესილი ფართობის დაახლოებით 75%.

აფხაზეთის ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მებოსტნეობა-მებაღეობის განვითარებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობა მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული. ავტონომიური რესპუბლიკის ხვედრითი წონა საქართველოს ბოსტნეულ-ბაღეულის ნათეს ფართობში 8,1% შეადგენს, ხოლო კარტოფილისა — 1,8%.

აფხაზეთში მებოსტნეობა-მებაღეობით გამოირჩევა ქ. სოხუმის, გაგრისა და გუდაუთის მიდამები, მაგრამ ეს მიკრორაიონებიც ბოსტნეულ-ბაღეულით მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ ქალაქებისა და კურორტების მოთხოვნილებას.

მეცხოველეობა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგი, რადგანაც იგი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო საკვები ბაზით. რესპუბლიკის ხვედრითი წონა საქართველოს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობაში 3,8%-ს უდრის, ღორების სულადობაში კი—11,4%.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში რქოსანი პირუტყვის სტრუქტურა გაუმჯობესდა. შესაბამისად გაიზარდა მისი პროდუქციულობაც. სარძო მეძროხეობით გამოირჩევა გაგრის და სოხუმის რაიონები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაგრის სარძეო-საბოსტნე საბჭოთა მეურნეობა ბიჭვინთის კონცხზე, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კურორტების რძის პროდუქტებით მომარაგების საქმეში.

სუბტროპიკული მეურნეობის მეთამბაქოეობისა და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებამ გამოიწვია არა მარტო სოფლის მეურნეობის მთელი კომპლექსის გარდაქმნა, არამედ აფხაზეთის მეურნეობის საერთო სახის შეცვლაც. სწორედ ამის გამო ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო განვითარება არ შეზღუდულა მარტო სათბობი ენერგეტიკული მრეწველობის შექმნით, არამედ მან გამოხატულება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელ მსხვილი საწარმოების შექმნაში. მათ პირველ რიგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეკუთვნება ჩაის ფაბრიკები. თამბაქოს, ზეთსახდელი, საკონსერვო საწარმოები და სხვ.

ამჟამად აფხაზეთში მუშაობს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ჩაის 10 ფაბრიკა, რომლებიც მაღალხარისხოვან ჩაის პროდუქციას უშვებენ. ჩ ა ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა კვების მრეწველობის ყველაზე მძლავრი დარგია, იგი იძლევა აფხაზეთის კვების მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 42,5%. ჩაის მრეწველობით ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველი ადგილი უკავია გალის ადმინისტრაციულ რაიონს, რომელმაც 1958 წლის მონაცემებით გამოუშვა აფხაზეთის ჩაის პროდუქციის ღირებულების თითქმის ნახევარი.

ჩაის მრეწველობის მნიშვნელოვან რაიონს წარმოადგენს აგრეთვე, ოჩამჩირის რაიონი, რომელმაც იგივე 1958 წელს რესპუბლიკას მისცა ჩაის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების თითქმის 35%. ჩაის მრეწველობა შედარებით სუსტადაა განვითარებული სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში, სადაც თითო ჩაის ფაბრიკა მუშაობს.

აფხაზეთის კვების მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია თ ა მ ბ ა ქ ო ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, რომელზედაც 1958 წლის მონაცემებით მოდიოდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების თითქმის 19%. აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობა წარმოდგენილია სოხუმის თამბაქოს ფაბრიკით და ოთხი საფერმენტაციო ქარხნით.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მუშაობს აგრეთვე ს ა კ ო ნ ს ე რ ვ ო, ხ ო რ ც ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა დ ა მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა რესპუბლიკის კვების მრეწველობის მიერ გამომუშავებულ საერთო პროდუქციაში შედარებით დაბალია.

მნიშვნელოვანი ადგილი კვების მრეწველობაში უკავია პურის მრეწველობასა და საკონდიტრო წარმოებას, რომელზედაც 1958 წლის მონაცემებით მოდიოდა აფხაზეთის კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 23%-ზე მეტი. ეს დარგი უმთავრესად შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობს. პურისა და საკონდიტრო მრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგებაში, არამედ იგი მომსახურეობას უწევს აფხაზეთის მძლავრ საკურორტო მეურნეობას.

აფხაზეთის კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია მ ე თ ე ვ ნ ე ო ბ ა, მასზე მოდის საქართველოს თევზჭერის თითქმის 43%. აფხაზეთის თევზის კონსერვები საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა. იგი იგზავნება საქართველოს ფარგლებს გარეთ, მოკავშირე რესპუბლიკებში და აგრეთვე საზღვარგარეთაც.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს ს ა კ უ რ ო რ ტ ო მეურნეობა წარმოადგენს. რესპუბლიკის სანაპირო ზოლში განლაგებულია საკავშირო მნიშვნელობის საზღვაო კურორტები—გაგრა, ბინჭვითა, ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში და სხვ.

აფხაზეთი ცნობილია აგრეთვე სამთო კლიმატური კურორტებითაც. გუდაუთის რაიონში მდებარეობს საბჭოთა კავშირში ცნობილი კურორტები რიწა და ავადხარა, რომლებიც ზაფხულში ათასობით დამსვენებელსა და ტურისტს იზიდავს. აფხაზეთის საკურორტო მეურნეობის შემდგომი გაფართოებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიჭვინთის, კონცხის რაიონს, სადაც ამჟამად ფართოდაა გაშლილი საკურორტო მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოხერხებულ სატრანსპორტო გეოგრაფიულ მდებარეობას. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის დიდი ეკონომიური მნიშვნელობის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები. მათი საშუალებით ხდება აფხაზეთის საწარმოო კავშირურთიერთობის დამყარება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ რაიონებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ტრანსპორტს, რომელზედაც მოდის აფხაზეთის სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის (1958 წ.) დაახლოებით 75%. ავტონომიური რესპუბლიკა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალით უკავშირდება რსფს რესპუბლიკის ევროპიული ნაწილის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებს. რკინიგზით იგი მჭიდროდაა აგრეთვე დაკავშირებული საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიურ რაიონებთან და სამრეწველო ცენტრებთან.

აფხაზეთის რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1958 წელს ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის 8-ჯერ გაზრდა. რკინიგზის ტრანსპორტის ასეთი სწრაფი ზრდა გამოწვეული იყო შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალის ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გზა გაეხსნა როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით მომავალ მ·ალიერ ტვირთებს.

აფხაზეთის შიდარაიონულ გადაზიდვებში და მგზავრთა გადაყვანაში დიდ როლს თამაშობს საავტომობილო ტრანსპორტი. რესპუბლიკის ტერიტორია დაქსელილია რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებით, რომელთა საერთო სიგრძე 155,1 კმ-ს შეადგენს.

არსებული გზებიდან განსაკუთრებით დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისპირა გზატკეცილს და სოხუმ-ჩერკეზსკის (ყოფილი სოხუმის სამხედრო გზა) გზატკეცილს. სხვა გზებიდან აღსანიშნავია ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ბზიფი-რიწა-ავადხარა და სხვ.

აფხაზეთისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტს. უნდა აღინიშნოს, რომ დროის უკანასკნელ მონაკვეთში ერთგვარად გაიზარდა სოხუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა. მიუხედავად ამისა შავი ზღვის ნავსადგურების ფონზე მისი ხვედრითი წონა ტვირთბრუნვის გადაზიდვაში ძალზე მცირეა. სამაგიეროდ მნიშვნელოვანია მისი როლი მგზავრების გადაყვანაში, რითაც საქართველოს ნავსადგურებს შორის პირველი ადგილი უკავია.

Н. В. НАЧКЕБИЯ

ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА РАЗВИТИЯ И РАЗМЕЩЕНИЯ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Согласно экономико-географическому районированию Института географии им. Вахушти АН Груз. ССР, Абхазская автономная республика представляет самостоятельный экономический район Грузинской ССР.

Абхазия расположена в северо-западной части Грузинской ССР и включает Гагрский, Гудаутский, Сухумский, Очамчирский и Галь-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ский административные районы и города Сухуми и Ткварчели. Площадь ее равна 8,7 тыс. кв. км, т. е. 11,4% всей территории Грузии.

С установлением Советской власти началась новая эпоха для развития хозяйства Абхазской АССР. Проводимая Советской властью политика развития ранее экономически отсталых окраин России обусловила превращение Абхазской АССР в индустриальную республику с развитым социалистическим многоотраслевым сельским хозяйством.

Абхазская АССР с точки зрения производственной специализации в территориальном разделении труда Грузии является районом субтропического земледелия, табаководства, курортного хозяйства, с достаточно развитой угольной, электроэнергетической и пищевой промышленностью.

Большое значение для народного хозяйства имеет топливно-энергетическая промышленность, на долю которой приходится 25% валовой продукции Абхазии. Важное значение имеет каменноугольная промышленность, занявшая видное место в экономике всей Грузии. Добываемый здесь уголь используется в основном Руставским металлургическим комбинатом для производства кокса; значительная его часть потребляется Ткварчельской ГРЭС.

По объему промышленной продукции выделяется пищевая промышленность, на долю которой падает 52,4% промышленной продукции всей Абхазии, затем следует лесная и деревообрабатывающая (6,8%), легкая (2,7%) и т. п.

В общем народнохозяйственном комплексе Абхазии большое значение имеет сельское хозяйство. Для развития сельского хозяйства огромное значение имело преобразование природных условий, повлиявшее на использование земельных фондов и структуру хозяйства.

Основная линия в изменении хозяйственного комплекса Республики выразилась в превращении существующего ранее примитивного сельского хозяйства в высокоинтенсивное субтропическое хозяйство, сформировавшееся в профилирующую отрасль республики.

Ведущее место в субтропическом хозяйстве Абхазии занимает чаеводство, на долю которого приходится около 18% площади чайных плантаций Грузии. Основными районами чаеводства республики являются Гальский и Очамчирский административные районы.

Гораздо меньшее значение имеет цитрусоводство. Особенно неблагоприятной стороной разведения цитрусовых плантаций является сильная их повреждаемость морозами. Цитрусовые насаждения главным образом размещены в Сухумском, Гудаутском и Гагрском районах.

Из других субтропических культур разводят тунг, бамбук, благородный лавр, хурму, инжир и др. Плантации тунга размещены главным образом в Очамчирском и Гальском районах. В 1958 году в Абхазии было 2563 га тунговых плантаций, т. е. почти 30% общей площади плантаций Грузии.

Важнейшей отраслью является плодоводство и виноградарство. Плодовые сады распространены по всему побережью, но особенно выделяются Сухумский и Гагрский административные районы. Природные условия в некоторых районах Абхазии вполне благоприятны для развития виноградарства.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ведущую роль в сельском хозяйстве республики имеет табаководство. Эти высокосортные табаки считаются лучшими в Советском Союзе. Табачные плантации размещены в основном с северо-западной прибрежной части Абхазии. Для табаководства особенную ценность представляет холмистая часть высотой 50—400 метров над уровнем моря.

Зерновое хозяйство. Абхазии слабо развито и имеет в основном потребительское значение. Основной зерновой культурой является кукуруза, посевы которого, главным образом, размещены в Гальском и Очамчирском районах.

Несмотря на благоприятные условия овощеводство пока еще слабо развито вследствие чего потребность городов и курортов Абхазии все еще недостаточно обеспечено свежими овощами.

Животноводство играет второстепную роль. Направление животноводства мясомолочное. В большинстве колхозов скот малопродуктивен. Хотя в отдельных совхозах и колхозах достигнуты большие успехи в отношении роста продуктивности скота (например, Гагрский молочно-овощной совхоз, с. Салте и т. д.).

Огромное хозяйственное значение для республики имеет курортное хозяйство. Абхазия обладает чрезвычайно благоприятными природными условиями для курортного строительства.

Здесь, на узкой прибрежной полосе Черного моря, расположены курорты общесоюзного значения — Гагра, Новый Афон, Гудаута, Сухуми, Гульрипши и т. д.

Абхазская АССР располагает выгодным транспортно-географическим положенкем. По территории республики проходят важные транспортные коммуникации, способствующие осуществлению хозяйственных связей Абхазии с важными экономическими районами Грузии и Советского Союза.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია.—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ე. კობახიძე

აფხაზეთის ბუნებრივი პირობები და რესურსები

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

აფხაზეთის ასსრ მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობია 8,7 ათასი კვ. კმ, რაც საქართველოს ტერიტორიის 12,4% შეადგენს; აფხაზეთის ასსრ ტერიტორიის უდიდესი სიგრძე 180 კმ-ს აღწევს, სიგანე—90 კმ-ს, საშუალო სიგანე რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში 50—60 კმ-ს შეადგენს.

ფიზიკურ-გეოგრაფიულად კარგად არის გამოხატული აფხაზეთის ასსრ ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც კავკასიონის წყალგამყოფი ქედის თხემს მოყვება. სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვარი ძირითადად კოდორის ქედს, ოხაჩკუეს მთიან მასივს და მდ. ენგურის ხეობას გასდევს. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით აფხაზეთს აკრავს შავი ზღვა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მდ. ფსოუზე გადის.

აფხაზეთის ასსრ მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედსა და შავ ზღვას შორის. სიმაღლეთა ამპლიტუდები აქ 4000 მ-ს აღემატება, რის შედეგადაც საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. დაბლობებისა და მთების ბუნებრივი რესურსების შეხამება აძლიერებს აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს.

აფხაზეთის ზღვისპირა მდებარეობა მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ფაქტორია და მასთან გარკვეულ ფარგლებში დაკავშირებულია მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის განლაგება. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი ჩაბმულ იქნა საერთაშორისო სამეურნეო ბრუნვაში და აქ წარმოიშვა რიგი სავაჭრო ქალაქები.

რკინიგზის აგებამდე აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარეები არ იყო სრულად გამოყენებული მისი მეურნეობრივი ცხოვრების განვითარებისათვის. ის წარმოადგენდა საქართველოს უკიდურეს დასავლეთში მოთავსებულ სატრანსპორტო ჩიხს, ვრთგვარად მოწყვეტილს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებს. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე გადის რიგი სატრანზიტო კომუნიკაციები, რომელთა მეშვეობით საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ დასავლეთი რაიონები უკავშირდებიან რსფსრ ევროპულ ნაწილს და ჩრდილოეთ კავკასიას.

რელიეფი

აფხაზეთის ასსრ-ს უმეტესად უკავია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობი, მისი განშტოებები და ფინამთების ზონა, ნაწილობრივ კი შავი ზღვის სანაპირო დაბლობი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სხვადასხვა სიგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მქონე ზოლის სახით, ადგილ-ადგილ გაკვეთილი ზღვისაკენ მიმართული ქედებით. ჩრდილოეთით დაბლობი თანდათანობით გადადის გორაკ-ბორცვიან წინამთებში. ამასთანავე ამ ზოლის სიგანე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთით.

აფხაზეთის ჩრდილო საზღვარზე, 200 კმ სიგრძეზე გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც საკვლევი რაიონის ფარგლებში აღწევს 3300—4000 მ სიმაღლეს ზ. დ. მისი მწვერვალები დაფარულია მუდმივი თოვლითა და ყინვარებით, უმაღლესი წერტილია მ. დომბაი-ულგენი (4040 მ ზ. დ.) იგი ერთის მხრივ, წარმოადგენს წყალგამყოფს—ფსოუს, ბზიფის, კოდორის და აფხაზეთის სხვა მდინარეებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ყუბანის მარცხენა შენაკადებს შორის. მთავარ ქედზე აღსანიშნავია რიგი გადასასვლელებისა, სახელდობრ, ქლუხორის (2814 მ ზ. დ.) ბარუხის (2769 მ), სანჩარის (2602 მ) და სხვ. ქლუხორის გადასასვლელზე გადადის სოხუმის სამხედრო გზა, რომელიც საუღელტეხილო უბანზე ავტოტრანსპორტისათვის გამოუყენებელია. ამ უბნის კეთილმოწყობის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ გზით ეკონომიური კავშირურთიერთობის დამყარება ჩრდილო კავკასიასთან.

კავკასიონის მთავარ ქედს პარალელურად გასდევს აფხაზეთის ქედი. მისი სიმაღლე საშუალოდ 2500 მ-ს შეადგენს, ხოლო უმაღლესი მწვერვალები—შახპიზგა, ხიმსა, აგეფსთა—3000 მ-ს აღწევს.

კავკასიონის მთავარი ქედის განშტოებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: გაგრის, ბზიფისა და კოდორის ქედები; გაგრის ქედი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან მიემართება ჩრდილოეთით არაბიკას მთამდე, სადანაც იღებს ჯერ ჩრდილო-დასავლეთურ, შემდეგ კი ჩრდილოეთურ მიმართულებას. აღნიშნული ქედი უმაღლეს განვითარებას აღწევს ახაგისა და არაბიკას მასივებზე. გაგრის ქედი უშუალოდ ეკვრის ზღვის ნაპირს კურორტ გაგრასთან, რომელიც ამ ქედის ფერდობებზეა გაშენებული. ქედან როგორც ჩრდილოეთით, ისე, სამხრეთით სანაპირო ზოლი იშლება და წარმოიქმნება ვაკეები. სადაც თავმოყრილია მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი. ცარცული კირქვების ფართო გავრცელებისა და ნოტიო სუბტროპიკული ჰავის პირობებში ამ რაიონში განვითარდა კარსტი.

მდ. ბზიფის ხეობას გუმისთის, კელასურის და სხვა მდინარეთა ხეობებიდან გამოყოფს ბზიფის ქედი. საშუალოდ მიხი სიმაღლე 2500 მეტრამდის აღწევს. შედარებით დადაბლებულია იგი შუა ნაწილში (1500 მ-მდე ზ. დ.) ბზიფის ქედი იძლევა სამხრეთისაკენ მერიდიანული მიმართულების განშტოებებს. რელიეფის წყალგამყოფს მდ. კოდორის და მდ. ენგურის აუზს შორის წარმოადგენს კოდორის ქედი, რომელიც გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედიდან სამხრეთ-დასავლეთით. მისი სიგრძე აღწევს 50 კმ-ს. უმაღლესი წერტილია მ. ხოჯალი (3309 მ).

აფხაზეთის დაბლობი სანაპირო ზოლი სხვადასხვა სიგანისაა, განსაკუთრებით ფართოა იგი საკვლევი რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მას უკავია გალის და, ნაწილობრივ, ოჩამჩირის რაიონების მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნული დაბლობი წარმოადგენს აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს არეალს.

რელიეფის სიმაღლისა და სამეურნეო გამოყენების მიხედვით ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ შემდეგი ვერტიკალური ზონები: 1/0—200 მ;

2/200—500 მ; 3/500—1000 მ; 4/1000—2000 მ; 5/2000—2800 მ; 6/2800 მ; და მეტი. პირველ ზონაში (0-დან 200-მდე ზ. დ.) შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების, მნიშვნელოვანი ქალაქებისა და ზღვისპირა კურორტების განვითარება. მეორე ზონა (200-დან 500 მ-მდე ზ. დ.) ხელსაყრელია მარცვლეული კულტურების, მეხილეობისა და მეთამბაქოეობის განვითარებისათვის. მოსახლეობის სიმჭიდროვე აქ ნაკლებია და მისი განლაგება ერთობ არათანაბარია. მესამე ზონა (500-დან 1000 მ-მდე ზ. დ.) პერსპექტიულია მარცვლეული კულტურების, მეკარტოფილეობის და სამთოკლიმატური კურორტების განვითარებისათვის. მოსახლეობა კიდევ უფრო ნაკლებია. მხოლოდ ცალკეულ სამეურნეო „ოაზისებს“ ვხვდებით დიდ მდინარეთა ხეობებში და მთათაშორისო ქვაბულებში. მეოთხე ზონა (1000-დან 2000 მ-მდე ზ. დ.) ტყის მეურნეობის, მაღალმთიანი კულტურების და ტურიზმის რაიონს წარმოადგენს. მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოა. მეხუთე ზონა (2000-დან 2800 მ-მდე) ალპური მეცხოველეობის რაიონია, მუდმივი მოსახლეობა სრულებით არ არის. 2800 მ-დან იწყება მეექვსე ზონა, რომელიც უშუალოდ გამოყენებულია სამეურნეო თვალსაზრისით. აქ იღებს სათავეს აფხაზეთის დიდი მდინარეები.

რელიეფური თავისებურებების გამო აფხაზეთი კონტრასტების ქვეყანას წარმოადგენს. თუ დაბლობ ზღვისპირა ზოლში სჩქეფს ინტენსიური სამეურნეო ცხოვრება და ბუნებრივი ლანდშაფტები შეცვლილია ადამიანის მიერ, მისგან პირდაპირი ხაზით რამოდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით გადაჭიმულია ულრანი ტყეები, მაღალმთიანი მდელოები, კიდევ უფრო ზევით, შიშველი კლდეები, მუდმივი თოვლი და ყინვარები. იმადება კითხვა, რატომ არის მთიანი აფხაზეთი უფრო ნაკლებად ათვისებული, ვიდრე შესაბამის სიმაღლეზე მდებარე ჩრდილოეთ კავკასიის რაიონები? პირველ რიგში, ეს ეხსნება კაკაჭაიონის ჩრდილოეთი ფერდობის ნაკლები დახრილობით სამხრეთთან შედარებით. ამისდა მიუხედავად, უნდა ვალიაროთ, რომ მთიანი აფხაზეთი არასაკმარისადაა ათვისებული,—მას, როგორც საქართველოს სხვა მთიან რაიონებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სასარგებლო წიაღეული[1]

აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი წიაღისეული, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს უკავია. იგი მდებარეობს მდინარეების, ღალიძგისა და მოქვის ზემო წელში, ოჩამჩირიდან 35 კმ მანძილზე. ამ საბადოს ქვანახშირი დამაკმაყოფილებელი ხარისხის კოქს იძლევა. მისი თბოუნარიანობა მაღალია და 7700 კალ/კგ შეადგენს. ნაცრიანობა ტყვარჩელის ქვანახშირისა მომატებულია, რაც იწვევს მისი გამდიდრების აუცილებლობას დაკოქსვის წინ. ქვანახშირის მოპოვების ცენტრს წარმოადგენს აკარმარა (ქ. ტყვარჩელის შემადგენელი ნაწილი).

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს შესწავლა წარმოებდა ჯერ კიდევ 1899—1908 წწ.. ფართო ხასიათი მიიღო ამ რაიონის შესწავლამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამჟამად ქვანახშირის სამრეწველო მარაგი ათეული მილიონ ტონობით განისაზღვრება, ხოლო წლიური ამოღება უკანასკნელი დროის მანძილზე 1.3—1,4 მილ. ტ. შეადგენს.

[1] წიაღისეულის დახასიათებისას გამოყენებულია ახლად გამოცემული წიგნები: Природные ресурсы Грузинской ССР. т. 1. Металлические полезные ископаемые. М. 1958. т. 2, Неметаллические полезные ископаемые, М., 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტითონების რიგი გამოვლინებებია მდ. ბზიფის შუა წელის შენაკადების-რეშავასა და ძიშრას აუზებში. მათი პრაქტიკული მნიშვნელობა ჯერჯერობით დადგენილი არაა. სპილენძის და ნიკელის გამოვლინებები არის კოდორის აუზში. აქვე არის კობალტის სამადნები. კალამიანის გავრცელება დაკავშირებულია კელასურის გრანიტოიდულ მასივთან, ხოლო მოლიბდენის გამოვლინებები შენიშნულია ამტყელის პოლიტითონების სამადნო მახლობლად. ცნობილია აგრეთვე ზემრ და ქვემო სხაპარის გამოვლინებები და ადანგეს გამოვლინება სოხუმის რაიონში. ვერცხლიწყლის სამადნო მდებარეობს სოფ. პსხუდან 17 კმ მანძილზე. დარეშანის გამოვლინებებიდან ყველაზე უფრო მსხვილია მდ. ღვანდრას ხეობის სამხრეთ ფერდობზე მდებარე გამოვლინება. არც ერთ ზემოაღნიშნულ სამადნო დღეისათვის საექსპლოატაციო მნიშვნელობა არ გააჩნია.

არალითონური წიაღისეულიდან განსაკუთრებით პერსპექტიულია ბარიტი, რომლის სამადნები აღმოჩენილია მდინარეების: მოქვის, კოდორის, აცის (ბაკლანოკის), ბზიფის ხეობებში, ყველაზე მეტადაა შესწავლილი ფიციკვარის სამადნო, რომლის მადნის მარაგი მრავალი ათეული ათასი ტონნით განისაზღვრება. Ba SO_4 შედგენილობა მადაწში საკმაოდ მაღალია. ამ სამადნოს საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია 1960 წელს. მარაგის ოდენობით გამორჩეული აგრეთვე ანაგა-აფშრის სამადნო.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ტყვარჩელის დოლომიტის სამადნო. იგი მაღალი ხარისხითა და ხელსაყრელი სატრანსპორტო მდებარეობით გამოირჩევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე გეგას, გაგრისა და, განსაკუთრებით, ბზიფის სამადნები. ცარცის დიდი სამადნო მდებარეობს გალიდან 9 კმ და რკინიგზიდან 5 კმ-ს დაშორებით. მისი მარაგი მიახლოებითი გაანგარიშებით 13 მილიონ ტონას შეადგენს. ხარისხი საკმაოდ მაღალია, რის გამო ამ სამადნოს ექსპლოატაცია რაციონალური იქნებოდა. გალიდან 19 კმ მანძილზე მდებარეობს ოქუმის თაბაშირის სამადნო, რომლის მარაგი რამოდენიმე ასეული ათასი ტონით განისაზღვრება.

აგურის წარმოებისათვის გამოსაყენებელი თიხების დიდი სამადნები აღნიშნულია ტყვარჩელისა და სოხუმის მახლობლად. მათ საფუძველზე აგებულია აგურის სამი მნიშვნელოვანი ქარხანა. კირქვის საცემენტე ნედლეულის სამადნო შესწავლილია გაგრიდან 10 კმ მანძილზე მდ. ცივწყალს ნაპირს. იგი ახლოს მდებარეობს რკინიგზასთან და შარაგზასთან. გამოდგება პორტლანდცემენტის წარმოებისათვის. მარაგი 26,1 მლიონ ტონას უდრის. ფარფოდ არის წარმოდგენილი სამშენებლო ქვების სამადნები, თუმცა მათი დამუშავება სრულებით არასაკმარისი მოცულობით წარმოებს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღნიშნულია სხვა სასარგებლო წიაღისეულის სამადნებიც, სახელდობრ: ალებასტრი, სახურავი ფიქლები, ლითოგრაფიული ქვა, მერგელი, მარმარილო, გოგირდი, არც ერთ ამ სამადნოს დღესდღეობით პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია. საინტერესოა ბიჭვინთის ტორფის სამადნო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასუქად სუბტროპიკული მეურნეობისათვის.

მდიდარია აფხაზეთი ჰიდრომინერალური რესურსებითაც. მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები გვხვდება: კოდორის. ბზიფის, ღალიძის ხეობებში, ქ. სოხუმის მახლობლად. მათი უმეტესი ნაწილი გამოიყენება ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მიერ. შედარებით ფართოდ არის ათვისებული მხოლოდ ავადხარის და ტყვარჩელის მინერალური წყაროები.

კლიმატი

აფხაზეთის ასხრ ტერიტორია მდებარეობს ნოტიო სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში. მისი კლიმატის შეწყვალა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდება, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლის ფარგლებში, მაგრამ სრული დახასიათება მხოლოდ ამჟამად არის მოცემული მ. კორძახიას და შ. ჯაგახიშვილის მიერ [6].

აფხაზეთის, ისევე როგორც სხვა ქვეყნის, კლიმატშემქმნელ ფაქტორთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მზის რადიაცია. მისი ნათების ხანგრძლივობაზე დაკვირვება საკმაო სისრულით მხოლოდ სოხუმში წარმოებდა, სადაც იგი შედგენდა 2125 საათს წელიწადში, ხოლო უმზეო დღეთა რიცხვი 64-ზე მეტი არ იყო.

8630

აფხაზეთის ქვემო ზონაში (300 მ-მდე) საშუალო ამსოლუტური მინიმუმი—4° უდრის, რაც ციტრუსოვანი კულტურების გავრცელების საზღვარს წარმოადგენს. ამსოლუტური მინიმუმები ზოგიერთ წელში (მაგ. 1949—1950 წლის ზამთარში)—10°-ზე დაბლა ჩამოდის. ყინვები გორაკ-ბორცვიან ზონაში 100—200 მ სიმაღლეზე ნაკლებია, ვიდრე დაბლობში, რაც ტემპერატურული ინვერსიითაა გამოწვეული. სწორედ ამ ეიზეზითაა შეპირობებული ციტრუსოვანი ნარგავების გორაკ-ბორცვების ფერდობებზე გაშენება.

აფხაზეთში სავეგეტაციო პერიოდით, 10° და მეტი საშუალო დღეღამური ტემპერატურით, გრძელდება 8 თვე, ხოლო 6 თვის მანძილზე ჰაერის ტემპერატურა 15°-ზე მეტია, ივნის-სექტემბერში კი 20°-ზე მაღალია. ჰაერის ტემპერატურის დღეღამური მერყეობა აფხაზეთში ზომიერია, თუმცაღა მეტია ვიდრე უფრო სამხრეთით მდებარე რაიონებში.

საშუალოდ წლიური შეფარდებითი სინოტივე მთელ მხარეში დაახლოებით 75% უდრის და მისი ტერიტორიული განაწილება თანაბრობით გამოირჩევა. სეზონების მიხედვით იგი უდიდესია ზაფხულში (80%-მდე) და უმცირესია ზამთარში (70—75%).

ნალექების წლიური რაოდენობა სანაპირო ზოლში თითქმის ერთნაირია და 1400—1500 მმ ფარგლებში მერყეობს. დიდი სხვაობა ნალექების რაოდენობაში არც სიმაღლეთა მიხედვით აღინიშნება. თუ ზღვის დონეზე 1500 მმ-მდე ნალექი მოდის, გაგრის ქედზე, 1644 მ სიმაღლეზე მისი რაოდენობა 1800 მმ-ზე მეტია. ამავე სიმაღლეზე მდებარე ავადხარაში აღწევს 2200 მმ-ს, მაგრამ ფსხუში, რომელიც მხოლოდ 668 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს ბევრად მეტი ნალექი მოდის (2300 მმ). ასე, რომ ატმოსფეროული ნალექების რაოდენობა ვერტიკალურ ზონებზე შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული. ნალექების სეზონური განაწილება ხასიათდება წლის თბილ პერიოდში მოსული ნალექების შედარებით სიდარიბით. მათი წლიური რაოდენობა საერთოდ საკმარისია სოფლის მეურნეობისათვის, გარდა ზოგიერთი წლისა, როცა ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საზიანო გვალვას. სეზონებიდან ყველაზე გვალვიანია გაზაფხულის მეორე ნახევარი და ზაფხულის დასაწყისი.

წვიმიან დღეთა რიცხვი წელიწადში უდრის 170 (ქვედა ნაწილებში)—90 (1600 მ სიმაღლეზე), ხოლო თოვლიან დღეთა რიცხვი შეადგენს 500 მ სიმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემდე 10—23; უფრო ზევით ასეთი დღეთა რიცხვი მეტია. შემოდგომაზე ხშირია განუწყვეტელი წვიმები, რაც აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. სეტყვა აფხაზეთში იშვიათია და დაბალ ზონაში სეტყვიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 1-ს არ აღემატება.

აფხაზეთის კლიმატური დარაიონება მოცემული აქვს მ. კორძახიას და შ. ჯავახიშვილს. ისინი გამოჰყოფენ შვიდ კლიმატურ ზონას [6]. პირველი ზონა მოიცავს დაბლობ ნაწილებს 200—250 მ სიმაღლემდე; იგი ხასიათდება თბილი, ნოტიო კლიმატით, ცხელი ზაფხულით და ნალექის საკმაო რაოდენობით წლის ყველა სეზონში. უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა მერყეობს ტერიტორიულად 6,8°-დან 4°-მდე, უთბილესი თვისა კი 23,5°-დან 24,5°-მდე. აბსოლუტური მინიმუმი—11°—14° შეადგენს. დადებით ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში 4200-4700° უდრის სოფლის მეურნეობას ამ ზონაში სუბტროპიკული მიმართულება აქვს, კერძოდ აქ შესაძლებელია ჩაის, ციტრუსების და ტუნგის კულტივირება, ამავე ზონის საუკეთესო კლიმატურმა პირობებმა და შავი ზღვის სიახლოვემ განსაზღვრეს აქ საკაშვირო მნიშვნელობის ზღვისპირა კურორტების შექმნა.

II ზონა ვრცელდება 250 მეტრის სიმაღლიდან 600—700 მ სიმაღლემდე და მოიცავს გორაკ-ბორცვიანი წინამთების ზოლს. აქ არის ნოტიო ჰავა, ზომიერი თბილი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით. იანვრის ტემპერატურა მერყეობს +4°-დან 0°-მდე. აბსოლუტური მინიმუმი უდრის —15°—27°, საშუალო აბსოლუტური მინიმუმი—5°-დან—9°-მდე. უთბილესი თვეების ტემპერატურა მერყეობს სიმაღლის მიხედვით 22°-დან 19°-მდე. სავეგეტაციო პერიოდში დადებითი ტემპერატურათა ჯამი 4000°—3000° უდრის. ამ ზონის კლიმატური პირობები მევენახეობის, მეხილეობის და მემინდვრეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

III ზონა ნოტიო ჰავით, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით ვრცელდება დაბალ და საშუალო მთიან ზოლში 600—700 მეტრიდან 1500—1600 მეტრამდე. იანვრის საშუალო ტემპერატურა ზონის უმეტეს ნაწილში მერყეობს 0°-დან—3°-მდე, ხოლო აგვისტო-ივლისისა—19°-დან 15°-მდე. აბსოლუტური მინიმუმი—20°—27°, საშუალო აბსოლუტური მინიმუმებიდან—12°—17°. ზონის კლიმატური მაჩვენებლები საკმარისია მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და, ნაწილობრივ, მეხილეობის განვითარებისათვის, კარგი პირობები არსებობს აგრეთვე პირუტყვის მოშენებისათვის.

IV ზონა საშუალო და მაღალმთიანი ჭარბად ტენიანი ჰავით, ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. ვრცელდება 1600 მ-ის სიმაღლიდან 1800—1900 მ-ის სიმაღლემდე. უცივესი თვის ტემპერატურა შეადგენს—3°-დან—5°-მდე, აბსოლუტური მინიმუმი—28°—30°. წელიწადში მხოლოდ 2 თვე (ივლისი-აგვისტო) სრულიად თავისუფალია ყინვისაგან. უთბილესი თვეების ტემპერატურათა ჯამი 1700—1500° უდრის, რაც არ არის საკმარისი მემცენარეობის განვითარებისათვის.

მაღალმთიან ზონას ახასიათებს ჭარბად ნოტიო ჰავა ცივი ხანგრძლივი ზამთრით და მოკლე გრილი ზაფხულით. იგი ვრცელდება 1800 — 1900 მ-ის სიმაღლიდან 1900—2100 მ სიმაღლემდე. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს ტერიტორიულად—5° და—7° შორის, უთბილესი თვისა კი 12,—13°-ია. ზონა მხოლოდ 3-4 თვის მანძილზეა თავისუფალი თოვლის საბურველიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI ზონა მაღალმთის ჭარბად ნოტიო ჰავით, ნამდვილ ზაფხულს მოკლებული, ხანგრძლივი და მძლავრი თოვლის საბურველით ვრცელდება 2100 მ-დან 2900—3000 მ-მდე, უთბილესი თვეების საშუალო ტემპერატურა აქ 10°-ზე დაბალია არც ერთი თვე არ არის უყინვო.

VII ზონა მაღალმთიანი ნოტიო კლიმატით, მუდმივი უხვი თოვლით და ყინვარებით, იწყება 2900—3000 მ სიმაღლიდან. ზონის უმეტეს ნაწილში ზაფხულის სითბო არ კმარა დაგროვილი თოვლის გასადნობად. ამ ზონას პირდაპირი სამეურნეო მნიშვნელობა არ გააჩნია.

ᲫᲘᲓᲐ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ

აფხაზეთის მდინარეები მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს და შედის კავკასიონის პოტამოგრაფიულ რაიონში. გამოიყოფა ორი ქვერაიონი: I. დიდ მდინარეთა ზემოწელის ქვერაიონი და 2. დიდ მდინარეთა ტრანზიტული ნაწილების და კარსტულ ზონაში სათავეების მქონე მდინარეთა ქვერაიონი [4]. დიდ მდინარეთა ზემო წელის ქვერაიონი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული მთის ტიპის მდინარეებით, რომლებიც მეტწილად სათავეს ყინვარებიდან იღებს. ვარდნა მთი დიდია (მაგალითად, მდ. ღვანდრისათვის აღწევს 75,8 მ/კმ-ზე). ძლიერი ეროზიის შედეგად ხეობათა ფერდობები დანაწევრებულია ხრამებით.

დიდ მდინარეთა ტრანზიტული ნაწილების და კარსტულ ზონაში სათავეების მქონე მდინარეთა ქვერაიონიც კარგადაა გამოხატული. მისი უმთავრესი ნიშანია პარალელური ხეობები და შედარებით მცირე წყალშემკრები აუზები. მდინარეთა ვარდნა ამ ქვერაიონში გაცილებით ნაკლებია (მაგ., მდ. კოდორისათვის 8,8 მ/კმ-ზე შეადგენს). საკმაოდ მეჩხერი ზედაპირული ჰიდროგრაფიული ქსელია 1300—1600 მ-ის სიმაღლის ზონაში, სადაც კარსტული რელიეფი განვითარებული.

ჩამონადენის საშუალო წლიური მოდული კავკასიონის სამარეთ ფერდობზე დიდია და 25—40 ლ/სეკ შეადგენს [1], ატმოსფერული ნალექების და სიმაღლის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი იზრდება და აღწევს მაქსიმუმს კავკასიონის მთავარი ქედის თხემზე. ჩამონადენის სეზონური განაწილება აფხაზეთის ფარგლებში მეტწილად დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე. ზაფხულის ჩამონადენის მნიშვნელოვანი სიჭარბის ქვეზონა ვიწრო ზოლადაა გავრცელებული კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ოხვრის მახლობლად, ხოლო მის ქვევით მდებარეობს ზაფხულის ჩამონადენის ზომიერი სიჭარბის ზონა. საშუალო მთიან ზონაში გაზაფხულის და შემოდგომის ჩამონადენი თანაბარია. მინიმალური ჩამონადენით ხასიათდება ზამთარი. წყალდიდობა მარტის მეორე ნახევარში იწყება და მაქსიმუმს მაისის თვეში აღწევს. სეზონების მიხედვით, ჩამონადენის თანაბარი განაწილების ზონა მდებარეობს სანაპირო ზოლში და წინამთების რაიონში. ამ ზონის მდინარეები ძირითადად წვიმის წყლით საზრდოობენ.

აფხაზეთის ყინვარები მიეკუთვნება მდინარეებს: ბზიფისა და კოდორის, აუზებს. უფრო მდიდარია ყინვარებით კოდორის აუზი, სადაც 121 ყინვარია, რომელთა საერთო ფართობა 72 კმ² უდრის; მათ შორის ოთხი I თანრიგისაა და დანარჩენები—II თანრიგის.

აფხაზეთში სხვადასხვა ტიპის ტბებია წარმოდგენილი. შავი ზღვის ნაპირების გასწვრივ მდებარე ინკითი, დიდი და მცირე ბებესირი ზღვის რელიქტებს წარმოადგენენ. კარსტულ ზონაში გვხვდება მცირე ზომის კარსტული ტბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მაგ. „ცისფერი“ ტბა) თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა შეგუბებული ტიპის ტბები, როგორიცაა დიდი რიწის ტბა და ამტყელი. დიდი რიწის ტბა მდებარეობს ბზიფის აუზში 950 მ-ის სიმაღლეზე. მისი სანაპირო ხაზი სიგრძით 4,29 კმ, სიკაროდ დანაწეკებულია და ძალიან მდ. ლაშიფსეს შესართავში ადინიშნება მოსწორებული ფართობები. ტბის მაქსიმალური სიგრძე 2,6 კმ-ია, ხოლო სიგანე 1,0 კმ-ს შეადგენს, უდიდესი სიღრმე 116 მ-ია. ტბიდან გამოედინება მდ. იუფშარა. მასში საკმაო რაოდენობითაა გავრცელებული კალმახი და ორაგული. ამტყელის ტბა დაახლოებით რიწის ტბის ტოლია, იგი ლამაზია, მაგრამ ჯერ ნაკლებადაა ცნობილი.

მიუხედავად დიდი სამელიორაციო სამუშაოებისა, აფხაზეთში ჭაობებს ახლაც გარკვეული ფართობი უკავიათ, განსაკუთრებით ბიჭვინთის კონცხზე და ქ. ოჩამჩირის სამხრეთით.

აფხაზეთის მდინარეებს დიდი ჰიდრორესურსები გააჩნიათ. ჰიდროენერგიის უდიდესი პოტენციალური რესურსები აქვს მდინარეებს: კოღორს, ბზიფს, გუმისთას, ღალიძგას. ისინი ჯერჯერობით არასაკმაოდაა ათვისებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულია სოხუმჰესი მდ. გუმისთაზე და რიგი სხვა საშუალო და მცირე ჰიდროსადგურები. მიუხედავად ამისა აფხაზეთის „თეთრი ნახშირი“ ჯერ თითქმის ხელუხლებელია და უფრო ფართო გამოყენებას ელოდება. მდინარეებს სხვა მნიშვნელობაც აქვთ, მაგალითად, მათ იყენებენ წისქვილების ასამუშავებლად, ხე-ტყის დასაცურებლად (ამყამად უმნიშვნელო მასშტაბით).

აფხაზეთი მდიდარია წყაროებით,რომელებიც უზრუნველჰყოფენ მოსახლეობას სასმელი წყლით. მათ მაღალი გემოვნება და ჰიგიენური თვისებები ახასიათებს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ცივი კარსტული წყაროები. მათი ნაწილი უკვე გამოყენებულია (მაგ. მდ. რეპროა კვებავს გაგრის წყალსადენს).

ნალექების სიუხვის მიუხედავად, აფხაზეთში ზოგიერთ წლებში საჭიროა ხელოვნური მორწყვა. საერთოდაც, მშრალ სეზონში ხელოვნური მორწყვა გახრდიდა მოსავლიანობას. სამწუხაროდ, ირიგაციის საკითხი აფხაზეთში ჯერჯერობით ძალიან სუსტადაა დაყენებული.

აფხაზეთის ჭაობებს ჯერ კიდევ რამოდენიმე ათასი ჰა უკავია. დღის წესრიგში უნდა დადგეს საკითხი მათი სრული ამოშრობის შესახებ, რაც მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო ფართობებს შესძენს აფხაზეთის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს.

შავი ზღვა

აფხაზეთის სანაპირო ხაზის თანამედროვე სახე გაპირობებულია ძირითადად მდინარეთა მოქმედებით და ალუვიალური მასალის დაგროვებით. სანაპირო ზოლი ჩრდილო-დასავლეთით იწყება მდ. ფსოუს დელტური დაბლობით, რომელსაც სამხრეთით სცვლის გაგრის ქედის ციცაბო ფერდობები. ამ რაიონში გამავალი რკინიგზის ხაზი ხშირ საერმინტო სამუშაოებს მოითხოვს, რადგანაც იგი განიცდის ზღვის აბრაზიულ მოქმედებას.

ქ. გაგრიდან სანაპირო ხაზი თანდათან სამხრეთისაკენ იღუნება რკალის სახით და მოხაზავს ბზიფის შესართავის დაბლობს; მის შემდეგ იწყება მიუსერის ბორცვები. კიდევ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით სანაპირო ხაზი ქმნის ყურეს—ე. წ. ბომბორის რეიდს. სანაპირო ზოლი გუდაუთიდან სოხუმამდე აფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დასახლებულ და ეკონომიურად განვითარებულ ნაწილს წარმოადგენს.

სოხუმიდან ზღვის ნაპირი მიყვება გორაკ-ბორცვებს, შემდეგ კი მას ცვლის მდ. კოდორის დელტური დაბლობი. ქ. ოჩამჩირესთან ნაპირი ძლიერ გადარეცხვას განიცდის და ზოგიერთ ადგილას უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე 100 მ-ით დაიწია.

ფართოდაა გავრცელებული აზრი შავ ზღვაში ორგანული ცხოვრების შედარებით სუსტი განვითარების შესახებ, რაც არ არის მთლიანად მართებული. ფოტოპლანქტონით შავი ზღვა ბევრად ღარიბია. ვიდრე აზოვის ზღვა და ნაწილობრივ კასპის ზღვა. ზოოპლანქტონით კი მას, როგორც საერთო რაოდენობით, ისე თევზების საკვები ნაწილის მხრივ არ შეიძლება ღარიბი ვეწოდოთ. შავ ზღვაში აღმოჩენილია სულ 180 სახეობის თევზი, რომელთა შორის სარეწაო მნიშვნელობა აქვს სტავრიულს, კეფალს, ქაშაყს, თართს, სვიას, დელფინს, ხამსას და ზოგიერთ სხვას. ერთი ჰექტარიდან საშუალოდ იჭერენ 2—2,5 კგ თევზს. ამ მაჩვენებელით შავ ზღვას უკავია საშუალო ადგილი თევზით ღარიბ ხმელთაშუა ზღვასა და მდიდარ კასპის ზღვას შორის.

აფხაზეთის სანაპიროზე შექმნილია რამოდენიმე ნავსადგური და ნავმისადგომი. მათ შორის მთავარია სოხუმი და გაგრა. ტვირთბრუნვით გამოირჩევა სოხუმი, თუმცა მთელი შავი ზღვის მასშტაბით იგი მცირეა. გაცილებით დიდი ადგილი უკავია მას მგზავრთა გადაყვანაში.

ნიადაგები

ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელება საკვლევი მხარის ტერიტორიაზე ვერტიკალური ზონალობის კანონს ექვემდებარება, დადაბლებული ადგილები უჭირავთ ჭაობიან და ეწერ ნიადაგებს. ეწერი ნიადაგები გამოიყენება ჩაისათვის, ციტრუსებისათვის, ტუნგოსათვის, თამბაქოსათვის, სიმინდისათვის და სხვა. ამავე კულტურებისათვის გამოდგება აგრეთვე ამ ზონაში გავრცელებული ალუვიური ნიადაგები.

50—100 მ-დან ზ. დ. 300—500 მ-მდე წინამთების ზოლის ფარგლებში გავრცელებულია წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. მათ ძირითადად, ბალის და ოჩამჩირის რაიონებში ვხვდებით. წითელმიწა ნიადაგები წარმოდგენილია 80—90 მ-დან 200 მ-მდე ზონაში, ძლიერ დანაწევრებული ძველი ტერასული რელიეფის ფარგლებში. მათ არა აქვთ მთლიანი გავრცელება და გვხვდება მხოლოდ ცალკეული მასივების სახით. როგორც წითელმიწა, ისე ყვითელმიწა ნიადაგები გამოიყენება ჩაისათვის. ციტრუსებისათვის, ტუნგისათვის და სხვ. აფხაზეთის ჩრდილოეთ და, რიგ შემთხვევაში, სამხრეთ ნაწილებში ხშირად გვხვდება რუხი, ნეშომპალა-კარბონატული და ყვითელმიწა ნიადაგები, რომლებიც გარდამავალ საფეხურებს წარმოადგენს წითელმიწა ნიადაგებიდან მთატყის ზონის ნიადაგებისაკენ;

აფხაზეთის წინამთების ზოლში კირქვების და მერგელების ფართო გავრცელებითაა გამოწვეული სხვადასხვა სახის ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების განვითარება. ეს ნიადაგები წარმოადგენენ მთატყის ზონაში დომინირებულ ტიპს, სადაც ისინი მთლიანი მასივის სახით კავკასიონის ზონას მოიკავენ. ჰუმუსის მაღალი შემცველობა აპირობებს ამ ნიადაგების კარგ სტრუქტურას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წინამთების ზოლში, მის შედარებით დადაბლებულ ნაწილებში, გავრცელებულია რუხი ნიადაგები, ზოგჯერ მთლიან მასივებად წარმოდგენილი, განსაკუთრებით გუდაუთის და სოხუმის რაიონებში. ისინი გამოირჩევა სუსტი განვითარებით და ფენის მცირე სიმძლავრით. რუხი ნიადაგები ათვისებულია თამბაქოს კულტურისათვის. მათი სუსტი მხარეა ძლიერი ეროზია.

ყველაზე მაღალი ადგილები ვერტიკალური ზონალობის სქემაში მთა-მდელოს ნიადაგებს უკავიათ, რომლებიც მდებარეობენ მთატყის ნიადაგებს ზევით. სუბალპურ და ალპურ ზონაში, 2000 მ-დან 3000 მ-მდე. თავისებური ნიშნები და ორგანული ნივთიერებების დიდი დაგროვება ახასიათებს ტორფისებურ მთა-მდელოს ნიადაგებს.

აფხაზეთის ნიადაგების სხვადასხვა ტიპები (წიფელმიწა, ყვითელმიწა და სხვა) ხელშემწყობია სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. ისინი, სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ კომპონენტებთან ერთად წარმოადგენენ მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსს.

ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ

კავკასიის ფიტოგეოგრაფიული დარაიონების შესაბამისად აფხაზეთი მიეკუთვნება კოლხეთის პროვინციას, შედგენს რა დამოუკიდებელი აფხაზეთის ფლორისტულ ოლქს [21]. აფხაზეთში შესწავლილია მცენარეთა 1800 სახეობა, მათ შორის მრავალი ენდემური. ამ რაიონის მცენარეულობის დახასიათებას ვაწარმოებთ ე. სოხაძის [36] მიერ მოცემული სქემის მიხედვით.

მცენარეულობის პირველი ზონა მდებარეობს ზღ. დონიდან 0—30 მ სიმაღლეზე. ზღვისპირა ზოლში ქვიშიან დიუნებზე მცენარეულობა ასამფილურია, ლიტორალური. უფრო ღრმად ჩნდება ბუჩქნარები—მაყვალი კუნელი, ძეძვი და სხვა, რომლებსაც ცვლის ამკამად უკვე თითქმის მოსპობილი ფოთლოვანი ზღვისპირა ტყეები. თავისებურია ბიჭვინთის კონცხისა და მიუსერის რაიონის მცენარეული საფარი, სადაც გავრცელებულია ბიჭვინთის რელიქტური ფიჭვი.

მეორე ზონა მოიცავს ტერიტორიას 30 მ-დან 700 მ-მდე ზღ. დონიდან არ. კირქვიან რაიონებში და 1000 მ-მდე კირქვიან რაიონებში. მისთვის დამახასიათებელია მდიდარი მცენარეული საფარი, რომლის ძირითად ტიპს ფართოფოთლოვანი ფოთლისმცვენი ტყეები შეადგენენ. კირქვიან ზოლში წარმოდგენილია ქსეროფიტული მუხნარები, ისინი უფრო გავრცელებულია სამხრეთ ფერდობებზე, სხვა ექსპოზიციის მქონე ფერდობებისათვის ტიპიურია რცხილისა და წიფლის ტყეები. კირქვიანი ზონის ნოტიო ხეობებში გავრცელებულია შინდი, ბზა, ურთხელი.

მესამე, მთის ტყეების ზონა, ვრცელდება 700 მ-ს სიმაღლიდან 1800—2200 მ-მდე ზ. დ. და იყოფა 2 ქვეზონად: ტყის ზონის საშუალო ზოლი (1200 მ სიმაღლემდე) და ზედა ზოლი (1200—2200 მ სიმაღლემდე). პირველი მათგანისათვის ტიპიურია აღმოსავლეთის წიფელი. მეორე ქვეზონისათვის დამახასიათებელია მუქწიწვიანი ჯიშების ფართო გავრცელება, რომელთა შორის წამყვანია სოჭი. შედარებით ნაკლებად გვხვდება ნაძვი. მუქწიწვიანი ტყეები ხშირად გარეულია წიფლის ტყეებში. კირქვიან ადგილებში უფრო მეტადაა წარმოდგენილი სიმშრალის მოყვარული ჯიშები (ნაძვი, ფიჭვი).

მეოთხე ზონა წარმოდგენილია 1800—2000 მ-ის სიმაღლიდან 2200 — 2400 მ-ის სიმაღლემდე. მისთვის დამახასიათებელია სუბალპური მდელოები, ბუჩქნა-

რები, ტანბრეცილა ტყეები. მეხუთე ზონა კი ვრცელდება 2200 მ სიმაღლიდან 2800 მ სიმაღლემდე და წარმოადგენს ალპური მდელოების სარტყელს.

აფხაზეთის მცენარეული საფარი, განსაკუთრებით ტყეები, უდიდეს ბუნებრივ რესურს წარმოადგენს. მათ აქვთ წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა, დადებით გავლენას ახდენენ კლიმატზე, ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის. აგრეთვე საკურორტო მეურნეობის განვითარებას. ტყეებს (ბუჩქნარებთან ერთად) აფხაზეთის ტერიტორიის 58,5% უჭირავს, ე. ი. საგრძნობლად მეტი, ვიდრე მთლიანად საქართველოში (42,2%). ტყიანობის პროცენტი შესამჩნევად მატულობს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. (მაგ. გაგრის რაიონში—52,6% შეადგენს, გალის რაიონში კი 60,9%). ტყეების ჯიშობრივი შემადგენლობა შემდეგია: წიფელი—50%, ნაძვი და სოჭი—25%, წაბლი—6%, მუხა—5%, რცხილა—5%, მურყანი—4%. მთელი ტყეების 21%, I ბონიტეტისაა, 44,7% მეორე ბონიტეტის და მხოლოდ 4% IV—V კლასის ბონიტეტისა, რაც ნათლად მეტყველებს აფხაზეთის ტყეების მაღალ პროდუქტიულობაზე [35]. ტყის მრავალი ჯიში გამოიყენება სამშენებლო მასალად (მუხა, წიფელი, მურყანი, წაბლი, ნაძვი), აეჯრის წარმოებაში და სხვ. ბევრი მცენარე წარმოადგენს ტექნიკურ, მღებავ, თაფლშემცველ, ეთერ-ზეთოვან, საკვებ ჯიშებს, საკმაოდაა გავრცელებული სამკურნალო მცენარეებიც. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ტყეებს დიდი ფართობი უჭირავს (ბუჩქნარებთან ერთად 505.86 ჰა) მათი ექსპლოატაცია ფრთხილად უნდა წარმოებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, რომლებიც დიდ ზიანს მიაყენებენ სახალხო მეურნეობას (ნიადაგის ეროზია, მეწყერები, წყალმოვარდნები და სხვ). მისასალმებელია ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ აფხაზეთის ბუნების და, პირველ რიგში, მცენარეული საფარის დაცვას. რაციონალური ექსპლოატაციის პირობებში აფხაზეთის ტყეები იძლევა და მოგვცემს მნიშვნელოვან პროდუქციას.

აფხაზეთის ტყის მეურნეობის ძირითად რაიონს წარმოადგენს მდ. ბზიფის და მდ. კოდორის ხეობები, საიდანაც წარმოებს დამზადებული მერქნის გადაზიდვა ზღვისპირა რაიონებში.

აფხაზეთის მცენარეული საფარი ძვირფას საკვებ ბაზას წარმოადგენს მეცხოველეობისათვის. საძოვრების საერთო ფართობი 106.780 ჰა შეადგენს, ანუ აფხაზეთის ტერიტორიის 12,4%. ეს მაჩვენებელი მთელი საქართველოს მაჩვენებელზე ერთნახევარჯერ მცირეა. საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალმთიან ქედებზეა (ბზიფის, აფხაზეთის, კოდორის და სხვ.) თავმოყრილი. მეტწილად დაბლობ გალის რაიონში საძოვრების ხვედრითი წონა 7.7% შეადგენს, უფრო მეტად მთიან გუდაუთის რაიონში კი ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტია. შედარებით მდარე ხარისხისაა კირქვიანი ზონის საძოვრები. წყლის ნაკლებობის გამო ისინი წყაროების მახლობლად ძალზედ გადატვირთულია, უწყლო რაიონებში კი მათი ექსპლოატაცია მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბით წარმოებს. საერთოდ, აფხაზეთის საძოვრები ჯერ მოლიანად როდია ათვისებული და, რაციონალური ძოვების პირობებში შესაძლებელია მეცხოველეობის სულადობის გარკვეული ზრდა. მათ შემდგომ გამოყენებას აფერხებს მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა და აგრეთვე ძოვების პერიოდის მოკლევადიანობა. არადამაკმაყოფილებლად დგას აფხაზეთში ზამთრის საკვების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კულტურულ მცენარეულობას უჭირავს, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. აღსანიშნავია სახნავ-სათესი ფართობების მცირე ხვედრითი წილი (სულ 5,6%), შედარებით რესპუბლიკის მაჩვენებლებთან (15,6%), რაც მოვაკეცული ადგილების სიმცირითაა გამოწვეული. სამეგიეროდ, სუბტროპიკული მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ განსაზღვრა მრავალწლიანი ნარგავების უფრო დიდი ხვედრითი წონა (4,6%), ვიდრე მთლიანად საქართველოში. აფხაზეთის კულტურულ მცენარეულობაში სულ უფრო შესამჩნევი ელემენტი ხდება სუბტროპიკული კულტურები, ხეხილი, ვაზი, ევკალიპტი, პალმები და ამ რაიონისათვის სხვა, მეტწილად ახალი მცენარეები.

ცხოველები

აფხაზეთის ცხოველთა სამყარო შედარებით შემონახულია, განსაკუთრებით ტყიანი ზონის ფარგლებში. მტაცებლებიდან აქ წარმოდგენილია კავკასიური მურა დათვი, კავკასიის მგელი, ტურა, მთის მელა, კავკასიური გარეული კატა, ფოცხვერი, კვერნა. მღრღნელებიდან გვხვდება კავკასიური ციყვი, ძილგუდა, ტყის თაგვი. მათ დიდი ზარალი მოაქვთ სოფლის მეურნეობისათვის. მრავალრიცხოვანია აფხაზეთის ტყის ზონის ფრინველთა მოსახლეობა, რომელთა შორის საჭიროა აღინიშნოს კავკასიური მოლაღური, კავკასიური სტვენია, ნიბლია, ანუ სკვინჩა და მრავალი სხვა. არსებითი სარეწაო მნიშვნელობა მათ არ გააჩნიათ.

ალპური ზონისათვის ტიპიურია სევერცოვის ჯიხვი, რომელსაც გარკვეული სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ჩლიქოსნებიდან დამახასიათებელია კავკასიური არჩვი. ფრინველთა შორის აღსანიშნავია კავკასიური შურთხი, კავკასიური კაკაბი, კავკასიური როჭო, სამეფო მთიელა, რქოსანი ტოროლა და სხვ.

მთელი აფხაზეთის ენტომოფაუნა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გავრცელებულია რამდენიმე ათეული სახეობის მავნე მწერი, განსაკუთრებით დაბლობ ნაწილში. ისინი მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ეს გარემოება მოითხოვს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ გაშლას.

მდინარეებში გავრცელებულია მდინარის კალმახი, კოლხური ხრამული, ლოქო, ქარიყლაპია, გამბუზია, რაიმე სარეწაო მნიშვნელობა მთა არ აქვთ. მთის ტბებში (რიწა, ამტყელი) გვხვდება კალმახი, ხოლო ბებესირის და სხვა დაბლობის ტბებში კაპარჭინა, ქარიყლაპია, მდინარის ქორჭილა. საკურორტო დაწესებულებების მომარაგებისათვის შექმნილია სპეციალური კალმახსაშენი მეურნეობა მდ. შავწყალზე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტური ზონები

სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდების გამო აფხაზეთის ტერიტორიაზე მკაფიოდაა გამოხატული რამდენიმე ვერტიკალური ლანდშაფტური ზონა. მათი მთლიანი დახასიათების ცდა მოცემული აქვთ კ. მგელაძეს [29] და თ. სიხარულიძეს [34]. განსაკუთრებული ღვაწლი აფხაზეთის ცალკეული ნაწილების ლანდშაფტური შესწავლის საქმეში მიუძღვის ქ. ყავრიშვილს [17, 18, 27]. უკანასკნელად აფხაზეთის ლანდშაფტური დარაიონება მოცემული აქვს დ. უკლებას [11], რომელიც გამოყოფს ორ ძირითად ოლქს: 1. კოლხეთის დაბლობისა და წინამთების ოლქს და 2. დასავლეთ კავკასიონის ოლქს. შემდგომი დარაიონების

პროცესში ავტორი აღნიშნულ ოლქებს ჰყოფს 8 რაიონად და 11 ქვერაიონად. მის მიერ გამოყოფილი ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტური რაიონები შემდეგია: 1. სამურზაყანოს რაიონი, 2. კელასურ-ფსოუს რაიონი, 3. ოხაჩქუეს კირქვიან-კარსტული ლანდშაფტის რაიონი, 4. აფხაზეთის და კოდორის ქედების რაიონი, 5. მდ. კოდორის ზემო წელის აუზის რაიონი, 6. ბზიფის მასივის რაიონი, 7. ბავიუ-გეგას რაიონი, 8. გაგრის მასივის რაიონი.

სამეურნეო თვისების ხარისხის გათვალისწინებით ჩვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვყოფთ შემდეგ ვერტიკალურ გეოგრაფიულ-ლანდშაფტურ ზონებს: 1. მკაფიოდ გამოხატული კულტურული ლანდშაფტის ზონა 0-დან 250—300 მ-მდე ზ. დ. ბუნებრივი მცენარეულობიდან აქ არის წარმოდგენილი ნოტიო-სუბტროპიკული ტყეები. ბევრია ადამიანის მიერ შემოტანილი ახალი ფორმები. აგროფიტოცენოზებიდან აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წამყვანია სუბტროპიკული კულტურების და სიმინდის აგროფიტოცენოზები, ჩრდილო-დასავლეთით აგროფიტოცენოზებში დომინირობს სიმინდის და თამბაქოს კულტურები. კულტურული ლანდშაფტების მნიშვნელოვან ელემენტს ქალაქებისა და ზღვისპირა კურორტების ლანდშაფტები წარმოადგენენ. სასოფლო დასახლებული პუნქტების ხშირი ქსელი და სატრანსპორტო კომუნიკაციები ავსებენ ამ ზონის კულტურული ლანდშაფტის სურათს.

250—300 მ-დან 900—1000 მ-მდე წარმოდგენილია წინამთიანი და საშუალომთიანი ტყეების (მეტწილად წიფლის) ლანდშაფტი, სადაც კულტურული ლანდშაფტები მდინარეთა ხეობების გასწვრივ ჯაჭვისებური „ოაზისებით“, არის წარმოდგენილი. რბილი და ნოტიო კლიმატი იძლევა სოფლის მეურნეობის რიგი დარგების განვითარების შესაძლებლობას. კულტურული ფიტოცენოზებშემქმნელია მარცვლეული და კარტოფილის კულტურები. მოსახლეობის მცირე სიმჭიდროვის გამო დასახლებული პუნქტები ამ ზონის კულტურული ლანდშაფტის ნაკლებად შესამჩნევ ელემენტს წარმოადგენს.

900—1000 მ-დან 2200 მ-მდე წარმოდგენილია საშუალო და მაღალმთიანი ტყეების და სუბალპური მცენარეულობის ზონა, სადაც ანტროპოგენული ელემენტი ძალზედ სუსტადაა განვითარებული. გვხვდება მხოლოდ უმნიშვნელო კულტურული ფიტოცენოზები.

2200—2300 მ-დან 2800—3000 მ-მდე ეროვლდება ალპური მცენარეულობის ზონა ცივი და ნოტიო კლიმატით. ეს ზონა წარმოადგენს აფხაზეთის ალპური მესაქონლეობის ბუნებრივ საწარმოო ბაზას. მუდმივი მოსახლეობა აქ სრულებით არ არის.

2800—3000 მეტრის ზევით არის სუბნივალური და ნივალური ზონა, რომელშიც გაბატონებულია მუდმივი თოვლის, ყინვარებისა და კლდოვანი თხემების ლანდშაფტი. პირდაპირი საწარმოო მნიშვნელობა ამ ზონას არ გააჩნია.

აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების შემდგომი ათვისების პერსპექტივები

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა აფხაზეთის ბუნებრივი რესურსები ჯერ არასაკმარისადაა ათვისებული. სახელდობრ კარგ პერსპექტივები არსებობს სამთომომპოვებითი მრეწველობის განვითარებისათვის. პირველ რიგში ეს ბარიტის მოპოვებას ეხება. ამჟამად უკვე დაგეგმილია პიცაკვარას საბადოს თვისება ამ საბადოს გაცილებით სჭარბობს თავისი მარაგით ძაგა-აპშრის სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადო, რომელიც მიუხედავად არახელსაყრელი სატრანსპორტო პირობებისა სერიოზული ყურადღების ღირსია.

რეალური შესაძლებლობა ისახება ცივწყალას კირქვის საბადოს ექსპლოატაციაში გადასაცემად. თავისი მარაგით და ხარისხით იგი კასპის საბადოს არ ჩამოუვარდება, რაც საშუალებას იძლევა მის ბაზაზე ავაგოთ მძლავრი ცემენტის ქარხანა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ცემენტზე მოთხოვნილება მშენებლობის ფართო გაშლასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზრდება. არარაციონალურია ცემენტის შემოზიდვა აღმ. საქართველოდან, კავკასიის შავი ზღვისპირეთში კი ცემენტის ქარხნები მხოლოდ ქ. ნოვოროსიისკის რაიონში არსებობენ. ხსენებული ქარხანა მოამარაგებდა ცემენტით დასავლეთ საქართველოს და სოჭის საკურორტო რაიონს. მისი პროდუქცია შესაძლოა საექსპორტო მიზნებისათვისაც იქნეს გამოყენებული. მის ასაგებად კარგი სამშენებლო ფართობები შეიძლება გამოიძებნოს სოფ. განთიადთან. დასასრულს უნდა აღინიშნოს საბადოს სიახლოვე რკინისგზის ხაზთან და შარაგზასთან.

გარდა საცემენტე ნედლეულისა, საკვლევი რაიონის ფარგლებში სხვა საშენებლო მასალების საბადოებიც მოიპოვებ, რომლებიც დამუშავებას ელოდებიან (მაგალითად ოქუმის თაბაშირის საბადო). კარგი პერსპექტივები გაჩნია გალის ცარცის საბადოსაც, რომლის დამუშავება სავსებით შესაძლებელია. მარაგის და ხარისხის მიხედვით ეს საბადო შეიძლება შევადაროთ საბჭოთა კავშირის ცარცის საუკეთესო საბადოებს.

აფხაზეთს თავის კლიმატურ-ნიადაგობრივი მაჩვენებლებით კარგი წინაპირობები გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო განვითარებისათვის. ამასთან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართობების ზრდა ერთგვარად ლიმიტირებულია მიწის შესაფერი სავარგულების სიმცირით. ამავე დროს დაბლობ ზონაში დღესდღეობით ათასობით ჰა უშრავს ჭაობებს, რომელთა ათვისება და გადაქცევა სასოფლო-სამეურნეო ფართობებად სავსებით შესაძლებელია. სოფლის მეურნეობის ინტენსიურ დარგთა განვითარების სავსებით რეალურ რეზერვს წარმოადგენს გალისა და ოჩამჩირეს რაიონებში ბუჩქნარით დაკავებული საკმაოდ დიდი ფართობები, რომლებიც აგრეთვე პერსპექტიულ პერიოდში სათანადო მელიორაციულ სამუშაოთა გატარების შედეგად მეურნეობრივად ათვისებული უნდა იქნას. ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები გააჩნია გალისა და ოჩამჩირის რაიონებს, ნაწილობრივ, სოხუმის რაიონს. ამ კულტურისათვის ნაკლებად გამოსადეგია გუდაუთის და მით უმეტეს გაგრის რაიონები, რომლებსაც სამაგიეროდ, ბუნებრივი პირობების მიხედვით, ფართო შესაძლებლობა აქვთ მეთამბაქოეობაზე სპეციალიზაციისათვის. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გუდაუთის მიკრორაიონში განსაკუთრებულად კარგ შედეგებს იძლევა მევენახეობა და ამის გამო საჭიროა ამ დარგის განვითარებას მეტი ყურადღება მიეცეს. აფხაზეთის ყველა რაიონში (600—800 მ სიმაღლემდე) შესაძლოა მნიშვნელოვნად განვითარდეს მეხილეობა. უფრო მაღალ ადგილებში (განსაკუთრებით, მდ. კოდორის ზემო წელში და ფსხუს ქვაბულში) მოსალოდნელია მეკარტოფილეობის და მეცხოველეობის განვითარება. აფხაზეთში ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორების შედეგად სოფლის მეურნეობის მოსალოდნელი შემდგომი აღმავლობა გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მძლავრად ზრდას და ამის შედეგად დაისმება საკითხი გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ზრდის შესახებ. ჩაის ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდასთან დაკავშირებული იქნება გალისა და ოჩამჩირის რაიონებში ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა. ხილისა და ბოსტნეული პროდუქციის მკვეთრ გადიდებასთან დაკავშირებით აუცილებელი იქნება აფხაზეთში ახალი საკონსერვო ქარხნის მშენებლობა. მეფენახეობის განვითარებასთან ერთად უნდა შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები ღვინის პირველად გადამუშავების ქარხნებში.

აფხაზეთის ბუნების დახასიათებისა და დადებით მხარეთა შეფასების დროს არ შეიძლება დავივიწყოთ მატერიალური წარმოებისათვის მეორეხარისხოვანი, მაგრამ ამავე დროს ავტონომიური რესპუბლიკის საერთო განვითარებისათვის ფრიადმნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა, ბუნების სილამაზე. აფხაზეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და საერთო ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა, აქ შექმნეს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნიკალური ლანდშაფტური მრავალსახეობა, ბუნების ფერთა განუმეორებელი სილამაზე, რომლის მიმზიდველობა მუდამ გარკვეულ როლს ითამაშებს საქართველოს ამ მადლიერი მხარის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

Э. Д. КОБАХИДЗЕ

ПРИРОДНЫЕ УСЛОВИЯ И РЕСУРСЫ АБХАЗИИ

Резюме

Абхазская АССР расположена на крайнем северо-западе Грузинской ССР, между Главным Кавказским хребтом и Черным морем. Через ее территорию проходят транспортные коммуникации всесоюзного значения.

Северная граница Абхазии следует вдоль Главного Кавказского хребта, который в этом районе достигает высоты 3300—4000 м над ур. м. Параллельно ему расположен Абхазский хребет, со средними высотами порядка 2500 н. ур. м. Крупнейшими боковыми ответвлениями Главного Кавказского Хребта являются Гагрский, Бзыбский и Кодорский хребты; южнее находится предгорная зона, которая ближе к морю переходит в низменность. Для установления природных различий и хозяйственных черт территории Абхазии нами выделено шесть высотных зон: 0—200 м, 200 — 500 м, 500 — 1000 м, 1000 — 2000 м, 2000 — 2800 м, 2800 м и выше. Для каждой из них характерна своеобразная хозяйственная специализация.

В Абхазии представлены месторождения разнообразных полезных ископаемых, из которых в эксплоатации находится Ткварчельское каменноугольное месторождение. Его запасы исчисляются в несколько десятков миллионов тонн, а ежегодная добыча за последнее время составляет 1,3 — 1,4 млн. тонн. Среди месторождений других полезных ископаемых, имеющих промышленные запасы, следует отметить барит, мел, доломиты, известняки, гипс, строительные камни.

Абхазская АССР расположена на северной границе субтропической зоны Грузии. Продолжительность солнечного сияния в приморской полосе составляет ок. 2100 часов в год. Среднегодовая температура достигает в низменной зоне 13—15°, уменьшаясь в среднегорной полосе до 9—10°, а в высокогорной до 5—6° и ниже. Сумма среднегодовых осадков превышает 1300—1400 мм, увеличиваясь в горах до 2000—2200 мм. Резко выделяется ряд вертикальных климатических

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონ, с которыми связаны различные типы сельскохозяйственного производства.

Влажный климат и сложный рельеф обусловили развитие в основном густой гидрографической сети в пределах исследуемой территории. Крупнейшими реками Абхазии являются Бзыбь, Кодори, Гумиста, Галидзга и др. Несмотря на очень значительные запасы гидроэнергии, степень использования их совершенно недостаточна. В Абхазии представлены озера различного генезиса и размеров (Рица, Амткели, Инкити и др.), которые благодаря исключительной живописности привлекают многочисленных туристов. В верховьях бассейнов Бзыби и, особенно, Кодори широко распространены ледники. В низменной полосе до сих пор сохранились болота.

Черное море у берегов Абхазии широко использовано для судоходства, рыбного хозяйства и в курортных целях.

Почвенный покров Абхазии чрезвычайно разнообразен. Здесь представлены субтропические подзолы, красноземы и желтоземы в низменном и предгорном поясе, оподзоленные бурые горно-лесные почвы в лесной зоне и горнолуговые в субальпийской и альпийской зоне. Субтропические подзолы, красноземы и желтоземы широко используются для возделывания субтропических культур.

Растительный покров Абхазии содержит 1800 видов растений, из которых много эндемичных. 58,5% всей территории (506 тыс. га), занято лесами и кустарниками, причем лесистость возрастает с северо-запада на юго-восток. Леса имеют водоохранное, почвозащитное и курортное значение. Эксплоатационные же их возможности довольно ограничены. Большую хозяйственную ценность представляют травянистая растительность субальпийского и альпийского пояса, общей площадью свыше 100 т. га, которая используется в качестве высокогорных летних пастбищ.

Животный мир Абхазии сравнительно хорошо сохранился, особенно в пределах лесной зоны. Широко представлены многочисленные виды птиц, хищных, рыб, насекомых (в т. ч. вредных).

На территории Абхазской АССР нами выделены следующие ландшафтные зоны. 1. Зона резко выраженного культурного ландшафта низменности до высоты 200—250 м. н. ур. м. на месте уничтоженных влажно-субтропических лесов. 2. Зона предгорных и среднегорных лесов, где культурные ландшафты представлены почти целиком вдоль речных долин (от 200—250 до 900—1000 м. н. у. м.). 3. Зона средне и высокогорных лесов и субальпийских лугов от 900—1000 до 2200 — 2300 м.н. ур. м. Культурные ландшафты здесь встречаются в виде редких «оазисов». 4. Зона альпийской растительности, представляющая летнюю кормовую базу животноводства Абхазии и 5. Субнивальная и нивальная зона, лишь косвенным образом используемая в хозяйстве.

Природные ресурсы Абхазии дают возможность дальнейшего развития ее народного хозяйства. Возможна добыча барита, цементного сырья, строительных камней, гипса, доломита, а также освоение под сельскохозяйственные угодья многих тысяч га заболоченных земель и кустарников.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ვლადიმიროვი ლ., საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
2. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბ., 1935
3. კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957.
4. კიკილაშვილი თ., საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
5. კიკილაშვილი თ., საქართველოს ყინულარები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
6. კორძახია მ. და ჯავახიშვილი შ., აფხაზეთის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, თბ., 1959.
7. მარუაშვილი ლ., კოდორის აუზის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, თბ., 1959.
8. ნემანიშვილი ს., ბზიფის ქედის სამხრეთი ფერდობის და მიმდებარე შავი ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, თბ., 1952.
9. ნუცუბიძე თ., საქართველოს ტბები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
10. ნუცუბიძე თ., ჭაობები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.
11. უკლება დ., აფხაზეთის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება, ხელნაწერი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები.
12. ჯავახიშვილი ა., საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, თბ., 1925.
13. ჯავახიშვილი ა., გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის საკითხისათვის ეკონომიურ გეოგრაფიაში, თბ., სახ. უნ-ის შრ-ბი, ტ. 72, 1960.
14. ჩანგაშვილი გ., ბზიფის აუზის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, თბ., 1959.
15. ყიფიანი შ. და დონდუა გ., აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, თბ., 1957.
16. ყავრიშვილი ბ., შავი ზღვა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. 1, თბ., 1933.
17. ყავრიშვილი ვ., აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარის რელიეფის და ლანდშაფტური ტიპების დადგენისათვის, სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 46, 1952.
18. ყავრიშვილი ვ., ბზიფის და აფხაზეთის მაღალმთიანი ქედების ლანდშაფტური დახასიათებისათვის, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 50, 1953.
19. Астахов Н. Е., Геоморфологический очерк Юго-Восточной Абхазии, Рукопись, Фонды Института географии им. Вахушти.
20. Водяницкий В. А., Изучение продуктивности и промысловых ресурсов Черного моря, «Природа», № 11, 1955.
21. Гроссгейм А. А., Растительный покров Кавказа, М., 1948.
22. Гроссгейм А. А., Растительные богатства Кавказа, М. 1952.
23. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР. Типы рельефа и районы их распространения, М.-Л., 1947.
24. Захаров С. А., Предварительный отчет о почвенных исследованиях в Абхазии, Тр. Абх. Краеведческого об-ва, Сухуми, 1927.
25. Он-же. Почвенно-географический очерк Абхазии, Тр. Абх. научного об-ва, вып. 2, Сухуми, 1931.
26. Зенкович В. П., Берега Черного и Азовского морей, М., 1958.
27. Кавришвили К. В., К физико-географической характеристике Гагрского района, Тр. Тбилисского Гос. Университета, т. 58, 1956.

28. Лашхия Ш. В., Опыт физико-географического районирования Черноморского побережья Абхазской АССР, Тр. Сухумского пед. института им. А. М. Горького, т. X—XI, Сух. 1958.
29. Мгеладзе К. Г., Опыт физико-географического районирования Абхазской АССР, Третье всесоюзное совещание по ландшафтоведению в Тбилиси, Тезисы докладов, Тб., 1958.
30. Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, Металлические полезные ископаемые, М., 1958.
31. Природные ресурсы Грузинской ССР, т. 2, Неметаллические полезные ископаемые, М., 1959.
32. Сабашвили М. Н., Почвы влажной субтропической зоны ССР Грузии, Тб., 1936.
33. Он-же. Почвы Грузии, Тб., 1948.
34. Сихарулидзе Т. А., Ландшафтные зоны Абхазской АССР, Третье Всесоюзное совещание по ланфшафтоведению в Тбилиси, Тезисы докладов, Тб., 1958.
35. Соколов С. Я., Лесные богатства Абхазии, Советские субтропики, № 5, 1935.
36. Сохадзе Е. В., Растительный покров Абхазии, Фонды Ин-та географии, им. Вахушти, Тб., 1959.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია.—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XVI, 1964
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. ბ ნ ი ა ძ ე

აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი

შრომა მიზნად ისახავს მოკლედ გააშუქოს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული განვითარების ის ძირითადი პროცესები, რომლებმაც გავლენა იქონიეს თანამედროვე აფხაზეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული სახის ჩამოყალიბებაზე. რადგან აფხაზეთი უძველესი დროიდან საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ყველა ეს პროცესები განხილულია მათ მჭიდრო კავშირში საქართველოს საერთო ისტორიასთან. ამასთანავე ნარკვევში უყრადღება გამახვილებულია საკვლევი ტერიტორიის ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებში. მოხსენიებული ამოკანებისა და აფხაზეთის წარსულის შესწავლილობის თანამედროვე დონის შესაბამისადაა დაცული შეთანაწყობა ნაშრომის ცალეულ ნაწილებს შორის, რამდენადაც ავტორს მიზნად არ დუსახავს აფხაზეთის ისტორიის კვლევა-ძიებაში აოსებული ხარვეზების შევსება ან სადავო საკითხების გადაჭრა. შრომის დაწერისას გამოყენებულია მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული ლიტერატურა და წყაროები და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული განყოფილების 1959 წლის აფხაზეთის ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალა.

აფხაზეთში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის უძველესი სადგომები ქვედა პალეოლითს მიეკუთვნება [2]. თავდაპირველად ადამიანები ზღვის სანაპიროსთან სახლობდნენ, რადგან პალეოლითის ადრეულ საფეხურებზე შავი ზღვის დონე დღევანდელზე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ამ ეპოქის დროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთებიც მხოლოდ ზედა ტერასებზეა მოკვლეული [2]. ზღვის დონის დაწევა და ხმელეთის აღზევება აფართოვებდა ადამიანთა დასახლების ზონას, რომელიც საკვლევ ტერიტორიაზე არასოდეს არ გამქრალა.

III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაწყებული ბრინჯაოს ხანა აფხაზეთში ძირითადად დოლმენური კულტურის სახით გამოვლინდა. ეშერის, აჭანდარას, აზანთასა და ოთხარის დოლმენების შიგთავსები წარმოგვიდგენენ სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის თანდათანობით სრულყოფის პროცესს საკვლევ ტერიტორიაზე [1].

ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში ბრინჯაოს ნაცვლად რკინის გავრცელებამ [1] ახალი ბიძგი მისცა საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და სხვა პირობებთან ერთად ხელი შეუწყო ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხეთის სამეფოს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცენებას [3]. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ადრემონთმფლობელური სახელმწიფოს შექმნამ კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთს საკვლევ ტერიტორიაზე და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში მობინადრე ტომები, ხოლო ძვ. წ. III საუკუნიდან იბერიის მეფეების ხელისუფლების გავრცელებამ კოლხეთის სამეფოზე [3] აფხაზეთის მკვიდრნი პოლიტიკურად დაუკავშირა ცენტრალურ ამიერკავკასიის ქართულ რაიონებსაც. კოლხეთის სამეფოს ფარგლებში ძვ. წ. V—IV სს. ბერძნული ახალშენების—დიოსკურიის (ახლანდელ სოხუმთან) და პატიუნტის (ახლანდელ ბიჭვინთასთან) გაჩენას [3] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან ადგილობრივი მოსახლეობის საკავშირო და კულტურულ ურთიერთობათა დამყარების საქმეში.

როდესაც ძვ. წ. II საუკუნეში შინაგანი კრიზისისა და არახელსაყრელი საგარეო პირობების შედეგად კოლხეთის სამეფომ შესწყვიტა არსებობა, საკვლევ ტერიტორიას ჯერ პონტო და შემდეგ რომი დაეუფლა [3] პომპეუსის ლაშქრობის დროს, დანგრეულ და ზღვის ძლიერი ტრანსგრესიით წალეკილი დიოსკურიის სანაცვლოდ, რომაელებმა მძლავრი ციხე-სიმაგრე სევასტოპოლისი ააგეს. სევასტოპოლისსა და ბიჭვინთაში რომაული გარნიზონები ჩადგნენ [48]. რომის იმპერატორებმა დაიქვემდებარეს კოლხეთის ნაგრეგვებზე შექმნილი ლაზების, აფსილებისა და აბაზგების ტომური კავშირები [21].

დასავლეთ საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესის დაწყების შედეგად IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საგრძნობ სამეურნეო-პოლიტიკურ წარმატებას მიაღწიეს ლაზებმა, რომელთა ბასილევსების ხელისუფლება საკვლევ ტერიტორიაზეც გავრცელდა [21]. თანამედროვე აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე საყთარივ ლაზიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მისიმიელეთი ეწოდებოდა ცენტრალურ უბანს—აფსილეთი, ხოლო დასავლეთ ნაწილს—აბაზგეთი [24]. ჯერჯერობით არაა ზუსტად ლოკალიზებული ლაზიკის, მისიმიელეთის, აფსილეთის და აბაზგეთის გამყოფი საზღვრები და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ამ პროვინციების ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა.

V საუკუნის მიწურულისათვის ძლიერი ვასალის შესუსტების მიზნით, ბიზანტიამ აბაზგეთი ლაზიკას ჩამოაშორა და თავის უშუალო კონტროლს დაუმორჩილა. VI საუკუნის პირველ მესამედში დასავლეთ საქართველოში ფეოდალიზმის განმტკიცებამ და კეისრების დაყინებითმა მოთხოვნებმა ხელი შეუწყვეს საკვლევ ტერიტორიაზე ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას [24].

ბიზანტია-სპარსეთის მეორე ომის დროს აბაზგეთს, მისიმიელეთსა და აფსილეთს საგრძნობი ზიანი მიაყენა სამხედრო ოპერაციების. ორგზის მათ მიწა-წყალზე გადატანამ და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწყობილ ანტიბიზანტიური აჯანყებების სასტიკმა ჩახშობამ [24].

გაითვალისწინა რა გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული საკვლევი ტერიტორიის უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, იუსტინიანე კეისარმა აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში კელასურის კიდლის მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა ააშენებინა და განაახლებინა სევასტოპოლისისა და ბიჭვინთის ციხე-სიმაგრეები. ამ ნაგებობებში ბიზანტიელთა სამხედრო შენაერთების მოთავსებამ და სპარსელების მიერ 562 წელს დასავლეთ საქართველოზე აღმოსავლეთ რომის იმპერიის უზენაესობის აღიარებამ უზრუნველჰყვეს ბიზანტიის ბატონობა საკვლევ ტერიტორიაზე VII საუკუნის მიწურულამდე [24].

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII საუკუნის დამდეგს ლიხთ იმერეთში გადმოსულმა არაბებმა კოდორის ხეობის სიმაგრეები დაიკავეს და თავიანთი ხელისუფლება საკვლევ ტერიტორიაზეც გავრცელეს. ვერც ბიზანტიელებისაგან წაქეზებულ ჩრდილო-კავკასიელ ნომადების შემოსევებმა და ვერც სარკინოსების დამსჯელმა ექსპედიციებმა [24] ვერ შეაფერხეს აბაზგეთის განმგებლების გაძლიერება. VIII საუკუნის შუალედში არაბების დასავლეთ საქართველოდან განდევნის შემდეგ, აბაზგეთის ერისთავების შემომტკიცების მიზნით, კეისრებმა ისინი მთავრებად გამოაცხადეს და მათი სამფლობელოები კელასურის კედლამდე და ნიკოფსიამდე[1] გაფართოვეს [14, 24]. ამიერიდან გეოგრაფიული ტერმინი აფხაზეთი აღნიშნავდა არა მხოლოდ საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილს (ბერძნულად აბაზგეთს) არამედ გაცილებით უფრო დიდ ფართობს—ნიკოფსიიდან კელასურის კედლამდე [24.].

VIII საუკუნის მიწურულში, აფხაზეთის მთავრის ლეონ II-ს თაოსნობით, დასავლეთ საქართველოს ბიზანტიისაგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ საკუთარმა სახელმა „აფხაზეთმა“ კიდევ ორი ახალი მნიშვნელობა მიიღო. ლიხთიმერეთის სამეფოს დამაარსებლის თავდაპირველი სამფლობელოს სახელწოდების შესაბამისად აფხაზეთი ეწოდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს [24] და ამავე დროს აფხაზეთი დაერქვა აფხაზეთის სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საერისთაოს, მოქცეულს დაახლოებით ნიკოფსიასა და გაგრას შორის [15, 24].

აფხაზეთის სამეფოში შემავალ საქართველოს შავი ზღვისპირა მხარის და მაღალმთიანი კავკასიონის სხვა კუთხეების მსგავსად ლეონ II-ს მიერ საკვლევ ტერიტორიაზე შექმნილ ცხუმის და ბედიის საერისთაოებშიც გზას იკაფავდა ქართული ენა, რომელიც სახელმწიფო და საეკლესიო სფეროებიდან დევნიდა ბერძნულს. ქართული ენისა და დამწერლობის გავრცელება საკვლევ რაიონში განაპირობა აფხაზეთის სამეფოს წარმომობით ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო პოლიტიკის საბოლოო გამარჯვებამ დასავლეთ საქართველოში [10].

X საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, საქართველოსაც მოლიანად ხშირად აფხაზეთად მოიხსენიებდნენ [24], რადგან ქართველი მეფეების ტიტულში, მათი სამბრძანებლო ქვეყნების დასახელება აფხაზეთიდან, ე. ი. ლიხთიმერეთიდან იწყებოდა.

საკვლევი ტერიტორიის მოსახლეობის წინაალმდეგობამ არ მისცა საშუალება ბიზანტიას XI საუკუნეში საქართველოდან მოგალიჯა ძლიერი ციხე-სიმაგრე, აფხაზეთის ერისთავ-მთავრების ყოფილი რეზიდენცია—ანაკოფია და მომდებარე რაიონი [24].

ცნობილია, რომ 1121 წელს დავით აღმაშენებელი „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“. მიღებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაამყარეს წესრიგი და მშვიდობა საკვლევ ტერიტორიაზე [14].

ბედიის საერისთაო დაარსებიდანვე ცხენის-წყლამდე ვრცელდებოდა, XII საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები გაერთიანდნენ [24] და ახლად შექმნილ გამსხვილებულ მენაპირე ცხუმის (აფხაზე-

[1] ნიკოფსია მდებარეობდა თანამედროვე ტუაფსედან ჩრდილო-დასავლეთისაკენ ოცი კილომეტრის დაშორებით, მდინარე ნეჩეფსეხუს შესართავთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თის) საერისთავოს დასავლეთმა საზღვარმა ნიკოფსიას მიაღწია. თუმცა თამარ მეფის დროს საბედიანოსა და ცხუმის საერისთავოების ფართობი დიდად სცილდებოდა საკვლევი რაიონის ფარგლებს, ორივე ამ ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი—ბედია და ცხუმი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ქალაქ ბედიას, ლეონტი მროველის ცნობით, თავდაპირველად ეგრისი რქმევია [18]. X—XI სს. მიჯნაზე აიგო ბედიის საყდარი. XI—XII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენამდე მოღწეული ბედიის ეპისკოპოსისა თუ ერისთავის ციხესასახლის ქვედა სართულები. ძირითადი ადგილსამყოფელის—ბედიის შესტყვისად, დადიანებსაც ბედიანებს უწოდებდნენ, ხოლო მათ განმგებლობაში მყოფ მხარეს—საბედიანოს [24].

ცხუმი (სოხუმი)—ანტიკური დიოსკურიისა და სევასტოპოლისის მონაცვლე, საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავსადგური შავ ზღვაზე — მდინარე ბესლეთის შესართავის მარცხნივ იყო გაშენებული [24]. ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის დროს მენაპირე საერისთავოს მთავარ ქალაქთან აიგო ბაგრატის ტაძარი და მდინარე ბესლეთზე აშენდა ქვითკირის ხიდი [41].

თამარის მეფობისას პირველად მოიხსენიება შარვაშიძეების საგვარეულო, რომელიც მომდევნო რვაასი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ფეოდალებს. შარვაშიძეები დაახლოებით ერთი საუკუნე ერისთავობდნენ ცხუმისა და აფხაზეთის გაერთიანებულ საერისთავოში. დაეთი რუსუდანის ძის მემკვიდრეებს შორის ამტყდარი ბრძოლის დროს კი მათ მოახერხეს მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოს მიტაცება; რადგან ცხუმის საერისთავოს დადიანები დეპატრონენ ([24].

საკვლევ ტერიტორიაზე მრავლად შემოინახა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობის დროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთები. როგორც წესი მათზე წარწერები ქართულ ენაზეა შესრულებული და მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება ბერძნული ეპიგრაფიკის ნიმუშები [24].

საკვლევ რაიონში ორი დიდი საერისთაოს მმართველობის სათავეების თავმოყრა მიუთითებს ფეოდალურ ურთიერთობათა და მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა საქართველოს ამ მხარის შემდგომ სოციალურ და ეკონომიურ წინსვლას. ზემოთქმული ძირითადად ეხება ზღვისპირეთსა და ბარს, რადგან მთიან მხარეებში ჯერ კიდევ წამყვანი ადგილი პირველყოფილ თემურ წყობას ეკავა.

დაბლობ და გორაკ-ბორცვიანი ზონის მოსახლეობა უმთავრესად მისდევდა მიწათმოქმედებას, მოჰყავდა მარცვლეული, ყურძენი, სელი, ბოსტნეული და ხილი. მთიანი ადგილების მცხოვრებთა ძირითად საქმიანობას შეადგენდა მეცხოველეობა, მონადირეობა და ტყის მეფუტკრეობა. საშინაო ვაჭრობა გამოიხატებოდა მთისა და ბარის მკვიდრთ მიერ შექმნილი პროდუქტების ურთიერთგაცვლაში. საკვლევი რაიონი საზღვაო ვაჭრობას ანხორციელებდა საქართველოს სხვა კუთხეებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთანაც [24].

გეოგრაფიულმა მდებარეობამ თუმცა გადაარჩინა ჩრდილო-დასავლეთის საერისთავოები სვარაზმელების, მონღოლთა და თემურ-ლენგის შემოსევებისაგან, მაგრამ ამავე დროს არაჰეიულებრივი ძალით გამოავლინა საკვლევ ტერიტორიაზე საქართველოს მიერ განცდილი სამხედრო კატასტროფების დამღუპველი შედეგები: ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, პარტიკულიარიზ-

მის გაძლიერება. ქართული ფეოდალიზმის საერთო დაქვეითება და საშინაო აშლილობა.

შექმნილი სიტუაციით ისარგებლა გენუამ და თანამედროვე აფხაზეთის სანაპიროზე XIV საუკუნის პირველი მეოთხედიდან გახსნილ თავის ფაქტორიებში ფუფუნების საგნების, ეარაღის, დასავლეთ ევროპის ხელოსანთა ნახელავისა და მარილის მიწათმოქმედების პროდუქტებზე, ბზაზე, თაფლზე, ცვილზე და ტყავეულზე გადაცვლასთან ერთად ადამიანებით სამარცხვინო ვაჭრობასაც მიჰყო ხელი [24].

XV საუკუნის შუა წლებისათვის დადიანებმა შიდაფეოდალური ბრძოლების გზით საქართველოს შავი ზღვისპირა მხარე დამოუკიდებელ სამეფოდ გადაქციეს. საკვლევი ტერიტორია თითქმის მთლიანად შევიდა მათ უშუალო განმგებლობაში მყოფ საბედიანოს ფარგლებში. ბედიანებსვე ემორჩილებოდნენ ბზიფსგადაღმა აფხაზეთში დამკვიდრებული შარვაშიძეები და რიონის სამხრეთით მდებარე გურიის ერისთავები—გურიელები [24].

მიუხედავად იმისა, რომ ბედიანების სახელმწიფომ მალე შეწყვიტა არსებობა და სამეგრელო, აფხაზეთი და გურია ნახევრადდამოუკიდებელ სამთავროების სტატუტით შევიდნენ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში, დადიანებმა გარკვეული ხნის განმავლობაში მაინც შეძლეს გურიელებისა და შარვაშიძეების მოკავშირულ-ვასალური ურთიერთობების შენარჩუნება [24].

ამ პერიოდის საბედიანოს აღწერისას ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: „იტალიელ დესპანთა სიტყვითაც და ქართული სიგელებითგანაც ჩანს, რომ... აფხაზეთ-სამეგრელოში ხალხი კულტურულად დაქვეითებული ყოფილა, სასოფლო მეურნეობაცა და მრეწველობა-აღებმიცემობაც იმდენად დაცემული, რომ ხალხი გაღარიბებული... ყოფილა, ცოდნაც ჰკლებია. ხოლო მეშაობის უნარი და შრომის ნაყოფიერება იმდენად მოდუნებული ჰქონია, რომ ამ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულსა და კეთილიანს კეთილზე მკვიდრთ არამც თუ უცხოეთში ცოტა რამის გატანა შეეძლოთ, თავიანთ თავის გამოკვება და რჩენაც კი უძნელდებოდათ თურმე“ [19].

თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების მომდევნო 1454 წელსვე ოსმალების ძლიერმა ფლოტმა დაარბია სოხუმი [24]. თურქეთის გავლენის ქვეშ მოქცეულმა ჯიქებმა დაიწყეს ზღვით აფხაზეთზე, სამეგრელოზე და გურიაზე თავდასხმები [4].

XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჯიქებმა, აფხაზ ფეოდალთა ერთი დასის ღალატის გამო, სასტიკად დაამარცხეს ქართველთა ლაშქარი [24] და, ისარგებლეს რა ოსმალთა აგრესიისა და შინაგანი განსეთქილების შედეგად დასავლეთ საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების მკვეთრი შემცირებით, შეუდგნენ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიის დაპყრობას.

XVI საუკუნის შუაგულიდან გურიელსა და დადიანს შორის ამტყდარმა ბრძოლამ საგრძნობლად შეასუსტა სამეგრელოს მთავარი [24] და იგი აფხაზ ფეოდალთა დახმარებისაგან დამოკიდებული გახდა, რამაც ჯიქებისაგან შევიწროებულ შარვაშიძეებს საშუალება მისცა დაუფლებოდნენ კოდორსა და ბზიფს შორის მდებარე მიწებს. ამ მხარის ხელში ჩაგდება მათ გაუადვილა დადიანებზე უფრო მეტმა სიახლოვემ და კავშირმა 70-იანი წლებიდან სოხუმში საბოლოოდ დამკვიდრებულ ოსმალებთან [41].

1615 წლისათვის შარვაშიძებმა ისარგებლეს, საოსმალო ხარჯის შემოღების დროს, სტამბოლთან სამეგრელოს და გურიის ხელისუფალთა კონფლიქტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავიანთი სამფლობელოები დადიანებისაგან დამოუკიდებელ სამთავროდ გადაქცეს [24]. რადგან 1578 წლიდან სოხუმის ციხეში იანიჩართა გარნიზონი იდგა, აფხაზეთის მთავრებმა ძირითად რეზიდენციად სოფელი ლიხნი აირჩეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით შარვაშიძეების ხელისუფლება კოდორამდე ვრცელდებოდა, ჩრდილო-დასავლეთით კი დიდად არ ცილდებოდა გაგრას.

1621—1657 წლები—სამეგრელოს სამთავროს არაჩვეულებრივი გაძლიერებისა და დასავლეთ საქართველოში პირველობის მოპოვების ხანა იყო. 20-იანი წლების მიწურულში უადრესად გამწვავდა ურთიერთობა ლევან დადიანსა და შარვაშიძეს შორის, მათ დაიწყეს ერთმანეთის სამფლობელოების, ე. ი. ამ ორ ხელისუფალს შორის გაყოფილი საკვლევი ტერიტორიის დარბევა. ბრძოლა ლევან დადიანის გამარჯვებით დამთავრდა და მან აიძულა შარვაშიძე კვლავ ეღიარებინა სამეგრელოს მთავრის უზენაესობა [24].

30-იან წლებში აფხაზეთ-სამეგრელოს სასაზღვრო ზონის ზღვისპირა უბანმა გარეშე მტრისაგანაც განიცადა აწიოკება. 1634 წელს ოსმალებმა კოდორის კონცხზე გადმოსხეს დესანტი და აიკლეს დრანდის მონასტერი, რომელსაც თურქეთზე თავდასხმების შემდეგ დონის კაზაკები მდიდარ საჩუქრებს სწირავდნენ [24].

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ, XVII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან სამეგრელოს სამთავროს საშინაო და საგარეო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ისარგებლეს შარვაშიძეებმა. მათ კვლავ აღადგინეს აფხაზეთის სამთავროს დამოუკიდებლობა და დაიწყეს სამეგრელოს მეზობელი კუთხეების დარბევა. 70-იანი წლებიდან სამეგრელოს სამთავროში საშინაო არეულობის შემდგომ გაღრმავებასთან ერთად გაუმჯობესდა და გაძლიერდა აფხაზი ფეოდალების თავდასხმებიც კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე [24].

1680 წელს თურქეთის აგრესიის შედეგად სამეგრელოს სამთავროში შექმნილმა კრიტიკულმა ვითარებამ საშუალება მისცა აფხაზეთის მესვეურთ 80-იანი წლების დასაწყისისათვის შეეცვალათ ტაქტიკა. თუ წინათ ისინი თავდასხმებით კმაყოფილდებოდნენ, 1682—1683 წლებში ერთ-ერთმა მათგანმა სარეკ შარვაშიძემ შეძლო სამეგრელოს ტერიტორიის დაპყრობა კოდორიდან ღალიძგამდე და შემდეგ ღალიძგიდან ენგურამდე [24].

შარვაშიძეები შეეცადნენ თავის სამფლობელოები ენგურის აღმოსავლეთითაც გაეფართოებინათ. მაგრამ თუ XVII საუკუნეში იმერეთის მეფეები თვის მთავარ მოწინააღმდეგეებად დადიანებს მიიჩნევდნენ და მხარს უჭერდნენ მათ წინააღმდეგ მიმართულ აფხაზი ფეოდალების წამოწყებებს, XVIII საუკუნის დამდეგისათვის იმერეთის მმართველების პოზიცია შეიცვალა. ისინი შეაშფოთა აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებამ. 1702 წელს იმერეთისა და სამეგრელოს გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა აფხაზები და შეაჩერა მათი წინსვლა [23]. სამაგიეროდ შარვაშიძეებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი კოდორიდან ენგურამდე დაკავებულ მხარეში და შეთხელებულ ქართველი მოსახლეობის გვერდით აფხაზები ჩამოასახლეს [11]. ამ დროიდან შარვაშიძეების სამთავროს მიერ დაკავებული ფართობი თითქმის დაემთხვა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას.

ვერც 1780 წელს შეძლეს ოსმალთაგან ზურგგამაგრებულმა შარვაშიძეებმა დადიანების სამფლობელოს ხელში ჩაგდება, რადგან იმერეთისა და სამეგრელოს მხედრობა კვლავ გადაეღობა მათ და სოფელ რუხთან სასტიკად დაამარცხა აფხაზებისა და ჯიქების გაერთიანებული ლაშქარი [23].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, დასავლეთ საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ოსმალოების ბატონობის დამყარების შედეგად ადგილი ჰქონდა აფხაზეთის სამთავროს „გადაადგილებას“ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ანალოგიური „გადაადგილება“ განიცადა სამეგრელოს სამთავრომაც. ოდიშის სამთავრომ დაჰკარგა რა დასავლეთი ნაწილი, აღმოსავლეთით შეერთია ლეჩხუმი. მაგრამ დადიანების ხელში ლეჩხუმის გადასვლას არ მოჰყოლია ქართული ტომების განსახლების საზღვრების შეცვლა, სარწმუნოებრივი გარდაქმნები, ან ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების მამულების მოსული თავადაზნაურობის ხელში გადასვლა, რასაც ადგილი ჰქონდა საკვლევ ტერიტორიაზე.

იბადება კითხვა, თუ რას წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო საქართველოს შავი ზღვისპირა მხარეში ოსმალოების ბატონობის პერიოდში.

ზოგიერთი თანამედროვის აზრით ამ დროს აფხაზეთი არც კი შედიოდა ქართულ ფეოდალურ სამყაროში [24]. ასეთი შეხედულების წარმოქმნა შეიძლება ავხსნათ რიგი მოსაზრებებით. შარვაშიძეების სამთავროში თურქეთის გავლენა დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით განუზომლად მეტი იყო. აფხაზეთში ქრისტიანობამ ოფიციალური სარწმუნოების მდგომარეობა დაკარგა. შარვაშიძეები ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ ქართულ სამეფო-სამთავროების ხელმძღვანელების ერთობლივ დიპლომატიურ და სამხედრო ღონისძიებებში. აფხაზები ჯიქებთან ეთნიურად ახლოს იდგნენ [24, 29] და უმეტესად მათთან უკეთესი ურთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე თავიანთ სამხრეთელ მეზობლებთან. შარვაშიძეები დაუფარავად მისდევდნენ ოსმალეთთან ადამიანებით ვაჭრობას [23], რასაც მართმდიდებლობა და საერო ქართული კანონმდებლობა ოფიციალურად კრძალავდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გვიანფეოდალურ ხანაში აფხაზეთი პოლიტიკურად დანაწევრებულ საქართველოს შემადგენლობაში მაინც რჩებოდა.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მენაპირე პროვინციები თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ოსმალეთის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდნენ, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა აფხაზებს ეწარმოებინათ შეუნელებელი ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1725 და 1728 წლების ანტიოსურქულმა აჯანყებებმა და მაღალი პორტას მიერ 1733 წელს გაგზავნილმა სამხედრო ექსპედიციის მარცხმა [23] არ მისცა დამპყრობელებს საშუალება მტკიცედ მოეკიდნათ ფეხი საკვლევ ტერიტორიაზე.

მართალია, ოსმალებმა შეძლეს აფხაზეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის მდგომარეობიდან განდევნა, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს მხარის გამაჰმადიანება. მოსახლეობა ფარულად კვლავ ქრისტიანობას მისდევდა, ამავე დროს ხდებოდა ძველი წარმართობის სწრაფი აღორძინება. ისლამი შედარებით იოლად ვრცელდებოდა მხოლოდ ფეოდალთა წრეებში, არაპრივილეგირებულ კლასებში კი იგი დიდი სიძნელით ეკაფავდა გზას [24, 23], ფაქტიურად აფხაზების სარწმუნოებრივი შეხედულებანი ქრისტიანობის, წარმართობისა და მაჰმადიანობის ნარევს წარმოადგენდა.

თუმცა შარვაშიძეები ხშირად არიდებდნენ თავს ქართულ სამეფო-სამთავროების მმართველ წრეებთან ერთობლივ მოქმედებას, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავდა მათ მონაწილეობას საქართველოსათვის ზოგიერთ უაღრესად მნიშვნელოვან აქციაში (მაგ., 1757 წელს. ხრესილის ომის დროს) [23].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის სამთავრო უმეტესად ებრძოდა სამეგრელოს, მაგრამ შიდაფეოდალური ომები ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმდროინდელ დასავლეთ საქართველოსათვის, ისევე როგორც სამწუხაროდ იშვიათად როდი ეპატიჟებოდნენ მოქიშპე დასები ერთმანეთის წინააღმდეგ ოსმალებს, ლეკებს, ჩერქეზებს და სხვ.

აფხაზეთისა და ქართველების ხანგრძლივ კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობათა შედეგად აფხაზეთის საზოგადოებრივი წყობა ქართული ფეოდალიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა, რაზედაც მიუთითებდა აფხაზურ ენაში სოციალური ტერმინების ქართული წარმოშობაც [24]. უაღრესად საგულისხმოა, რომ აფხაზეთის სამთაროში სახელმწიფო და დაწერლობის ენად ბოლომდე ქართული რჩებოდა [20, 24].

ადამიანებით ვაჭრობა შარავაშიძეების შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა იყო, რომელიც უდიდეს სიძნელეს უქმნიდა მათ მოწინავე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებთან დაახლოებას, რადგანაც ქართველი მოღვაწეები სასტიკად ებრძოდნენ რეაქციონერი ფეოდალების მიერ ადგილობრივ მცხოვრებთა ოსმალოებზე გაყიდვას.

მართალია ამ საშინელმა სოციალურმა მოვლენამ, ისევე როგორ თურქეთის აგრესიის გაძლიერებამ, ქართული ფეოდალიზმის დაქვეითებამ, საქართველოში მიმდინარე შიდაფეოდალურმა ომებმა და მათ შედეგად სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების „გადაადგილებამ“ შეასუსტეს საკვლევი ტერიტორიის ეკონომიური ცხოვრება, მაგრამ მეურნეობის ძირითადი ხასიათი უცვლელი დარჩა. ზღვისპირა მხარეში და მდინარეების ქვედა წელის ხეობებში ძირითადად მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მაღალმთიან მხარეებში კი მეცხოველეობას.

რადგან მოსახლეობის გამოკვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მარცვლეულ მეურნეობას ჰქონდა, მიწათმოქმედების ზონაში მთავარი ყურადღება მემინდვრეობას ექცეოდა. მარცვლეულთაგან აფხაზეთის სამთავროში ძირითადად ღომს და სიმინდს სთესდნენ. სიმინდის კულტურა აფხაზეთში შავი ზღვის გზით XVII საუკუნის დამდეგს შემოვიდა. თავდაპირველად მესიმინდეობა მეცხოველეობის დამხმარე დარგს წარმოადგენდა, რის გამოც სიმინდის ნათესები იშვიათი იყო. თანდათან დაიწყო სიმინდის გამოყენება ადამიანის საკვებათაც. სიმინდი შესანიშნავად შეეგუა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს. ეს მარცვლეული კულტურა ღომზე უფრო ამტანი, პროდუქტული, მოსავლიანი და ნაკლებ შრომატევადი აღმოჩნდა. ამიტომაც აფხაზეთის მარცვლეულ მეურნეობაში უკვე XVIII ს. მიწურულისათვის სიმინდი გაბატონდა, ღომს კი მეორხარისხოვანი მნიშვნელობაღა შერჩა. სხვა მარცვლეულთაგან აფხაზეთის ზოგიერთ კუთხეში მცირე რაოდენობით თესდნენ ხორბალს, ქერს და შვრიას.

მიწათმოქმედებაში ჩაბმულ მოსახლეობას მოჰყავდა ლობიო, ბოსტნეული და თამბაქო.

აფხაზეთის წვრილგლეხურ მეურნეობებში გაშენებული ერთწლიანი ტექნიკური კულტურები—კანაფი, სელი და ბამბა, შინამრეწველური და ხელოსნური ფეიქრობის შესაბამისი დარგების განვითარების საშუალებას იძლეოდა. საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებებისათვის ქალები ამზადებდნენ კანაფის ბაწრებს, ბამბისა და სელის ქსოვილებს, ზოგიერთი მათგანი ისე დახელოვნდა, რომ მათი ნახელავი აფხაზეთის სამთავროს საგარეო ვაჭრობის საგნად გადაიქცა და მეზობელ ქვეყნებში მაღალი ხარისხის საქონლის სახელი მოიხვეჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მეცენატობა და მებაღეობა განუყოფელი იყო ერთმანეთისაგან, რადგან საქართველოს შავი ზღვისპირა მხარეში დაბლარის სიმეცრე არ მოითხოვდა ვენახებისათვის სპეციალურად ნაკვეთების გამოყოფას. მაღლარები კი ჩვეულებრივად გაშენებული იყო მსხმოიარე ხეხილის ბაღებში.

მიწათმოქმედებაში გამწევ ძალად ხმაობდნენ ხარ-კამეჩს.

აფხაზეთის წერილფეხა რქოსან მესაქონლეობაში მეცხვარეობის საგრძნობი ხვედრითი წონა საშუალებას აძლევდა გლეხურ მეურნეობებს შინამრეწველური წესით დაემზადებინათ მაუდი და ქეჩა.

მაჰმადიანური პროპაგანდის ზეგავლენით აფხაზეთში საგრძნობლად დაქვეითდა მეღორეობა.

საკვლევი ტერიტორიის ბუნებრივი პირობები იმდენად ხელისშემწყობი იყო მეფუტკრეობის ფართო განვითარებისათვის, რომ მიუხედავად სკების უადრესად პრიმიტიული მოწყობილობისა მოსახლეობის მიერ მიღებული თაფლი და ცვილი კმაროდა, როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისევე უცხოელებზედაც გასაყიდად.

საზღვარგარეთელი კომერსანტები აფხაზეთში, გარდა ცვილისა და თაფლისა, ყიდულობდნენ ბეწვეულს, რომელსაც მკვიდრნი მონადირეობით შოულობდნენ.

აფხაზეთში გაბატონებული მეურნეობის ნატურალურ ფორმას თან ახლდა ამ ეკონომიური წყობისათვის დამახასიათებელი ატრიბუტი—შინამრეწველობა, რომელიც ერთ მთლიანობაში იყო გაერთიანებული მიწათმოქმედებასთან. შინამრეწველობის ზოგიერთ დარგში თავს იჩენდა ხელოსნობის წარმოშობის ტენდენცია, მაგრამ ჩანასახ მდგომარეობაში მყოფი ხელოსნობაც სოფლის მეურნეობასთან უმჭიდროვეს კავშირში რჩებოდა.

ნატურალური მეურნეობის შედეგად საკვლევი ტერიტორიის ცალკეულ კუთხეებს შორის არ არსებობდა მჭიდრო ეკონომიური კავშირები, რაც აძნელებდა თვით აფხაზეთის სამთავროს ფარგლებშიაც მტკიცე პოლიტიკური ერთიანობის დამყარებას.

XIX საუკუნის დამდეგიდან აფხაზეთის სამთავროსათვის მკვეთრად შეიცვალა საგარეო სიტუაცია. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობა, 1803—4 წწ. კი სამეგრელოს მთავარმა და იმერეთის მეფემ აღიარეს პეტერბურგის უზენაესობა. იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ოსმალოების აფხაზეთიდან განსადევნად. 1810 წელს აფხაზეთის სამთავრო ავტონომიური უფლებებით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თურქებისა და მათი მომხრეებისაგან განთავისუფლებულ სოხუმში მოთავსდა რუსული სამხედრო ადმინისტრაცია, ხოლო აფხაზეთის მთავრის—შარვაშიძის ძირითადი რეზიდენცია კვლავ სოფელ ლიხნში (ზუფში) დარჩა [29].

მომდევნო ათწლეულში აფხაზეთში პოლიტიკური დაქსაქსულობა სუფევდა. მთავარ შარვაშიძის და რუსული სამხედრო ადმინისტრაციის რეალური ხელისუფლება მხოლოდ სანაპირო ზოლის უმნიშვნელოვანეს რაიონებზე ვრცელდებოდა, რადგან მთიანი მხარეების ფეოდალები და თემები ფაქტიურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

არამყარ საშინაო მდგომარეობას ემატებოდა გაურკვეველი საგარეო ვითარება. 1812 წლის ბუქარესტის ზავის მიხედვით, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა 1806 წელს ამტყდარ ომის დროს ამიერკავკასიაში „იარაღით დაპყრობილ“ ტერიტორიები [8]. აფხაზეთის საკითხი სადავოდ რჩებოდა. 1820

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს პეტერბურგი თითქმის დათანხმდა მაღალი პორტასათვის გადაეცა სოხუმი. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებას წინ გადაეღობა მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი [50]. მან სწორად შეაფასა გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული აფხაზეთისა და სოხუმის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა შავი ზღვის ფლოტისა, კავკასიაში მომქმედ რუსეთის არმიისა და საქართველოსათვის. სოხუმიდან, ე. ი. აფხაზეთიდან წასვლა, რუსეთს დაკარგვინებდა უაღრესად მნიშვნელოვან საზღვაო ბაზას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ოსმალეთს საშუალებას მისცემდა შეექმნა ძლიერი პლაცდარმი ამერკავკასიის ზურგში, და არაჩვეულებრივად გააადვილებდა ქართული მოსახლეობისათვის დამღუპველ ტყვეებით ვაჭრობას.

კავკასიაში მიმდინარე შეუწყვეტელმა ომებმა და აჯანყებებმა არ მისცეს საშუალება ერმოლოვს საგრძნობი სამხედრო ძალები გაეგზავნა უგზოობის გამო ხმელეთიდან გარესამყაროსაგან თითქმის მოწყვეტილ აფხაზეთში. სოხუმსა და მიმდებარე სიმაგრეებში განლაგებული მეცრერიცხოვანი რუსული გარნიზონები აშკარად არ კმაროდნენ სამთავროს მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად. ცარიზმის მოხელეები იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ხანმოკლე ექსპედიციების გაგზავნით ურჩ მცხოვრებთა დასათრგუნად.

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, 30-იან წლებში ზღვისპირა აფხაზეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ მთავარ შარვაშიძეს დაემორჩილა. თუმცა 40-იან წლებში მთავარმართებელ გენერალ მურავიოვის მითითებით განხორციელებულმა დამსჯელმა ექსპედიციებმა დალია და ფსხუში მრავალი მცხოვრები იმსხვერპლეს, დიდძალი ავლა-დიდება გააპარტახეს და დასაბამი მისცეს მუჰაჯირობას, ე. ი. აფხაზეთის გამაპამდიანებული მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას [29], მაგრამ ვერ შეძლეს მეფის რუსეთის კონტროლის გავრცელება კოდორისა და ბზიფის ზემო წელის ხეობებზე [50].

მაღალმთიანი აფხაზეთი ინარჩუნებდა პოლიტიკურ და სამეურნეო კარჩაკეტილობას, ამავე დროს რუსეთის გავლენას დამორჩილებულ გორაკ-ბორცვთან და დაბლობ ზონაში ფეოდალური წარმოების წესის ჩარჩოებში სასაქონლო ფულადი ურთიერთობები იქმნებოდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ჩასახვას ხელი შეუწყო 30-იან წლებიდან თურქული ფულის ნიშნების რუსულით შეცვლამ და ნაოსნობის გამოცოცხლებამ.

1832 წელს სოხუმში დაწესდა სბაყო საგუშაგო და უცხო გემებს ნავსადგურში შემოსვლის უფლება მიეცათ, ხოლო 1847 წელს საგუშაგოს პირველხარისხოვან სბაყოთ გადაკეთებამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა სოხუმის სანავსადგურო მნიშვნელობა და მკვეთრად გაადიდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის ასორტიმენტი და რაოდენობა [29, 44].

1848—1852 წლებში სოხუმიდან გაიგზავნა 38 ათასი ვედრო ღვინო, 43 ათასი ფუთი სიმინდი, 1,5 ათასი ფუთი ღომი, 12 ათასი ცალი შინაური და გარეული ცხოველის ტყავი, 8 ათასი ფუთი ცვილი და თაფლი, 178 ათასი ფუთი ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე (ძირითადად ბზა) [44] თითქმის ანალოგიური დასახელების პროდუქცია, ოღონდ სხვა თანაფარდობით, გადიოდა აფხაზეთის მეორე ნავსადგურიდან—ოჩამჩირიდან, რომლის ტვირთბრუნვა დიდად ჩამორჩებოდა სოხუმისას.

ზემოთ მოყვანილი ხუთი წლის ექსპორტის ნომენკლატურა და რაოდენობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზღვისპირა აფხაზეთის სოფლის მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის ძირითადი დარგები XIX საუკუნის შუა წლებიდან იძენენ საქონლურ ელფერს.

ყირიმის ომის დასაწყისში რუსეთის სამხედრო ფლოტის განადგურებამ შავ ზღვაზე და კავკასიის არმიის თავმოყრამ ყარსის მიმართულებით საშუალება მისცეს ოსმალეთს ძლიერი სადესანტო კორპუსი გადმოესხა აფხაზეთში. სამხედრო მოქმედებით გამოწვეულ დარბევა-აწოოკებას დაემატა 1853—1856 წლების ომის შემდეგ მოუჯაჭირობის ახალი აღზევება.

აფხაზეთის უშუალო მეზობლობამ დასავლეთ კავკასიის ურჩ ტომებთან რამოდენიმე წლით გაახანგრძლივა შარვაშიძეების სამთავროს გაუქმება ყირიმის ომის მომდევნო პერიოდში. 1864 წელს დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამორჩილებისთანავე, აფხაზეთში რუსული მმართველობა დაწესდა [8]. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ საკვლევ რაიონს ეწოდა სოხუმის განყოფილება, რომლის უფროსად დაყენებული მოხელე უშუალოდ დაემორჩილა ქუთაისის გუბერნატორს. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში რამოდენიმეჯერ შეიცვალა საქართველოს ამ მხარის შიდაადმინისტრაციული დაყოფა და ოფიციალური სახელწოდება.

1900-იანი წლების დასაწყისისათვის აფხაზეთი ენგურიდან ბეგერეპსტამდე შედიოდა სოხუმის ოკრუგში, რომელიც გაყოფილი იყო ოთხ პოლიციის უბნად: 1) გუმისტის—ქალაქ სოხუმით, 2) გუდაუთის—დაბა გუდაუთით, 3) კოდორის—დაბა ოჩამჩირით და 4) სამურზაყანოსი (თავდაპირველად სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაცია იმყოფებოდა სოფელ ოქუმში, შემდეგ კი გადავიდა სოფ. გალში) [33].

1901 წელს სოხუმის ოკრუგის საზღვრები ბეგერეპსტიდან გადმოწეულ იქნა გზიფამდე, გაგრა და მიმდებარე რაიონი შეიყვანეს შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში [33].

1864 წელს, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება დაემთხვა საგლეხო რეფორმის განხორციელების დასაწყისს საქართველოში. აფხაზეთის განაპირა მდებარეობამ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შეაპირობა საკვლევ ტერიტორიაზე კავკასიის მთის ტომების სოციალური წესწყობილების ზეგავლენით ქართული ფეოდალიზმის ძლიერი დეფორმირება, რის გამოც აქ ბატონყმობა დიდად იყო შესუსტებული თემურ-გვაროვნულ ურთიერთობებთან შერევით. ამისდა მიუხედავად, ადგილობრივი პრივილეგირებული წოდება მოითხოვდა ისეთსავე უფლებებს გლეხებსა და მიწებზე, როგორიც რუსეთის იმპერიამ სცნო საქართველოს სხვა კუთხეების თავადაზნაურობის მიმართ [50]. საკვლევი რაიონის მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელიც ნახევრად ან თითქმის მთლიანად თავისუფალი იყო, კატეგორიულად უარყოფდა აფხაზი ფეოდალების ამ პრეტენზიებს. კლასობრივი წინააღმდეგობებთან უაღრესად დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო მეტად გაამწვავა რუსი მოხელეების ცდამ ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვათ სადავო მიწების მაქსიმალურად მეტი რაოდენობა, როგორც პრივილეგირებულ ისევე არაპრივილეგირებული წოდებისათვის.

ასეთ ვითარებაში 1866 წლის ზაფხულში აფხაზეთში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. გლეხთა რაზმებმა აიღეს სოხუმი, გადაწვეს ყაზარმები, ეკლესია და მრავალი სხვა შენობა. გარნიზონის ნაწილებმა სიმაგრეში შეიფარეს თავი. ფოთიდან ზღვით მაშველი ჯარების ჩამოსვლის შემდეგ მეფის გენერლებმა დაიწყეს აჯანყების ჩაქრობა. სოხუმი რამოდენიმეჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის მისადგომები და ბაღი გლეხთა გვამებით დაიფარა. გლეხთა აჯანყების ჩახშობაში მთავრობას დახმარება გაუწია ადგილობრივმა თავადაზნაურობამ [12]. აფხაზეთში კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ დაიწესა საგანგებო სამხედრო ხელისუფლება და იქ თავი მოუყარა 8.000 ჯარისკაცს.

1871 წლის 19 თებერვალს აფხაზეთში გამოცხადებული გლეხთა განთავისუფლება [30] ისეთივე ბატონყმური ხასიათისა იყო, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში და ფეოდალიზმის მრავალ გადანაშთს სტოვებდა ძალაში. 1866 წლის გლეხთა აჯანყების ჩაქრობისას მეფის მთავრობასა და ადგილობრივ პრივილეგირებულ წოდებას შორის განმტკიცებულ კავშირის წყალობით აფხაზეთის თავადებისა და აამისტების (აზნაურების) მფლობელობათა სიდიდე განისაზღვრა 250 დესეტინით, გარდა იმ დამატებითი მიწებისა, რომლის მითვისების საშუალებას მათ კანონი აძლევდა. საგლეხო რეფორმის გატარებისას აფხაზეთის თავადებმა და აამისტებმა ერთდროული დახმარების სახით ხაზინიდან მიიღეს 400.000 მანეთი. გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები ადგილობრივ თავადაზნაურობას „პირადი განთავისუფლებისათვის" უხდიდა 50-დან 180 მანეთამდე [50].

იურიდიულად გლეხობამ კომლზე 3-7 დესეტინა მიიღო, ფაქტიურად კი საშუალოდ—მხოლოდ 2,5 დესეტინა სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის ვარგისი მიწა და ისიც უმთავრესად დანაწევრებულად, მკაფიო საზღვრების გარეშე, საცხოვრებლებიდან დაშორებულ ადგილებში [50].

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ასახავს იმ მძიმე ნივთიერ და სოციალურ მდგომარეობას, რომელსაც განიცდიდა აფხაზეთის გლეხობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ:

აფხაზეთის გლეხობის ყოველწლიური გადასახადები [50]

საღალი გამოსაღები	25	ათასი მანეთი
საერო გადასახადები	60	„ „
სამხედრო ბეგარის მოხდის სანაცვლო აკრება	24	„ „
საადგილმამულო სათემო გადასახადი	25	„ „
საერობო საადგილმამულო აკრეფა	100	„ „
მთლიანად	214	„ „

თუ ამას დავუმატებთ დროებით ვალდებულთა ფეოდალურ ბეგარა-გადასახადებს, საძოვრებისა და ტყეების სარგებლობისათვის ხაზინის სასარგებლოდ დაწესებულ გამოსაღებს და მიწაზე მაღალ საიჯარო ფასებს, ნათლად წარმოგვიდგება აფხაზეთის გლეხობის სავალალო მდგომარეობა.

რეფორმის შემდგომ ხანაში საქართველოს ძირითად პროვინციებშიაც კი ფეოდალური გადმონაშთებისა და ქვეყნის ნახევრადკოლონიური მდგომარეობის გამო კაპიტალისტური ურთიერთობა დიდი სიძნელით იკაფავდა გზას, მით უფრო ძლიერ დაბრკოლებებს აწყდებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიური წყობის ჩასახვა-განვითარება 1853—56 წწ. ომისა და 1866 წლის ბრძოლების შედეგად დარბეულსა და გაპარტახებულ აფხაზეთში, რომელსაც სისხლიდან ცლიდა მუჰაჯირობის შედეგად შრომისუნარიან მცხოვრებთა ოსმალეთში გადასახლება.

1877 წელს დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა საკვლევ რაიონში მშვიდობიანი ცხოვრების ხანმოკლე პერიოდში მიღწეული მცირედენი წარმატებანიც არარაობამდე დაიყვანა. საკვლევი რაიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზედაპირის თავისებურებებმა კვლავ გაუადვილეს ოსმალებს თავდასხმის განხორციელება საქართველოს ამ კუთხეზე, რადგან ფრიალო კალთებიანი ქედებთან და წყალუხვ ჩანჩქეროვანი მდინარეებით დასერილი და შემოფარგლული აფხაზეთი, რომელიც ამასთანავე ვიწრო ზოლად გასდევს შავი ზღვის სანაპიროს, უადრესად მოსახერხებელი იყო თურქეთისათვის საზღვაო-სადესანტო ოპერაციების საწარმოებლად და დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა რუსეთის სამხედრო-სახმელეთო ნაწილების მანევრირებას. 1877—78 წლებში ძალთა თანაფარდობა, ყირიმის ომის დროსთან შედარებით, ძირეულად განსხვავებული იყო, ამიტომაც აფხაზეთიდან ოსმალთა საექსპედიციო კორპუსი შედარებით იოლად განიდევნა. მაგრამ სოხუმი და მიმდებარე რაიონი თურქებმა ნანგრევებად აქციეს.

1877—78 წწ. ომს მოპყება მუჰაჯირობის უკანასკნელი, მაგრამ ამავე დროს უძლიერესი ტალღა. აფხაზეთის მრავალი კუთხე თითქმის მთლიანად გაუცარიელდა. უშედეგოდ დამთავრდა ქართველი საზოგადოებრიობისა და ქართული პრესის ცდა შეეჩერებინა ან ყოველ შემთხვევაში შეერბილებინა ოსმალეთის წაქეზებითა და ცარიზმის კოლონიურ-შავრაზმული პოლიტიკით გამოწვეული მუჰაჯირობა [7, 29].

მუჰაჯირობის შედეგად დიდი ეთნიური ცვლილებები განიცადა აფხაზეთის მოსახლეობამ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ მეფის მთავრობის გეგმა აფხაზეთში რუსების დასახლების თაობაზე არაეფექტული აღმოჩნდა, რადგან რუსეთიდან გადმოსახლების მოსურნენი ნაკლებად მოიპოვებოდნენ, ხოლო ვინც გადმოსახლდა ისიც თავის სამშობლოდან მკვეთრად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში მტკიცედ ფეხს ვერ იკიდებდა. ამან აიძულა მეფის რუსეთის ბიუროკრატია ხელი შეეწყო თურქეთიდან ბერძნებისა და სომხების, ხოლო ჩრდილოეთიდან ესტონელების, ლატვიელების, მოლდაველებისა და ბულგარელების ჩამოსახლებისათვის აფხაზეთში და ნაწილობრივ დაეშვა აფხაზების შშობლიურ კუთხეში დაბრუნება მათზე „დამნაშავე მოსახლეობისთვის“ გათვალისწინებული ყველა რეპრესიული ზომების გავრცელებით [17].

ცარიზმი XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში აფხაზეთში ყველას ეპატიჟებოდა, მაგრამ აქ ჩამოსულ ქართველებს ყოველნაირად ებრძოდა და აქედან ერეკებოდა [17], თუმცა მკვიდრი ქართული მოსახლეობის ზრდა ხელს უწყობდა ამ მხარის ეკონომიურ-კულტურულ დაწინაურებას [17]. თვითმპყრობელობის უარყოფითი დამოკიდებულება ქართველთადმი აფხაზეთში აიხსნება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში დაწყებული რევოლუციურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისაგან საკვლევი რაიონის იზოლაციის მისწრაფებით [17]. აფხაზეთში საიმედო სოციალურ-ეროვნული დასაყრდენის შექმნის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ XIX საუკუნის მიწურულიდან ცარიზმი უკვე ყოველგვარი რუსული მოსახლეობის დამკვიდრებას კი არ ცდილობდა აფხაზეთში, არამედ მხოლოდ კულაკური ფენისას [17]; მაგრამ მეფის მთავრობის ეს წამოწყებაც წარუმატებელი აღმოჩნდა [17].

თუმცა ცარიზმის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საკვლევი რაიონი დიდი ეთნიური სიჭრელით გამოირჩეოდა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც არა კოლონისტები, არამედ აფხაზები და ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ურთიერთდაპირისპირებას ამაოდ ცდილობდნენ თვითმპყრობელობის აგენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან XIX საუკუნის ორი პირველი მესამედისათვის საკვლევი რაიონის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ არსებული ცნობები დიდად განსხვავებული ერთმანეთისაგან [29], შემოვიფარგლოთ მხოლოდ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების მომდევნო პერიოდის მონაცემებით.

აფხაზეთის მოსახლეობა 1866—1916 წწ.

1866 წ. 79 ათ [29].	
1883 წ. 68 „ მათ შორის სოხუმში	400 [47]
1897 წ. 104 „ „ „ „	7. 618 [43]
1916 წ. 213 „ „ „ „	28. 300[46]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის ორ პირველ ათწლეულში აფხაზეთში მცხოვრებთა რაოდენობის ცვლილებას განაპირობებდა არა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, არამედ მიგრაციული პროცესები. ეს გარემოება მკაფიოდ ვლინდება აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის დინამიკის შედარებითაც. საქართველოდან განსხვავებით, 70-იან წლების მიწურულამდე აფხაზეთში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის შემცირებას, ხოლო 80-იანი წლებიდან—ბევრად უფრო სწრაფ ზრდას, ძირითად მექანიკური მატების ხარჯზე.

სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო საკვლევი რაიონის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ის პერიოდი, რომელმაც ჩამოაყალიბა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინადრონდელი აფხაზეთის ეკონომიკა. აფხაზეთი, მსგავსად აჭარისა, ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებზე გაცილებით უფრო გვიან, მხოლოდ 1877—78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩაება საქართველოს სამეურნეო ცხოვრების ერთიან ფერხულში. მაგრამ აფხაზეთში აჭარისაგან განსხვავებით კაპიტალისტური განვითარება ვლინდებოდა სოფლის მეურნეობაში სასაქონლო დარგების შექმნით და არა მრეწველობის წარმოშობით.

80-იანი წლებიდან მსოფლიო ბაზარზე სიმინდის გასაღების შესაძლებლობამ და საზღვარგარეთიდან რუსეთის იმპერიაში თამბაქოს შემოტანისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნამ ხელი შეუწყო აფხაზეთში მესიმინდეობისა და მეთამბაქოეობის სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო დარგებად გადაქცევას.

1880 წლამდე საქართველოდან საზღვარგარეთ წლის განმავლობაში გატანილი სიმინდის ოდენობა არ აღემატებოდა 300 ათას ფუთს, 1884 წლისათვის კი სიმინდის ყოველწლიურმა გაზიდვამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ნავსადგურებიდან უცხო ქვეყნებში 5 მილიონ ფუთს გადააჭარბა [34]. სიმინდის ექსპორტის საქმეში ფოთის შემდეგ წამყვანი ადგილი ეკავა სოხუმს, ოჩამჩირესა და გუდაუთას [34]. მიუხედავად 80-იანი წლების აფხაზეთის სავალალო მდგომარეობისა, მესიმინდეობამ საკვლევ რაიონში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია და საქონლური ხასიათიც მოიპოვა.

მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მესიმინდეობის განვითარება აფხაზეთში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში შეფერხდა, რადგან აგრარული კრიზისის გამო სიმინდზე მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე კი აღარ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა [37]; ეცვლოდა სიმინდის ფასებიც. მთელი რიგი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების გამო საქართველოს, და განსაკუთრებით კი აფხაზეთის მესიმინდეობაში, თითქმის არ ინერგებოდა აგროტექნიკის უკანასკნელი მიღწევები, რის გამოც სი-

ძინდის თვითღირებულება მაღალი რჩებოდა და სუსტდებოდა მისი კონკურენციის უნარიანობა. ასეთ ვითარებაში მხოლოდ მესიმინდეობისათვის უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე მაზრებში იყო შესაძლებელი დიდი რაოდენობით სიმინდის გასაყიდად მოყვანა; და, მართლაც, XIX საუკუნის მიწურულისათვის საბოლოოდ მოიხაზა საქართველოს სოფლის მეურნეობის სასაქონლო მესიმინდეობის ზონა. იგი თითქმის დაემთხვა კოლხეთის დაბლობს და საკვლევი რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს შეიცავდა, ე. ი. იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფით სოხუმის ოკრუგის სამურზაყანოსა და ოჩამჩირეს საპოლიციო უბნების დადაბლებულ ნაწილს.

აფხაზეთის დანარჩენ მხარეებში მესიმინდეობა ძირითადად სამომხმარებლო ხასიათს ინარჩუნებდა. მოსახლეობა ძირითად საკვებად სიმინდსა და ლობიოს ხმარობდა, რომელთაც ხშირად ერთად სთესდა ყანაში. თავთავიანი კულტურების (ღომის, ხორბლის, შვრიის, ქერის) ხვედრითი წონა საკვლევი რაიონის მარცვლეულ მეურნეობაში უაღრესად მცირე იყო [33].

მესიმინდეობიდან განსხვავებით მეთამბაქოეობის განვითარება აფხაზეთში თავდაპირველად შედარებით უფრო ნელა მიმდინარეობდა. 1872—1881 წლებში საზღვარგარეთიდან შემოტანილ თამბაქოზე მაღალი ბაჟის დაწესებამ და 1877—78 წლების ომის შედეგად მეთამბაქოეობის დაცემამ ოსმალეთსა და ბალკანეთში აიძულა რუსეთის მეთამბაქოე ფაბრიკანტები განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მათთვის საჭირო სანედლეულო ბაზის შექმნაზე თვით რუსეთის იმპერიაში. ამ დროისთვის აფხაზეთის თამბაქოს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი რუს მეთამბაქოე ფაბრიკანტთა წრეებში და ამიტომაც ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მეთამბაქოეობის განვითარებას სოხუმის ოკრუგში [37].

80-იანი წლების პირველი ნახევრიდან მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის სასაქონლო მეთამბაქოეობას.

90-იან წლების სამრეწველო გამოცოცხლება ზრდიდა მოთხოვნილებას მრეწველობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობათაგანი ფურცლოვანი თამბაქო იყო [37]. ამ გარემოებამ კი განსაზღვრა XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მეთამბაქოეობის მესიმინდეობაზე უფრო სწრაფი განვითარება.

რუსული კაპიტალიზმის განვითარებით თამბაქოზე მდგრადი მოთხოვნილების შექმნამ, სოხუმის ოკრუგში თამბაქოს მაღალხარისხოვანი ჯიშების „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ მოყვანისათვის საუკეთესო ნიადაგობრივი და კლიმატური მიკრორაიონების არსებობამ, ამ კუთხის მოხერხებულ სატრანსპორტო მდებარეობამ შავი ზღვის სანაპიროზე, რეაქციის გაძლიერების შედეგად ოსმალეთიდან მეთამბაქოეობის ჩვენების მქონე ბერძენ და სომეხ ლტოლვილთა საკვლევ რაიონში ჩამოსახლებამ და მიწებზე მაღალ საიჯარო ფასების გამო უსახსრო კოლონისტებისათვის და ქართული პროვინციებიდან ჩამოსული მცირემიწიანი გლეხებისათვის შრომატევადი კულტურის გაშენების უპირატესობამ განაპირობეს მეთამბაქოეობის აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წამყვან, მაპროფილებელ, უაღრესად საქონლურ დარგად გადაქცევა.

აფხაზეთში მეთამბაქოეობა სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო დარგად გადაქცევისთანავე დამოკიდებული აღმოჩნდა თამბაქოს დიდვაჭრებისაგან, მეთამბაქოე ფაბრიკანტებისაგან და მათი აგენტებისაგან, რადგან ისინი არა მარტო ფლობდნენ ეკონომიური ზემოქმედების მძლავრ ბერკეტებს, არამედ ამოფარებულნი იყვნენ თვითმპყრობელობის მიერ მეთამბაქოეობის სფეროში შემუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებულ კანონმდებლობას, რომელიც ვითომდა ფისკალური მოსაზრებით უკრძალავდა მწარმოებლებს მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთობას [38].

1882 წლის წესდება აძლევდა რა ნებას პლანტატორებს გაეყიდნათ თავიანთი პროდუქცია მხოლოდ თამბაქოს საწყობის პატრონებზე და მეთამბაქოე ფაბრიკანტებზე [38], ჰქმნიდა თამბაქოზე ორმაგ ფასებს, რის გამოც მეთამბაქოეობაში ჩაბმული მოიჯარადეები სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ და უმეტესად ღატაკურად ცხოვრობდნენ. სამაგიეროდ თამბაქოზე ერთმანეთისაგან დიდად დაფარული ფასების არსებობა აღვირახსნილი სპეკულაციისა და უდიდესი შემოსავლის შესაძლებლობას აძლევდა თამბაქოს საწყობის პატრონებსა და მეთამბაქოე ფაბრიკანტებს.

რადგან მეთამბაქოე ფაბრიკანტებსა და გადამყიდველებს შესაძლებლობა ჰქონდათ იაფად შეეძინათ მათთვის საჭირო ნედლეული, ისინი სობუმის ოკრუგში თითქმის არ აწყობდნენ თამბაქოს საკუთარ დიდ პლანტაციებს და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ამ მთავარ სასაქონლო დარგში XIX საუკუნის მიწურულისათვის ძირითადად მცირე შეძლების მოიჯარადრენი იყვნენ ჩაბმულნი.

XX საუკუნის დამდეგიდან, ერთის მხრივ, შეიმჩნევა სამომხმარებლო მეთამბაქოეობის ტრადიციების მქონე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გასასყიდათ თამბაქოს გაშენება, მეორეს მხრივ, აფხაზეთის სავაჭრო მიწათმოქმედების ამ დარგში კაპიტალისტური ორგანიზაციის ფორმირება (კულაკური ფენის წარმოშობა, დაქირავებული შრომის გამოყენება).

მოყვანილი ცხრილი (გვ. 47) არა მარტო რელიეფურად ააშკარავებს კულაკური მეურნეობების გაძლიერებას (III—VI), არამედ უაღრესად მკაფიოდ გამოხატავს აფხაზეთის მეთამბაქოეობის მდგომარეობას 1905—1914 წლებში. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა ათწლეულში აფხაზეთის მეთამბაქოეობისათვის დამახასიათებელია აღმავლობა. მაგრამ ამ საერთო ტენდენციის შიგნით ვლინდება საგრძნობი გადახვევები, რომლებიც მთელი რიგი მიზეზებით იყვნენ შებრობებულნი.

ყოველწლიური კლიმატური ცვლილებები იწვევდა ერთ დესეტინაზე მიღებული თამბაქოს საშუალო რაოდენობის დიდ რყევადობას (X), ხოლო კაპიტალიზმისათვის ჩვეული ბუნებრივ რესურსების მტაცებლური გამოყენება ფიტავდა ნიადაგებს და დაბლა სცემდა მოსავლიანობას. ძველი მიწების ნაცვლად ახალი ნაკვეთების პლანტაციებად გადაქცევას მხოლოდ დროებითი კორექტივები შეჰქონდა და საერთო სურათს ვერ ცვლიდა. მოსავლიანობაზე მოქმედებდა სხვა საზოგადოებრივი მოვლენებიც. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მუშახელის სამხედრო სამსახურში გაწვევამ 1914 წელს დიდად შეამცირა ერთ დესეტინაზე საშუალოდ მიღებული თამბაქოს რაოდენობა.

აფხაზეთში თამბაქოთი დაკავებული ფერთობები (VIII) განუხრელად იზრდებოდა. 1906 წელს კი გადამყიდველთა ლოკაუტის გამო მკვეთრად შეიკვეცა. მომდევნო წლიდან დაიწყო გადიდება, გადააჭარბა რა 1910 წელს თითქმის ერთნახევარჯერ რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისდროინდელ დონეს, 1911 წლის უმნიშვნელო შემცირების შემდეგ კვლავ დაიწყო ზრდა და 1914 წელს მიაღწია მაქსიმუმს—13.207 დესეტინას. მსგავსი მრუდე გამოსახა თამბაქოს საერთო მოსავალმაც (IX), რომელმაც 1906 წლის დაქვეითების შემდეგ მცირე ზიგზაგებით იწყო სწრაფი ზრდა და 1914 წელს, მიუხედავად საშუალო მოსავლიანობის დაცემისა, სარეკორდო რიცხვს—602 ათას ფუთს მიაღწია.

აფხაზეთში მოყვანილ თამბაქოს 80% შეადგენდა ჯიში „სამსუნი“ და 20% —

აფხაზეთის მეთამბაქოეობა 1905—1914 წწ. [28,37]

		1905 წ.	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.	1909 წ.	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.
1	თამბაქოს პლანტაციების დაჯგუფება ფართობების მიხედვით 1 დესეტინაზე ნაკლები	2548	2366	2848	2456	2795	3121	2952	3054	2487	3429
2	1-დან 2 დესეტ.	1182	971	1176	1425	1552	2328	2518	2352	2468	2876
3	2 „ 5 „	918	318	485	563	874	1147	831	1070	1230	2590
4	5 „ 10 „	131	21	54	72	144	137	57	78	143	281
5	10 „ 20 „	5	1	3	4	21	15	3	7	7	10
6	20 დესეტინა და მეტი	1	1	1	—	—	2	—	—	—	2
7	თამბაქოს პლანტაციების საერთო რაოდენობა	4785	3678	4567	4520	5386	6750	6361	6556	6335	9188
8	თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი დესეტინობით	5301	3186	4368	4680	6578	8458	7525	7675	8037	13207
9	თამბაქოს საერთო მოსავალი ფუთობით	285236	183203	240.060	311.045	439.285	544.240	444.770	408.589	442.830	602.676
10	თამბაქოს მოსავალი ერთ დესეტინაზე ფუთობით	54	58	55	66	67	64	59	53	55	46
11	ერთი ფუთი თამბაქოს ფასი „სამსუნი“ .	11 მ.	12 მ.	15 მ.	15 მ. 50. კ	15 მ.50 კ.	17 მ.	17 მ.	17 მ.	20 მ.	
12	ერთი ფუთი თამბაქოს ფასი „ტრაპიზონი“ .	8 მ. 50 კ.	8 მ.50 კ.	11 მ.50 კ.	12 მ. 50 კ.	12 მ.	12 მ.	12 მ.	13 მ.	15 მ.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრაპიზონი“. კუბაჟისათვის აუცილებელ ამ არომატულ ჯიშებზე მსოფლიო და რუსულ ბაზრებზე ფასების გადიდებამ (XI, XII), რასაც ნაწილობრივ შეუწყო ხელი ბალკანთის ომებმაც, მტკიცე საფუძველი შეუქმნეს 1904—1914 წლებში მეთამბაქოეობის განვითარებას საკვლევ რაიონში.

რადგან აფხაზეთში მოყვანილი თამბაქოს 80%-ზე მეტს რუსეთის ბაზარი ნთქავდა [37], პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვას არ შეუქმნია სოხუმის ოკრუგის ამ მთავარ მაპროფილებელ, სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის გასაღების რაიმე სიძნელეები და საკვლევი რაიონის მეთამბაქოეობის საერთო პროდუქციაც დაახლოებით 1910—1912 წლების დონეზე რჩებოდა. მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის რუსეთიდან დროებით ჩამოშორების შედეგად აფხაზეთში კატასტროფიულად შემცირდა როგორც თამბაქოთი დაკავებული ფართობი, ისევე მეთამბაქოეობის საერთო პროდუქციაც [5].

საკვლევ რაიონში სასაქონლო მეთამბაქოეობა ძირითადად თავმოყრილი იყო გუმისა და გუდაუთას პოლიციის უბნებში [33], რადგან ამ ადმინისტრაციული ერთეულების სანაპირო და გორაკ-ბორცვთან ზონებში არსებობდა არომატული ჯიშების თამბაქოს გაშენებისათვის საუკეთესო ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები. „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ მოყვანისათვის აუცილებელ ნიადაგობრივ-კლიმატური მიკრორაიონების მდებარეობამ სოხუმის ოკრუგში XIX საუკუნის მიწურულიდან აფხაზეთი საქართველოს მეთამბაქოეობის მთავარ კერად გადაქცია. თუკი ბატონყმობის გაუქმების წინა პერიოდში საქართველოს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა თამბაქო [37], კაპიტალიზმის განვითარების შედეგად შრომის გეოგრაფიული დანაწილების გაღრმავებამ საშუალება მისცა თბილისისა და ქუთაისის გუბერნის მეთამბაქოე ფაბრიკანტებს სოხუმის ოკრუგიდან მიეღოთ მათთვის საჭირო ნედლეული და უსახსრო ქართველ გლეხებს ლუკმა-პური ეშოვნათ აფხაზეთში იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს პლანტაციების გაშენებით. მეთამბაქოეობაში ჩაბმულ წვრილ მეიჯარიერეების საკრძნობ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ და არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები, არამედ ლაზეთის მკვიდრნიც. ამგვარად, სოხუმის ოკრუგის გარკვეული რაიონების სპეციალიზაციამ მეთამბაქოეობაზე დაახლოვა აფხაზეთი ქართულ პროვინციებთან, მათ შორის ისეთებთანაც, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩნენ. აფხაზეთის მეთამბაქოეობის დიდი მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ მან მეურნეობრივად დაუკავშირა საქართველო რუსეთისა და მსოფლიო ბაზარს და ამით საქართველო მსოფლიო საქონლურ ბრუნვაში მოაქცია.

სოხუმის ოკრუგის სასაქონლო სოფლის მეურნეობაში თითქმის არ იყო წარმოდგენილი სხვა ტექნიკური კულტურები, თუმცა ჩაის ბუჩქის აფხაზეთში აკლიმატიზაციის პირველი ცდები გასული საუკუნის მეორე მეოთხედს მიეკუთვნებოდა [29]. სოფლის მოსახლეობას მცირე რაოდენობით მოჰყავდა ბამპა უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილებისათვის.

მევენახეობა და მებაღეობა საკვლევ ტერიტორიაზე შეზღუდულ სასაქონლო ხასიათს ატარებდა. 70-იანი წლების მიწურულისათვის აფხაზეთის მევენახეობა დიდად იყო დაზარალებული არა მარტო სოხუმის ოკრუგში მრავალწლიანი ნარგავების საერთო გაჩანაგებით, არამედ ოიდიუმის და მილდიუს გავრცელებითაც, რის გამო ეაზის ძველი, ტრადიციული, მაღალხარისხოვანი ჯიშების ადგილს იზაბელა იკავებდა. ფოთისა და ბათუმის სარკინიგზო კავშირმა ქუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისისა და შორაპნის მაზრებთან შავიზღვისპირა მხარის ბაზრები გაავსო იმერული ღვინოებით, რომლებთანაც კონკურენცია უადრესად უჭირდა აფხაზეთის დაქვეითებულ, ძირითადად ექსტენსიური ხასიათის მევენახეობას, რომელიც ხარისხიანი მეღვინეობისათვის საჭირო ნედლეულს ვერ იძლეოდა [49].

ვაზის გაშენებისათვის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა გუდაუთის საპოლიციო უბანი სოხუმის ოკრუგის სასაქონლო მევენახეობის ძირითად რაიონის მდგომარეობამდე აიყვანა. ამ უბანში XIX საუკუნის მიწურულიდან გადამყიდველები ყოველწლიურად შეისყიდიდნენ რამოდენიმე ათეულ ათას ვედრო ღვინოს ბათუმში, ნოვოროსისკში და ქერჩში გასასაღებლად. საკუთრივ აფხაზეთში გუდაუთის საპოლიციო უბანში მოყვანილი ღვინოთი ვაჭრობდნენ სოხუმში, ოჩამჩირეში, დრანდაში და ოქუმში. სოხუმში ღვინო შემოჰქონდათ იმერეთიდანაც. საკვლევი ტერიტორიის სხვა კუთხეებში მოყვანილ ღვინოს თვით მწარმოებლები ბოიკოტავდნენ და უმნიშვნელო რაოდენობით ჰყიდიდნენ მეზობელ უვენახო სოფლების მცხოვრებლებზე [49].

80-იანი წლებიდან ფილოქსერას შემოტანამ სოხუმის ოკრუგში კიდევ უფრო შრომატევად სასოფლო-სამეურნეო დარგად გახადა მევენახეობა; XIX საუკუნის ორ პირველ ათწლეულში აფხაზეთში ვენახებით დაკავებული ფართობი თითქმის უცვლელი რჩებოდა და დაახლოებით სამი ათას დესეტინას ეთანაბრებოდა.

80-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში მებაღეობაც უადრესად დაკნინებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გორაკ-ბორცვოვანი ზონის ხეხილი გაანარტახა და გააველურა ჩუჰაჯირობამ [45], ხოლო სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში შექმნილი ევროპული ტიპის ბაღები 1877 წელს გაჩეხეს თურქთა სადესანტო კორპუსის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა [22]. აფხაზეთის კლიმატური პირობები მრავალნაირი და საუკეთესო ჯიშის ხეხილის გაშენების საშუალებას იძლეოდა; სოხუმის ოკრუგის მოხერხებული სატრანსპორტო მდებარეობა შავი ზღვის სანაპიროზე კი აადვილებდა ხილეულის გზიდვას სამხრეთ რუსეთში; ამ ორმა გარემოებამ მასტიმულირებელი როლი ითამაშა მებაღეობის საკვლევ ტერიტორიაზე აღდგენის საქმეში.

ხეხილის ზონაში გამოიყოფოდა დრანდის სასაქონლო მებაღეობის მიკრორაიონი, რომელიც იძლეოდა სოხუმიდან გაზიდული ხილეულის საგრძნობ ხაწილს [45].

აფხაზეთის ზოგ ნაწილში განვითარებული იყო მებოსტნეობაც. სოხუმის მიმდებარე სოფლებში და გუდაუთის უბანში მოჰყავდათ კარტოფილი, კომბოსტო და ადრეული ბოსტნეული ქერჩში, სკვასტოპოლში, ფეოდოსიაში და სხვ. ქალაქებში გასასყიდად [36].

მსხვილფეხა სარძევე მესაქონლეობისაგან განსხვავებით, მეღორეობა და მეცხვარეობა აფხაზეთში სასაქონლო ხასიათს ატარებდა. მეღორეობას და მეცხვარეობას მისდევდა კოდორ-სამურზაყანოსა და გუდაუთას პოლიციის უბნების მოსახლეობა. 1910 წელს ოჩამჩირედან 44.000 ფუთი დაკლული ღორის ხორცის გატანა მიუთითებს მეცხოველეობის ამ დარგის მნიშვნელობაზე აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილისათვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეცხვარეობაში ჩაბმული იყვნენ უმთავრესად ბაზართან დაკავშირებული სპეციალიზირებული კულაკური მეურნეობები [36].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში არ შექმნილა კაპიტალისტური მრეწველობა. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციას შეუძლებელ ხდიდა უგზობა. შავი ზღვის რკინიგზის შენებლობა დაწყებისთანავე შეწყვიტა პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმამ [35]. საერთოდ სოხუმის ოკრუგის სახმელეთო საგზაო ქსელისათვის დამახასიათებელი იყო დანაწევრებულობა და ერთიანი სისტემის უქონლობა, რომელიც დაკავშირებდა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეებს ერთმანეთთან და მეზობელ მხარეებთან. საკვლევ ტერიტორიასთან ურთიერთობა უმთავრესად წარმოებდა ზღვით. კეთილმოწყობის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავებული აფხაზეთის ულიანდაგო გზები გასდევდნენ რა უმთავრესად ხეობებსა და სანაპიროს, რადიალურად იყრიდნენ თავს ნავსადგურებთან—სოხუმთან, ოჩამჩირესთან და გუდაუთთან.

საკვლევ ტერიტორიაზე საქალაქო ტიპის დასახლებები თავმოყრილი იყო სანაპიროზე; რადგან სოხუმის ოკრუგში არ არსებობდა კაპიტალისტური მრეწველობა, მათი მნიშვნელობა ამოიწურებოდა სანავსადგურო, სავაჭრო, საკურორტო და ადგილობრივი ადმინისტრაციული ფუნქციებით [33].

მკვეთრად ვლინდება აფხაზეთში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. საკვლევი ტერიტორიის საქალაქო დასახლებების საუკეთესო შენობები იქმნებოდა მემამულეების, მეთამბაქოე ფაბრიკანტ-გადამყიდველებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სასაქონლო დარგებში მოსაქმე სპეკულიანტთა და ეკაპართა მიერ ადგილობრივ გლეხებისა და მოიჯარადრეების დაუზოგავი ექსპლოატაციით მოპოვებული სახსრების საშუალებით. დიდად იყო ჩამორჩენილი აფხაზეთში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე, მაგრამ ამ სფეროშიც მკაფიოდ გამოსჭვივოდა უდიდესი დისპროპორცია ექიმების, მასწავლებლების, სამკურნალო დაწესებულებებისა და სკოლების რაოდენობის შეთანაწყობაში საკუთრივ სოხუმსა და საკვლევი ტერიტორიის დანარჩენ ნაწილს შორის [33].

1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხებამ და მომდევნო პერიოდში გამეფებულმა ოპაქიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა აფხაზეთის სამეურნეო განვითარება. 1912 წლიდან დაწყებული სამოწყველო გამოცოცხლება შესწყვიტა 1914 წელს ამტყდარმა მსოფლიო ომმა. თურქეთის მიერ საომარი მოქმედების დაწყებამ რუსეთის წინააღმდეგ უარესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზეთი და საქართველოს ამ მხარეს ოსმალური ინტერვენციის საფრთხე შეუქმნა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო პერიოდში ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს მშრომელთა დარაზმვის საქმეში, მაგრამ ადგილობრიმა რეაქციულმა ძალებმა საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარებით 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შესძლეს ამიერკავკასიაში ძალაუფლების დროებითი შენარჩუნება და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება. ისტორიული განვითარების ახალი, სოციალისტური ერა აფხაზეთისათვის დადგა მხოლოდ 1921 წლიდან, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К. Д. АНТАДЗЕ

ИСТОРИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК АБХАЗИИ

Резюме

Историко-географический очерк Абхазии имеет целью кратко осветить те основные процессы историко-политического, хозяйственного и культурного характера, которые оказали воздействие на формирование экономико-географического облика Абхазской АССР.

Поэтому, в основном, в очерке исследуются экономическое развитие и история Абхазии после присоединения Грузии к России.

В середине XIX в. высокогорная Абхазия все еще сохраняла политическую и экономическую обособленность, в то же время в прибрежной зоне, подчиненной России, в рамках феодального уклада, уже начали создаваться товарно-денежные производственные отношения.

В начале Крымской войны уничтожение русского флота и сосредоточение Кавказской армии на Карсском направлении дало возможность туркам высадить мощный десант в Абхазии.

Военные действия, а также и махаджирство конца 50-х годов, т. е. выселение магометанского населения в Турцию, нанесли большой ущерб Абхазии.

В 1864 г., после покорения западно-кавказских горских племен, в Абхазии было установлено русское правление. Упразднение Абхазского княжества совпало с началом крестьянской реформы в Грузии. В 1871 году крепостное право было упразднено в Абхазии, но многие пережитки феодализма оставались в силе.

В пореформенный период полуколониальное положение и остатки феодализма создавали препятствия на пути развития капиталистических отношений в основных провинциях Грузии; тем более затруднялось возникновение и развитие нового социально-экономического уклада в разрушенной войной и обескровленной махаджирством Абхазии.

Русско-турецкая война 1877—1878 гг. свела на нет те небольшие хозяйственные достижения, которые имели место в Абхазии в течение кратковременного мирного периода. После войны последовала самая сильная волна махаджирства. Безуспешной была попытка Грузинской общественности и прессы приостановить махаджирство, спровоцированное Турцией и вызванное колониальной политикой царизма.

Хотя, в результате политики самодержавия, национальный состав населения Абхазии к концу XIX столетия отличался большой пестротой, ее большинство составляли не переселенцы (русские, эстонцы, латыши, молдаване, болгары, греки и армяне), а коренные жители, абхазцы и грузины.

С 80-х годов XIX века начался период восстановления и развития хозяйственной жизни исследуемой территории, сформировавший экономико-географический облик Абхазии к началу установления Советской власти. Абхазия, подобно Аджарии, лишь после войны 1877 — 78 гг. заняла свое место в обще-экономической жизни Грузии. Но в отличие от Аджарии, развитие капитализма в Абхазии выявилось не в возникновении промышленности, а в создании товарных отраслей сельского хозяйства.

Возможность сбыта кукурузы на мировом рынке и трудности ввоза табака в Российскую Империю способствовали в 80-х годах

ეროვნული ბიბლიოთეკა

превращению выращивания кукурузы и табаководства в товарные отрасли сельского хозяйства.

К концу XIX века окончательно была очерчена зона товарного производства кукурузы, в основном совпадавшая с Колхидской низменностью и охватившая юго-восточную часть исследуемой территории.

Товарное табаководство исследуемого района к исходу прошлого столетия было сосредоточено в низменной зоне западной Абхазии. Наличие в этих местах благоприятных для выращивания ароматных сортов табака почвенных и климатических условий превратило Абхазию в основной очаг товарного табаководства Грузии.

Виноградарство и виноделие в Абхазии имели ограниченно-товарный характер. Основной очаг товарного виноградарства находился в Гудаутском районе, а плодоводства — в Драндском.

Среди отраслей животноводства товарный характер носило свиноводство в восточной части Абхазии.

В Абхазии не создалась капиталистическая промышленность несмотря на наличие Ткварчельского каменноугольного бассейна.

Вместе с началом первой мировой войны было приостановлено строительство Черноморской железной дороги. Вообще сухопутная сеть дорог Сухумского округа отличалась расчлененностью и отсутствием единой системы, которыя бы объединила различные уголки Абхазии друг с другом, а весь округ — с соседними районами. Связь с исследуемой территорией поддерживалась, главным образом, морскими путями. Примитивные, с точки зрения благоустройства, Абхазские дороги, проложенные вдоль ущелий и прибрежной полосы, радиально сходились около — Сухуми, Гудаути и Очамчири.

Поселения городского типа в Абхазии были сосредоточены в прибрежной зоне. Так как в Сухумском округе не создалась капиталистическая промышленность, значение городов ограничивалось лишь их торговыми, морскими и административными функциями, а также курортным хозяйством.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958.
2. ა. აფაქიძე, ნ. ზ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
3. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.
4. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ. 1950.
5. გ. გეხტმანი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, თბ., 1925.
6. ს. გუგუშვილი, მეევნახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1951 და ტ. VI, 1952.
7. დროება (გაზ.), 1878 წ. № 100, 158; 1879 წ. № 122, 123; 1880 წ. № 199, 207, 209; 1909 წ. № 260, 282.
8. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957.
9. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
10. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. კვალი (გაზ.). 1897, № 20.
12. ა. კ ი ტ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია XIX — XX სს., წიგნი II, თბ., 1959.
13. ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1955.
15. ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გამომცემელი უ. ჩუბინოვისაგან, სანკტპეტერ-ბურგი, 1854.
16. ფ. შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935.
17. ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ცარიზმის საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის აფხაზეთში, ა. ს. პუ-შკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბ., 1950.
18. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948.
19. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბ., 1948.
20. ს. ჯ ა ნ ბ ა შ ი ა, გ ი ო რ გ ი შ ა რ ვ ა შ ი ძ ე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ის-ტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1940.
21. ს. ჯ ა ნ ბ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952.
22. Альбов Н., Состояние садоводства в Абхазии, Одесса, 1892.
23. Антелава И. Г., Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1951.
24. Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959.
25. Бакрадзе Д., Очерк Мингрелии, Самурзакани и Абхазии, Кавказ, 1860, № 48—49.
26. Броневский С., Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. I. М., 1823.
27. Гильденштедт И. А., Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПБ, 1809.
28. Гугушвили П. В., Табаководство Грузии и Закавказья, 1801—1920 гг. Труды института Экономики, XI, Тб., 1959.
29. Дзидзария Г. А., Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке, Сухуми, 1958.
30. Дзидзигури Л. М., Крестьянская реформа в Абхазии (Автореферат), Тб., 1953.
31. Дюбуа де Монпере Ф., Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1937.
32. Жузе Г., Грузия XVII столетия в изображении Антиохского патриарха Макария, Баку, 1927.
33. Мачавариани К. Д., Описательный путеводитель по г. Сухуми и Сухумскому округу, Сухум, 1913.
34. Обзор Кутаисской губернии на 1887 год, Кутаиси, 1888.
35. Оленецкий А. А., Из истории строительства Черноморской железной дороги, Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXVIII, Сухуми, 1957.
36. Оленецкий А. А., Сельское хозяйство Абхазии перед войной 1914 г., Труды Абхазского государственного музея, вып. II, Сухуми, 1957.
37. Оленецкий А. А., Табаководство — основная отрасль товарного земледелия Абхазии в пореформенный период и в начале XX века, труды Абхазского института языка, литературы и истории, XXVI, Сухуми, 1955.
38. Осипов Н. О., Статистика и обложение табака в России, Энциклопедический словарь изд. Брокгауза и Ефрона, том XXXII (63), СПБ, 1901.
39. Пахомов А., Очерки Абхазии в сельскохозяйственном отношении, Записки Кавказского общества сельского хозяйства, 1867, вып. I и 2, Тб.
40. Пахомов А., Абхазия в сельскохозяйственном отношении, записки Кавказского общества сельского хозяйства, 1868, вып. I и 2, Тб.
41. Пачулия В., По историческим местам Абхазии, Сухуми, 1958.
42. Пейсонель М., Исследования торговли на Черкасско-Абхазском берегу Черного моря, 1750—1762 годах, в изложении Е. Д. Фелицына, Краснодар, 1927.

43. Первая всеобщая перепись населения Российской Империи, 1897 г. XVI, Кутаисская губерния, 1905.

44. Приложения к статье С. И. Пушкарева. Краткий очерк портов северо-восточного берега Черного моря. Записки Кавказского отдела русского географического общества, книга II, Тифлис, 1863.

45. Роллов А. Н., Современное состояние садоводства в Абхазии и меры к его поднятию.

46. Сведения о численности населения Сухумского округа в 1916 году, документы приложенные к статье Г. А. Дзидзария. К вопросу о положения Абхазии накануне февральской буржуазно-демократической революции 1917 года, труды Абхазского государственного музея, вып. I, Сухуми, 1947.

47. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тб. 1893.

48. Сухуми и его окрестности, под общей редакцией Н. А. Бердзенишвили, Сухуми 1953.

49. Тимофеев С. Н., Очерк виноградарства и виноделия в Сухумском округе. Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып. IV, Тифлис, 1896.

50. Фадеев А. В., Русский царизм и крестьянская реформа в Абхазии, Сухуми, 1932.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია.—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ვ. ჯაფარიძე

აფხაზეთის მოსახლეობა და ბალანსები

ა. მოსახლეობა

1. მოსახლეობის დინამიკა, სივრცითი და ეროვნული შემადგენლობა

აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დასახლებისათვის არ გამოიყენება და წარმოდგენილია მეტწილად ტყით შემოსილი ქედებით, ან უვარგისი ფართობებით. მოსახლეობა განლაგებულია უმთავრესად ზღვისპირა ზონაში და კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული. დასახლებულია აგრეთვე გორაკ-ბორცვიანი ზონა და ზოგიერთ მდინარეთა ხეობები.

დასახლებისათვის ვარგისი მიწების საგრძნობი სიმცირის მიუხედავად, აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს მეტად რთულ ისტორიულ ვითარებაში უხდებოდათ განვითარება. ამ საკითხის განხილვა ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება და აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მთლიანად ეს მხარე, კერძოდ მისი ზღვისპირა ზოლი, ყოველთვის საკმაოდ დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის მოსახლეობა განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან, ხოლო 1864 წლიდან აქ შემოღებულ იქნა რუსული მმართველობა. ცარიზმის მიერ შევიწროებული თავისუფლებისმოყვარე აფხაზი მოსახლეობა 1866 წელს აჯანყდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და დაიკავა სოხუმი. სასტიკი რეპრესიების შედეგად ეს აჯანყება მალე ჩაქრეს, მაგრამ აფხაზი მოსახლეობა ცნობილ იქნა „დამნაშავედ აჯანყებაში“ და დევნას განიცდიდა. ერთი მხრივ, ამ მდგომარეობის გამო და, მეორე მხრივ, ოსმალეთის პროვოკაციული მოქმედების შედეგად მალე აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა თურქეთში, რის შედეგადაც მეტად შემცირდა აფხაზთა რაოდენობა. რიგი სოფლები და თემები თითქმის მთლიანად დაიცალა, ათასობით ჰექტარი მიწა აღარ მუშავდებოდა. მეფის ხელისუფლებამ ისარგებლა ამ მდგომარეობით და საუკეთესო მიწების ვრცელი ფართობები დაურიგა მსხვილ ადმინისტრაციულ მოხელეებს, თავადებს, გადამდგარ სამხედრო პირებს და აქ ჩასახლებულ არა აფხაზ მოსახლეობას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა კოლონიზაციამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო 90-იან წლებში და იძულებითი ემიგრაციის შედეგად მცხოვრებთა შემცირებას თან მოჰყვა მოსახლეობის საკმაოდ სწრაფი მექანიკური ზრდა. ეს პროცესი ნიმდინარეობდა კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად. საუკეთესო მიწების ვრცელი ფართობები თანდათან ხელში უვარდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მემამულეებს, ვაჭრებსა და კოლონისტებს, ხოლო სოფლის მშრომელი მოსახლეობა ექსპლოატაციის ძმიმე უღელს ატარებდა. „კაპიტალიზმის აღმავლობის მეორე შედეგი იყო სოფლის მოსახლეობის თანდათან გადასვლა ქალაქებში და ამ უკანასკნელთა შესამჩნევი ზრდა. მაგრამ იმის გამო, რომ რევოლუციამდელ აფხაზეთში სუსტად ვითარდებოდა მრეწველობა და საყურორტო მეურნეობა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, აქ საქალაქო ცხოვრება უფრო ნელა მიიწევდა წინ, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ნაწილში, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1897 წელს აფხაზეთში მხოლოდ ერთი ქალაქი—სოხუმი იყო და მისი მოსახლეობაც არ აღემატებოდა 8 ათას კაცს.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა მთლიანად საქართველოში და აფხაზეთში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა. ამიტომ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა აფხაზეთის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს მოსახლეობაში. ამ გარემოების ნათელსაყოფად მოვიტანოთ ცნობები მოსახლეობის დინამიკის შესახებ.

ცხრილი 1

აფხაზეთის მოსახლეობის დინამიკა (ათასობით)

წლები	მთელი მოსახლეობა	მათ შორის		პროცენტებში მთელი მოსახლეობის მიმართ		საქართველოს მთელი მოსახლეობა	აფხაზეთის ხვედრითი წონა საქართ. (პროცენტ.)
		ქალაქის	სოფლის	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა		
1866	79,2[1]	—	—	—	—	—	—
1886	68,8[2]	0,9	67,9	1,3	98,7	1697,7	4,0
1897	105,2[3]	8,0	98,2	7,6	92,4	1913,9	5,5
1926	201,0[4]	32,2	168,8	16,0	84,0	2677,2	7,5
1939	311,9[4]	88,1	223,8	28,2	71,8	3542,3	8,8
1959	404,7[5]	149,6	255,1	37,0	63,0	4044,0	10,0

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება აფხაზეთში 1866 წლიდან 1886 წლამდე. 20 წლის მანძილზე მოსახლეობამ მოიკლო 10,4 ათასი კაცით, ანუ 13,2%-ით. როგორც ვხედავთ, იძულებითი ემიგრაცია ამ პერიოდში ბევრად ჭარბობდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, მაგრამ მომდევნო პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა.

უკანასკნელი 73 წლის მანძილზე მოსახლეობა აქ ბევრად უფრო ჩქარა მატულობდა, ვიდრე მთლიანად საქართველოში, რის შედეგად აფხაზეთის ხვედრითი წონა საქართველოს მოსახლეობაში გადიდდა 4%-დან 1886 წელს, 10%-

---

[1] Г. А. Дзидзария, Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX столетии, Сухуми, 1958, გვ. 483.

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893, გვ. IX.

[3] Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 года, т. LXVI. Кутаисская губерния, С. Петербург, 1905, გვ. 1.

[4] Народное хозяйство Абхазской АССР, Сухуми, 1957, გვ. 10.

[5] საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1961, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე 1959 წლისათვის, ე. ი. 2,5-ჯერ. ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთ მთიან მხარეში სწორედ შებრუნებულ მოვლენას ჰქონდა ადგილი აღნიშნულ პერიოდში.

ცხადია, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდა აფხაზეთში შედეგია მცხოვრებთა მექანიკური მატებისა. თუმცა ბუნებრივი ზრდაც არ იდგა აქ დაბალ დონეზე. მაგრამ ეს მაჩვენებლები საკმაო რხევადობას განიცდიდნენ აღნიშნული პერიოდის სხვადასხვა ეტაპზე. 1886 წლიდან 1897 წლამდე, ე. ი. 11 წლის მანძილზე მოსახლეობა აფხაზეთში გაიზარდა 37,4 ათასი კაცით, ანუ 54,4%-ით. საშუალო წლიური მატება ამ პერიოდში შეადგენდა 4,2%-ს. არსებული ცნობებით, 1894—1898 წლებში სოხუმის ოკრუგში, რომელიც მოიცავდა აფხაზეთის ახლანდელი ტერიტორიის ძირითად ნაწილს, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა შეადგენდა 0,94 %-ს[6]. დიდი შეცდომა არ იქნება დაშვებული, თუ ბუნებრივი მატების აღნიშნულ ნორმას გავავრცელებთ მთლიანად 1886—1897 წლებზე. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ყოველწლიური მექანიკური ზრდა საშუალოდ შეადგენდა 3,26%-ს, ანუ მექანიკური ზრდა სჭარბობდა ბუნებრივ მატებას 3,4-ჯერ. ეს ის პერიოდი იყო, როცა აფხაზი მოსახლეობის თურქეთში იძულებითი ემიგრაციის შემდეგ ახლად დაიწყო თავისუფალ მიწის ფართობებზე რუსების, სომხებისა და ბერძნების ჩასახლება.

მასიური ჩასახლება აფხაზეთში გრძელდებოდა მეორე ეტაპზეც — 1897—1926 წლებში. აღნიშნულ წლებში მოსახლეობა გაიზარდა 94,8 ათასი კაცით, ანუ 89,2%-ით. 29 წლის მანძილზე საშუალო წლიური მატება შეადგენდა 2,3%-ს, ე. ი. ბევრად უფრო ნაკლებს, ვიდრე წინა ეტაპზე. მოსახლეობის ზრდის ტემპებნის შენელება გამოიწვია პირველი მსოფლიო ომისა და მეზშვიკების ბატონობის წლებში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, რის გამო აღნიშნულ წლებში შემცირდა როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური ზრდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ჩასახლება აფხაზეთში კვლავ ინტენსიურად წარმოებდა. 1926—1939 წლებში მოსახლეობა გაიზარდა 110,9 ათასი კაცით, ანუ 55,1%-ით. ყოველწლიური საშუალო პროცენტული ზრდა ამ ეპოქიდან მაღალი იყო და შეადგენდა 3,7%-ს. ასეთი დიდი ნახტომი, ცხადია, მოსახლეობის მექანიკური მატების შედეგია. გარდა ამისა, რომ ამ პერიოდში გარეთან ნოსული მოსახლეობის ნაკადი საკმაოდ მძლავრი იყო, ადგილი ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის გაფართოებასაც. მას შემატა თანამედროვე გაგრის რაიონის დასავლეთი ნაწილი, რომელიც რევოლუციამდელ პერიოდში სოხუმის ოკრუგის ფარგლებში არ შედიოდა, მაგრამ აფხაზეთის უძველეს ტერიტორიას წარმოადგენდა; იგი ავტონომიურ რესპუბლიკას დაუბრუნდა მალე 1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შემდეგ. ამ ტერიტორიაზე (თანამედროვე განთიადი, ლესელიძე, სალმე და მათი მიმდებარე სოფლები) 1926 წელს ცხოვრობდა 10,7 ათასი კაცი. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ 1926—1939 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური ნამატი აფხაზეთში შეადგენდა 100,2 ათას კაცს, ანუ საშუალოდ ყოველწლიურად მოსახლეობა იზრდებოდა 8,3 ათასი კაცით.

დიდი სამამული ომის წლებში, მართალია, შეფერხდა აფხაზეთის მოსახლეობის ზრდა, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში მექანიკურ დენადობას კვლავ

---

[6] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1902, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატურული ბალანსი ჰქონდა. ამ პერიოდში განხორციელდა მთიანი რაიონებიდან აფხაზეთის სოფლებში მოსახლეობის გეგმაზომიერი ჩასახლება, მაგრამ მასზე უფრო მნიშვნელოვანია აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობის მექანიკური ზრდა.

1939—1959 წლებში აფხაზეთის მოსახლეობა გაიზარდა 92,8 ათასი კაცით, ანუ 29,7%-ით. საშუალო წლიური მატება შეადგენდა 4640 კაცს — თითქმის ორჯერ ნაკლებს, ვიდრე წინა პერიოდში (1926—1939 წლებში). ცხადია, რომ ომმა შესამჩნევად შეაფერხა მოსახლეობის მატება. ომის შემდგომ პერიოდში მოსახლეობა აფხაზეთში კვლავ სწრაფად იზრდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1950 წლის გაანგარიშებით ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 323,2 ათას კაცს[7], ე. ი. 1950—1959 წლებში ყოველწლიური ნამატი შეადგენდა 9,1 ათას კაცს, რაც ჯარბობს კიდეეც ომამდელი წლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

მოსახლეობის დინამიკის თვალსაზრისით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ცვლილებანი აფხაზეთის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შეთანაწყობაში. როგორც რევოლუციის წინა წლებში, ისე, განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდში სწრაფად იზრდებოდა აფხაზეთის ქალაქის მოსახლეობა. 1897—1926 წლებში ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა გაიზარდა ოთხჯერ, ხოლო ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში — 2,1-ჯერ. 1926—1959 წლებში ქალაქის მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ნამატი შეადგენდა 3669 კაცს, ნაცვლად წინა პერიოდის 834 კაცისა. თუ 1922 წელს აფხაზეთში მხოლოდ ერთი ქალაქი — სოხუმი — თვლიდნენ, მომდევნო წლებში თანდათან წარმოიქმნენ ახალი ქალაქები და 1959 წლისათვის აქ უკვე არსებობდა 6 ქალაქი და 1 ქალაქის ტიპის დაბა. აღსანიშნავია, რომ არა მარტო მთელი მოსახლეობის, არამედ ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპებითაც აფხაზეთს პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ქალაქების ასეთი სწრაფი ზრდა გამოწვეული იყო ორი ძირითადი მიზეზით: საკურორტო მშენებლობით და მრეწველობის განვითარებით. ამ მოვლენაში ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ამჟამად რამდენადმე მცირეა ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა, ვიდრე საშუალოდ მთელ საქართველოში. ეს გარემოება იმის შედეგია, რომ ადრე აფხაზეთში საქალაქო ცხოვრება მეტად ჩამორჩენილი იყო. 1926 წელს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა აქ 16%-ს არ აღემატებოდა, მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 22,3%-ს. ასეთი დიდი სხვაობის ლიკვიდაცია შედარებით მოკლე ხნის მანძილზე შეუძლებელი იყო.

აფხაზეთის ქალაქის მოსახლეობის ზრდა საბჭოთა წლებში ძირითადად მექანიკური მატების შედეგად ხდებოდა. ჯერ ერთი, ადგილი ჰქონდა თვით აფხაზეთის სოფლებიდან მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ქალაქად გადასვლას; მეორეც, ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარედან მოსული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სახლდებოდა არა სოფლად, არამედ ქალაქად.

რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა დინამიკას, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ამ ნაწილის ზრდაც საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა უკანასკნელი შვიდი ათეული წლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახ-

[7] Народное хозяйство Абхазской АССР, Статистический сборник, Сухуми, 1957, ss. 10.

ლეობის ზრდის ტემპებს იგი ბევრად ჩამორჩებოდა. სოფლის მოსახლეობა იზრდებოდა საბჭოთა წლებშიაც, მაგრამ ბევრად უფრო ნელი ტემპით, ვიდრე რევოლუციამდელ პერიოდში. ეს გარემოება გამოიწვია. ჯერ ერთი, თვით სოფლად ჩასახლების შემცირებამ და, მეორეც, მოსახლეობის ნაწილის გადასვლამ სოფლიდან ქალაქად.

განვიხილოთ აფხაზეთის მოსახლეობის დინამიკის მეორე მხარე — მცხოვრებთა ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

ცხრილი 2

აფხაზეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

წლები	დაბადებულთა რიცხვი ყოველ ათას მცხოვრებზე	გარდაცვლილთა რიცხვი ყოველ ათას მცხოვრებზე	მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი ყოველ ათას მცხოვრებზე	ბუნებრივი ნამატი ყოველ ათას მცხოვრებზე ყოველ ნელიწადში	ბუნებრივი ნამატი ყოველ ათას მცხოვრებზე მთელ საბჭოთა კავშირში
1898[8]	26.0	17,0	9.0	—	—
1940[9]	25,5	11,3	14.2	18,6	13.4
1950[9]	23.4	5,5	17,9	15,6	16.9
1955[9]	22.1	5,0	17,1	16,9	17.4
1956[9]	21,1	4,5	16,6	17.1	17,5
1958[9]	21,6	4,4	17,2	15,7[12]	17,5[13]

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მკვეთრად გადიდდა საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მაჩვენებლით აფხაზეთი საკმაოდ უახლოვდება მთლიანად საქართველოს და საბჭოთა კავშირის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებლებს. მე-2 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი მატების ზრდა მიღწეულია თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობაში სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირებით. ყოველ ათას მცხოვრებზე 1958 წელს დაახლოებით ოთხჯერ ნაკლები იყო გარდაცვლილთა რიცხვი, ვიდრე 1898 წელს. სიკვდილიანობა დიდად შემცირდა აგრეთვე 1940 წელთან შედარებით (2,6-ჯერ). მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ შემცირდა აგრეთვე დაბადებათა რიცხვი 1898 წელთან შედარებით, მაგრამ იგი ბევრად უმნიშვნელოა, ვიდრე სიკვდილიანობის შემცირება, ამიტომ ბუნებრივი ნამატი მკვეთრად გაიზარდა.

თუ ყველა ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე აფხაზეთის მოსახლეობის დინამიკაში ადგილი ჰქონდა შემდეგ უმთავრეს მოვლენებს:

1. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე მოხდა მოსახლეობის იძულებითი ემიგრაცია აფხაზეთიდან თურქეთში, რის შედეგადაც მკვეთ-

---

[8] Народное хозяйство Абхазской АССР, статистический сборник, Сухуми, 1959, გვ. 10.

[9] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, 1959 წელი, საქმე 700, ფურცელი 14.

[10] Грузинская ССР, статистический сборник, Тбилиси, 1959, გვ. 28.

[11] СССР в цифрах, статистический сборник, Москва, 1959, გვ. 432.

[12] 1957 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შემცირდა მკვიდრი აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა. აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პერიოდში თითქმის გაუკაცრიელდა. ემიგრაცია არ შეხებია აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს (ყოფილი სამურზაყანო), სადაც ძველთაგანვე ცხოვრობს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა.

2. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კოლონიზაციას, რაც გამოისახა მიწის ვრცელი მასივების მეფის რუსეთის მოხელეებისა და საზოგადოების პრივილეგიური ფენის სხვა წარმომადგენელთა ხელში გადასვლით, რუსების, ბერძნებისა და სომხების მასიური ჩასახლებით აფხაზთა ყოფილ სოფლებში. ამის შედეგად სწრაფად იზრდებოდა მხარის მოსახლეობა.

3. მოსახლეობის სწრაფი ზრდა გრძელდებოდა საბჭოთა აფხაზეთშიაც, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომისწინა ხუთწლედების მანძილზე, ავრეთვე 1950 წლის შემდეგ. ჩვენ დროში გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება აფხაზეთის ქალაქის მოსახლეობა, ვიდრე სოფლისა.

4. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ადგილი აქვს მოსახლეობის არა მარტო იმიგრაციას აფხაზეთში, არამედ შიდა მიგრაციასაც, რაც გამოისახება სოფლის მოსახლეობის ნაწილის ქალაქად გადასვლაში. თუ რევოლუციამდელ პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მცხოვრებთა ხარჯზე იზრდებოდა, საბჭოთა წლებში მთავარია ქალაქის მოსახლეობის ზრდა.

5. საბჭოთა პერიოდში განხორციელებული მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შედეგად მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა, რასაც თან მოჰყვა ბუნებრივი მატების ზრდა.

6. ზემოთ აღნიშნული მოვლენების შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში 1959 წლისათვის გაიზარდა 10%-მდე, ნაცვლად 1886 წლის 4%-სა.

ცხრილი 3

აფხაზეთის მოსახლეობის სიმჭიდროვე

ადმინისტრაციული ერთეულები	მოსახლეობის რაოდენობა 1959 წ. 15 იანვრისათვის (ათასობით)	ნაფლეო ტერიტორია კვ. კმ-ში	მცხოვრებთა რაოდენობა ერთ კვ. კმ-ზე	ერთ კვ. კმ სასოფლო-საკარმიერო მიწებზე მცხოვრებნი	ერთ კვ. კმ დამუშავებულ დასახლებულ ზონაზე მცხოვრები
ქ. სოხუმი	64,7	—	—	—	—
ქ. ტყვარჩელი . . .	28,4	—	—	—	—
გაგრის რაიონი	52,2	772,4	67,6	253	479
გუდაუთის „	53,5	1640,0	32,7	122	273
სოხუმის „	84,4	3381,0	25,0	133	383
ოჩამჩირის „	61,9	1868,6	33,1	124	256
გალის „	59,6	1002,5	59,4	182	239
სულ აფხაზეთის სსრ	404,7	8664,5	46,7	193	398
სულ საქართველოს სსრ	4044,0	70166,0	57,6	153,9	338,0

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ აფხაზეთში მცირეა დამუშავებისათვის (და მაშასადამე დასახლებისათვისაც) ვარგისი მიწების ხვედრითი წონა. საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ აფხაზეთში შედარებით ცოტაა სასოფლო-სამეურნეო მიწები. ამ მიწებს უჭირავთ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მხოლოდ 24,8%, მაშინ, როდესაც მთლიანად საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი შედგენს 38,2%-ს. დამუშავებული ფართობები აფხაზეთში შედგენენ მიწის ფონდის 11,6%-ს, მთლიანად საქართველოში კი 17,1%-ს. მაგრამ მიწის ფონდების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით აფხაზეთს ის უპირატესობა აქვს, რომ აქ დამუშავებული მიწების 40% უკავია მრავალწლიან ნარგავებს, ე. ი. უფრო ინტენსიურ და შემოსავლიან დარგებს, ვიდრე მემინდვრეობაა. მთლიანად საქართველოში კი მრავალწლიან კულტურებს უკავიათ დამუშავებული მიწების 19,4%, ე. ი. აფხაზეთში უფრო მაღალია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონე, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. არა ნაკლებ საყურადღებოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ თვით სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ეპარცვლეულს კი არ უკავია, არამედ მაღალშემოსავლიან ტექნიკურ კულტურას—თამბაქოს. როგორც მრავალწლიანი ნარგავები (ჩაი, ვაზი, ციტრუსები, ტუნგი და სხვ.), ისე თამბაქო მეტად შრომატევადია და დიდი რაოდენობით საჭიროებენ მუშახელს.

თუ სიმჭიდროვეს გავიანგარიშებთ მთელი ტერიტორიის მიმართ, მაშინ აფხაზეთი შესაძრნეველად უფრო სუსტად აღმოჩნდება დასახლებული, ვიდრე მთლიანად საქართველო, მაგრამ თუ ავიღებთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ან დამუშავებულ მიწებს და მათ მიმართ ვიანგარიშებთ სიმჭიდროვეს, აფხაზეთი მაშინ ბევრად უფრო მჭიდროდ დასახლებული გამოდის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, რაც ნათლად ჩანს მე-3 ცხრილიდან. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თვით ავტონომიური რესპუბლიკის შიგნით მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალზე დიდ ფარგლებში მერყეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობა ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობის პერიფერიაზე—გორაკ-ბორცვიან ზონაში. მთიან ნაწილში სოფლები გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ მდინარეთა ხეობებში, რომლებიც ალაგ-ალაგ ოდნავ ფართოვდებიან და დასახლებისათვის ვარგისი ხდებიან. ადმინისტრაციული რაიონებიდან ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული გაგრის რაიონის ტერიტორია, აქ დიდია მოსახლეობის სიმჭიდროვე როგორც მთელ ტერიტორიაზე განაგარიშებთან, ისე სასოფლო-სამეურნეო და დამუშავებული მიწების ფართობის ერთეულზე. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი თითოეული რაიონი სასოფლო-სამეურნეო მიწებით და როგორია ამ უკანასკნელთა შიდა სტრუქტურა, დიდ ფარგლებში იცვლება სიმჭიდროვე აღნიშნულ მიწებზე განაგარიშებთან.

მოსახლეობის სიმჭიდროვეში ასეთ დიდ სხვაობებს ქმნის ბუნებრივი პირობების, კერძოდ, რელიეფის მეტისმეტი სიჭრელე.

აფხაზეთზე მოდის საქართველოს ტერიტორიის 12,3% და რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 10%, მაგრამ იმის გამო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მეტი ნაწილი ტყეებსა და უვარგის ფართობებს უჭირავს, სასოფლო-სამეურნეო მიწები საშუალოდ ერთ მცხოვრებზე აფხაზეთში უფრო ნაკლებია, ვიდრე მთლიანად საქართველოში. ამავე დროს, აფხაზეთი უკეთაა უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ვიდრე საქართველოს ზოგიერთი მხარე. თუ აფხაზეთს შევადარებთ მთლიანად საბჭოთა კავშირს დამუშავებული მიწების სულადობრივი ნორმის მხრივ, დავინახავთ, რომ აფხაზეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლებით ხუთჯერ ნაკლებია აღნიშნული ნორმა, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში.

1926—1959 წლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შემდეგნაირად შეიცვალა:

	მთელი მოსახლეობის სიმჭიდროვე	სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე
1926 წელი	24,4 კაცი 1 კვ. კმ	20,7 კაცი 1 კვ. კმ
1939 „	36,0 „ „ „ „	26,5 „ „ „ „
1959 „	46,7 „ „ „ „	29,4 „ „ „ „

როგორც ვხედავთ, 32 წლის[13] მანძილზე მთელი მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე გაიზარდა 22,3 კაცით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიმჭიდროვის მხოლოდ ეს ნამატი დაახლოებით ორჯერ აღემატება მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეს მთლიანად საბჭოთა კავშირში.

დიდი ცვლილებები განიცადა უკანასკნელი ასი წლის მანძილზე აფხაზეთის მოსახლეობის ერ ოვ ნ ულ მა შემ ად გენ ლ ობ ამ. გასული საუკუნის შუა წლებიდან დაწყებულმა აფხაზი მოსახლეობის თურქეთში ემიგრაციამ გამოიწვია აფხაზების აბსოლუტური რაოდენობის მკვეთრი შემცირება. კაპიტალისტურ ეპოქაში მხარის გაძლიერებული კოლონიზაციის შედეგად თანდათან მცირდებოდა აფხაზების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში. 1959 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 61 ათასი აფხაზი, რაც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 15,1%-ს. ქართველების რიცხვი უფრიდა 158 ათას კაცს, ანუ 39,1%-ს, რუსების—87 ათასს (21,4%), სომხების—64 ათასს (15,9%), უკრაინელების—12 ათასს (2,8%), ბერძნების—9 ათასს (2,2%)[14]. აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ავრეთვე მცირე რაოდენობით ესტონელები.

სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ყველაზე მეტი რაოდენობით აფხაზები ცხოვრობენ გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე, სადაც ისინი შეადგენენ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. თითქმის მთლიანად ქართველებითაა დასახლებული გალის რაიონი. დიდი რაოდენობითაა ქართველები ავრეთვე ოჩამჩირეს, სოხუმისა და გაგრის რაიონებში. სომხები ბევრია გაგრისა და სოხუმის რაიონებში. სოხუმის რაიონი გამოირჩევა ავრეთვე ბერძნების სიმრავლით. რუსები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, პირველ ყოვლისა, ქალაქებში, ავრეთვე გაგრისა და სოხუმის რაიონების სოფლებში. ქალაქების მოსახლეობაში უმეტესობას შეადგენენ ქართველები. რუსები და აფხაზები. რუსები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებთან შექმნილი მუშათა დასახლებებში. გაგრის და სოხუმის რაიონებში ცხოვრობენ ესტონელები (სოფლებში სალმე, სულევო და ესტონკა). რომლებიც აქ ჩამოსახლდნენ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

II. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

აფხაზეთის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება უშუალო კავშირშია ამ მხარის ბუნებრივ პირობებთან, კერძოდ, რელიეფის თავისებურებებთან.

---

[13] 1959 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა ჩატარდა 17 დეკემბრს, ხოლო 1959 წელს —15 იანვარს.

[14] საბჭოთა საქართველოს 40 წელი. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1961, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უდიდესი ნაწილი მთიანია და მხოლოდ მცირე ფართობებია ვარგისი დამუშავებისათვის. დასახლებული პუნქტებიც ტერიტორიულად მეტად არათანაბრადაა განაწილებული. ისინი ძირითადად ვაკე და გორაკ-ბოცვინა ზოლშია თავმოყრილი, ე. ი. ზღვის სანაპირა გასწვრივ და კოლხეთის დაბლობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთურ ნაწილში. მთელი დანარჩენი ტერიტორია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მდინარის ხეობათა ცალკეულ მონაკვეთებს, იმდენად მკვეთრად დახრილი მთის კალთებითაა წარმოდგენილი, რომ იგი არც დამუშავებისათვის და, მაშასადამე, არც დასახლებისათვის არ გამოიყენება. გამონაკლისს შეადგენს ბზიფის, კოდორის, ღალიძგის, გუმისთასა და ზოგიერთი მათი შენაკადის რამდენიმე ვიწრო ხეობა, რომლებიც ალაგ-ალაგ ოდნავ ფართოვდებიან და მთის კალთების დახრილობა იმდენად სუსტდება, რომ შესაძლებელი ხდება მათი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება. არსებითად, გორაკ-ბორცვები წარმოადგენენ იმ ზღვარს, რომლის ჩრდილოეთით განსახლების ერთიანი ზოლი უკვე აღარ არსებობს. ზოგჯერ მთის მკვეთრად დახრილი კალთები თითქმის უშუალოდ ზღვის ნაპირამდე მიდიან და ასეთ ადგილებში განსახლების სანაპირო ზოლის ერთიანობა დარღვეულია, როგორც ვხედავთ, სოციალ-ეკონომიური ფაქტორების გადამწყვეტ მნიშვნელობასთან ერთად რელიეფის გავლენაც მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე აფხაზეთის ფარგლებში ძალზე დიდია.

მეორე ფაქტორი, რომელიც დიდად მოქმედებს მოსახლეობის განლაგებაზე, არის ავტონომიური რესპუბლიკის ზღვისპირა მდებარეობა. შავი ზღვის სანაოსნო გზები წარმოადგენენ აფხაზეთის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ საშუალებას. ბევრად უფრო დიდი შავი ზღვის მნიშვნელობა, როგორც სანაპირო ზოლის კურორტების წარმომქმნელი ფაქტორისა. მისი უშუალო გავლენით შეიქმნა აფხაზეთში რამდენიმე კურორტი-ქალაქი და მრავალი დასასვენებელი ადგილი. ყველა ეს დასახლებული პუნქტი მეტად სწრაფად იზრდებოდა უკანასკნელი წლების მანძილზე, რასაც თან მოჰყვა მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვეთრად გადიდება სანაპირო ზოლში. ზღვის სატრანსპორტო და საკურორტო მნიშვნელობა დიდ გავლენას ახდენს სანაპირო ზოლში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდაზე. ხელს უწყობს საქალაქო ცხოვრების განვითარებას, აძლიერებს კავშირს გარე სამყაროსთან და, ამრიგად, დადებითად მოქმედებს აფხაზეთის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლაზე.

ზღვის სანაპირო ზოლში უკანასკნელ ხანებში მოსახლეობის სიმჭიდროვის დიდად ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ აქ გადის რკინიგზის ხაზი და საავტომობილო მაგისტრალი, რომლებითაც აფხაზეთი უკავშირდება მეზობელ რაიონებს და ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს. კერძოდ, შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის დამთავრებამ ბევრად გააძლიერა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან არაა აფხაზეთა ჩასახლება ავტონომიურ რესპუბლიკაში. მათი უმეტესი ნაწილი დამკიდრდა ზღვისპირას განლაგებულ ქალაქებში და საკურორტო ადგილებში.

ზღვისპირა ვაკეს და მას მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებს 200 მ სიმაღლემდე უჭირავს აფხაზეთის ტერიტორიის 26.1%. ამავე დროს ამ ზონაში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 80,7%, ანუ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით ერთ მეოთხედზე განსახლებულია მოსახლეობის ოთხი მეხუთედი. ამასთან დაკავშირებით თითეულ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ აქ ძალზე დიდია სიმჭიდროვე (144,3 კაცი). უფრო მაღალ ზონაში—200 მ-დან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1000 მ-მდე, რომელსაც მთელი ტერიტორიის დაახლოებით აგრეთვე ერთი მეოთხედი უკავია, თავმოყრილია მოსახლეობის ერთ მეხუთედზე ნაკლები და აქ საშუალო სიმჭიდროვე არ აღემატება 34,8 კაცს. მოსახლეობის გეოგრაფიული განლაგების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი მდებარეობს 1000 მ-ზე მაღლა, მაგრამ ამ ზონაში სრულიად არ არის მუდმივი მოსახლეობა. ამრიგად, 200 მეტრამდე მდებარე ზონა წარმოადგენს განსახლების მთავარ ზოლს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ადგილას წყდება, მცირე მანძილზე, მკვეთრად დაქანებული მთის კალთებით. რაც შეეხება 200—1000 მ ფარგლებში განლაგებულ განსახლების ზოლს, ის სოლებვით იჭრება გორაკ-ბორკცებსა და დაბალი მთების ზონაში—ცალკეული მდინარეების ხეობათა გასწვრივ, ან მეტად თუ ნაკლებად მოსწორებული ზედაპირის მქონე მიკროტერიტორიების სახით. ზღვისპირა ზოლში დასახლების ერთ-ერთ ხელშემშლელ მიზეზს წარმოადგენს ალაგ-ალაგ დაჭაობებული ადგილების არსებობა.

ცხრილი 4

აფხაზეთის მოსახლეობის განლაგება ჰიფსომეტრული ზონების მიხედვით

სიმაღლე ზღვის დონიდან (მეტრობით)	ფართობი ყვადრატულ კილომეტრობით	1926 წელი			1959 წელი		
		მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე კაც. ერთ ჰექ-ზე	მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე კაც. ერთ ჰექ-ზე
		აბსოლუტური	პროცენტებით		აბსოლუტური	პროცენტობით	
0— 200	2266	163749	77,3	72,2	326863	80,7	144,3
200— 400	2239	33423	15,8	21,4	49811	12,3	34,8
400— 600		7697	3,6		22385	5,6	
600— 800		5043	2,4		3297	0,8	
800—1000		1799	0,9		2344	0,6	
სულ . . .	8664,5[18]	211711	100	24,4	404700	100	46,7

მე-4 ცხრილის ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ 32 წლის მანძილზე აფხაზეთის მოსახლეობის ტერიტორიულმა განლაგებამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა. პირველ ყოვლისა, ძალზე სწრაფად იზრდებოდა 200 მ სიმაღლემდე განლაგებული ზონის მოსახლეობა, რაც გამოწვეულია, ჯერ ერთი, ზღვისპირა ქალაქებისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებით და, მეორეც, დაბლა ზონაში განსახლების უფრო კარგი პირობების არსებობით, რის გამო აქ შეიქმნა რიგი ახალი სასოფლო დასახლებანი და განხორციელდა ჩასახლება ადრე არსებულ სოფლებშიც.

ზღვისპირა ზონაში მდებარეობს აფხაზეთის მთავარი ქალაქი სოხუმი, აგრეთვე ქალაქები—გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე და ქალაქის ტიპის დასახლება ახალი ათონი; აქვეა თავმოყრილი ყველაზე უფრო მსხვილი სოფლები. 1926 წელს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა ამ ზონაში არ აღემატებოდა 19,6%-ს, ხოლო 1959 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 37%-ს. აღსანიშნავია, რომ 200—400 მ სიმაღლეზე მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური ოდენო-

[18] ჯამში შედის 1000 მ მაღლა მდებარე ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს 4159,5 კვ. კმ-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ზრდის (გადიდდა 49%-ით) მიუხედავად, ამ ზონის მოსახლეობის ხვედრითი წონა 1926—1959 წლებში ავტონომიური რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში შემცირდა 15,8%-დან 12,3%-მდე. რაც შეეხება 600—1000 მ სიმაღლეზე მდებარე ზონის მოსახლეობას, მისი ხვედრითი წონა შემცირდა 3,3%-დან 1,4%-მდე. ამ ზონის მოსახლეობის არა მარტო ხვედრითი წონა, არამედ აბსოლუტური რაოდენობაც კი შემცირდა (17,6%-ით), ე. ი. ადგილი ჰქონდა აქედან მოსახლეობის უფრო დაბალ ზონებში გადასვლას. ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ზონის სოფლები მდინარეთა ვიწრო ხეობებშია განლაგებული და სასოფლო-სამეურნეო მიწების მეტად მცირე ოდენობას ფლობს; მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის ბარში გადასვლა (ბევრი მათგანი მიდის ქალაქადაც) საყოველთაო მოვლენაა მთელ საქართველოსთვის და აფხაზეთიც ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს.

თავისებური მდგომარეობა შეიქმნა 400—600 მ სიმაღლეზე მდებარე ზონის მოსახლეობის განლაგებაში. 1926 წლის შემდეგ, მცხოვრებთა რაოდენობა ამ ზონაში სამჯერ გაიზარდა, რაც გამოიწვია ქალაქ ტყვარჩელის სწრაფმა განვითარებამ. ტყვარჩელის ორი მნიშვნელოვანი სამრეწველო უბანი—აკარმარა და ჯანტუხა სწორედ აღნიშნულ სიმაღლეთა ფარგლებშია მოქცეული. ამ უბნებში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განხორციელდა ფართო სანებო მშენებლობა, რის შედეგადაც ამჟამად აქ თავმოყრილია ქალაქ ტყვარჩელის მთელი მოსახლეობის დასახლებითი ნახევარი.

მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში მომხდარი ცვლილებებიდან, უკანასკნელი 80—100 წლის მანძილზე, აღსანიშნავია შემდეგი ძვრები: ადასელ საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზების იძულებითი ემიგრაციის შედეგად წარმოიშვა ბევრი ნასოფლარი, რომლებიც შემდგომში კვლავ ახალმა სოფლებმა დაიკავა. ახალი დასახლებული პუნქტების წარმოშობა გრძელდებოდა საბჭოთა წლებშიც. ბევრი ახალი უბანი შეემატა აგრეთვე ძველ დასახლებულ პუნქტებს, რამაც სახე უცვალა არა ერთ სოფელს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წინათ მოსახლეობა უფრო გორაკ-ბორცვიან და დაბალმთიან ზონებში ცხოვრობდა და ვაკეში ნაკლებად სახლდებოდა, რადგან აქ ჭაობების გამო ფართოდ გავრცელებული მალარია დიდ მსხვერპლს იწვევდა. ამჟამად მალარიის კერები მთლიანად ლიკვიდირებულია, რის შედეგადაც სანაპირო ზოლის ჰავა სავსებით ჯანსაღია და არამც თუ ხელს არ უშლის დასახლებას, არამედ კიდევაც იზიდავს მოსახლეობას და დამსვენებლებს. ბუნებრივი პირობების შეცვლამ უდიდესი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე.

მეორე მხრივ, ბუნებრივი პირობების, განსაკუთრებით კი რელიეფის თავისებურებებმა, დასახლების ისტორიულმა და სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ, ეროვნული შემადგენლობის სიჭრელემ წარმოშვეს განსხვავებანი მოსახლეობის გეოგრაფიულ განლაგებაში. რელიეფის ზეგავლენით წარმოიქმნა განსახლების კომპაქტური ჯგუფები. თითოეული მთგანი წარმოადგენს ერთმანეთის მეზობლად განლაგებული დასახლებული პუნქტების ისეთ ერთობლივობას, რომელსაც ქმნის მსგავსი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სოფლების ტიპები, ახლო ეკონომიური კავშირი და ა. შ. კომპაქტური განსახლების თითოეული ჯგუფი გამოყოფილია ერთმანეთისაგან, როგორც წესი, რაიმე ბუნებრივი ზღუდით—ქედებით, მდინარეებით, ვიწრო ხეობებით და სხვ. ზოგ შემთხვევაში ეს საზღვარი მკაფიოდაა გამოსახული, ზოგჯერ კი რამდენადმე პირობით ხასიათს ატარებს და არ ემთხვევა რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმე ბარკეული ხახს, რადგან განმასხვავებელი ნიშნების შეცვლა ხდება თანდათანობით. ამავე დროს, კომპაქტური განსახლების ჯგუფები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებული დასახლებული პუნქტების ერთობლივობა. თითოეული ასეთი ჯგუფი ერთმანეთის მახლობლადაა განლაგებული, უმთავრესად ზღვისპირა ზონაში, და მჭიდრო კავშირურთიერთობაც არსებობს მათ შორის. გამაერთიანებელი, მსგავსი ზოგადი ნიშნები მათ უფრო მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი თავისებურებანი; მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც არსებობენ და მათი უგულებელყოფა არ იქნებოდა სწორი. უფრო მეტიც, თვით კომპაქტური განსახლების ცალკეულ ჯგუფებს შიგნითაც არსებობს განმასხვავებელი ნიშნები და მათაც უნდა გაეწიოს გარკვეული ანგარიში. ასე მაგალითად, განსახლების ერთ ჯგუფში ჩვენ ვიერთიანებთ არა მარტო ზღვისპირა ვაკეზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს, არამედ უშუალოდ მათ მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებზე გაფანტულ სოფლებსაც, თუმცა ეს უკანასკნელნი თავისი დაგეგმარებით, დასახლების სიმჭიდროვით და გვიგეგანი შეხედულობით ბევრნაირად განსხვავდებიან პირველთაგან, მაგრამ ეს ქვეჯგუფები იმდენად ახლო კავშირშია ერთმანეთთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელიც არის. ზოგ შემთხვევაში განსახლების დიდი ჯგუფის შიგნით არსებობს მდინარეთა ხეობებში მოქცეული, უფრო პატარა ჯგუფები ან ცალკეული სოფლები, რომლებსაც მეტად თუ ნაკლებად იზოლირებული მდგომარეობა აქვთ.

მოხსენებული ნიშნების მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე კომპაქტური განსახლების შემდეგ რვა ჯგუფს გამოვყოფთ: ლესელიძე-განთიადის, გაგრა-ბიჭვინთის, მიუსერა-ახალი ათონის ანუ გუდაუთის, სოხუმ-გულრიფშის, წვიტელდა-ამტყელის, ლათიაჟარას, ოჩამჩირე-ტყვარჩელის, გალის.

ქვემოთ მოგვყავს თითოეული დასახელებული ჯგუფის ძირითადი ნიშნები.

ლესელიძე-განთიადის ჯგუფის სოფლებს უჭირავს გაგრის ადმინისტრაციული რაიონის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი—რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე, მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს. სოფლები აქ განლაგებულია როგორც ზღვისპირა ვაკეზე—ფსოუსა და ხაშუპსეს შორის, ისე მის მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებზე და დაბალ მთიანეთში. განსახლების ზოლი გრძელდება მდ. ხაშუპსეს სამხრეთ-აღმოსავლეთითაც, მაგრამ აქ მთის ყალთები ზღვის ნაპირამდე მიდიან და მხოლოდ ალაგ-ალაგ, სადაც მათი დახრილობა შესამჩნევად სუსტდება, გაფანტულია პატარა სოფლები (ცივწყალა, გოგებეშაკი, ჩიგრიაში და სხვ.) და საკურორტო დასახლება ცივწყალა. გაგრის დასავლეთით, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ტერიტორია იმდენად მთიანია ზღვისპირას, რომ სრულიად ადარ არსებობს დასახლების შესაძლებლობა და აქ სოფლები არც გვხვდება.

განსახლების ეს ჯგუფი შეიქმნა გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან. მანამდე აქ ცხოვრობდნენ აფხაზთა მონათესაესე ტომის ხალხი - ჯაქები, რომლებმაც XIX საუკუნის შუა წლებში დატოვეს მდ. ფსოუსა და მდ. მზიმთის მიმდებარე მიწები და თურქეთში გადასახლდნენ. შემდეგ განხორციელდა სომხების, რუსებისა და ესტონელების ჩასახლება. ამ ადგილებში და შეიქმნა სოფლების დღევანდელი არსებული ჯგუფი. რამდენიმე აქაური სოფელში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში განხორციელდა საქართველოს მთიანი რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონებიდან მოსახლეობის ჩასახლება. ვაკის სოფლებში ჭარბობენ რუსები და ქართველები, ხოლო გორაკ-ბორცვიან ზონაში—სომხები. ესტონელები ცხოვრობენ ფსოუს მარცხენა ნაპირას მდებარე ორ სოფელში—სალმესა და სულევოში. განსახლების ჯგუფში შედის შვიდ სასოფლო საბჭოში გაერთიანებული 32 სოფელი, რომელთაგან ყველაზე დიდია განთიადი, ხვივანი, სალმე და სულევო; თითოეული მათგანის მოსახლეობა აღემატება ათას კაცს. სულ აქ ცხოვრობს 19040 კაცი, ანუ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 5%. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მდ. ფსოუს დინების აღმ. განსახლება გრძელდება 17—18 კმ (პირდაპირი ხაზით), ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 16—17 კმ. ამავე მიმართულებით განსახლების ზოლი თანდათან ვიწროვდება. სოფლების მეტი ნაწილი ერთმანეთზეა წაბმული, ხოლო ალაგ-ალაგ იზოლირებულია პატარა ქედებითა და გორაკებით. განსახლებას უჭირავს დაახლოებით 170 კვ. კმ ფართობი და საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 112 კაცს. სიმჭიდროვე ძალზე დიდია ზღვისპირა ვაკეზე და აწრაფად ეცემა გორაკ-ბორცვებისაკენ. სადაც დასახლების პირობები ბევრად უფრო არახელსაყრელია. ხაშუპსესა და ფსოუს შუა ვაკეს უჭირავს სულ რაღაც 12—14 კვ. კმ. ფართობი და აქ თვამოყრილია 14 ათასამდე კაცი, ანუ ერთ კვ. კმ-ზე ათასამდე მცხოვრები მოდის; ეს კი უახლოვდება საქალაქო ტიპის დასახლების სიმჭიდროვეს. მართლაც, აქ განლაგებული სოფლები—განთიადის, ლესელიძის, ხვივანისა და სხვა დასახლებული პუნქტების დგეგმარება შესაძრნეველად უახლოვდება საქალაქო დასახლების ტიპს. საავტომობილო მაგისტრალისა და რიგი სხვა პირდაპირი ქუჩების გასწვრივ ჩამწკრივებულია 1-2 სართულიანი სახლები. რომლებსაც პატარა საკარმიდამო ნაკვეთები აკრავთ. აქვეა განლაგებული რამდენიმე დასასვენებელი სახლი და სამრეწველო საწარმო (თამბაქოს საფერმენტაცია, საკონსერვო და ღვინის ქარხანები). მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება მუშა-მოსამსახურეებისაგან, რომლებიც ქვეყნის მრეწველობაში, საკურორტო მეურნეობაში, ოკეანგზის ტრანსპორტსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებშია ჩაბმული. ზღვისპირა სოფლები თავისი გარეგანი სახით და ძირითადი ფუნქციით უფრო უახლოვდება საკურორტო დასახლებას. ყოველწლიურად, ზაფხულისა და ადრე შემოდგომის თვეებში (ივნისიდან-ოქტომბრამდე) აქ დიდი რაოდენობით მოდიან დამსვენებლები ე. წ. „აორარგახზებული“ წესით და ქირაობენ ოთახებს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. გორაკ-ბორცვებისა და დაბალი მთიანეთის სოფლების მოსახლეობის საქმიანობაში კი სოფლის მეურნეობას უკავია უმთავრესი ადგილი. გორაკ-ბორცვიან ქვეზონაში არა მარტო მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა მცირე, არამედ თითოეული სოფელიც ბევრად უფრო გაფანტული დასახლებით გამოირჩევა ზღვისპირა სოფლებთან შედარებით.

განსახლების **გ ა ბ ი ტ ვ ი ნ თ ა ს** ჯგუფი იწყება მდ. ეოკკარას შესართავიდან ქალაქ გაგრით და გრძელდება ზღვის ნაპირის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით ბიჭვინთას კონცხამდე. ეს ზოლი დასაწყისში, ქალაქ გაგრის ფარგლებში, მეტად ვიწროა; დაახლოებით 10—12 კმ შემდეგ თანდათან ფართოვდება მდ. ბზიფის ქვემო დინებისაკენ. განსახლების წინა ჯგუფისაგან განსხვავებით, აქ ეკავს მეტი ტერიტორია უკავია. ვიდრე მოსახლეობა გორაკ-ბორცვებს. ეს უკანასკნელი მთავარ საავტომობილო მაგისტრალს ეკვრის ჩრდილოეთიდან ვიწრო ზოლის სახით და დასახლებისათვის ვარგისი მიწების მცირე ფართობებს შეიცავს. სამაგიეროდ ვაკის მეტი ნაწილი დამუშავებულ მიწებს უჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს. ადრე აქ არსებული ნახევრად დაჭაობებული, ბუჩქნარით დაფარული მიწები თანდათან ადგილს უთმობს ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებს; პარალელურად ფართოვდება ტერიტორიის საცხოვრებლად ათვისება.

თანამედროვე სოფლები დასახლების გაგრა-ბიჭვინთას ჯგუფში წარმოიქმნა უკანასკნელი 60—70 წლის მანძილზე, როცა ემიგრირებული აფხაზი მოსახლეობის ადგილი თანდათან დაიკავეს ჩამოსახლებულმა ქართველებმა, სომხებმა და რუსებმა. აფხაზი მოსახლეობა შედარებით მცირე რაოდენობით ცხოვრობს რამდენიმე სოფელში. თუ გაგრის მოსახლეობის საქმიანობაში მთავარია კურორტზე ჩამოსულ დამსვენებლთა მომსახურება, მეზობელი სოფლების მცხოვრებლები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო შრომაში არიან ჩაბმული. ბიჭვინთას კონცხის მიდამოებში ამჟამად წარმოებს საკურორტო დასახლების შექმნა, რის გამო აქ სწრაფად იზრდება მცხოვრებთა რაოდენობა.

გაგრა-ბიჭვინთას დასახლებას ბევრად ნაკლები ტერიტორია უჭირავს ლესელიძე-განთიადის ჯგუფის სოფლებთან შედარებით. ყოველდღიურად მიუსრულ მაღლობებამდე (სოფ. ლიძავას აღმოსავლეთი საზღვარი) დასახლება გრძელდება 21—22 კმ მანძილზე. დასახლების ზოლი ძალზე ვიწროა ძველი და ახალი გაგრის საზღვარზე, ხოლო სიგანე მაქსიმუმს აღწევს მდ. ბზიფის ქვემო წელის მიდამოებში—ზღვის ნაპირიდან მდინარის ხეობის შევიწროვებამდე. განაშენიანებული ტერიტორია თავისი ფორმით მოგვაგონებს სამკუთხედს, რომლის ფუძეს წარმოადგენს ბიჭვინთის კონცხიდან გავლებული ხაზი—მდ. ბზიფის ვიწრო ხეობის დასაწყისამდე, წვერი კი ძველი გაგრით მთავრდება. გარდა ქალაქ გაგრისა, აქ შედის 23 სოფელი (4 სასოფლო საბჭო). განსახლების მთელ ჯგუფს უჭირავს დაახლოებით 105 კვ. კმ ფართობი, მცხოვრებთა საერთო რაოდენობა კი შეადგენს 32360 კაცს—ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 8,1%-ს. საშუალო სიმჭიდროვე ძალზე მაღალია და შეადგენს ერთ კვ. კმ-ზე 300 კაცს. ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ქ. გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე სოფლები, ბიჭვინთას კონცხის მიმართულებით კი დასახლება თანდათან სუსტდება. განსაკუთრებით ცოტაა მოსახლეობა კონცხის ჩრდილოეთით—მდ. ბზიფის ქვემო წელის მარცხენა ნაპირამდე, სადაც ნახევრად დაჭაობებულ ფართობებს ინკითის ტბის მიდამოებში მნიშვნელოვანი ტერიტორია უკავია. დასახლებული პუნქტები არ არის აგრეთვე ზღვის სანაპიროზე—გაგრისა და სოფ. ალახაძს შუა. საკმაოდ მჭიდროდაა მოსახლეობა განლაგებული მთავარი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ—გაგრიდან ბზიფის ხიდამდე. ამ უკანასკნელის ზემოთ ბზიფის ხეობა იმდენად ვიწროვდება, რომ დასახლებული პუნქტები თითქმის სრულებით აღარ გვხვდება.

სრულიად იზოლირებული მდებარეობა აქვთ მდ. ბზიფის ხეობაში განლაგებულ, მაღალი მთებით მოზღუდულ რამდენიმე პატარა სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია ფსხუს სასოფლო საბჭოში. ეს სოფლები მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და ბზიფის ქედს შუა. მდ. ბზიფისა და მისი მარჯვენა შენაკადის ბაგიუს ნაპირებზე მთის კალთების დაქანება ოდნავ სუსტდება და აქ შვიდამდე დასახლებული პუნქტია გაბნეული ულამაზესი ტყეებით შემოსილ ფერდობებზე. მათ შორის ყველაზე მოზრდილია ფსხუ; მისი მოსახლეობის რიცხვია 169 კაცი, ხოლო შვიდივე სოფელში სულ 537 კაცი ცხოვრობს. ფსხუ და მისი მეზობელი სოფლები მხოლოდ ბილიკითა და საჰაერო მიმოსვლითაა და-

კავშირებული გარე სამყაროსთან. გასულ საუკუნეში აქაური აფხაზებიც თურქეთში გიიხიზნენ, რის შემდეგ რუსები ჩასახლდნენ ამ მიუვალ კუთხეში. ულიანი ტყეებით გარშემორტყმულ ფსხუს მეტად მიმზიდველი მდებარეობა აქვს. მას ყოველ ზაფხულს ეწვევიან ხოლმე ტურისტები და დამსვენებლები.

განსახლების მიუსერა-ახალი ათონის ჯგუფი მოიცავს თითქმის მთლიანად გუდაუთის რაიონის დასახლებულ პუნქტებს თვით ქალაქ გუდაუთის ჩათვლით—მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირიდან დაბა ახალ ათონამდე (ჩათვლით). დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ განსახლება 40 კმ-ზე გრძელდება, ხოლო მაქსიმალური სიგანე დაახლოებით გუდაუთის მერიდიანს ემთხვევა და შეადგენს 15—16 კმ-ს. განსახლების ზოლის დასავლეთი ნაწილი მოქცეულია მიუსერას მაღლობებსა და ბზიფის ქედის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთურ ნაწილს შორის; რამდენიმე პატარა სოფელი მდებარეობს აგრეთვე მიუსერას დასავლეთ კალთებზე. თვით ამ მაღლობების ცენტრალური ნაწილი საკმაოდ დაწყვარებულია, დაფარულია ტყით და დასახლებისათვის არ გამოიყენება. განსახლების ზოლი აღმოსავლეთით თანდათან ფართოვდება და მალე გამოდის ზღვის ნაპირზე, სადაც უჭირავს ქ. გუდაუთას დასავლეთით მდებარე მოზრდილი ვაკე. ქალაქის აღმოსავლეთით ზღვის ნაპირს უშუალოდ ეკვრის გორაკ-ბორცვები, ხოლო ახალი ათონის მიდამოებში ტერიტორიის დანაწევრება იზრდება და პატარა სოფლების ჯგუფი გაბნეულია მთა-გორებს შორის.

სოფლების უდიდესი ნაწილი გუდაუთის რაიონში მდებარეობს 200 მ სიმაღლემდე, უმეცრესი კი 200—400 მ სიმაღლეთა შორის; სულ რამდენიმე პატარა სოფელია განლაგებული აღნიშნულ ზღვარს ზევით. ყველაზე უფრო კომპაქტურად განსახლების ამ ჯგუფშია თავმოყრილი მკვიდრი აფხაზი მოსახლეობა, რადგან აქედან უმნიშვნელო რაოდენობით ჰქონდა ადგილი ემიგრაციას გასულ საუკუნეში. აფხაზებს გარდა, სოფლად მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სომხები, ქართველები და რუსები.

მხოლოდ ვაკე ნაწილში, გუდაუთას და მიუსერას შუა, გვხვდება სწორად დაგეგმილი სოფლები (ბომბორი, ახალსოფელი და სხვ.). ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე კი დასახლებული პუნქტები გაფანტულია გორაკ-ბორცვებზე. სახლები ერთმანეთისგან, როგორც წესი, დიდი მანძილითაა დაცილებული, ხოლო სოფლებს შორის საზღვარი მკვეთრად არ ჩანს. მდინარეების: შავწყალას, თეთრწყალას, ბაკლანოვკას და მათი მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადების ხეობებსა და გორაკებზე გაბნეულ სოფლებს რომ ზევიდან დახედოთ, ერთი ვეებერთელა დასახლებული პუნქტი წარმოგიდგებათ, სადაც საცხოვრებელი სახლები თავისი კარ-მიდამოთი გაბნეულია მცირე ზომის სახნავ-სათეს ნაკვეთებსა და ბუჩქნარით დაფარულ ფართობებს შორის.

მიუსერა-ახალი ათონის განსახლების ჯგუფს უჭირავს 400-მდე კვ. კმ ტერიტორია. საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 1 კვ. კმ-ზე 125 კაცს, გაცილებით უფრო ნაკლებს, ვიდრე გაგრის განსახლების ჯგუფში. აქ შედის ერთი ქალაქი და 104 სოფელი. მათი უმრავლესობა პატარა დასახლებული პუნქტებია; თითოეულის მცხოვრობთა რიცხვი შეადგენს 100—500 კაცს, ზოგჯერ კი ნაკლებსაც. სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 88 კაცს. გუდაუთის განსახლების ზოლს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მთის ციცაბო კალთები, რომელთა ძირში განსახლების ზოლის საზღვარი მკვეთრადაა გამოსახული. ამ საზღვრის სამხრეთით, ზღვის ნაპირამდე დასახლებისათვის გამოყენებულია ეფილი ტერიტორია მიუსერას მაღლობების გამოკლებით. სამაგალითო რაიონის ტერიტორიის სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხედი. თავისი მთიანი რელიეფის გამო სრულიად არ არის გამოყენებული არც საცხოვრებლად და არც დამუშავებისათვის. გუდაუთის განსახლების ჯგუფში ცხოვრობს აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 12.6%.

განსახლების სოხუმის ჯგუფი გრძელდება სოფ. ფსირცხიდან დრანდამდე და აერთიანებს სოხუმის ადმ. რაიონის დასახლებული პუნქტების უმეტესობას. აგრეთვე გუდაუთის რაიონის ფსირცხის საბჭოს სამ სოფელს, რომლებიც უშუალოდ ეკვრის სოფ. ეშერს. ჩრდილოეთ-დასავლეთიდან გუდაუთის განსახლების ზოლს გამოჰყოფს სოხუმის ჯგუფის სოფლებისაგან მწვერვალ აე-ამგგადან სამხრეთ-დასავლეთით წამოსული მთის განტოტება, რომელიც ფსირცხასა და ახალ ათონს შუა თითქმის ზღვის ნაპირამდე მიდის. სამხრეთ-აღმოსავლეთით განსახლების ეს ზოლი მდ. კოდორამდე აღწევს. გრძელდება რა დაახლოებით 40 კმ-ზე. მისი სიგანე კი ზღვის ნაპირიდან მთების მიმართულებით საკმაოდ ცვალებადია და შერყეობს 5—18 კმ-ის ფარგლებში; სოხუმსგარდა. აქ შედის 103 სოფელი. განსახლების წინა ჯგუფებთან შედარებით, ზოლს ახასიათებს უფრო მეტი შიდასიჯრელე, რაც გამოწვეულია რელიეფის თავისებურებით. მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გუმისთას მარჯვნივ (ეშერი-ფსირცხა) თავისი მდებარეობით ბევრად გავს გუდაუთის განსახლების ტიპს; ეს სოფლებიც გორაკ-ბორცვებზეა გაბნეული. გუმისთასა და კოდორს შუა კი სოფლები ან ზღვისნაპირა ვაკეზეა განლაგებული, ან მდინარეთა შედარებით ვიწრო ხეობებში. ამიტომ დასახლებულ პუნქტებს მეტ შემთხვევაში იზოლირებული მდებარეობა აქვთ და შინაგანი კომპაქტურობა ახასიათებთ.

სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მაჭარასა და კოდორს შუა მსხვილი სოფლები მეტწილად ვაკეზეა განლაგებული. აქ სპირბობს წესიერად დაგეგმილი დასახლებული პუნქტები; მათი მთავარი ქუჩები მეტ შემთხვევაში მიმართულია ზღვის ნაპირიდან გორაკ-ბორცვებისაკენ და ხშირად რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება. სოხუმის განსახლების ზოლში (ქალაქის მოსახლეობის ჩათვლით) ცხოვრობს 137.4 ათასი კაცი, ანუ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 34%-ზე მეტი. მისი ტერიტორია შეადგენს 510 კვ. კმ-ს. მოსახლეობის სიმჭიდროვე—270 კაცს ერთ კვ. კმ-ზე. სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე კი უფრის 148 კაცს 1 კვ. კმ-ზე. სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტს აქ ქართველები შეადგენენ, დანარჩენი კი მოდის სომხებზე, რუსებზე, აფხაზებზე და ბერძნებზე.

სოხუმის განსახლების ჯგუფს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება *წებელდა-ამტყელის* ჯგუფის სოფლები, სადაც 30-მდე წვრილი დასახლებული პუნქტია, რომელთაგან უმრავლესობის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 100—200 კაცს, მთელი მოსახლეობა კი შეადგენს 5.2 ათას კაცს. წებელდა და მისი მეზობელი სოფლები უფრო მჭიდრო დასახლებას წარმოქმნიან, მაშინ, როდესაც მდ. ამტყელისა და მისი შენაკადების ხეობებში სოფლები უფრო დიდი მანძილითაა ერთმანეთისაგან დაცილებული. ყველა ეს სოფელი მთა-გორიან რელიეფზეა განლაგებული და დასახლების მაინცდამაინც ხელსაყრელი პირობებით არ გამოირჩევა.

მდ. კოდორის ვიწრო ხეობაშია განლაგებული *განსახლების ლათიანარას ზოლი*. ლათის სასოფლო საბჭო ესაზღვრება წებელდა-ამტყელის განსახლების ჯგუფს და 9 პატარა სოფელს აერთიანებს; ისინი კოდორის ორივე ნაპირის გასწვრივაა გაჭიმული 13—14 კმ მანძილზე; მოსახლეობა შედგება სომხებისა და ქართველებისაგან. ბევრად უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეობს აჟარას ჯგუფის დასახლება, რომელიც 18 პატარა სოფლისაგან შედგება. ამ სოფლებში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, რომლებიც ზემო სვანეთიდან გადმოვიდნენ გასული საუკუნის მიწურულში და შექმნეს ე. წ. აფხაზეთის სვანეთი. სოფლები გაბნეულია კოდორის ზემო დინებისა და მისი შენაკადების ხეობებში—ზღვის დონიდან 600—1 000 მ სიმაღლეზე. ყველაზე დაბლა მდებარეობს სოფლები ზიმა და შაბათკარა, ხოლო მაღალი მდებარეობა აქვთ მარჯვენა პტიშს, აკეცსა და ხუტიას. აფხაზეთის სვანეთის მოსახლეობა შეადგენს 3228 კაცს. ლაფი-აჟარას განსახლების ზოლის მცხოვრებთა საერთო რიცხვი კი 4,4 ათას კაცს უდრის. აჟარას ჯგუფის სოფლები ყველაზე ღრმად იჭრება აფხაზეთის ჩრდილოეთ მთიან ნაწილში.

ოჩამჩირე-ტყვარჩელის განსახლების ჯგუფი აერთიანებს ქ. ტყვარჩელსა და ოჩამჩირის რაიონის სოფლებს, რომლებიც კოდორსა და ოქუმს შორისაა განლაგებული. ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი გრძელდება 35—37 კმ. ხოლო სიგანე საშუალოდ 23-25 კმ-ს შეადგენს. საკმაოდ ღრმად იჭრება დაბალმთიან ზონაში ქ. ტყვარჩელის უკიდურესი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (აკარმარა და ჯანტეხა). გარდა ტყვარჩელისა და ოჩამჩირის, აქ შედის 112 სოფელი, რომელთა უდიდესი ნაწილი მცირე სიდიდისაა. ზღვისპირა ვაკეში უფრო მეტად გვხვდება ერთმანეთისაგან განცალკევებით მდებარე მსხვილი სოფლები (ახალდაბა, ახალი კინდღი, ახალი ტამიში და სხვ.) განსახლების ამ ჯგუფის ვაკე და გორაკ-ბორცვიან ზოლში შიგადაშიგ შემორჩენილია ტყის მოჩრდილი მასივები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოჰყოფენ სოფლების ცალკეულ ჯგუფებს. შედარებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებთან ერთად აქ დიდი რაოდენობით ვხვდებით ეკიცელ ტერიტორიაზე გაფანტულ დასახლებულ პუნქტებსაც. ასეთი სოფლები უფრო მეტად გორაკ-ბორცვიან ზონაშია თავმოყრილი. ზღვისპირა ვაკეს აქ გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს, ვიდრე განსახლების ზემოთ განხილულ ჯგუფებში. მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დასახლებისათვის ათვისებული, ამიტომ სიმჭიდროვე აქ უფრო ნაკლებია, ვიდრე განსახლების ზოგიერთ სხვა ზოლში. ოჩამჩირე-ტყვარჩელის განსახლებას უკავია დაახლოებით 850 კვ. კმ ფართობი და მთელი მოსახლეობა შეადგენს 89,1 ათას კაცს (აფხაზეთის მოსახლეობას 22,2%-ს). ანუ საშუალო სიმჭიდროვე ქალაქის მოსახლეობის ჩითვლით უდრის 105 კაცს ერთ კვ. კმ. სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე კი არ აღემატება 54 კაცს.

იმის გამო, რომ ოჩამჩირის რაიონში არსებობდა ასათვისებელი მიწების ზოგიერთი რეზერვები, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აქ შეიქმნა ბევრი ახალი სასოფლო დასახლება, გაიხსნა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები. განსახლების ზონაში სოფლის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ აფხაზები, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ქართველები, ვხვდებით სომხებით დასახლებულ სოფლებსაც; ტყვარჩელში და ოჩამჩირეში ჰარბობენ რუსები, აფხაზები და ქართველები.

გალის განსახლების ჯგუფს უჭირავს აფხაზეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. შავი ზღვის სანაპირის გასწვრივ დასახლება გრძელდება 30 კმ-ზე; ზოლის სიგანე ენგურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ (პირდაპირი ხაზით) შეადგენს 45 კმ-ს. ოჩამჩირის რაიონის საზღვარზე კი არ აღემატება 26 კმ-ს. მისი საერთო ფართი უდრის დაახლოებით 830 კვ. კმ-ს. მოსახლეობა—58.8 ათას კაცს; სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე—71 კაცი; სოფლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსახლეობის სიმჭიდროეე არ აღემატება 60 მცხოვრებს 1 კვ. კმ-ზე. როგორც ვხედავთ, სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვეთი გალის და ოჩამჩირის რაიონები საკმაოდ უახლოვდება ერთმანეთს და ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული აფხაზეთის სხვა რაიონებთან შედარებით. გალის რაიონში მნიშვნელოვანი ფართობები ეკავა ჭაობებს, რომელთა ამოშრობას საბჭოთა წლებში ყურადღება მიექცა და აჭკამად მათი გავრცელების არე შესამჩნევად შემცირდა, მაგრამ ჯერ მაინც არ არის ლიკვიდირებული. აქ თითქმის საყოველთაოდ განსახლების საკარმიდამო ტიპია გავრცელებული. სოფლები დიდ ტერიტორიაზეა გაფანტული როგორც ვაკეში, ისე გორაკ-ბორცვიან ზოლში და ერთმანეთზეა წაბმული. ყველაზე უფრო მჭიდრო დასახლებაა მნიშვნელოვანი გზების გასწვრივ, აგრეთვე ენგურის სანაპირო ზოლში. განსახლების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, ზღვისპირა ზოლი აქ ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული, რადგან იგი მეტ შემთხვევაში ჯერ კიდევ ამოუშრობელ ჭაობებს უკავია. მოსახლეობის 9/10-ზე მეტი განლაგებულია 200 მ სიმაღლემდე, დანარჩენი კი 200—300 მ სიმაღლეთა შუა. აღნიშნულ ზღვარს ზევით არც ერთი სოფელი აღარ მდებარეობს, ვინაიდან დამუშავებისათვის ვარგისი მიწები უფრო მაღალ ზონაში აღარ გვხვდება. გალის რაიონის მოსახლეობა მთლიანად ქართველებისაგან შედგება. მხოლოდ ქ. გალში და საბჭოთა მეურნეობებთან ცხოვრობენ ნაწილობრივ არა ქართველები (უმთავრესად რუსები). განსახლების გალის ჯგუფზე მოდის აფხაზეთის მოსახლეობის 14,5%.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებამ, დასახლების სოციალ-ეკონომიურმა ვითარებამ და ეროვნული შემადგენლობის სიჭრელემ არა მარტო განსახლების ჯგუფების ჩამოყალიბება გამოიწვიეს, არამედ სხვადასხვა ტიპის სოფლების წარმოქმნასაც შეუწყვეს ხელი. სოფლების ტ ი პ ო ლ ო გ ი ა ხდება მათი გარეგნული სახის მიხედვით, რასაც ქმნის ადგილმდებარეობის თავისებურებანი, დასახლების სიმჭიდროვე, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობების სახეობანი, დაგეგმარება, სიდიდე. კარ-მიდამოს მწვანე სამოსელი და ა. შ. ყველა ეს ფაქტორი გარკვეულ ერთობლივობაშია მოცემული და აყალიბებს სოფლის განსაზღვრულ ტიპს. ერთნაირ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში წარმოქმნილი სხვადასხვა სოფლების გარეგანი სახის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდია რელიეფის, კლიმატისა და ბუნების სხვა კომპონენტების როლი. შესამჩნევ გავლენას ინარჩუნებს აგრეთვე ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი, ისტორიული ტრადიციებით ჩამოყალიბებული საცხოვრებელი შენობები და კარ-მიდამოები. სწორედ ამაში გამოისახება უმთავრესად მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გავლენა სოფლის გარეგან ხედზე. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს აგრეთვე მოსახლეობის საქმიანობას, ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულებას, ან კიდევ შრომის იმ დარგებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მიწის დამუშავებასთან ერთად.

რას წარმოადგენს აფხაზეთის სოფლები ამ თვალსაზრისით?

აფხაზეთის სოფლების სიჭრელე გამოისახება, პირველ ყოვლისა, გარეგნული სახის ისეთ განმსაზღვრელ ელემენტში, როგორიცაა დასახლებული პუნქტის სიდიდე.

ყველაზე მრავალრიცხოვანია აფხაზეთში წვრილი სოფლები, რომელთაგან თითოეულში ცხოვრობს არა უმეტესი 500 მცხოვრებისა. 1959 წლის 15 იანვრისათვის ასეთი სოფლების რიცხვი შეადგენდა 373-ს, ანუ სოფლების მთელი

რაოდენობის 71,3%-ს, ხოლო ამ სოფლებში მცხოვრებთა ხვედრითი წონა აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში უდრიდა 34,7%-ს. მსხვილ სოფლებს (თითოეულში 1000-ზე მეტი მცხოვრებით) რიცხვით უკავიათ მესამე ადგილი, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით—პირველი (39,6%). საშუალო სიდიდის სოფლები (თითოეული 500—1000 მცხოვრებით) რიცხვით მეორე ადგილზეა (სულ 93 ასეთი სოფელია), მოსახლეობის რაოდენობით კი მესამეზე (25,7%).

ცხრილი 5

აფხაზეთის სოფლის მოსახლეობის განაწილება დასახლებული პუნქტების სიდიდის მიხედვით

მცხოვრებთა რაოდენობა თითოეულ დასახლებულ პუნქტში	სოფლების რიცხვი	მთელი მოსახლეობა ამ სოფლებში
1— 100	74	4775
101— 200	83	12324
201— 500	216	72297
501— 1000	93	64562
1001— 2000	46	59300
2000 მეტი	11	41782
სულ	523	255100

მსხვილი სოფლები მდებარეობს ზღვისპირა ვაკის ზოლში. მეტ შემთხვევაში ისინი გამოირჩევიან წესიერი დაგეგმარებით და შიდა კომპაქტურობით. პირდაპირი ქუჩები მართობულად ჰკვეთენ ერთმანეთს და წარმოქმნიან სწორკუთხოვან საცხოვრებელ კვარტალებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე და განაშენიანებულია საკმაოდ მოზრდილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. ამ უკანასკნელთა მშენებლობაში გამოყენებულია მეტ შემთხვევაში მინერალური საშენი მასალები: ქვა, აგური, წიდა-ბლოკები. ხშირად შენობის ჩონჩხი რკინა-ბეტონისაგან არის ნაგები, ხოლო ძირითად კონსტრუქციებს შორის გამოშენებული კედლები თხელია—ნახევარი აგურით და წიდა მასალით ამოშენებული. ასეთი შენობები არაიშვიათად ორსართულიანია (განსაკუთრებით საკურორტო დასახლებებში). საერთოდ, აფხაზეთის ზღვისპირა ზონაში საკმაოდ ფართო გავრცელება აქვს მსუბუქი კონსტრუქციის საცხოვრებელი სახლების აგებას. აქ ცოტაა ისეთი კაპიტალურად ნაგები შენობები, როგორიც ქართულ-კახეთის სოფლებში გვხვდება. ეს გარემოება აიხსნება ორი უმთავრესი მიზეზით: ჯერ ერთი, აქ ჰაკა თბილია და იშვიათია ქარები, რის გამო თხელი კედლები კლიმატურ პირობებს საკმაოდ ეგუება; მეორეც, მშენებლობის გაიაფების გზით შესაძლებელი ხდება უფრო ვრცელი ბინების მოწყობა. ასეთი მისწრაფება უშუალოდ ზღვისპირა ზოლში მცხოვრებთა შორის ძალზე დიდია, რადგან ბინების დამსვენებლებზე გაქირავება აქ მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ საცხოვრებელ სახლებში, თითქმის ყოველთვის, აივნებიც ოთახებადაა გადაკეთებული. ვაკეში სახურავ მასალად გამოყენებულია თუნუქი, კრამიტი და შიფერი. ზოგიერთ ასეთ სოფელში შეხვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავების სამრეწველო საწარმოებს (გათიადი, ღვინეული, დარანდა, ნაბაკევი და სხვ.). ამ სოფლებში კოლმეურნეთა მეზობლად საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეებიც.

ს ა შ უ ა ლ ო ნ ა ხ ი დ ი ს ს ო ფ ლ ე ბ ი გვხვდება როგორც ვაკეში, ისე გორაკ-ბორცვიან ზონაში. ამ უკანასკნელი ზონის სოფლებისათვის დამახასიათებელია ბევრად უფრო ნაკლები კომპაქტურობა. საცხოვრებელი სახლები თავისი საკარმიდამო ნაკვეთებით გაბნეულია გორაკ-ბორცვებზე და ზოგჯერ ასეულობით მეტრი მანძილითაა ერთმანეთისაგან დაცილებული. ამ ზონაში უფრო ჭრელია საცხოვრებელი სახლების ტიპები. შეხვდებით როგორც ხის, ისე ქვითკირისა და შერეული მასალისაგან ნაგებ შენობებს. რუსების სახლები მეტ შემთხვევაში შელესილი წნელისაგან კეთდება; ისინი იმითაც გამოირჩევიან დანარჩენი შენობებიდან, რომ გარედან აუცილებლად შეღებილია თეთრად ან ცისფრად. ასეთი სახლების სახურავად ხშირად ხმარობენ შიფერს ან რბილ მასალას. მრავალფეროვანია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანიც. ისინი მეტწილად მსუბუქი ტიპისაა და განკუთვნილია შინაური პირუტყვის სადგომად, ჭირახსოვლის შესანახად, ხილის საშრობად, თამბაქოს გასაჭნობად და ა. შ. ასეთ სოფლებში არ არსებობს პირდაპირი ქუჩები.

წ ვ რ ი ლ ი ს ო ფ ლ ე ბ ი გავრცელებულია გორაკ-ბორცვებზე და დაბალმთიანი ზონის მდინარეთა ვიწრო ხეობებში. ასეთი სოფლები უფრო მეტად დანაწევრებულ რელიეფზეა განლაგებული. მათი სიპატარავე სწორედ რელიეფის სირთულეს განაპირობა. როგორც წესი, ისინი იზოლირებული არიან ერთმანეთისაგან და დასახლების სიმჭიდროვით გარდამავალი ადგილი უკავიათ დიდსა და საშუალო სიდიდის სოფლებს შორის, რადგან ისინი ტყიან ზონაში ან მისი საზღვრის ახლო გვხვდება, ჯარბობს ხის საცხოვრებელი სახლები. სახურავადაც ხშირად ყავარია გამოყენებული. ზოგჯერ შეხვდებით ქვის ცოკოლზე დადგმულ იმერული ტიპის ოდას; ჩრდებობს აგრეთვე ქვიტკირის შენობებიც. ეს სოფლები მეტწილად მდინარისპირა ფერდობებზეა შეფენილი, ხოლო მეორე მხრიდან მათ ტყე ესაზღვრება. პატარა სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი კოდორის, ბზიფის, გუმისთას, ამტყელის და მათი შენაკადების ხეობებშია გაბნეული.

აფხაზეთის სოფლებისათვის დამახასიათებელია მწვანე ნარგავების სიუხვე. ყველა ეზოს ამშვენებს ხეხილის ნარგავები. მათ შორის ციტრუსები — მეტწილად მანდარინი; ბევრია აგრეთვე სუბტროპიკული ხურმა, ლეღვი, მსხალი, ქლიავი, ვაშლი და სხვ. ხშირად საცხოვრებელი სახლი პირდაპირ ხეხილის ბაღშია ჩადგმული.

III. კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნამ შესაძლებელი გახადა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ძირფესვიანად გადასალისების საქმეში. ამ მხრივ ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს აფხაზური დამწერლობის შემოღება[16], რამაც შესაძლებელი გახადა აფხაზურ ენაზე დაწყები-

[16] ცდები აფხაზური ანბანის შედგენისა ადრეც იყო, მაგრამ მას წარმატება არ მოჰყოლია.

თი სკოლების გახსნა, გაზეთების დაარსება, სასწავლო, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურის შექმნა და ა. შ. ერთი სიტყვით, მომზადდა ის საფუძველი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფართო კულტურული მშენებლობა და ხალხის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდა.

ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად დასახულ იქნა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. იგი გადაიჭრა ჯერ კიდევ ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, როცა 9—49 წლის ასაკის მცხოვრებთაგან წერა-კითხვა ყველამ შეისწავლა. 1931 წლიდან, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებში, აფხაზეთშიც განხორციელდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. ამჟამად საყოველთაო-სავალდებულო სწავლება განხორციელებულია სოფლებში შვიდწლიანი სკოლის, ხოლო ქალაქებში საშუალო სკოლის ფარგლებში. გარდა ამისა, შემოღებულ იქნა სპეციალური საშუალო განათლება—გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სხვა სახის ტექნიკუმები, რომლებიც ამზადებენ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებისათვის. 1958 წელს სულ აფხაზეთში არსებობდა 7 ტექნიკუმი.

ცხრილი 6

ზოგადი განათლების სკოლები აფხაზეთში 1958-59 სასწავლო წელს (მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გარეშე)

ადმინისტრაციული ერთეულები	სულ სკოლების	დაწყებითი	შვიდწლიანი	სრული საშუალო	მასწავლებელ-ბა	ზოგადი განათლების მოსწავლეთა
ქალაქი სოხუმი	18	4	2	12	10168	565
„ ტყვარჩელი	9	3	1	5	2980	332
სოხუმის რაიონი	139	76	43	20	11506	83
გაგრის „	65	31	23	11	7724	119
გუდაუთის „	57	24	12	21	9519	167
ოჩამჩირის „	92	42	30	20	10791	117
გალის „	61	18	23	20	10732	176
სულ აფხაზეთის ასსრ	441	198	134	109	63429	144

გარდა ამისა, აფხაზეთში არსებობს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, რომელთა რიცხვი 1958/59 სასწავლო წელს შეადგენდა 13-ს, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა ამ სასწავლებლებში აღემატებოდა ორი ათას კაცს.

აფხაზეთის ზოგადი განათლების სკოლებში სწავლობს 65,5 ათასი მოსწავლე, ანუ ყოველ ათას სულ მცხოვრებზე ზოგადი განათლების სკოლებში მოდის 164 მოსწავლე. იმავე სკოლებში მუშაობს 5103 მასწავლებელი, ხოლო განათლების მუშაკთა საერთო რიცხვი შეადგენს 7455-ს. ერთი მასწავლებელი მოდის საშუალოდ 13 მოსწავლეზე. სკოლების შენახვაზე სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს. საბჭოთა პერიოდში განათლების ხარჯები ძალზე სწრაფად იზრდებოდა და 1956 წელს 87587 ათას მანეთს შეადგენდა. ეს მაშინ, როდესაც 1914 წელს სახალხო განათლების საქმეზე მეფის მთავრობამ დახარჯა 175,3 ათასი მანეთი, ანუ დაახლოებით ერთი მანეთი საშუალოდ ერთ მცხოვრებზე.

საბჭოთა აფხაზეთის კულტურის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, რომელიც 1932 წელს გაიხსნა. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიგში წარმოებს პედაგოგების მომზადება. თვით აფხაზეთის სკოლებისათვის. ინსტიტუტში სწავლება წარმოებს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. სამი ათეული წლის მანძილზე ინსტიტუტმა ათასობით მაღალკვალიფიციური პედაგოგი მოამზადა. 1957 წლისათვის ინსტიტუტში სწავლობდა 1028 სტუდენტი.

აფხაზეთში სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით 1959 წელს ქუთაისიდან სოხუმში გადატანილ იქნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს აგრონომებს მეურნეობის აღნიშნული დარგისათვის, აგრეთვე ინჟინერ-ტექნოლოგებს კვების მრეწველობისათვის.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე აფხაზეთში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალი; საკავშირო სამედიცინო აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტი, რომელსაც მოწყობილი აქვს მიმუნების სპეციალური საშენი. მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობაა გაშლილი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

1959 წლის 1 იანვრისათვის აფხაზეთში მოქმედებდა 12 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა შეადგენდა 282 კაცს.

საბჭოთა წლებში დიდი მიღწევები მოიპოვა აფხაზეთის ლიტერატურამ და ხელოვნებამ. სისტემატურად ქვეყნდება აფხაზი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები. ხელოვნების სხვადასხვა დარგში ჩაბმულია ინტელიგენციის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, სახალხო პოეტი დიმიტრი გულია. გარდა იმისა, რომ იგი ავტორია მთელი რიგი მხატვრული ნაწარმოებებისა, ნაყოფიერად მუშაობდა აფხაზური ენის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის საქმეში.

მეტად საყურადღებო მუშაობას ატარებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ჩვენ დროში შეიქმნა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში კულტურის სახლების, კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების ფართო ქსელი.

აფხაზეთის დედაქალაქში შექმნილია სახელმწიფო დრამატიული თეატრი, სადაც არსებობს აფხაზური და ქართული დასები.

დიდი მუშაობა განხორციელდა აფხაზეთში საგამომცემლო საქმის ორგანიზაციისათვის. აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის სამი რესპუბლიკური გაზეთი. სოხუმში შექმნილია აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა; ყოველწლიურად გამოდის ათობით წიგნი მხატვრული ლიტერატურისა და ცოდნის სხვადასხვა დარგში. ქვეყნდება სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისათვის.

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ზოგად წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მაჩვენებლები: 1956 წელს ერთი კლუბი ან კულტურის სახლი მოდიოდა ყოველ 2100 მცხოვრებზე, ერთი კინოდანადგარი 3210 მცხოვრებზე და ერთი ბიბლიოთეკა — 1410 მცხოვრებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განუხრელ აღმავლობას თან სდევდა აფხაზეთის მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესება. მრეწველობის განვითარება, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა და საკურორტო მეურნეობაში ადგილობრივ მცხოვრებთა სულ უფრო მზარდი ოდენობით ჩაბმა ქმნიდა იმ მატერიალურ საწყისებს, რომელთა ბაზაზე იზრდებოდა მშრომელთა ფულადი შემოსავალი, უმჯობესდებოდა მათი საყოფაცხოვრებო პირობები, მაღლდებოდა ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის დონე.

დიდი მიღწევებია მოპოვებული უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში. არსებითად შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის სრულიად ახალი სისტემა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვანი სამკურნალო დაწესებულებების ფართო ქსელს.

1940—1956 წლების მანძილზე საავადმყოფოების რიცხვი გაიზარდა 40-დან 60-მდე, ხოლო საწოლების რიცხვი მათში—1379-დან 2360-მდე. გარდა ამისა, არსებობს სამშობიარო სახლები, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, საექიმო ამბულატორიები და პოლიკლინიკები. 1956 წელს რესპუბლიკაში მუშაობდა 1042 ექიმი—ითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, რომლებიც რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ ადრე ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა სახის ინფექციური და ეპიდემიური ავადმყოფობათა თავიდან აცილებისათვის. ასეთი ღონისძიებების შედეგად, აგრეთვე მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გამო ამჟამად უკიდურესად შემცირებულია სხვადასხვა დაავადებათა ეპიდემიურად გავრცელების შემთხვევები. სიკვდილის შემთხვევები ყოველ ათას მცხოვრებზე აფხაზეთში შემცირდა 1898 წლიდან 1956 წლამდე 15-დან 4,5-მდე[17].

აფხაზეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხარე. აქაურ ხეოვნისპირა კურორტებზე ყოველწლიურად ასეული ათასობით ადამიანი ჩამოდის სამკურნალოდ და დასასვენებლად.

ბ. ქალაქები

რევოლუციამდელი აფხაზეთის სამეურნეო ჩამორჩენამ განაპირობა ამ მხარის ქალაქების სუსტი განვითარება. სარკინიგზო კავშირის უქონლობა და მეზობელ მხარეებთან კავშირურთიერთობის შეზღუდულობა არა მარტო მრეწველობის დაწინაურებას უშლიდა ხელს, არამედ ქალაქების ჩასახვასა და წინსვლასაც აფერხებდა. მეტად კარგი ბუნებრივი პირობების არსებობის მიუხედავად, ქვეყნის ზოგადი ეკონომიური სისუსტე ხელს არ უწყობდა აფხაზეთში მნიშვნელოვანი საკურორტო დასახლებების შექმნას. ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული პირობები აქ არსებული წიაღისეული სამდიდრის მნიშვნელოვანი ოდენობით მოპოვებისათვის. ასევე ნელა მიიწევდა წინ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ქარხნული გადამუშავების საქმე. ფოთთან და ბათუმთან

[17] Народное хозяйство Абхазской АССР. Статистический сборник, Сухуми, 1957 გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით. აფხაზეთის სანაპირო ბევრად უფრო მოშორებით მდებარეობდა საქართველოსა და ამერიკაკავკასიის მნიშვნელოვანი სამეურნეო ცენტრებიდან და ამიტომ აქ ორც საზღვაო-სატრანსპორტო ფუნქციების საფუძველზე წარმოშობილა მნიშვნელოვანი ქალაქი. თუ ყველა ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ჩვენთვის ცხადი გახდება აფხაზეთის საქალაქო ცხოვრების განუკეთარებლობის მიზეზები. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აფხაზეთი ამ მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა მთლიანად საქართველოს. რომელიც თავის მხრივ ქალაქების განვითარებით უფრო დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე რუსეთის ცენტრალური რაიონები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. ჩვენი ქვეყნის მძლავრ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას აფხაზეთის სამეურნეო ცხოვრებაშიაც შესაბამისი გარდატეხა უნდა გამოეწვია და აქაური ქალაქების განვითარების ახალი შესაძლებლობანი შეექმნა. მთავარი საკითხი ამჟამად უკვე იმაში მდგომარეობდა, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო აფხაზეთის ქალაქების განვითარება, რა სამეურნეო ან სხვა სახის ფუნქციები უნდა დადებოდა საფუძვლად ამ პროცესს. ეს საკითხი გადაიჭრა ომის წინა ხუთწლედების მანძილზე. როდესაც განსაზღვრა აფხაზეთის სამეურნეო პროფილი, ავტონომიური რესპუბლიკის ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე შრომის საერთო დანაწილებაში. აღნიშნული პროფილის შექმნაში დიდი როლი შეასრულა აფხაზეთის ბუნებრივმა რესურსებმა, კერძოდ, მის წიაღში არსებულმა სიმდიდრემ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და მძლავრი საკურორტო მეურნეობის შექმნისათვის არსებულმა ხელსაყრელმა პირობებმა.

ბრიელი მსოფლიო ომის წინა წლებში აფხაზეთში არსებობდა ერთი ქალაქი (სოხუმი) და ორი დაბა (ოჩამჩირე და გუდაუთა), ამჟამად კი აქ არსებობს 6 ქალაქი: სოხუმი, ტყვარჩელი, გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე და გალი. აგრეთვე ერთი ქალაქის ტიპის დაბა (ახალი ათონი). მათი წარმოქმნა და განვითარება დაკავშირებული იყო მრეწველობისა და საკურორტო მეურნეობის შექმნასა და განვითარებასთან. აგრეთვე ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან. მოპოვებითი მრეწველობის ბაზაზე წარმოიქმნა და განვითარდა ტყვარჩელი, ხოლო გადამუშავებითი მრეწველობის შექმნამ ხელი შეუწყო სოხუმის, გალის, ოჩამჩირისა და გუდაუთას განვითარებას. საკურორტო ფუნქციებმა შეასრულეს მთავარი როლი გაგრის და ახალი ათონის დაწინაურებაში; მეურნეობის ამ დარგმა დიდი სტიმული მისცა აგრეთვე სოხუმისა და გუდაუთას წინსვლას. ასევე საყურადღებოა სოხუმის, გაგრის, გუდაუთას, ოჩამჩირის და გალის საქალაქო ცხოვრების აღმავლობისათვის მათი ადმინისტრაციული ფუნქციები, კერძოდ ის გარემოება, რომ სოხუმი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, ხოლო ყველა ხუთივე ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებს წარმოადგენენ. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ქალაქების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ფუნქციათა მრავალფეროვნება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მათგანს აქვს ერთი წამყვანი ფუნქცია, დანარჩენი ნიშნები კი არ არის განმსაზღვრელი ხასიათის. ტყვარჩელის მთავარი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოპოვებითი და ენერგეტიკული მრეწველობის ცენტრია. წარმოადგენს რა საქართველოს ნახშირ-ენერგეტიკის უმნიშვნელოვანეს ბაზას. გაგრა საკურორტო ქალაქია და მისი ადმინისტრაციული დანიშნულება გაცილებით ნაკლებ როლს ასრულებს ქალაქის ზრდა-გან-

ვითარებაში. გუდაუთაშიაც წამყვან როლს ქალაქის საკურორტო ფუნქცია ასრულებს, თუმცა ეს უკანასკნელი აქ უფრო სუსტადაა წარმოდგენილი, ვიდრე გაგრაში. მხოლოდ საკურორტო დასახლებას წარმოადგენს დაბა ახალი ათონი სოხუმისათვის დამახასიათებელია რიგი წამყვანი ფუნქციები: საკურორტო, ადმინისტრაციული, სამრეწველო-სატრანსპორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო; რაც შეეხება გალსა და ოჩამჩირეს, პირველი მათგანისათვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ფუნქცია და კვების მრეწველობა, ხოლო მეორე ადმინისტრაციულ, სამრეწველო და სატრანსპორტო ფუნქციებს ასრულებს და შერეული ტიპის ქალაქებს მიეკუთვნება[18].

აფხაზეთის ყველა ქალაქი და დაბა, ტყვარჩელის გამოკლებით, მდებარეობს რკინიგზის მაგისტრალის გასწვრივ. ხოლო ოჩამჩირედან ტყვარჩელამდე გაყვანილია სპეციალური ხაზი. ამავე დროს, აფხაზეთის ქალაქები, ტყვარჩელისა და გალის გარდა, ზღვის პირას მდებარეობს და საკურორტო ზოლშია მოქცეული. ყოველივე ეს ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის დადებით მხარეს შეადგენს და შესაძნეველად აჩქარებს მათ განვითარებას.

სოხუმი

აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. იგი მდებარეობს აფხაზეთის სანაპირო ზოლის ცენტრალურ ნაწილში და დასლოვებით თანაბრადაა დაცილებული ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრებიდან. საკმაოდ ვრცელი. ღამაზი უბის ნაპირას გაშლილ ქალაქს უმარავს ძირითადად ის ვაკე, რომელიც მდ. ბესლეთიდან თანდათან ფართოდება დასავლეთისაკენ—მდ. გუმისთას ქვემო დინების მიმართულებით. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს მდ. ბესლეთსა და მდ. კელასურს შორის მდებარე ვიწრო სანაპირო ზოლი. სოხუმის დასახლება ვრცელდება აგრეთვე გორაკ-ბორცვებზე, რომლებიც ზღვისპირა ვაკეს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება; ისინი მნიშვნელოვანწილადაა გამოყენებული განაშენიანებისათვის ან ბაღებისა და პარკების გასაშენებლად. საქალაქო დასახლებას დასავლეთიდან ეკერის პატარა მდინარე ტეხურასა და გუმისთას შორის მოქცეული, საკმაოდ ვრცელი დაბლობი; იგი უკანასკნელ წლებამდე დაჭაობებული იყო, ხოლო ამჟამად მიმდინარე ამოსაშრობი სამუშაოების შედეგად ახლო მომავალში სოხუმის სარეზერვო ტერიტორიად გადაიქცევა.

თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰაეა ყოველმხრივ ხელს უწყობს ქალაქის მიდამოებში მრავალფეროვანი მცენარეულობის გაჯერებულებას; მათ შორის გვხვდება სუბტროპიკული სარტყელის ბევრი წარმომადგენელი. კიპაროსების, კედრის, დაფნის და სხვა სახის მუდამ მწვანე მცენარეულობა მეტად დიდ სილამაზეს აძლევს ქალაქსა და მოსახლეობა გორაკ-ბორცვებს. მათი წყალობით სოხუმმა დაიმკვიდრა ქალაქი-ბაღის სახელი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს, რომლითაც სოხუმს რიგი უპირატესობანი აქვს შავი ზღვის სანაპიროს სხვა კურორტების წინაშე. აქ ხანგრძლივია მზის

---

[18] ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი. საქართველოს ქალაქთა კლასიფიკაციისათვის, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №5, 1957, გვ. 563-570.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიაცია, არ იცის ძლიერი ქარები, ხოლო ზაფხულის სიცხეს მნიშვნელოვნად ანელებს ზღვიდან მონაბერი ბრიზები.

როგორც ჩანს, სოხუმის მიდამოების ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მშვენიერმა ბუნებრივმა ნაკსაყუდელმა, ძველთაგანვე მიიქცია ყურადღება და ხელი შეუწყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მნიშვნელოვანი ქალაქის წარმოქმნას. ეს იყო თავისი სავაჭრო ფუნქციებით განოქმული დ ი ო ს კ უ რ ი ა, რომელიც მეტად თვალსაჩინო როლს ასრულებდა, ერთი მხრივ, ძველი საბერძნეთისა და რომის, ხოლო, მეორე მხრივ, კოლხეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებს შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარებაში. ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების დამოწმებით დიოსკურია წარმოადგენდა დაწინაურებულ ქალაქს და ერთ-ერთ პირველ ადგილს ინარჩუნებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებულ სხვა ქალაქებს შორის[19]. ამ ქალაქის არსებობის კვალი სხვადასხვა მატერიალური ძეგლების ნარჩენების სახით აღმოჩენილია სოხუმის ყურის სანაპირო ზოლში.

ძველი წელთაღრიცხვის მიწურულში დიოსკურიასთან ამშენდა ციხე-სიმაგრე სეკასტროპოლისი, რომლის სახელწოდება შემდგომში თვით ქალაქმაც მიიღო. მომდევნო საუკუნეებში ეს უკანასკნელი დიდი ხნით ეპყრათ ბიზანტიელებს. VI—VIII საუკუნეების ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით არა ერთხელ მოიხსენიება ცხუმი (სოხუმი), როგორც აფხაზების მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. VIII საუკუნის 30-იან წლებში სოხუმი დაანგრია და გააპარტახა მურვან ყრუს ლაშქარმა. მომდევნო პერიოდში ქალაქი აღმავლობის გზით მიდიოდა. X — XII საუკუნეებში იგი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. XVI საუკუნიდან სოხუმი თურქეთ ბატონობის ქვეშ მოექცა. ამავე საუკუნეში თურქებმა აღადგინეს წინათ აკრძალული ციხე-სიმაგრე, რომლის კედლები და ბასტიონები დღემდეა შემორჩენილი. აფხაზები არ ურიგდებოდნენ ოკუპანტების თარეშს თავის ქვეყანაში და არა ერთხელ შეებრძოლენ თურქებს სოხუმის განთავისუფლებისათვის. საბოლოოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქებმა მარცხი განიცადეს რუსების სამხედრო ძალებისაგან. რუსეთის საზღვაო დესანტმა 1810 წელს დაიკავა, სოხუმი, მაგრამ ამ აქტს უახლესი ათეული წლების მანძილზე, არ მოჰყოლია მისი განვითარება; მხოლოდ 1847 წელს გამოცახადდა იგი ქალაქად[20].

ამ დროიდან დაწყებული, სოხუმის სამეურნეო ცხოვრება რამდენადმე გამოიცოცხლდა, მაგრამ ყირიმის ომის დროს იგი დროებით ხელთ იგდო თურქეთის ჯარმა, რამაც ისევ შეაფერხა ქალაქის წინსვლა. ომის დამთავრების შემდეგ ქალაქის ცხოვრება კვლავ აღმავლობის გზით მიდიოდა. 1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო და აფხაზეთის ტერიტორიაზე ახლად შექმნილი ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცახადდა სოხუმი. თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ ქალაქის განვითარება მომდევნო პერიოდში მაინც წინ მიიწევდა. მეტად ძნელმე მდგომარეობა შეიქმნა სოხუმისათვის რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დროს. 1877 წლის მაისში საზღვაო გემებიდან წინასწარ დაბომბვის შემდეგ იგი დაიკავა თურქეთის ჯარმა, რის შედეგათაც ნახევრადდანგრეული ქალაქი თითქმის დაიცალა. მართალია, რამდენიმე თვის შემდეგ თურქები იძულებული შეიქმნენ დაეტოვებიათ სოხუმი, მაგრამ მას კარგა ხანს აჩნდა ომის

---

[19] თ. ყ ა ფ ხ ი ჩ ა შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 120-123.

[20] Сухуми, Краткий историко-краеведческий очерк, Сухуми ,1955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადი, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1886 წელს მისი მუდმივი მოსახლეობა არ აღემატებოდა 412 კაცს და ქალაქი ონამჩირეზე პატარაც კი იყო.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აფხაზეთში ფეხს იკიდებს კაპიტალისტური მეურნეობა, იზრდება სოხუმის სავაჭრო-სატრანსპორტო მნიშვნელობა, როგორც ყველაზე უფრო მოხერხებული ნავსადგურისა აფხაზეთის სანაპიროზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მომდევნო პერიოდში ქალაქის საკმაოდ სწრაფად განვითარებას. 1897 წლისთვის მისი მოსახლეობა 8 ათას კაცამდე გაიზარდა. ამავე ხანებში სოხუმი აღიარებულ იქნა საუკეთესო კლიმატურ სადგურად და ყურადღება მიიპყრო მისმა საკურორტო მნიშვნელობამ. უახლოეს მომავალში ქალაქის მიდამოებში დაიწყო ზოგიერთი სამკურნალო დაწესებულებების შექმნა, აგარაკების მშენებლობა, მშვენიერი პარკების მოწყობა. დღის წესრიგში დაისვა ქალაქის ელემენტარული კეთილმოწყობის განხორციელება; ჩატარდა ტერიტორიის დაგეგმარება, გაიყვანეს წყალსადენი, დაიწყეს ქუჩების მოკირწყვლა, სასტუმროების მშენებლობა და სხვ.

900-იანი წლების სოხუმის განვითარებაზე დადებითი გავლენა მოახდინა აფხაზეთში მეურნეობის ისეთი მაღალსაქონლიანი დარგის წარმოქმნამ, როგორიც იყო მეთამბაქოეობა. ქალაქში შეიქმნა თამბაქოს ფაბრიკა, მსხვილი საწყობები, კომერციული დაწესებულებები; სოხუმის ნავსადგური წარმოადგენდა აფხაზეთის თამბაქოს გაზიდვის მთავარ ცენტრს. სწრაფად იზრდებოდა წვრილი სახელოსნოებისა და სავაჭრო წამოწყებების რიცხვი. მდ. ბესლეთზე ამოქმედდა მცირეძალიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ქალაქს ელექტროენერგიას აწვდიდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კულტურული ცხოვრების აღმავლობის საქმეში; გაჩნდა სამკურნალო დაწესებულებები და ა. შ. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში სოხუმი საქართველოს ერთ-ერთ სწრაფად მზარდ ქალაქს წარმოადგენდა. 1916 წლისათვის მისი მოსახლეობა უკვე 28,3 ათას კაცს შეადგენდა[21], ანუ 19 წლის მანძილზე მცხოვრებთა რიცხვი 3,5-ჯერ გადიდდა.

სოხუმის განვითარების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის სამეურნეო აღმავლობას დიდი ყურადღება ექცეოდა აღდგენით პერიოდში და ომამდელი ხუთწლედების მანძილზე. აღდგენილ იქნა, ადრე არსებული რიგი სამრეწველო საწარმო და განხორციელდა მათი რეკონსტრუქცია, აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ქალაქის ისტორიაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა რკინიგზით დაკავშირება საქართველოს უმნიშვნელოვანეს ცენტრებთან. 1936 წლის იანვრიდან უკვე დაიწყო მატარებლების მოძრაობა სადგურ კელასურამდე, რომელიც სოხუმის სამხრეთ აღმოსავლეთ განაპირა უბანში მდებარეობს. სოხუმის ყურეში აიგო ახალი კაპიტალური გემთმისადგომი, რამაც შესაძლებელი გახადა ნავსადგურში მსხვილი საზღვაო გემების შესვლა. ქალაქის მიდამოებში შეიქმნა ჯანმრთელობის კერები—სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მკვეთრად გაიზარდა ქალაქის ადმინისტრაციული ფუნქციები. დიდი ცვლილებები განიცადა კულტურულმა ცხოვრებამ.

საყურადღებოა, რომ 1916 წელთან შედარებით 1922 წლისათვის სოხუმის მოსახლეობა მკვეთრად შემცირებულა. ასე დიდი შემცირება ომისა და მეწშეიკების მმართველობის მძიმე წლებში მოხდა. ქალაქის ბევრმა მცხოვრებმა ამ

[21] Труды Абхазского государственного музея, выпуск I, Сухуми, გვ. 220, 1947.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის მოსახლეობის დინამიკა

1886 წელი	412 კაცი	1926 წელი	21568 კაცი
1897 „	7998 „	1939 „	44290 „
1916 „	28300 „	1959 „	64730 „
1922 „	17426 „		

პერიოდში დატოვა სოხუმი და სოფელს დაუბრუნდა ან სხვა ადგილებში გაიხიზნა. 1922—1959 წლებში სოხუმის მოსახლეობა გაიზარდა 3,6-ჯერ. ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში, ვიდრე 1939—1959 წლებში. ომის წინა ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა ძირითადად სოხუმის თანამედროვე მრეწველობა, მაშინ ჩამოყალიბდა აგრეთვე ქალაქის საკურორტო ფუნქციები და ამ მოვლენებმა ადმინისტრაციულ ფუნქციასთან ერთად გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ქალაქის მოსახლეობის ზრდაზე. თანამედროვე სოხუმის მოსახლეობა მეტად ჭრელია ეროვნული შემადგენლობით. უმრავლესობას შეადგენენ: ქართველები, აფხაზები, რუსები და სომხები; ცხოვრობენ აგრეთვე ბერძნები, უკრაინელები, ებრაელები და სხვ.

უმეტეს მრეწველურ შრომას პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის საქმიანობაში, მაგრამ სოხუმი მაინც ვერ ჩაითვლება სამრეწველო ქალაქად, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მისი საკურორტო დანიშნულება. საქმე იმაშია, რომ მრეწველობა აქ მეტწილად თვით ქალაქის მოსახლეობისა და ჩამოსული დამსვენებლებისათვის მოსახმარ პროდუქციას ამზადებს. პირადი მოხმარების საგნების და კვების პროდუქტების დამამზადებელ დარგებზე მოდის ქალაქის მთელი სამრეწველო პროდუქციის 95,3%, მრეწველობის სხვა დარგები კი ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამრეწველო ქალაქებში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია მრეწველურ შრომაში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წონა, ვიდრე სოხუმში აქვს ამას ადგილი.

საკმაოდ დიდია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა. ჩვეულებრივად, მოზრდილ ქალაქებში ეს მაჩვენებელი შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა 5—6%-ს, სოხუმში კი ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები შეადგენენ მუშა-მოსამსახურეთა 11,2%-ს. ცხადია, რომ სოხუმის საკურორტო დაწესებულებებში მომუშავენი შეადგენენ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმე ასეთი დაწესებულება არსებობს; სამაგიეროდ, ყოველ ზაფხულს დიდი რაოდენობით ჩამოდიან დამსვენებლები ე. წ. არაორგანიზებული წესით; ისინი საცხოვრებლად იყენებენ ქალაქის მოსახლეობის ბინებს. მათი მომსახურებით დაკავებულია მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, ხოლო მომუშავე მოსახლეობა მნიშვნელოვანწილად ჩაბმულია ისეთ დარგებში, რომლებიც აგრეთვე პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურებიან დამსვენებლებს.

სოხუმის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოებიდან აღსანიშნავია: ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, თევზის და ხორცის კომბინატები, რძის და კონსერვების ქარხნები, საკონდიტრო ფაბრიკა და რიგი სხვა საწარმოები. ქალაქის მრეწველობის მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია 1958 წელს შეადგენდა აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 28,9%-ს[22]. ფაბრიკა-ქარხნების მოზრდილი ჯგუფი

[22] ვ. კაკაბაძე, მრეწველობის განვითარება და განლაგება აფხაზეთში, „ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის შრომები, ტ. XVI, თბილისი, 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებულია ერთმანეთის მახლობლად ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში, შუქურის მეზობლად. ზოგიერთი საწარმო გადანტულია ცენტრალურ უბნებში. მომავალში გათვალისწინებულია სამრეწველო მშენებლობა რკინიგზის სადგურის დასავლეთით—ლუჩჩოფში, რომელსაც თანდათან იკავებენ სოხუმის განაშენიანებელი უბნები.

ქალაქის ტერიტორია ამჟამად 1170 ჰა-ს მოიცავს. ზღვის ნაპირის გასწვრივ განაშენიანება დაახლოებით 10 კმ გრძელდება, ხოლო სიგანე 0.5-2 კმ ფარგლებში მერყეობს. განაშენიანებული უბნები უშუალოდ ესაზღვრება ზღვის ნაპირს. სოხუმის ყურის სანაპიროს შესაბამისად. ქალაქს გაშლილი ნახევაროკალის ფორმა აქვს.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბნებს მდ. კელასურსა და მდ. ბესლეთს შუა ესაზღვრება მწვანით შემოსილი გორაკ-ბორცვები, რომლებიც ბირკების მთის სახელითაა ცნობილი. მაქსიმალური სიმაღლე აქ 200—300 მ აღწევს. ზღვისაკენ დაქანებული კალთები უხვადაა გამწვანებული და დიდ სილამაზეს აძლევს ამ არე-მარეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარკი „სინოპი“ თავისი შუდამ მწვანე ხეივნებით და საგრაოკო სახლებით. ეს ტერიტორია წარმოადგენს მშვენიერ საკურორტო ზონას. ქალაქის ამ ნაწილისაგან განსხვავებით, სამხრეთ-დასავლეთი უბნები ვაკეზეა გაშლილი და სოხუმის მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოთა განლაგების ადგილს წარმოადგენს. ცენტრალური უბნები გრძელდება ბესლეთის ხეობიდან დასავლეთით მდ. ტეხურამდე (დაახლოებით 4.5 კმ) და მოიცავს როგორც ზღვისპირა ვაკეს, ისე მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებს. ვაკის საშუალო სიგანე 1—1,2 კმ არ აღემატება; რამდენადმე უფრო ვიწროა „სოხუმის“, „ტრაპეზიის“ და „ბატარეის“ გორაკებზე შეფენილი დასახლების ზოლი. აქაც, „სინოპის“ მსგავსად, კალთების საგრძნობი ნაწილი გამწვანებას უჭირავს. განსაკუთრებით დიდი და მშვენიერად დაგეგმილი პარკი გაშენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში „სოხუმის მთაზე“. მომხიბლავია თავისი მრავალფეროვანი მცენარეულობით სოხუმის ბოტანიკური ბაღი; მას საფუძველი ჩაეყარა 1840 წელს[23]. ქალაქის ამ ნაწილში რკინიგზის ხაზი გადის გვირაბში, რომლის ორივე მისასვლელებზე მოწყობილია ღამაზი ესტოკადები. უნდა ითქვას, რომ ეს ხელოვნური ნაგებობანი მოხდენილადაა შეხამებული ადგილობრივ რელიეფთან და ქალაქის ზოგადი არქიტექტურული სახის ორგანული შემადგენელია. ამავე ნაგებობათა წყალობით ქალაქის ქუჩები და მისასვლელი საავტომობილო მაგისტრალები არსად არ კეკცეს ერთ სიბრტყეში რკინიგზის ხაზს, რაც მეტად მოხერხებულია შიგა საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობისთვის.

თავისი დაგეგმარებითა და კეთილმოწყობილი პარკებით სოხუმი ულამაზესია საქართველოს ზღვისპირა ქალაქებს შორის. მისი ძირითადი ნაწილი ვაკეზეა გაშენებული და ერთმანეთის სწორკუთხოვნად დადამკვეთი პირდაპირი ქუჩებითაა დასერილი. ეს ქუჩები მეტწილად საშუალო სიგანისაა და ტროტუარების გასწვრივ გაშენებული გაზონებით ან დეკორაციული ხეებითაა დამშვენებული. როგორც წესი, თითოეული ქუჩის გასამწვანებლად შერჩეულია ერთი გარკვეული ჯიშის ხე-მცენარე (ყვავილი, ჭადარი, მაგნოლია და სხვ.). გამწვანებაში

[23] А. А. Олонецкий, Сухуми в первой половине XIX столетия, Труды Абхазского государственного музея, выпуск I, Сухуми, 1947, зз. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვადაა გამოყენებული ტროპიკული სარტყელის მუდამ მწვანე ლამაზკრონინანი ხეები, აგრეთვე მრავალფეროვანი ბუჩქები და ყვავილები. ქალაქის მშვენებაა მის ცენტრალურ უბნებში გაშენებული რამდენიმე ბაღი, მრავალი სკვერი და გორაკ-ბორცვებზე შეფენილი შესანიშნავი პარკები. ამ მდიდარმა მწვანე სამოსელმა შეუქმნა სოხუმს ქალაქი-ბაღის სახელი.

გორაკ-ბორცვიან ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვანი ქუჩები უმთავრესად მცირე ხევების ფსკერს მისდევენ კლაკნილად, ხოლო უფრო პატარა ქუჩები ფერდობებს აყვება ზიგ-ზაგად. სულ ქალაქში 1950 წელს იყო 105 ქუჩა 142,4 კმ საერთო სიგრძის.

სოხუმი აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია. შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქალაქი უმოკლესი გზით დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიას და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს. აქ გამაჯალ რკინიგზასა და საავტომობილო მაგისტრალს უდიდესი სატარაზზიტო მნიშვნელობა აქვთ არა მარტო აფხაზეთისა და შავი ზღვისპირა რაიონებისათვის, არამედ მთელი საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის. ქალაქში მოწყობილია რკინიგზის ორი მნიშვნელოვანი სადგური (სოხუმი და კელსური) და ერთი ბაქანი (ნ. ბარათაშვილის სახელობის). აქვეა საელმავლო და სავაგონო დეპოები და რკინიგზის სხვადასხვა სამეურნეო წამოწყებანი. ქალაქში არსებობს ავტოსატრანსპორტო კანტორები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ტვირთების გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას როგორც თვით სოხუმში, ისე ქალაქგარე მარშრუტებზე. სოხუმის ნავსადგური უფრო მგზავრთა გადაყვანას ემსახურება (მეტწილად დამსვენებლების), მაგრამ ნაწილობრივ ტვირთების მიღება-გაგზავნასაც აწარმოებს. ქალაქი საჰაერო მიმოსვლით დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ყველა მნიშვნელოვან ცენტრთან. რეგულიარულად წარმოებს თვითმფრინავების პირდაპირი მიმოსვლა მოსკოვამდე, თბილისამდე და რიგ სხვა პუნქტებამდე.

საბჭოთა წლებში სოხუმი გადაიქცა აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრად. შეიქმნა ზოგადი და სპეციალური განათლების საშუალო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, აგრეთვე თეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები და კულტურის რიგი სხვა კერები; დიდად განვითარდა გამომცემლობის საქმე.

სოხუმის განაშენიანებაში სჭარბობს ერთ-და ორსართულიანი პატარა სახლები; 1958 წლის პირველი იანვრისათვის მათზე მოდიოდა ყველა საცხოვრებელი სახლების 9/10. სამი-და ოთხსართულიანი შენობები მეტწილად საზოგადოებრივი დანიშნულებისაა (სასწავლებლები, ადმინისტრაციული შენობები, საკურორტო დაწესებულებები და ა. შ.). იმავე 1958 წლისათვის ქალაქში 3161 საცხოვრებელი შენობა იყო, საიდანაც ქალაქის საბჭოსა და ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებს ეკუთვნოდა 541 შენობა, დანარჩენი 2620 სახლი მუშამოსამსახურეების საკუთრებას შეადგენდა. 1950—1957 წლებში საცხოვრებელი ფართობი ყოველწლიურად იზრდებოდა საშუალოდ 3674 m^2-ით და აღნიშნული პერიოდის ბოლოს უდრიდა 257,6 ათას m^2-ს. ახალი სახლების შშენებლობაში თითქმის მთლიანად აგური ან წიდა-ბეტონია საკედლე მასალად გამოყენებული; ამავე დროს, ბლომადაა შემორჩენილი ადრე აშენებული ხის სახლები, მაგრამ მათი რაოდენობა თანდათან მცირდება. 1958 წლის დასაწყისისათვის ქალაქში 1092 ხის სახლი იდგა, რომლებზედაც მოდიოდა მთელი საცხოვრებელი ფონდის 20,7%; 1905 ქვისა და აგურის სახლზე მოდიოდა ფართო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის 62%, ხოლო შერეული მასალისაგან ნაგები სახლების რიცხვი შეადგენდა 564-ს (მთელი ფართობის 17,3%). აქედან ჩანს, რომ ქალაქში ბეერად სჭარბობს კაპიტალურად ნაგები შენობები. მათი უდიდესი ნაწილი აშენებულია უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა საბჭოთა წლებში სოხუმის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ქალაქში ამჟამად არსებობს ორი წყალსადენი. ერთი მაგანი იკვებება მდ. გუმისთას წყლით, მეორე კი მდ. ბესლეთით. მთა-გორიან ნაწილში იგრძნობა წყლის ნაკლებობა, ამიტომ აქ ჯერ კიდევ გამოყენებაშია პრიმიტიული ჭები. კარგა ხანია უკვე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია კანალიზაცია, მაგრამ ჯერჯერობით დასახლებული უბნების საგრძნობი ნაწილი მოკლებულია კომუნალური მომსახურების ამ სახეობას. სოხუმის ქუჩების მეტი ნაწილი მოკირწყლულია და ყველა მნიშვნელოვანი მაგისტრალი—მოასფალტებული. ადრე ქალაქის ცენტრში არსებული ძველი ბაზრის ადგილი დაიკავა მშვენიერმა ბაღმა. ამჟამად არსებობს ორი საკოლმეურნეო ბაზარი.

ფართო პერსპექტივებია დასახული სოხუმის მსხვილ კურორტად გადაქცევისათვის. გათვალისწინებულია საკურორტო მშენებლობის თავმოყრა მეურნეობის ამ დარგისათვის ყველაზე უფრო შესაფერის ადგილებში.

ტყვარჩელი

ტყვარჩელი ქ. ოჩამჩირეს ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის ნაპირიდან მოცილებით მდებარეობს. მანძილი ამ ორ ქალაქს შორის რკინიგზით 26 კმ-ს შეადგენს.

ტყვარჩელი აფხაზეთის ყველაზე უფრო ახალგაზრდა და სწრაფად მზარდი ქალაქია. მისი წარმოშობა და შემდგომი განვითარება განაპირობა მდ. ღალიძგას აუზში არსებული ქვანახშირის საბადოს დამუშავებამ. ეს საბადო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ცნობილი, მაგრამ მისი ექსპლოატაცია რევოლუციამდელ ხანაში არ წარმოებდა. პირველი შახტი 1935 წელს ამოქმედდა და აქედან იწყება ქალაქის ისტორიაც. ისე როგორც საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სხვა ცენტრები, ტყვარჩელიც დიდად განსხვავდება თავისი გარეგანი სახით რესპუბლიკის ქალაქების უმრავლესობისაგან. ამ განსხვავების ქმნის ქალაქის ძირითადი ფუნქცია და მისი ბუნებრივი პირობების თავისებურება, რაც შემდგომში გამოიხატება: აფხაზეთის მთავრებითი მრეწველობის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი მდ. ღალიძგას ვიწრო ხეობაში დაახლოებით 12 კმ მანძილზეა გაჭიმული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე დასახლებისაგან შედგება; ესენია: კვეზანი, აკარმარა და ჯანტუხა.

კვეზანი იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მდ. ღალიძგა მთის ვიწრო ხეობიდან გამოდის და გორაკ-ბორკვიან ზონას ჰკვეთს. ამ მონაკვეთზე მდინარეს დაახლოებით აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულება აქვს და ხეობაც შესამჩნევად ფართოვდება. მარცხენა ნაპირთან მდებარეობს კვეზანის სამრეწველო უბანი; აქ განლაგებულია ქვანახშირის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის და თბოელექტროსადგურის მრავალსართულიანი კორპუსები. რკინიგზის სადგური და რიგი დამხმარე საწარმოები. ღალიძგას მეორე მხარეს, საკმაოდ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლებულ მოვაკებაზე. გაშლილია ქალაქის ცენტრალური დასახლება, რომელიც საცხოვრებელი კვარტალებით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებითაა წარმოდგენილი და კვეზანის მეორე ნაწილს შეადგენს. ღალიძას დინების აღმა მაღე დასახლება თითქმის მთლიანად წყდება და 10 კმ მოშორებით, კვეზანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარის მარცხენა მხარის ფერდობებზე შეფენილია ჯერ აკარმარის, ხოლო შემდეგ ჯანტუხას დასახლებანი, რომელთა მახლობლად განლაგებულია აგრეთვე ქვანახშირის შახტები. კვეზანიდან აკარმარამდე გრძელდება რკინიგზის ხაზი, ხოლო შახტებამდე—დაკიდული საბაგირო გზები. აკარმარას და კვეზანს შუა მდინარის ნაპირას და მისგან მოცილებითაც მდებარეობს ტყვარჩელის მინერალური წყაროები, რომელთა ბაზაზე შექმნილია ბალნეოლოგიური კურორტი.

მართალია, ნახშირის მოპოვება დიდი სამამულო ომის წინა წლებშიც იზრდებოდა, მაგრამ ტყვარჩელის მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფად მიიწევდა წინ ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც იგი გადაიქცა რუსთავში აგებული მძლავრი მეტალურგიული ქარხნის საკოქსე ქვანახშირით მომარაგების ერთ-ერთ მთავარ ბაზად. მას შემდეგ, რაც ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურეს ტყვარჩელისა და ტყიბულის საბადოების ქვანახშირის ნარევის დაკოქსვის უნარი, გადაწყდა საქართველოს ქვანახშირის ამ ორი საბადოს გამოყენება არა მარტო ენერგეტიკული, არამედ მეტალურგიული სათბობის მისაღებადაც, რამაც დადებითად დადაჭრა რესპუბლიკაში შავი მეტალურგიის შექმნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ომის დამთავრებისთანავე ტყვარჩელში გაიშალა ახალი შახტებისა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა. წარმოება-და აგრეთვე თბოელექტროსადგურის გაფართოება და რიგი დამხმარე საწარმოების შექმნა. გარდა სამრეწველო მშენებლობისა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების აგება; განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაწესებულებების ფართო ქსელის მოწყობა. ყველა ეს სამუშაო გაიშალა ღალიძას მთიან ხეობაში, მეტად რთული რელიეფის პირობებში. მათ შესრულებას დიდი ენერგია და სახსრები მოხმარდა, მაგრამ ამ შრომამ ნაყოფიც შესაბამისი გამოიღო. სრულიად ველურსა და უკაცრიელ ადგილას შეიქმნა საქართველოს ძმიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი ცენტრი—ნახშირ-ენერგეტიკის უმნიშვნელოვანესი ბაზა, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ამარაგებს ელექტროენერგიით და საკოქსე ქვანახშირით. აფხაზეთის რუკაზე განხდა უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი და, სოხუმს შემდეგ, ყველაზე დიდი ქალაქი.

1939 წელს ტყვარჩელის მოსახლეობა შედგებოდა 8,4 ათასი კაცისაგან, ხოლო 1959 წელს—28,4 ათასი კაცისაგან. ოცი წლის მანძილზე მოსახლეობა გაიზარდა 3,3-ჯერ. ზრდის ტემპებით აღნიშნულ პერიოდში ტყვარჩელს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა რესპუბლიკის ქალაქებს შორის. ტყვარჩელი ამჟამად საქართველოს მეცხრე ქალაქია თავისი სიდიდით; ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია (გამოცხადდა ქალაქად 1942 წლის 9 აპრილს). მან ბევრად გაუსწრო სიდიდით საქართველოს სათბობი მრეწველობის მეორე მნიშვნელოვან ცენტრს ტყიბულს, აგრეთვე მანგანუმის მადნის ქალაქს—ჭიათურას, რომელიც 80 წელზე მეტი ხნის წინათ ჩაისახა. თავისი ეროვნული შვმადგენლობით ტყვარჩელის მოსახლეობა მეტად ჭრელია. აქ ცხოვრობენ აფხაზები, რუსები, ქართველები და ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლები. თუმცა მოსახლეობა ძირითადად მექანიკური მატების შედეგად იზრდება, მაგრამ ბუნებრივი ზრდაც ტყვარჩელში მაღალ დონეზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, მაგალითად, 1958 წელს ყოველ 1000 მცხოვრებზე დაბადებათა რიცხვი შეადგენდა 28-ს, გარდაცვლილთა რიცხვი კი 4,6, ანუ ბუნებრივი ზრდა, უდრიდა 23,4-ს. საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატებოდა ანალოგიურ საშუალო საკავშირო მონაცემს.

1959 წელს შრომის სხვადასხვა დარგში ჩაბმული იყო 14330 კაცი, ანუ ტყვარჩელის მოსახლეობის 50.4%. მრეწველობასა და მშენებლობაში მუშაობდა მთელი თვითმმქმედი მოსახლეობის 71,1%. აქედან ჩანს, თუ რა დიდი ადგილი უკავია სამრეწველო შრომას ტყვარჩელის მოსახლეობაში. კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაწესებულებებში მომუშავეთა რიცხვი შეადგენდა 9.2%-ს, კომუნალურ მეურნეობაში, ტრანსპორტსა და ვაჭრობაში— 14.5%, ხოლო სხვა მომსახურე დარგებზე და ადმინისტრაციულ აპარატში მომუშავეებზე მოდიოდა 5,2%.

ტყვარჩელი აფხაზეთის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრია. მართალია, მრეწველობის საერთო პროდუქციით იგი რამდენადმე ჩამორჩება სოხუმს, მაგრამ ამ უკანასკნელში წამყვანია კვების მრეწველობა, რომლის საერთო პროდუქციაში მთავარი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ღირებულებას. მაშინ, როდესაც ტყვარჩელში მთავარი ადგილი უჭირავს ქვანახშირის მრეწველობას და ელექტროენერგეტიკას— ამ მეტად მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო დარგებს, რომელთა საერთო პროდუქციაში თვით წარმოების პროცესში შექმნილი ფასეულობაა გადაწყვეტი. ტყვარჩელზე მოდის აფხაზეთის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 26%. მრეწველობაში ჩაბმულ ერთ მუშაზე აქ გაცილებით მეტი პროდუქცია მზადდება, ვიდრე აფხაზეთის სხვა რომელიმე ქალაქში. ქვანახშირის მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა იძლევა ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქციის 92%-ზე მეტს, ყველა დანარჩენი დარგების (კვების, მსუბუქი, საშენი მასალების წარმოება და სხვ.) ხვედრითი წონა კი 8%-საც ვერ აღწევს.

ტყვარჩელში ამჟამად მოქმედებს ქვანახშირის 6 შახტი. 1958 წელს ამოღებულ 1287.7 ათასი ტონა ქვანახშირი. აქედან გამამდიდრებელმა ფაბრიკამ გადაამუშავა 838.8 ათასი ტონა და მიიღო 289 ათასი ტონა საკოქსე კონცენტრატი, რომელიც მთლიანად გაეგზავნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ხოლო პრომპროდუქტი მოიხმარა თბოელექტროცენტრალმა. 1938 წელს მწყობრში ჩადგმის შემდეგ, ორჯერ განსოცილდა ამ სადგურის გაფართოება. ტყვარჩელის თბოელსადგური საქართველოს ელექტროენერგეტიკის უმსხვილესი ობიექტია; იგი ჩართულია რესპუბლიკის ენერგოსისტემაში და ბლოკირებულია ჰიდროელექტროსადგურებთან, რის შედეგადაც მნიშვნელოვანწილად ახდენს მთელ სისტემაში ელექტროენერგიის გამომუშავების შეთანასწორებას. გარდა ამ ძირითადი საწარმოებისა, ქალაქში არსებობს საშენი მასალების დამამზადებელი საწარმოები, პური და ხორცის კომბინატები. ადგილობრივი მრეწველობა ამზადებს რიგი სახეობის ფართო მოხმარების საგნებს; არსებობს აგრეთვე საქალაქო გაზეთის სტამბა.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უკანასკნელ ხანებში სწრაფად იზრდებოდა ტყვარჩელის სანაინაო ფონდი. 1956 წლისათვის არსებობდა ქალაქის საბჭოს და წარმოება-დაწესებულებების 579 საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 133 ათას კვ. მეტრს. თუ ადრე მეტწილად ერთსართულიანი პატარა სახლები შენდებოდა, უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით აშენდა მრავალსართულიანი შენობა, სადაც არსებობს კეთილმოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი ბინები. ასეთი სახლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება როგორც საკუთრივ ტყვარჩელში, ისე აკარმარასა და ჯანტუხაში. ბევრი მუშა და მოსამსახურე იშენებს საკუთარ სახლს. იმავე წლის მონაცემებით, ქალაქში იყო 429 კერძო სახლი.

ქალაქის სხვადასხვა უბნებს ემსახურება სამი წყალსადენი, რომელთა სიმძლავრე დღედღამეში 1956 წლის მონაცემებით შეადგენდა 11,2 ათას კუბომეტრ წყალს, ქსელის საერთო სიგრძე კი უდრიდა 33,1 კმ-ს. ტყვარჩელს აქვს კანალიზაცია; ქალაქის შიდა მარშრუტებზე 1958 წელს მუშაობდა 19 ავტობუსი, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი შეადგენდა 2,6 მლნ კაცს. დიდი სამუშაოები შესრულდა უკანასკნელ წლებში ჯანტუხას მუშათა დასახლების გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის. ტყეთ შემოსილი ფერდობებით გარშემორტყმული ჯანტუხა თავისი მრავალსართულიანი სახლებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, მოასფალტებული ქუჩებით და მწვანე ნარგავებით ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა აგრეთვე ტყვარჩელის ცენტრალური დასახლების კეთილმოწყობისათვის. სწორად დაგეგმილი და უხვად გამწვანებული ქუჩები, მათ გასწვრივ აღმართული ლამაზი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებით მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

ტყვარჩელის სხვადასხვა უბანში მოქმედებს ზოგადი განათლების 12 **სასწავლებელი**, რომელთაგან 5 სრული საშუალო სკოლაა და 3 მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა. ქალაქში არსებობს კულტურის სახლი, 5 კლუბი, 6 ბიბლიოთეკა; გარდა ამისა, წიგნსაცავები არსებობს სკოლებთან და მუშათა კლუბებთან.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. გახსნილია ორი საავადმყოფო—კვეზანში და აკარმარაში; იმავე პუნქტებში მოქმედებს 4 სპეციალიზებული დისპანსერი, ხოლო თითოეულ შახტთან და მსხვილ საწარმოსთან—საექიმო ჯანმრთელობის პუნქტი; უშუალოდ შახტებსა და საწარმოებში გახსნილია 9 საფერშლო პუნქტი. არსებობს 8 საბავშო ბაღი. მინერალური წყაროების ბაზაზე მოქმედებს ერთი სანატორიუმი და სამკურნალო-საბანაბანო შენობა.

მომდინარე შვიდწლედში დიდი სამუშაოებია დასახული ტყვარჩელის შემდგომი განვითარებისათვის. წარმოებს ახალი შახტის მშენებლობა, საცხოვრებელი ფონდის გაფართოება, რიგი კეთილმოწყობითი სამუშაოები მუშათა დაბებში.

გაგრა

გაგრა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ერთ-ერთი სახელგანთქმული კურორტია. თავისი სამკურნალო ღირსებებით, მშვენიერი მდებარეობით და სილამაზით იგი ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რის გამო ყოველწლიურად უამრავ დამსვენებელს იზიდავს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. გაგრა ქალაქად იწოდება 1932 წლის დეკემბრიდან და ერთდროულად წარმოადგენს იმავე სახელწოდების ადმინისტრაციული რაიონის ცენტრს, მაგრამ მისთვის მთავარია არა ადმინისტრაციული, არამედ საკურორტო დანიშნულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქს უჭირავს ზღვის სანაპირო ხოლი. მისი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდებარეობს მდ. ყოეკვარას შესართავთან. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით გაჭიმულია ვაკის მეტად ვიწრო ხოლი, რომელიც 3 კმ-ს შემდეგ შესამჩნევად ფართოვდება და საქალაქო დასახლება გრძელდება დაახლოებით 8 კმ მანძილზე—რკინიგზის სადგურის მიდამოებამდე. ქალაქის საკურორტო ზონას წარმოადგენს მისი უძველესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც ძველ გაგრად იწოდება. აქაა განლაგებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სასტუმრო-პანსიონატები და სხვა საკურორტო დაწესებულებები უშუალოდ ზღვისპირას ან მოსაზღვრე მთის ფერდობებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი მდებარეობს ადმინისტრაციული დაწესებულებები, საცხოვრებელი უბნები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისათვის განკუთვნილი კვების მოეწყველობის საწარმოები, ბაზარი, სატრანსპორტო ბაზები და სხვა. დასახლების ერთი ჯგუფი არსებობს აგრეთვე მდ. ყოეკვარას ხეობაში.

თანამედროვე გაგრის ადგილას ანტიკურ ეპოქაში მკვლევართა აზრით არსებობდა ჯერ ბერძნებისა და შემდეგ რომაელების კოლონია, რომელიც ტრიგლიტის სახელწოდებით იყო ცნობილი[24]. ზოგიერთი ცნობებით, შემდგომში აქ მდებარეობდა აბაზგების ციხე-სიმაგრე ტრახეია. მაგრამ იგი გაუნადგურებიათ ბიზანტიელებს. შუა საუკუნეებში ამ ადგილას შეიქმნა გენუელების საბაჟო სახლება (ფაქტორია), XVII საუკუნის დასაწყისში კი გაგრა ხელთ იგდეს თურქებმა და მას დერბენტი უწოდეს (ალბათ იმიტომ, რომ იგი მთასა და ზღვის შუა მოქცეულ ვიწროებს ჰკეტავდა და თავისებურ კარს წარმოადგენდა). 1830 წელს ეს გამაგრებული ადგილი დაიკავა რუსეთმა და აქ მეციხოვნე ჯარი ჩაიყენა. 1878 წლამდე გაგრა მხოლოდ სამხედრო სიმაგრეს წარმოადგენდა და არა ერთხელ უწევდა წინააღმდეგობას აფხაზების დასარბევად მოსულ მთიელებსა და თურქებს. მაშინ გაგრას განთქმული ჰქონდა სახელი, როგორც მალარიის ერთ-ერთ კერას, სადაც დიდი რაოდენობით იხოცებოდა სამხედრო გარნიზონის პირადი შემადგენლობა. გასული საუკუნის მიწურულში იწყება მისი კლიმატის შესწავლა, რამაც დაადასტურა ამ ადგილის საკურორტო მნიშვნელობა. იმდროინდელი გაგრა წარმოადგენდა პატარა დასახლებას, სადაც მხოლოდ რამდენიმე სავაჭრო წერტი და ხე-ტყის სახერხი ყოფილა. 1892 წელს იგი დაუკავშირდა სანაპირო გზატკეცილით შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა მნიშვნელოვან პუნქტებს.

1901 წელს გაგრასა და მის მიდამოებში მიწის ვრცელი ფართობები საჩუქრად გადაეცა პრინც ოლდენბურგსკის, რომელმაც აქ დაიწყო კურორტის მოწყობა. 1903 წლის იანვარში მოხდა გაგრის კლიმატური სადგურის ოფიციალური გახსნა. მეფის ხელისუფლებამ რამდენიმე მილიონი მანეთი გაიღო გაგრის კეთილმოსაწყობად. იმავე ხანებში გაშენდა მშვენიერი ზღვისპირა პარკი-პალმების, მაგნოლიების და სხვა სუბტროპიკული მცენარეების ლამაზი ხეივნებით; მოეწყო ხელოვნური ტბა. პარკის მოსაზღვრე ფერდობებზე აიგო რამდენიმე სასტუმრო და 14-მდე კერძო აგარაკი, რომლებიც ეკუთვნოდა საზოგადოების პრივილეგიური ფენის წარმომადგენლებს.

უდიდესი ცვლილებანი განიცადა გაგრამ საბჭოთა წლებში. პრინც ოლდენბურგსკის სასახლე და რიგი კერძო აგარაკები გადაკეთდა სანატორიუმებად და

[24] В. Г. Гокиели, Гагра, Тбилиси, 1956, зд. 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასასვენებელ სახლებად. რამაც შესაძლებელი გახადა მათი გამოყენება მშრომელთა სამკურნალოდ და დასასვენებლად. დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში გაგრაში აიგო ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულები. განხორციელდა კეთილმოწყობითი სამუშაოები. 1959 წლის ბოლოს მწყობში ჩადგა ახალი სასტუმრო-პანსიონატი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საკურორტო შენობაა გაგრაში. აღნიშნულ წელს კურორტზე მოქმედდება 10 სანატორიუმი 1800 საწოლით, 7 დასასვენებელი სახლი 1000 ადგილით და პანსიონატი 150 ადგილით. აქვე არსებობდა სასტუმრო-პანსიონატი 100 ადგილით და ტურისტთა ბაზა ორასი კაცისათვის. ყველა ამ საკურორტო დაწესებულებაში 1959 წელს იმკურნალა და დაისვენა 60 ათასამდე კაცმა; მათგან 9 ათასი იყო ტურისტი და ძხოლოდ მოკლე ხხით (რამდენიმე დღით) ისვენებდა კურორტზე. ბევრად უფრო დიდია იმ დამსვენებელთა რაოდენობა, რომლებიც გაგრაში ჩამოდიან საგზურების გარეშე, უმთავრესად ზაფხულის თვეებში, აგრეთვე ადრე შემოდგომაზე და ბინას ქირაობენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ქალაქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ფლობს საკუთარ სახლებს და იკენებს მათ გასაქირავებლად. ზაფხულის თვეებში გაგრაში ერთდროულად დამსვენებლების რიცხვი დაახლოებით შეადგენს 40 ათას კაცს, რომელთა 9/10 მოდის ე. წ. არაორგანიზებულ დამსვენებლებზე. მიახლოებითი გამოანგარიშებით წლის განმავლობაში გაგრა ემსახურება 190—200 ათას დამსვენებელს.

გაგრის საკურორტო ფუნქციების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის მუდმივი მოსახლეობა. 1926 წელს აქ ცხოვრობდა 3656 კაცი, 1939 წელს 9800 და 1959 წელს 14023. ქალაქი საბჭოთა წლებში დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა. მომუშავე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩაბმულია საკურორტო მეურნეობაში, ან ისეთ დარგებში, რომლებიც ამა თუ იმ სახით დაკავშირებული არიან დამსვენებელთა მომსახურებასთან. ქალაქში გახსნილია ზოგადი განათლების 6 სასწავლებელი, მათ შორის 4 საშუალო სკოლა. უკანასკნელ წლებში ქალაქის საკურორტო ზონაში გაიხსნა მშვენიერად მოწყობილი ორდარბაზიანი კინოთეატრი. კინოთეატრი არსებობს აგრეთვე ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მაღალ დონეზე დგას დამსვენებელთა კულტურული მომსახურება.

გაგრა თანამედროვე კეთილმოწყობილი კურორტია. სრულიად იცვალა სახე მდ. ჟოეკვარას შესართავის მიდამომ, რომელიც კურორტის ჩრდილო-დასავლეთ კარიბჭეს წარმოადგენს. აქ შემორჩენილია ძველი ციხე-სიმაგრის კედლის მეტი ნაწილი, მის შიგნით მდებარე ეკლესიით; ეს უკანასკნელი მკვლევართა აზრით VI საუკუნეში უნდა იყოს აგებული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში კურორტის ფარგლებში მდ. ჟოეკვარა ჩასვეს ბეტონის კედლებში, ხოლო ზღვისპირას მდინარის ორივე მხარეს, აღებულ იქნა ძველი შენობები და გაშენდა საკმაოდ ვრცელი პარკი. შესართავს მარჯვნივ ესაზღვრება კარგად მოწყობილი სამედიცინო პლაჟი, მის მახლობლად კი მდებარეობს ზღვის წყლით სამკურნალო საბაზანო შენობა; აქვე შენდება ახალი სანატორიუმი. უფრო მაღლა, კლდოვან ფერდობზე აღმართულია სანატორიუმი „უკრაინა". მდინარის მარცხენა ნაპირას, ყოფილი ციხე-სიმაგრის კედლებს შიგნით კი განლაგებულია 900-იანი წლების დასაწყისში გოთურ სტილზე აგებული კორპუსები, სადაც ამჟამად მოთავსებულია სანატორიუმი „ჟოეკვარა". მას ზღვის ნაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდან გამოჰყოფს სუბტროპიკული დეკორაციული მცენარეულობით და შადრევნებით დამშვენებული ეზო. „ყოფეკვრას“ ჩრდილო საზღვარზე გადის შავი ზღვის გზატეკეცილი. უკანასკნელ ხანებში ეს გზა გაფართოდა. ტრასა გასწორდა, მდინარეზე აიგო კაპიტალური ხიდი და ეროდროულად ხეობის დასაწყისში მოეწყო ვრცელი მოედანი, რომლის ჩრდილო კიდეზე მდინარის გაღმა-გამოღმა აღმართულ კლდეებში გაჭრილ სარკინიგზო გვირაბებს აერთებს სპეციალური ესტოკადა. ყველა ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემდეგ ეს არე-მარე გაგრის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ გადაიქცა.

შავი ზღვის გზატეკეცილი გაგრას მთელ სიგრძეზე ჰკვეთს. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გასდევს რა ხეობი ტყით შემოსილი მთისძირს, იგი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ზღვისპირა პარკს და ფერდობებზე შეფენილ საკურორტო დაწესებულებებს. აქ განლაგებულია რამდენიმე სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, სასტუმრო „გაგრიაში“; თითოეული მათგანი ტერასირებული, უხვად გამწვანებული ვრცელი ეზოებითაა გარშემორტყმული. მათი განლაგება თითქმის 100 მეტრამდე მაღლდება ზღვის დონიდან. მთავარი პარკი ძველი ციხე-სიმაგრიდან გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთით, პლაჟიდან იგი გამოყოფილია საყრდენი კედლით და ვეებერთელა პალმების ხეივნით. მის დაბოლოებაზე მოეწყო არქიტექტურულად გაფორმებული კოლონადა. ამ ადგილიდან ვაკის ზოლი ძალზე ვიწროვდება და გზატეკეცილისა და რკინიგზის პარალელურად მხოლოდ პალმების ხეივანი გასდევს ზღვისპირს. მაგრამ მალე ვაკე კვლავ ფართოვდება და უშუალოდ ზღვის ნაპირას აღმართულია უკანასკნელ წლებში აგებული სანატორიუმები. ტურისტთა ბაზა, პანსიონატი და რიგი დასასვენებელი სახლები. ამავე დროს, ფერდობებზე ჩნდება მანდარინის ბაღები და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. აქ მთავრდება ქალაქის საკურორტო დაწესებულებების განლაგება. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობს რკინიგზის პავილიონი (საგარეუბნო მიმოსვლის სადგური).

სულ სხვაგვარია გაგრის ადმინისტრაციული, სამეურნეო და საცხოვრებელი უბნები, რომლებიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენენ და ახალი გაგრის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს დასახლება წარმოიშვა 900-იანი წლების დასაწყისში, როცა ძველი გაგრის ტერიტორია ახლად ჩასახულმა კურორტმა დაიკავა. ზღვისპირა ვაკე აქ თანდათან ფართოვდება სამხრეთით, მთის ფერდობების დაქანება კი შესამჩნევად სუსტდება. მთელი ტერიტორია დაყოფილია საცხოვრებელ კვარტალებად. ახალი სახლები მეტ შემთხვევაში ორსართულიანია, აგურის თხელი კედლებით ან წიდა-ბეტონით ნაგები. თითოეულ მათგანს აქვს, როგორც წესი, ციტრუსოვანი ნარგავებით და ყვავილნარებით სავსე ეზო. ქალაქის ეს უბნებიც მწვანე სამოსელშია გახვეული, განსაკუთრებით ფერდობებზე შეფენილი ნაწილი. აქაც უამრავი დამსვენებლები ბინდრობს ზაფხულის თვეებში.

გაგრის ამ ნაწილში თავმოყრილი ქალაქის მრეწველობა თითქმის მთლიანად განკუთვნილია დამსვენებლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ამ სახის საწარმოებიდან აღსანიშნავია ხორცკომბინატი, თევზის, რძის, პურის და ღვინის ქარხნები.

ქალაქს აქვს საკუთარი ჰიდროელსადგური მდ. ყოფეკვარაზე. წყალსადენი და კანალიზაცია, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ქალაქის ყველა უბანში. გაგრის მთელი ტერიტორია შეადგენს 370.6 ჰექტარს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაყვანილია 44 ქუჩა. რომელთა მეტ ნაწილს აქვს მყარი მოპირკეთება. ქალაქში სულ 1320 შენობაა (1959 წლის მონაცემებით), რომელთაგან 1130 საცხოვრებელი სახლია; აქედან 944 სახლი ეკუთვნის მუშა-მოსამსახურეებს. მთელი საცხოვრებელი ფონდი შეადგენს 70 ათას კვ. მ. აღსანიშნავია, რომ ქალაქის უკიდურესი აღმოსავლეთ უბნები ჯერ კიდევ არაა მჭიდროდ დასახლებული და კეთილმოწყობის დონეც აქ შედარებით დაბალია.

ამჟამად გაგრაში გრძელდება სანატორიუმების მშენებლობა და კეთილმოწყობითი სამუშაოები. მიმდინარე შვიდწლედში მწყობრში ჩადგება რამდენიმე საკურორტო დაწესებულება. გაუმჯობესდება დამსვენებელთა მომსახურება.

გუდაუთა

გუდაუთა მდებარეობს სოხუმსა და გაგრას შუა; სოხუმიდან იგი დაცილებულია პირდაპირი ხაზით 30 კმ მანძილით. ეს ზღვისპირა ქალაქი განლაგებულია 15—20 მ სიმაღლის ტერასზე, რომელსაც საკმაოდ სწორი ზედაპირი აქვს. ქალაქის დასავლეთ ნაწილში ვაკე თანდათან დაბლდება ზღვის ნაპირისაკენ. 1959 წელს ქალაქის ტერიტორია აღემატებოდა 1100 ჰა-ს. დასახლებული ნაწილი დაგეგმილია წესიერად. მას კვადრატული ფორმის კვარტალებად ჰყოფს ერთმანეთის პერპენდიკულარულად გადამკვეთი ქუჩების ქსელი. ქალაქი განაშენიანებულია მეტწილად ერთსართულიანი სახლებით. ორი და სამსართულიანი სახლები გვხვდება მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს სამხრეთიდან ეკერის მშვენიერი პარკი; მას უჭირავს როგორც ვაკე, ისე ზღვისპირა ბეჟობი.

გუდაუთა სწრაფად დაწინაურდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში. მაშინ გადაიქცა იგი ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე. აქედან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ზღვით თამბაქო, სიმინდი, ღვინო, კონიაკი, ხილი. საგარეო ვაჭრობაში იგი წინ უსწრებდა ტუაფსეს, სოჭსა და ადლერს. დაბაში მოქმედებდა კონიაკის ორი პატარა ქარხანა და მოხმარების საგნების დამამზადებელი მრავალი სახელოსნო. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში გუდაუთაში არალეგალურ ბოლშევიკურ მუშაობას ეწეოდა ცნობილი რევოლუციონერი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც აქ ფერშლად მსახურობდა. 1910 წელს გუდაუთას მოსახლეობა შეადგენდა 3521 კაცს და მომდევნო წლებშიც სწრაფად იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ პერიოდში გუდაუთაში მოდიოდნენ დამსვენებლები. მაგრამ მსოფლიო ომის და მეწმენეკების ხელისუფლების წლებში გუდაუთას სამეურნეო ფუნქციები მკვეთრად შეიკვეცა და მოსახლეობაც შესამჩნევად შემცირდა. 1922 წელს აქ ცხოვრობდა 2843 კაცი.

საბჭოთა პერიოდში გუდაუთა გადაიქცა ადმინისტრაციული რაიონის ცენტრად და მნიშვნელოვან კურორტად, რამაც ხელი შეუწყო მის აღმავლობას. 1926 წლის ნოემბერში იგი ქალაქად გამოცხადდა: მაშინ აქ ცხოვრობდა 3601 კაცი. 1939 წლისათვის მოსახლეობა გაიზარდა 7100 კაცამდე, ხოლო 1959 წლის აღწერით ითვლებოდა 13019 მცხოვრები. როგორც ვხედავთ, იგი აფხაზეთის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ქალაქია. მოსახლეობა ჩაბმულია საკურორტო მეურნეობაში, მრეწველობაში და ტრანსპორტში, აგრეთვე კულტურულ-საგანმათლებლო და ადმინისტრაციულ მუშაობაში. ქალაქის ერთ-ერთი ფუნქცია მის საკურორტო დანიშნულებაში მდგომარეობს, მაგრამ იგი ამ მხრივ ბევრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოუვარდება გაგრას; მნიშვნელოვანია აგრეთვე გუდაუთას სამრეწველო, სატრანსპორტო, ადმინისტრაციული და კულტურული ფუნქციები.

გუდაუთაში მოქმედებს ორი სანატორიუმი, ორი დასასვენებელი სახლი **და ერთი პანსიონატი.** ყველა მათგანში ადგილების საერთო რიცხვი შეადგენს 945-ს; ხოლო დამსვენებლების წლიური რაოდენობა 14 ათას კაცს. ბევრი დამსვენებელი აქაც დაქირავებული ბინებით სარგებლობს.

ქალაქში არსებობს 4 საშუალო სკოლა; გახსნილია კულტურის სახლი და რამდენიმე ბიბლიოთეკა.

გუდაუთა წარმოადგენს აფხაზეთის მრეწველობის ერთ-ერთ კერას. საკმაოდ განვითარებული დარგია კვების მრეწველობა, რომლის მნიშვნელობა ბევრად სცილდება ქალაქის ფარგლებს, რადგან მისი პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ მხარეში. ამ დარგის საწარმოებიდან აღსანიშნავია ჩაის ფაბრიკა, თამბაქოს საფერმენტაციო და ღვინის ქარხნები; ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებია პურის ქარხანა და ავტოსარემონტო სახელოსნო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო საგნების დამამზადებელი რიგი წვრილი სახელოსნოები. გუდაუთაზე მოდის აფხაზეთის ქალაქების მრეწველობის საერთო პროდუქციის 8,9%. სამრეწველო პროდუქციის მოცულობით იგი ბევრად ჩამორჩება სოხუმსა და ტყვარჩელს, მაგრამ შესამჩნევად უსწრებს წინ ავტონომიური რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებს.

ოჩამჩირე

ოჩამჩირე თავისი სიდიდით აფხაზეთის მესამე ქალაქია. იგი მდებარეობს სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 კმ მანძილზე (პირდაპირი ხაზით). დასახლებას უპირავს ზღვისპირა ვაკე მდ. ღალიძგას შესართავის მარჯვნივ. ქალაქის ტერიტორია შეადგენს 816 ჰექტარს. მისი დასახლებული ნაწილი მოქცეულია ზღვასა და რკინიგზის მაგისტრალს შუა. აქედან რკინიგზის განშტოება მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით—ქალაქ ტყვარჩელამდე.

დღევანდელი ოჩამჩირეს მახლობლად, გასული საუკუნის შუა წლებში, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე არსებობდა შერვაშიძეების საზამთრო რეზიდენცია, შემდეგ კი ეს სასახლეები განადგურდა. ახალი ოჩამჩირე განსაკუთრებით განვითარდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, როდესაც იგი გადაიქცა მთელი სამურზაყანოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ნავსადგურად. აქედან ყოველწლიურად გაპქონდათ რუსეთის შავი ზღვის ნავსადგურებში და საზღვარგარეთ უამრავი სიმინდი, მუხის და კაკლის ხე-ტყე, ღორის ხორცი, დაკლული ფრინველი, აბრეშუმის პარკი, ბამბა, თამბაქო და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ 1910 წელს მხოლოდ სიმინდი იქნა გატანილი 50 ათას ტონაზე მეტი, ხოლო მთლიანად გაზიდვა შეადგენდა 76 ათას ტონას. შემოზიდული იყო დაახლოებით 10 ათასი ტონა საქონელი. შემოჰქონდათ უმთავრესად ზოგიერთი სასურსათო საქონელი (შაქარი, ღვინო), ნავთი, ქსოვილები და სხვ. ნავსადგურის მახლობლად შეიქმნა სხვადასხვა საწყობები, სავაჭრო კანტორები და დუქნები. მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 1500 კაცს, მაგრამ დასახლება მეტად ცუდად გამოიყურებოდა. მდ. ღალიძგაზე ხიდი არ არსებობდა, რის გამო ოჩამჩირე ხშირად მოწყვეტილი იყო სამურზაყანოს დიდი ნაწილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა წლებში ოჩამჩირის განვითარებას ახალი ეკონომიური საწყისები მიეცა. ომის წინა ხუთწლედების მანძილზე იგი გადაიქცა რკინიგზის საკვანძო სადგურად; შეიქმნა მრეწველობა, რომელიც ემყარება უმთავრესად მეზობელი სოფლების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას. ოჩამჩირე წარმოადგენს ადმინისტრაციული რაიონის ცენტრს და 1926 წლის ნოემბრიდან გამოცხადებულია ქალაქად. ოჩამჩირეს აქვს სამრეწველო-სატრანსპორტო და ადმინისტრაციული დანიშნულება. ქალაქის აღმავლობაზე მიგვითითებს მოსახლეობის სწრაფი ზრდა საბჭოთა წლებში. 1926 წელს მისი მცხოვრებთა რიცხვი იყო 3419, 1939 წელს—11696, 1959 წელს—16500. ოჩამჩირეზე მოდის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის 11%.

ქალაქის მრეწველობა უმთავრესად ემყარება ოჩამჩირის ადმინისტრაციული რაიონის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. აქ მოქმედებს ჩაის ფაბრიკა და თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა. ორივე ეს საწარმო გადაამუშავებს ოჩამჩირის მიმდებარე სოფლების ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებიდან მიღებულ ძვირფას ნედლეულს. მათი პროდუქცია შეადგენს ქალაქის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის არ მესამედზე მეტს. აქვე მუშაობს ზეთსახდელი ქარხანა, რომელიც სოიასა და სხვა სახის ნედლეულს ღებულობს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. გარდა ამისა, ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება პურისა და ყველ-კარაქის ქარხნები და რიგი წვრილი საწარმოები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს ამზადებენ.

ოჩამჩირის მთავარ ქუჩებს ზღვის ნაპირის პარალელური მიმართულება აქვთ; მათ პერპენდიკულარულად ჰკვეთს განივი ქუჩები და ამრიგად წარმოიქმნება სწორკუთხოვანი კვარტალები, რომელთა უმეტესი ნაწილი მოზრდილ ეზოებში ჩადგმული საცხოვრებელი სახლებითაა დაფარული. ქუჩები პირდაპირი და საკმაოდ განიერია; მათი რიცხვი შეადგენს 53-ს, ხოლო საერთო სიგრძე 49 კმ-ს. მთავარი ქუჩები მოასფალტებულია. დანარჩენი კი რიყის ქვით მოკირწყლული, ან მოხრეშილი. ქალაქში დაახლოებით სამი ათასამდე სახლია. ცენტრალურ ქუჩებზე მტკნლად ორსართულიანი შენობებია; გავრცელებულია რკინა-ბეტონის ბოძებზე შედგმული ერთსართულიანი სახლებიც. საკედლე მასალად ხშირად გამოყენებულია წიდა-ბეტონი, უფრო იშვიათად—აგური. ზოგჯერ ორსართულიანი სახლის პირველი სართული მინერალური საშენი მასალითაა აგებული, მეორე კი ფიცრებისაგან. ერთსართულიანი სახლები ძალ შემოხვევაში ხისაა. ისინი უფრო ადრეა აგებული, ამჟამად კი ხის სახლები თითქმის აღარ შენდება. სახურავ მასალად გამოყენებულია თუნუქი, კრამიტი და შიფერი. ოჩამჩირეში, ისე როგორც აფხაზეთის მთელ სანაპირო ზოლში, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს საკმაოდ თხელი კედელი აქვთ.

ქალაქში არსებობს ზოგადი განათლების 9 სასწავლებელი. 6 საშუალო სკოლიდან 2 მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სასწავლებელია. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა რაიონის კულტურის სახლი, მუშათა კლუბი და რამდენიმე ბიბლიოთეკა.

ბალი

ბალი აფხაზეთის დანარჩენ ქალაქებს ჩამორჩება როგორც მოსახლეობის ოდენობით, ისე სამეურნეო მნიშვნელობით. ქალაქი წარმოადგენს იმავე სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდების ადმინისტრაციული რაიონის ცენტრს და ამაში გამოიხატება მისი მთავარი ფუნქცია. იგი მდებარეობს აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. საქალაქო დასახლება გაშლილია კოლხეთის დაბლობის და მოსახზვერე გორაკბორცვების მიჯნაზე. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ქალაქზე გადის სოხუმი-თბილისის რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალები. ზღვის ნაპირიდან გალი დაცილებული 17 კმ-ით (პირდაპირი ხაზით). ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქალაქს ჩამოუდის მდ. ერისწყალი, რომელიც აქ მნიშვნელოვან მეანდრებს აჩენს.

ადრე გალი წარმოადგენდა სოფელს და მხოლოდ საბჭოთა წლებში გარდაქმნა ქალაქად. გარდა ადმინისტრაციული ფუნქციისა, გალს სამრეწველო მნიშვნელობაც აქვს. მის მეზობელ სოფლებში ჩაის კულტურის სწრაფად განვითარებასთან დაკავშირებით აქ აშენდა ფაბრიკა ჩაის მწვანე ფოთლის პირველადი გადამუშავებისათვის. ამ საწარმოს მნიშვნელობა, მართალია, სცილდება ქალაქის ფარგლებს, მაგრამ გალში საერთოდ მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. იგი ამ მხრივ უკანასკნელ ადგილზე დგას აფხაზეთის ქალაქებს შორის. არსებობს აგრეთვე ყველა-კარაქის და პურის ქარხნები, აგურის საწარმო და რიგი სახელოსნოები, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ.

გალის მოსახლეობა 1926 წელს შეადგენდა 1431 კაცს, 1939 წელს—3800, ხოლო 1959 წელს—9368 კაცს. როგორც ვხედავთ, მოსახლეობა გალში სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით, დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, მაგრამ იგი მაინც აფხაზეთის ყველაზე პატარა ქალაქად რჩება, რადგან აქ ნელა ვითარდება მრეწველობა, ხოლო მისი ადმინისტრაციული ფუნქცია არ ქმნის მნიშვნელოვან ქალაქად გადაქცევის წინამძღვრებს. მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, და ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქალაქო ცხოვრების სუსტ განვითარებაზე. გალში არსებობს ზოგადი განათლების ხუთი სასწავლებელი, რომელთაგან 4 საშუალო სკოლაა (ერთი მათგანი მუშა-ახალგაზრდობის). კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვანი ცენტრია სარაიონო კულტურის სახლი; გახსნილია აგრეთვე კინოთეატრი, სარაიონო და სამავშო ბიბლიოთეკები.

ქალაქს უჭირავს 959 ჰექტარი ტერიტორია, გაყვანილია ათობით ქუჩა, რომელთა საერთო სიგრძე 32 კმ-ია. საქალაქო დასახლების მნიშვნელოვანი ნაწილი გორაკ-ბორცვებზეა განლაგებული; ქუჩები ხშირად მოკლე და არაპირდაპირია. ამ ზრვე გალი მკვეთრად განსხვავდება გუდაუთისა და ოჩამჩირისაგან. ქალაქში სულ 2300 შენობაა, აქედან 2241 მუშა-მოსამსახურეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლია. ქალაქს აქვს წყალსადენი. სისტემატურად მიმდინარეობს ქალაქის კეთილმოწყობითი სამუშაოები—ქუჩების მოკირწყვლა და მოასფალტება, მწვანე ნარგავების გაშენება, ფართოდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, უმჯობესდება ქალაქის განათება.

დაბა ახალი ათონი

ახალი ათონი აფხაზეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზღვაო კურორტია. იგი გაშლილია ზღვისპირა გორაკ-ბორცვებზე და გამოირჩევა თავისი ლამაზი მდებარეობით. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ახალი ათონი დაცილებულია ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქიდან 26 კმ-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ახალ ათონში შეიქმნა რუსული მართმადიდებელი ეკლესიის მონასტერი, რომელსაც მთავრობამ გადასცა სამი ათასი დესეტინა საუკეთესო მიწები. მალე მონასტერი გადაიქცა მსხვილ სამეურნეო ორგანიზაციად—ზეთის ხილისა და ციტრუსების ვეებერთელა პლანტაციებით, მრავალგვარი სახის სახელოსნოებით და რიგი ნაგებობებით. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩეოდა დიდი ტაძარი და მის ირგვლივ აგებული მონუმენტალური კორპუსები ე. წ. ივერიის მთაზე. მონასტერს ჰქონდა აგრეთვე მთელი რიგი სხვა შენობები.

საბჭოთა წლებში მონასტერი გაუქმდა და მისი მეურნეობა გამოყენებულ იქნა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი კერის შესაქმნელად. გარდა ამისა, განხორციელდა დამატებითი მშენებლობა, რის შედეგადაც შეიქმნა მსხვილი სანატორიუმი („აფხაზეთი"), ორი დასასვენებელი სახლი („ფსირცხა" და „ჩანჩქერი") და ორი პანსიონატი, აგრეთვე ტურისტთა ბაზა. მათ შორის დასასვენებელი სახლი „ფსირცხა" უდიდესია საქართველოში; იგი ერთდროულად იღებს 510 დამსვენებელს. ახალი ათონის საკურორტო დაწესებულებების ერთდროული ტევადობა შეადგენს 1345 კაცს. წელიწადში აქ მკურნალობს ან ისვენებს 30 ათასამდე კაცი. ამავე დროს, ნაწილი დამსვენებლებისა ბინებს ქირაობს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. მონასტრის ყოფილი პლანტაციების ბაზაზე კურორტის მეზობლად შექმნილია ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა.

ახალი ათონი დაბად გამოცხადდა 1938 წლის 16 ნოემბერს. 1939 წლის 17 იანვრის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერით დაბის მოსახლეობა შეადგენდა სამი ათას კაცს, 1959 წლის 15 იანვრის აღწერით კი 3,6 ათას კაცს. დაბის მოსახლეობა ნელა იზრდება იმის გამო, რომ არ წარმოებს მისი ფუნქციების გაფართოება. მრეწველობა სრულებით არ არის განვითარებული. მოსახლეობა ძირითადად ჩაბმულია საკურორტო მეურნეობაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

დაბის ტერიტორიაზე ზღვას ერთვის პატარა მდინარე, რომლის ხეობა განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. ნაპირიდან დაახლოებით 1 კმ მანძილზე მდინარეზე აგებულია ჯებირი; იგი ქმნის მშვენიერ ტბასა და ჩანჩქერს. ამ უკანასკნელისაკენ ზღვისპირა ტბიდან მიეყავართ კეპაროსების თვალწარმტაც ხეივანს. დაბის აღმოსავლეთ საზღვარზე არსებობს რკინიგზის სადგური, მაგრამ თვით კურორტის ფარგლებში რკინიგზა გადის გვირაბებში. დაბას აქვს ნავმისადგომი, რომლითაც სარგებლობენ ადგილობრივი მიმოსვლის კატარღები. „ივერიის" მთის კალთები წარმოადგენს გრანდიოზულ პარკს. იგი შექმნილია მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეულობით და დაბის მშვენებას შეადგენს.

В. Ш. ДЖАОШВИЛИ

НАСЕЛЕНИЕ И ГОРОДА АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Труд выполнен на основе материалов экономико-географической экспедиции, проведенной коллективом научных работников института географии им. Вахушти в Абхазской АССР летом 1959 года.

Большая часть территории Абхазии представлена имеющими крутые склоны лесистыми горами, или неиспользуемыми землями, которые непригодны для заселения. Основная часть населения размещена на приморской равнине, тянущейся узкой полосой вдоль берега Черного моря и местами прерываемой отрогами гор. Довольно густо заселена также примыкающая к равнине предгорная зона. Севернее население встречается лишь в долинах некоторых рек, преимущественно в местах их расширения.

Территория Абхазии заселена издревле. В результате археологических изысканий установлено, что эти земли были заселены человеком еще за несколько тысячелетий до нового летоисчисления.

За последние 100—120 лет в динамике населения Абхазии произошли следующие основные сдвиги.

1. С 40-х годов прошлого столетия до начала 80-х годов, в результате политики царской власти произошла вынужденная эммиграция абхазцев в Турцию, в связи с чем резко сократилось количество коренного населения бывшего Сухумского округа, охватывающего основную часть территории нынешней Абхазской АССР. В 1886 году население округа составляло 68,8 тыс. чел.

2. В последней четверти XIX века и в предреволюционное время происходила усиленная колонизация края русским, армянским и греческим населением, которое заняло покинутые абхазцами земли. В результате быстро росло население Абхазии и к 1897 году достигло 106,2 тыс. чел. В 1926 году на территории Абхазской АССР проживало 201 тыс. чел.

3. В результате быстрого роста промышленности, создания курортного хозяйства и интенсификации сельского хозяйства механический рост населения Абхазии имел место и в советское время.

4. За последние десятилетия вместе с притоком населения извне, происходила и внутренняя миграция, выразившаяся в переходе части сельского населения в города автономной республики. Если в дореволюционное время в основном имело место рост сельского населения, то в советский период решающим является механический прирост городского населения. Вместе с тем на высоком уровне находится естественный рост населения. По сравнению с дореволюционным временем смертность за 1955—1959 годы уменьшилось в четыре раза.

5. За последние 20 лет население Абхазии выросло на 92,8 тыс. чел. и достигло к 15 января 1959 г. 404,7 тыс. чел.; доля городского населения составляет — 37,0%. С 1886 по 1959 год доля населения Абхазии во всем населении Грузии увеличилась с 4-х до 10.0%-ов.

Национальный состав населения Абхазии неоднороден. Кроме абхазцев и значительного количества грузин, проживают русские, армяне ,украинцы и греки.

Средняя плотность населения Абхазии составляет 46,7 чел. на 1 кв. км, при 57,6 чел. на 1 кв. км средней плотности по Грузии. Но если учесть непригодность большей части территории для заселения, то на единицу сельскохозяйственной площади в Абхазии приходится больше жителей, чем в среднем по Грузии.

Плотность заселения резко понижается от прибрежной полосы к горам. До 200 м над уровнем моря проживает 80,7% всего населения Абхазии; средняя плотность здесь составляет 144 чел. на 1 кв. км. Остальное население размещено на высоте 200—1000 м, при средней плотности заселенияз 34,8 чел. на 1 кв. км. Кроме б. агоприятных природных условий, в создании высокой плотности заселения приморской зо-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ны значительную роль играет наличие здесь большинства городов и основных транспортных магистралей. Характерно, что около половины общей площади автономной республики расположено свыше 1000 м, но здесь не имеется ни одного постоянного населенного пункта.

В зависимости от условий рельефа в Абхазии выделяются определенные территории компактного расселения, образующиеся расположенными по соседству группами населенных пунктов, имеющих схожее географическое положение, одинаковые природные условия и историческое прошлое и более или менее похожий внешний облик. Каждая из таких групп компактного расселения отличается от другой также плотностью заселения и в значительной мере—характером занятий населения; вместе с тем у них имеются и общие признаки. Как правило, они отделяются друг от друга какими-либо естественными рубежами (горы, реки и т. п.). На территории Абхазии нами выделены следующие восемь групп компактного расселения: **Леселидзе-Гантиадская, Гагра-Пицундская, Мюссера-Ново Афонская (Гудаутская), Сухуми-Гульрипшская, Цебелда-Амткельская, Лати-Ажарская, Очамчире-Ткварчельская, Гальская.** Наиболее высокую плотность имеют Гагра-Пицундская и Сухумская группы компактного расселения, а наименьшую — Цебелда-Амткельская и Лати-Ажарская. Если плотность расчитать только на обрабатываемые земли, то наиболее заселенными окажутся две последние группы, т. е. гористые территории, и гораздо ниже будет плотность в Очамчирском и Гальском адм. районах, которые лучше обеспечены пахотными землями, чем остальная часть Абхазии.

Из 523-х сельских населенных пунктов Абхазии подавляющая часть (373) представляет собою небольшие деревни, в каждой из которых проживает не более 500 чел. В них размещено не многим более одной трети сельского населения; около 25%-ов населения живет в селах средней величины (500—1000 жителей в каждом), а 40% — в крупных селах (свыше 1000 чел. в каждом). Крупные населенные пункты расположены в приморской равнинной части, в мелкие деревни приурочены к более повышенной территории с расчлененным рельефом.

В трудовой деятельности населения Абхазии основное место занимает сельскохозяйственный труд, в котором участвует 54,4%-ов самодеятельного населения; 17,7% приходится на занятых в промышленности и строительстве, 5% работает на транспорте и в связи, в отраслях культуры и здравоохранения — 11,2% ,в торговле — 4,9%, а на остальные отрасли труда приходится 6,8%. В трудовой деятельности населения приморской полосы значительное место занимает обслуживание курортников.

В советское время коренные изменения произошли в культурной жизни населения. В начальных школах для абхазцев введено обучение на родном языке, осуществлено всеобщее обязательное обучение в пределах семилетней школы в сельской местности, а в городах — в пределах среднего образования. В городах и селах Абхазии открыто 453 общеобразовательные школы, в которых числится более 65 тыс. учащихся. В Сухуми имеется два высших учебных заведения и 12 научно-исследовательских учреждений. Создана широкая сеть домов культуры, клубов, кинотеатров, библиотек и других очагов культуры.

Большое внимание уделяется охране здоровья трудящихся. В автономной республике работают 60 больниц и 87 врачебных амбулаторий и поликлиник. В Абхазии создано несколько здравниц всесоюзного значения. Ежегодно сюда приезжает большое число лечащихся и от-

ეროვნული ბიბლიოთეკა

дыхающих со всех концов Советского Союза. В приморской полосе функционируют 24 санатории и 12 домов отдыха.

Города Абхазии развились в советское время на базе промышленных, курортных и административных функций. В республике 6 городов (Сухуми, Ткварчели, Гагра, Гудаута, Очамчире и Гали)и один поселок городского типа (Новый Афон).

Важнейшими функциями столицы автономной республики Сухуми являются курортная, административная, промышленно-транспортная и культурно-просветительная. На базе добывающей промышленности образовался и развился Ткварчели — крупный центр угольной промышленности и энергетического хозяйства Грузии. Для Гагра, Гудаута и Нового Афона главной является курортная функция; два первых являются также центрами административных районов. Аналогичные административные функции имеют Очамчире и Гали, в которых существуют также промышленные предприятия.

В 1897 году в Абхазии был единственный город — Сухуми, население которого не превышало 8 тыс. чел. В 1959 году в городах Абхазии проживало 149,6 тыс. чел., что составляет 8,7% всего городского населения Грузии. За последние десятилетия население абхазских городов растет быстрее, чем городское население всей Грузии. По числу жителей Сухуми занимает четвертое место среди грузинских городов.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. გ. გამყრელიძე, საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1873-1926 წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. LII. № 7.
2. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
3. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები აფხაზეთის მოსახლეობასა და ქალაქებზე, ფაქტ 700, 1959.
4. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1961.
5. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გამომცემ. 1930 და 1949.
6. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.
7. ვ. ჯაოშვილი, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა და ქალაქები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV. თბილისი, 1960.
8. Грузинская ССР, Статистический сборник, Тбилиси, 1959.
9. Г. А. Дзидзария, Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX столетии, Сухуми, 1958.
10. Народное хозяйство Абхазской АССР, Статистический сборник, Сухуми, 1957.
11. Об уровне образования, национальном составе и возрастной структуре населения ССР, газета «Правда» № 35, 4 февраля, 1960.
12. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, LXVI, Кутаисская губерия, С-Петербург, 1905.
13. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.
14. Сухуми, Историко-краеведческий очерк, Сухуми, 1955
15. А. О. Оленецкий, Сухуми в первой половине XIX столетия. Труды Абхазского Государственного музея, выпуск I, Сухуми, 1947.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. ახალჩასახლებულთა ტიპიური დასახლება აფხაზეთში

სურ. 2. სოხუმი. ლენინის ქუჩა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 7. ტყვარჩელის საავადმყოფო აკარმარაში

სურ. 8. ტყვარჩელი. მუშათა დასახლება „ჯინტუნა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ვ. კაკაბაძე

აფხაზეთის ასსრ მრეწველობის განვითარება და განლაგება

1. მრეწველობის ზოგადი დახასიათება

XIX საუკუნის 70-იან წლებამდე (გლეხთა რეფორმამდე) მრეწველობა აფხაზეთში წარმოდგენილი იყო საკმაოდ განვითარებული შინა მრეწველობით და წვრილი ხელოსნობით. განვითარებული იყო ლითონგადამამუშავებელი წარმოება—მჭედლობა; აქ ამზადებდნენ სოჯახო ნივთებს, სასოფლო-სამეურნეო და ცივ საბრძოლო იარაღებს. გავრცელებული იყო ვერცხლისა და ოქროს მჭედლობა, აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სოჯახო ნივთებსა და სამკაულებს.

ვითარდებოდა აგრეთვე კერამიკული ჭურჭლისა და საშენი მასალების წარმოება.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხის მასალების დამუშავებას და მისგან სოჯახო ნივთებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებას.

უძველესი დროიდან აფხაზეთის რაიონებში წარმოებდა: შალის, ხელის, კანაფისა და ბამბის ქსოვილების დამზადება. სოფლებში თითქმის ყველა ოჯახში ნახავდით პრიმიტიულ საქსოვ დაზგას. წარმოებდა აგრეთვე ტყავის დამუშავება და მით ფეხსაცმელისა და სასარაჯო მოკაზმულობის დამზადება. აღნიშნულ ნაკეთობათა ზოგიერთი საგნები გაჰქონდათ აფხაზეთის საზღვრებს გარეთაც.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და კერძოდ, აფხაზეთში საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ჩანასახები ჩნდება. მაგრამ ამ პერიოდში აფხაზეთის მრეწველობა საერთოდ სუსტად იყო განვითარებული და ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი კუსტარული საწარმოებით იყო წარმოდგენილი. სხვა მიზეზებთან ერთად მრეწველობის სუსტი განვითარება, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობით უნდა ავხსნათ. ეს რაიონი არ იმყოფებოდა მაგისტრალურ სარკინიგზო კომუნიკაციების მომსახურების სფერაში და მისი სატრანსპორტო მდგომარეობა ხელს არ უწყობდა მსხვილ სამრეწველო საწარმოთა შექმნა-განვითარებას. გარდა ამისა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ყოველნაირად ხელს უშლიდა განაპირა რაიონებში და მათ შორის აფხაზეთშიაც მრეწველობის შექმნა-განვითარებას. აფხაზეთში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბუნებრივი საწარმოო რესურსების შესწავლას და მის გამოვლინებას, რაც სამრეწველო საწარმოთა შექმნა-განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა.

აფხაზეთის მრეწველურ ჩამორჩენას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებდა, რომ 1910 წელს სამრეწველო პროდუქციის ღირებულება აქ არ აღემატებოდა 118,8 ათას მანეთს, ხოლო მრეწველობაში დაკავებული მუშების რიცხვი—858

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაცს. აფხაზეთის მაშინდელ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში მუშაობდა არა უმეტესი 2-3 მუშისა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა სათანადო ყურადღება აფხაზეთის ბუნებრივი საწარმოო რესურსების შესწავლას და მათ გამოყენებას. უკვე აღდგენით პერიოდში შეუდგენ არსებული კუსტარული საწარმოების რეკონსტრუქციას და რიგი ახალი საწარმოების მშენებლობას.

1927 წელს აფხაზეთის მრეწველობა წარმოდგენილი იყო: სოხუმის თამბაქოს ფაბრიკით, საკონსერვო და ტყავის ქარხნებით, გუდაუთის სპირტის სახდელი ქარხნით, პატარა მოცულობის ხე-ტყის სახერხი ქარხნებით: კოდორის, ბიჭვინთის, გუდავის, გაგიდის, გაგრისა და სხვ.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა აფხაზეთის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებათა მოცულობა. თუ 1921—1927 წლებში აფხაზეთის მრეწველობაში დაბანდებული იყო 8671 ათასი მანეთი, პირველ ხუთწლედში სამრეწველო მშენებლობაზე დაბანდებულ იქნა 34614,0 ათასი მანეთი, მეორე ხუთწლედში 142506,6 ათასი მანეთი, ხოლო მესამე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე 68289,0 ათასი მანეთი. ომისშემდგომ მომდევნო ხუთწლედებში კაპიტალური დაბანდება კიდევ უფრო გაიზარდა.

პირველ ხუთწლედში აფხაზეთში ამუშავდა ეთერზეთების 4 ქარხანა, სოხუმის აგურის მექანიზებული ქარხანა; რეკონსტრუირებულ იქნა კოდორის ხე-ტყის სახერხი და სოხუმის ტყავის ქარხნები; გაფართოდა და გარდაიქმნა სოხუმის თამბაქოს და საკონსერვო ქარხნები; ექსპლუატაციაში გადაეცა სოხუმის თევზის ქარხანა; აშენდა უალკოჰოლო სასმელების საწარმოები—სოხუმში, გუდაუთსა და ოჩამჩირეში. აფხაზეთში—გალში ამუშავდა ჩაის პირველი ფაბრიკა.

მეორე ხუთწლედში ექსპლუატაციაში შევიდა ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები. აშენდა ჩაის ფაბრიკები: ახიგვარაში, ნაბაკევში მოქვში; ექსპლოატაციაში გადაცემულ იქნა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები: სოხუმში, გუდაუთში, განთიადსა და ოჩამჩირეში. აშენდა სოხუმის პურის ქარხანა და საკონდიტრო ფაბრიკა. იმ სამრეწველო ობიექტთა შორის, რომელნიც მწყობრში ჩადგნენ მესამე ხუთწლედში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1929 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემული ტყვარჩელის თბოელექტროსადგური.

დიდ სამამულო ომამდე (აღდგენით პერიოდსა და ხუთწლედების მანძილზე) აფხაზეთის მრეწველობის საერთო პროდუქცია სისტემატურად იზრდებოდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ პერიოდში სარეწაო კოოპერაციული მრეწველობის ხაზითაც. აღდგენით პერიოდში აფხაზეთში საფუძველი ჩაეყარა სარეწაო კოოპერაციულ მრეწველობას, ხოლო პირველ, მეორე და მესამე ხუთწლედებში იგი მნიშვნელოვნად განვითარდა.

სამამულო ომის წლებში აფხაზეთის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შემცირდა დაახლოებით 31%-ით, რაც ომის მიერ შექმნილი სიძნელეებით იყო გამოწვეული.

აფხაზეთის მრეწველობის სწრაფი განვითარება იწყება სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. ომის შემდგომ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ერთი მხრივ, არსებული საწარმოების რეკონსტრუქცია-გაფართოებას, და, მეორე მხრივ, ახალი მძლავრი საწარმოების მშენებლობას, რომელთა შორის აღსანიშნავია სოხუმის ჰიდროელსადგური მდ. გუმისთან; ამავე პერიოდში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამუშავდა რიგი ახალი სამრეწველო საწარმო: ტყვარჩელის თბოსადგურის მეორე აგრეგატი; ახალი საკონსერვო ქარხანა გაგრის რაიონის სოფ. ერმალოვკაში; ჩაის ფაბრიკები: გუდაუთასა, ოჩამჩირესა სოფელ კოჩარში და კინდღში (ოჩამჩირის რაიონი), ჭუბურხინჯში და ოქუმის (გალის რაიონი), დრახლის (სოხუმის რაიონი); აგურ-კრამიტის ქარხანა სოხუმში; სოხუმისა და გაგრის ხორაკომბინატები და სხვ. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა, აგრეთვე სატყეო და სამშენებლო მასალათა საწარმოები.

ომის შემდგომ წლებში სისტემატურად იზრდებოდა აღგილობრივი და საერეწაო კოოპერაციული საწარმოების რიცხვი.

ყოველივე ამის შედეგად, 1940—1953 წწ. მანძილზე მნიშვნელოვნად იმატა აფხაზეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ.

აფხაზეთის დღეკანდელ სახელმწიფო მრეწველობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი დარგები: ელექტროენერგეტიკული, ქვანახშირის, ლითონდამმუშავებელი, ქიმიური, სატყეო და ხის დამმუშავებელი, სამშენებლო მასალათა, კვების, მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობა.

აფხაზეთში ფართოდაა განვითარებული კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების ადგილობრივი მრეწველობა.

აფხაზეთის მრეწველობაში მომუშავე 21676 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსიდან ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობდა 30,8%, კვების მრეწველობაში—23,3%, სატყეო მრეწველობაში — 6,1%, მსუბუქ მრეწველობაში—5,4%, კოოპერაციულ მრეწველობაში—15,4%, და ა. შ.

აფხაზეთის მრეწველობაში სისტემატურად იზრდება შრომის მწარმოებლურობა, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და კულტურული მომსახურეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის მრეწველობის რიგ დარგებს რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ასე მაგალითად, აფხაზეთიდან საქართველოს ფარგლებში და მოკავშირე რესპუბლიკებში იგზავნება ქვანახშირი, ელექტროენერგია, თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს მზა პროდუქცია, ეთერზეთები, ხე-ტყე, ჩაი, ხილ-ბოსტნეულისა და თევზის კონსერვები, ციტრუსოვანი ხილი, ფეხსაცმელი და სხვა.

აფხაზეთის მრეწველობის ცალკეული დარგების მიერ გამომუშავებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობით აღსანიშნავია კვების მრეწველობა, მასზედ მოდის აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 52,5%. ამის შემდეგ აღსანიშნავია ქვანახშირის მრეწველობა, რომლის წილად მოდის აფხაზეთის საერთო სამრეწველო პროდუქციის 18,2%; მას თანმიმდევრობით მიჰყვება: ელექტროენერგეტიკული (6,8%), სატყეო და ხის გადამამუშავებელი (3,9%), მსუბუქი (2,7%), სამშენებლო მასალათა (2,3%), პოლიგრაფიული (0,5%), ლითონდამმუშავებელი (0,4%) და სხვა.

აფხაზეთის მთელ მრეწველობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს აღგილობრივ და კოოპერაციულ მრეწველობას.

აფხაზეთის მრეწველობაში პირველი ადგილი უკავია ქალაქ სოხუმს, იგი იძლევა აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 28,9%.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1958 წელს ქალაქ სოხუმის მრეწველობის მიერ გამომუშავებული საერთო პროდუქციის ღირებულებიდან (336415,2 ათასი მანეთი), 61,1% კვების მრეწველობა იძლევა. სოხუმის კვების მრეწველობაში ძირითადი წამყვანი საწარმოებია სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, რომელიც 1958 წელს გამოუშვა 35,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა (21,9 მილიონი მან.), ხორცკომბინატი (29,0 მილიონი მან.), თევზკომბინატი (9,3 მილიონი მან.), საკონსერვო ქარხანა (14,7 მლნი მან.), პურის ქარხნები (44,9 მლნი მან.), საკონდიტრო ფაბრიკა (20,7 მლნი მან.), ღვინო-არაყის ქარხანა (20,0 მლნი მან.) და ა. შ.

კვების მრეწველობის შემდეგ სოხუმში აღსანიშნავია მსუბუქი მრეწველობა, რომელიც იძლევა ქალაქის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 9,3%. აქ აღსანიშნავია სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, რომელმაც 1958 წელს გამოუშვა 30,9 მლნი მანეთის პროდუქცია. ქალაქის მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან აღსანიშნავია სამშენებლო მასალათა წარმოება, სატყეო და ხის გადამამუშავებელი მრეწველობა, ლითონდამუშავებელი, პოლიგრაფიული და ქიმიური მრეწველობის დარგები.

გარდა აღნიშნულისა, ქალაქ სოხუმში მაღალ დონეზეა განვითარებული კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების ადგილობრივი მრეწველობის რიგი დარგები.

ქალაქ სოხუმის შემდეგ აფხაზეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობით აღსანიშნავია ქალაქი ტყვარჩელი. იგი იძლევა აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 26%. აქ ძირითადი და წამყვანი დარგია ქვანახშირის მრეწველობა, რომელმაც 1958 წელს გამოუშვა აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის—18,2%, ხოლო ქალაქ ტყვარჩელის მთელი სამრეწველო პროდუქციის—70,6%. ქვანახშირის მრეწველობის შემდეგ აღსანიშნავია ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, ამ დარგზე მოდის ქალაქის მთელი სამრეწველო პროდუქციის—21,2%. ტყვარჩელის მრეწველობის დანარჩენი დარგებიდან აღსანიშნავია: კვების, სამშენებლო მასალათა, ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის დარგები, მაგრამ მათი ხვედრითი წონა ტყვარჩელის მთელ მრეწველობაში უმნიშვნელოა.

+აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ რაიონებს შორის სამრეწველო პროდუქციის მოცულობით საპატიო ადგილზეა გალის რაიონი. აღნიშნულ რაიონზე მოდის აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 12,5%. გალის რაიონის მრეწველობის წამყვანი დარგია კვების მრეწველობა, რომლის წილად მოდის გალის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 87,3%. გალის რაიონის კვების მრეწველობის ძირითადი დარგია ჩაის წარმოება. რაიონს აქვს ჩაის ხუთი მძლავრი ფაბრიკა, რომელიც იძლევა აფხაზეთის ჩაის პროდუქციის თითქმის ნახევარს (49,1%). +

აფხაზეთში სამრეწველო პროდუქციის მოცულობით გალის რაიონის შემდეგ აღსანიშნავია ოჩამჩირის რაიონი, იგი აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 11,1% იძლევა. აქ მრეწველობის ძირითადი წამყვანი დარგია კვების მრეწველობა. ისე როგორც გალის რაიონში, აქაც კვების მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია ჩაის წარმოებით; რაიონში არის ჩაის სამი ფაბრიკა. აღნიშნული ფაბრიკების მიერ 1958 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულება ოჩამჩირის რაიონის მთელი მრეწველობის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის ღირებულების 70,1%. ოჩამჩირის რაიონის კვების მრეწველობის დანარჩენი საწარმოებიდან აღსანიშნავია ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, პურის საცხობი და ყველ-კარაქის ქარხანა.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობით ოჩამჩირის რაიონის შემდეგ აღსანიშნავია გაგრის რაიონი. აქ ძირითადად გამოირჩევა მრეწველობის ორი დარგი—კვების და სატყეო მრეწველობის დარგები. რაც შეეხება მრეწველობის დანარჩენ დარგებს, როგორიცაა ელექტროენერგეტიკული, სამშენებლო მასალათა წარმოება და სხვა, მათი ხვედრითი წონა რაიონის მრეწველობაში უმნიშვნელოა.

გუდაუთის რაიონი იძლევა თითქმის იმდენივე სამრეწველო პროდუქციას, რამდენსაც გაგრის რაიონი (8,0%), ამ რაიონშიაც მრეწველობის ძირითადი წამყვანი დარგია კვების მრეწველობა, რომელიც რაიონის სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტ პროდუქციას იძლევა. გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია სატყეო და სამშენებლო მასალათა საწარმოები.

აფხაზეთის ასსრ ქალაქებსა და რაიონებს შორის სამრეწველო პროდუქციის მოცულობით უკანასკნელ ადგილზეა სოხუმის რაიონი (აქ არ შედის ქ. სოხუმი), იგი იძლევა აფხაზეთის მთელი მრეწველობის 5,3%.

აფხაზეთის ასსრ გარდა სახელმწიფო მრეწველობისა, აღსანიშნავია კოოპერაციული და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების საწარმოები, რომლებიც საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი.

გარდა ამისა, აფხაზეთში აღსანიშნავია აგრეთვე კოლმეურნეობათა მრავალი დამამზარე საწარმო, მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად კუსტარული ტიპისაა.

როგორც დავინახეთ, აფხაზეთის ასსრ მრეწველობაში წამყვანი ადგილი სახელმწიფო მრეწველობას უკავია. იგი აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 87,9% იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის მრეწველობა სისტემატურად იზრდება, იზრდება შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება და სხვ.

განვიხილოთ მრეწველობის ცალკეული დარგები:

2. ელექტროენერგეტიკული მრეწველობა

აფხაზეთის ასსრ ელექტროენერგეტიკის მთავარ წყაროს ქვანახშირი და „თეთრი ნახშირი“ ანუ მდ. წყლის ენერგია წარმოადგენს. აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი მდინარეებია: კოდორი, ბზიფი, ოქუმი, ღალიძგა, კელასური და გუმისთა. ამ მდინარეებისათვის დამახასიათებელია სწრაფი ვარდნა და ჭორომიანი კალაპოტი, ისინი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებში და უშუალოდ უერთდება შავ ზღვას. აღნიშნული მდინარეები დიდი რაოდენობის ჰიდროენერგიის მარაგს შეიცავს. განსაკუთრებით ეს ითქმის მდინარე კოდორზე და ბზიფზე. აფხაზეთის ეს ძვირფასი ჰიდროენერგორესურსები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თითქმის არ იყო გამოყენებული. აფხაზეთის მდინარეების გამოყენება დაიწყო ხუთწლედების პერიოდში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ჯერ კიდევ სუსტადაა გამოყენებული. გარდა ჰიდროენერგიისა, ელექტროფიკაციის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტყვარჩელის ქვანახშირს, რომლის ბაზაზე მუშაობს ტყვარჩელის თბოელექტროსადგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1958 წელს აფხაზეთის ასსრ მუშაობდა სულ 40-ზე მეტი ელსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 151311 კილოვატს უდრიდა, მათ შორის რაიონული ელსადგურების სიმძლავრე 144800 კილოვატს შეადგენდა, ხოლო საკოლმეურნეო ელსადგურებისა—6511 კილოვატს. აღნიშნული ელსადგურების მიერ 1958 წელს გამომუშავებულია 776,0 მილიონი კილოვატსაათი ელექტრონის ენერგია.

1958 წელს აფხაზეთის ელსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია საქართველოს ელსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 26,2% შეადგენდა. მიმდინარე შვიდწლედის ბოლოს 1965 წ. აფხაზეთში ელექტროენერგიის გამომუშავება 861 მლნ კილოვატსაათს მიაღწევს.

აფხაზეთის ასსრ მძლავრი ელსადგურები (ტყვარჩელის თბოელსადგური, სოხუმჰესი, ბაღნარაჰესი და სხვა) გაერთიანებულია ერთიან ჯაგში („საქენერგო"), რომელიც აერთიანებს საქართველოს ელსადგურთა უდიდეს ნაწილს და მით უზრუნველყოფს ამ ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ცენტრალიზებულ განაწილებას მომხმარებელთა შორის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ენერგეტიკული ბალანსი აქტიურია და ავტონომიური რესპუბლიკიდან გაიზიდება საქართველოს სხვა რაიონებში საკმაო რაოდენობის ელექტროენერგია და ქვანახშირი.

აფხაზეთის ელექტროენერგეტიკული მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ძალზე სუსტად იყო განვითარებული და იგი, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აფხაზეთში ელექტროფიკაციის განვითარებას. ხუთწლედების პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა ელსადგურების რიცხვი და გამომუშავებული ელექტროენერგიის ოდენობა.

აფხაზეთში არსებული ელექტროსადგურებიდან აღსანიშნავია ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, რომელიც ტყვარჩელის ქვანახშირის ბაზაზე აშენდა კვეზანში. ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებიდან (აკარმარა) 12 კილომეტრის დაშორებით. სადგურის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდა 1938 წლის დეკემბერში. 1945 წელს დამთავრდა ტყვარჩელის თბოელსადგურის მეორე რიგის მშენებლობა, რითაც ელსადგურის სიმძლავრე გაორკეცდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო მესამე რიგის მშენებლობა, რომელიც 1951 წელს დამთავრდა, ამჟამად იგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ელექტროსადგურია.

1958 წელს ტყვარჩელის ელსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტრონის ენერგია საქართველოს რესპუბლიკაში გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

თბოელექტროსადგური არის ტყვარჩელის ქვანახშირის ძირითადი მომხმარებელი, ამავე დროს, იგი საქართველოს ელსადგურებს შორის იძლევა ყველაზე მეტ ელექტროენერგიას.

მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ელსადგურის გაფართოება, მოხდება სადგურის მართვის სრული ავტომატიზაცია; ამავე დროს შვიდწლიან პერიოდის პერსპექტივაში თბოელსადგური გადაყვანილი უნდა იქნას სტავროპოლის გაზზე, რაც მოგვცემს ქვანახშიოის დიდ ეკონომიას და პროფუკციის თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას.

აფხაზეთის მეორე მნიშვნელოვანი ელსადგურია სოხუმჰესი მდ. გუმისთაზე, რომელიც ექსპლოატაციაში გადაცემულ იქნა 1948 წელს. ჰიდროსადგური აგებულია აღმოსავლეთი გუმისთაზე; აქ აგებულია კაშხალი დღე-ღამური რეგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირებისათვის. კაშხალი ხღვის დონიდან 410 მეტრზე მდებარეობს. სადგურის მართვა მთლიანად ავტომატიზებულია. იგი გაცილებით უფრო იაფ ენერგიას იძლევა, ვიდრე ტყვარჩელის თბოსადგური.

აფხაზეთის რაიონული მნიშვნელობის ელსადგურებიდან აღსანიშნავია ბაღნარჰესი გაგრის რაიონში და კურორტთა სამმართველოს გაგრის ჰიდროელსადგური. ამ სადგურების ხვედრითი წონა აფხაზეთის ელექტროენერგეტიკულ მრეწველობაში შედარებით უმნიშვნელოა. ბაღნარ ჰესი ემსახურება სოფ. განთიადსა და მის მახლობელ სოფლებს და მეორე ელექტროსადგური კი ქალაქ გაგრის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს.

გარდა აღნიშნულისა, აფხაზეთში არის აგრეთვე მცირე სიმძლავრის კომუნალური, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელსადგურები, რომელთა რიცხვი 37 ერთეულს აღემატება. ელსადგურები განლაგებულია აფხაზეთის რაიონტერებში, დაბებში, სოფლებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ზემოაღნიშნული სასოფლო ელსადგურები ემსახურება საკოლმეურნეო სოფლებისა და საბჭოთა მეურნეობების განათებას, სატრაქტორო-სარემონტო სახელოსნოებს, მესაქონლეობის ფერმებს, კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებს და სხვ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, აფხაზეთის ასსრ შედარებით დიდი რაოდენობით აწარმოებს ელექტროენერგიას, აკმაყოფილებს რა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას, მნიშვნელოვან ნაწილს აწოდებს საქართველოს სხვადასხვა რაიონს.

3. ქვანახშირის მრეწველობა

აფხაზეთის ასსრ მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ქვანახშირის მრეწველობა. იგი წარმოდგენილია ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვებით. საქართველოში არსებული ქვანახშირის საბადოებიდან ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო შედარებით ახალია. რევოლუციამდე საქართველოში ქვანახშირის მოპოვება წარმოდგა მცირე რაოდენობით მხოლოდ ტყიბულში, თუმცა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იყო ცნობილი, მაგრამ მისი დამუშავება რევოლუციამდე არ წარმოებდა.

რევოლუციის შემდეგ საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში დაიწყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი განვითარება, ამის შესაბამისად მკვეთრად იზრდებოდა მოთხოვნილება ქვანახშირზე. ამ მიზნით მეორე ხუთწლედში დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის შახტების მშენებლობა. ტყვარჩელის ქვანახშირის პირველი შახტი 1935 წლის მაისში ამუშავდა. 1940 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვებამ 229,2 ათას ტონას მიაღწია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი შახტების მშენებლობას ომის შემდგომ წლებში, რის შედეგადაც ამჟამად ტყვარჩელში მუშაობს ქვანახშირის ექვსი შახტი. შახტების მშენებლობასთან ერთად ყურადღება ეექცეოდა სამთო სამუშაოების მექანიზაციას. ტყვარჩელის შახტებში სულ უფრო და უფრო ინერგებოდა ახალი სამთო ტექნიკა.

ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება. ახლა ბევრი ნოვატორი მეშახტე, ქვანახშირის ნგრევის ოსტატი ცვლაში 70—75 ტონა ქვანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირს იძლევა. ყოველივე ამის შედეგად ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვება სისტემატურად იზრდებოდა. თუ 1940 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას მისცა 292,2 ათასი ტონა ქვანახშირი, ხოლო 1950 წელს—782,1 ათასი ტონა, 1958 წელს ქვანახშირის მოპოვებამ 1281,7 ათას ტონას მიაღწია, ე. ი. 6-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით. 1958 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობაზე მოდიოდა საქართველოს რესპუბლიკაში მოპოვებული ქვანახშირის 42,7%.

1958 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს უდრიდა, რაც აფხაზეთის ასსრ მრეწველობის მთელი პროდუქციის დირებულების 18,2% შეადგენდა.

მშიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით დასავლეთ საკითხი ტყვარჩელში გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის შესახებ. ცნობილია, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი კოქსვადია და ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში შავი მეტალურგიის განვითარების საქმეში. გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს საკოქსე კონცენტრატით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. გამამდიდრებელი ფაბრიკა აწარმოებს ტყვარჩელის შახტებიდან მიღებული ქვანახშირის გადამუშავებას; საკოქსე კონცენტრატი ეგზავნება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ხოლო ენერგეტიკულ სათბობს ტყვარჩელის თბოელექტროსადგური მოიხმარს. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ფაბრიკაში დაინიგრეს გამდიდრების ახალი მეთოდები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საკოქსე კონცენტრატის გამოსავალს და გაუუმჯობესებს მის ხარისხს.

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეშახტეთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლის შენობები, ბავშვთა ბაღები და ბაღები, კლუბები და სპორტული მოედნები, კინოთეატრები და სხვ. ყურადღება ექცევა მეშახტეთა ჯანმრთელობის დაცვას. მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მთელი ფონდი 1958 წელს 111919 კვ. მეტრს უდრიდა, მიმდინარე შვიდწლედში აშენდება საცხოვრებელი სახლები, რომელთა ფართობი 30 ათას კვ. მეტრს აღემატება.

მეშახტეთა ახალი სოციალისტური ქალაქი ტყვარჩელი თანდათან იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება. იგი დღეს კეთილმოწყობილი სამრეწველო ქალაქია საქართველოში. ქვანახშირის მრეწველობამ გამოიწვია რიგი სამრეწველო საწარმოების შექმნა—ძძლავრი თბოელექტრო სადგური, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ტყვარჩელ-შახტმშენის დამხმარე სამშენებლო მასალათა საწარმოები და სხვ.

მომდინარე შვიდწლედის ბოლოს 1965 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობამ უნდა მოგვცეს 1320 ათასი ტონა ქვანახშირი. მომდინარეობს ახალი შახტის მშენებლობა რომლის გეგმის თანახმად, უნდა დამთავრდეს 1963 წელს.

ტყვარჩელის თბოელსადგურის მიერ გადამუშავებული ქვანახშირის ნარჩენებისა (წიდა) და ადგილობრივ კირქვების ბაზაზე გათვალისწინებულია ბლოკების მძლავრი ქარხნის მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ლითონდამამუშავებელი მრეწველობა

აფხაზეთის ლითონდამამუშავებელი მრეწველობა შედარებით სუსტადაა განვითარებული და ძირითადად წარმოდგენილია სოხუმის გემთსარემონტო სახელოსნოთი და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გუდაუთის საავტომობილო სარემონტო ქარხნით.

1958 წელს აღნიშნულ საწარმოებში მუშაობდა 216 მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც გამოუშვეს 3990,0 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც აფხაზეთის მთელი მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის ღირებულების 0,4% შეადგენდა. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ლითონდამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა უმნიშვნელოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა ის სასარგებლო საქმიანობას ეწევა აფხაზეთში; სოხუმის გემთშემკეთებელი სახელოსნო აწარმოებს გემების და განსაკუთრებით თევზსაჭერი ფლოტის (სეინერების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას. 1958 წელს სოხუმის გემთსარემონტო სახელოსნოში მუშაობდა 135 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. ამავე წელს სახელოსნომ შეასრულა რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების გემებისა და სეინერების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება.

რაც შეეხება გუდაუთის ავტოშემკეთებელ ქარხანას, იგი აწარმოებს აფხაზეთის ავტომანქანების მიმდინარე შეკეთებას. 1958 წელს ქარხანაში მუშაობდა 81 მუშა-მოსამსახურე და ტექნიკოსი, რომლებმაც შეაკეთეს 146 ავტომანქანა, 150 ცალი ძრავი, გარდა ამისა, მანქანის სხვადასხვა ნაწილებისათვის ჩამოასხა 31 ტონა თუჯი. ქარხნის მიერ ჩატარებული ავტომანქანების რემონტის ღირებულებამ 1958 წელს შეადგინა მილიონ მანეთზე მეტი. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია გუდაუთის საავტომობილო სარემონტო ქარხნის რეკონსტრუქცია.

5. ქიმიური და ეთერჯეთოვანი მრეწველობა

აფხაზეთში ეთეროვანი ზეთების გამომხდელი საწარმოებიდან აღსანიშნავია ოჩამჩირის, ტამიშის (ოჩამჩირის რაიონი), ბაბუშერის (სოხუმის რაიონი), გალის ზეთსახდელი ქარხნები და სოხუმის ფარმაცევტული ქარხანა.

აფხაზეთის ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურების განვითარებისათვის, ამიტომ აქ ეთერზეთოვანი კულტურები გავრცელებულია გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის ადმინისტრაციული რაიონების კოლმეურნეობებსა და გალის (გონძე ეწერი) და ტამიშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობებში. 1958 წელს აფხაზეთში იყო სულ 319 ჰექტრამდე ეთერზეთოვანი კულტურები, მათ შორის კოლმეურნეობებში—171, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—148 ჰექტარი. აღნიშნულ მეურნეობებში მოყვანილი ეთერზეთები მუშავდება: გალის, ბაბუშერის და ტამიშის ეთერზეთების გადამამუშავებელ ქარხნებში.

1958 წელს აღნიშნულ ქარხნებში მუშაობდა 191 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, ამავე წელს ამ საწარმოებმა გამოუშვეს—2505,0 კილოგრამი რეპანის ზეთი, 577,0 კილოგრამი გერანის, 83,9 კილოგრამი პაჭულის ზეთი, 14,4 კილოგრამი ვეტივერიის, 883,8 კილოგრამი ეკალიპტის, 17,7 კილოგრამი ვარდის ზეთი და ა. შ. ამ ქარხნების პროდუქციის მთელი ღირებულება 1958 წელს 8568,1 ათას მანეთს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთში დამზადებული ეთერზეთები იგზავნება საბჭოთა კავშირის რიგ ქალაქებში და ძირითადად—მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, რიგის პარფიუმერიულ ქარხნებში.

აფხაზეთის ეთერზეთების სახდელი ქარხნებიდან აღსანიშნავია ტამიშის საბჭოთა მეურნეობის ეთერზეთების სახდელი ქარხანა, რომელიც 1933 წელს დაარსდა. მეურნეობის მთელი ფართობი 113 ჰექტარია, მათ შორის ეთერზეთოვან კულტურებს უკავია 51 ჰექტარი ფართობი. გარდა საბჭოთა მეურნეობისა, ეთერზეთოვანი კულტურები გავრცელებულია აგრეთვე მახლობელ კოლმეურნეობებში, როგორიცაა, ტამიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, კვიტოულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და სოფ. არადუს კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ“ და სხვ. ამრიგად, ტამიშის ეთერზეთების სახდელი ქარხანა მუშაობს საკუთარი მეურნეობისა და კოლმეურნეობებიდან მიღებული ნედლეულის ბაზაზე.

1958 წელს ტამიშის ქარხანამ გადაამუშავა 707,5 ტონა ეთერზეთოვანი მცენარეების ნედლეული.

გადამუშავების შედეგად მიღებულია 1018 კგ სხვადასხვა სახის ეთეროვანი ზეთი. გამოშვებული პროდუქცია გაიგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის და რიგის პარფიუმერიულ ქარხნებში.

აფხაზეთის ეთერზეთის მნიშვნელოვანი საწარმოა გალის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის ეთერზეთების სახდელი ქარხანა. იგი დაარსდა 1950 წელს. მეურნეობის მთელი ფართობი 660 ჰექტარია, მათ შორის ეთერზეთოვან კულტურებს 91 ჰექტარი უკავია. აქ ძირითადად გავრცელებულია ოთხი სახის ეთერზეთოვანი კულტურა, როგორიცაა: რეჰანი, პაჰული, გერანი და ვეტივერია. მეურნეობასთან არსებობს ეთერზეთების სახდელი ქარხანა, იგი მუშაობს მხოლოდ მეურნეობაში მიღებული ნედლეულის ბაზაზე, რადგან გალის რაიონში კოლმეურნეობებს ეთერზეთების კულტურების მოყვანის გეგმა არა აქვთ.

1958 წელს ქარხანამ გადაამუშავა 210 ტონა ეთერზეთების ნედლეული და გამოუშვა 1001,4 კილოგრამი სხვადასხვა სახის ეთეროვანი ზეთი. გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად გაიგზავნა მოსკოვის პარფიუმერიულ ქარხნებში. მომდინარე შვიდწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს მეურნეობაში ეთერზეთოვანი კულტურების ფართობი და მოსავლიანობა და შესაბამისად ქარხნის სამრეწველო პროდუქციაც.

ეთერზეთების მნიშვნელოვანი საწარმოა ბაბუშერის ეთეროვანი ზეთების სახდელი ქარხანა, რომელიც მუშაობს სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებიდან მიღებული ნედლეულის ბაზაზე.

1958 წელს ბაბუშერის ეთერზეთების ქარხანამ გამოუშვა 1446,8 კილოგრამი სხვადასხვა სახის ეთეროვანი ზეთი. გამოშვებული პროდუქციის მთელი ღირებულება 1137,6 ათას მანეთს უდრიდა. მიღებული პროდუქცია თითქმის მთლიანად გაიგზავნა მოსკოვის და ლენინგრადის პარფიუმერიულ ქარხნებში. უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია, ქარხნის რეკონსტრუქცია და ეთერზეთების პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა.

მეტად მნიშვნელოვანი და დიდი საწარმოა ოჩამჩირის ტუნგის ზეთის სახდელი ქარხანა. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონში ტუნგის კულტურის გავრცელებასთან დაკავშირებით ქ. ოჩამჩირეში და ქობულეთის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. ოჩხამურში აშენდა ტუნგის ზეთის სახდელი ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ საქართველოში ტუნგის ნაყოფისაგან ტუნგის ზეთის გამოხდას. უკანასკნელ წლებში ოჩამჩირის ქარხანამ შეწყვიტა ტუნგის ზეთის გამოხდა და შემოზიდული ნედლეულით დაიწყო მცენარეული საკვები ზეთების (ბამბის, სოიოს, მზესუმზირას) გამოხდა.

ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ეთერზეთების საცდელი სადგური, რომელიც აწარმოებს მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ზეთშემცველი მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანა-სელექციას, აგროტექნიკური წესების გამომუშავებას და ბიოქიმიისა და ტექნოლოგიური პროცესების შესწავლას. საცდელ სადგურს აქვს ეთერზეთების სახდელი ექსპერიმენტული ქარხანა.

გარდა აღნიშნულისა, აფხაზეთში აღსანიშნავია საქართველოს საბჭოთა-ქო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილების სოხუმის ფარმაცევტული ქარხანა, სადაც წარმოება მედიკამენტების აწონვა-შეფუთვა, ეტიკეტების გაკეთება და ზოგიერთ ხსნარი მედიკამენტების დამზადება.

1958 წელს აღნიშნულ საწარმოში მუშაობდა 17 კაცი.

მიმდინარე შვიდწლედში დამთავრდება სოხუმის ბუნებრივი საღებავების ქარხნის მშენებლობა, რომელიც ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გამოუშვებს თხევად საღებავს, ეს საღებავები ძირითადად გამოიყენება მშენებლობაზე.

6. სატყეო და ხის გადამამუშავებელი მრეწველობა

აფხაზეთი მდიდარია ტყის მასივებით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომ-გეოგრაფიულ რაიონებს შორის ტყეების ფართობით აფხაზეთის პირველი ადგილი უკავია. ტყეებს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის 55,4% უჭირავს. ამავე დროს აფხაზეთზე მოდის საქართველოს მთელი ტყის ფოხდის 18,7%. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ტყეებისათვის დამახასიათებელია ხის ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა ბზა, ურთხელი, კაკლის ხე და სხვ. წარსულში ამ ძვირფასი ხის ჯიშების მოვლა-პატრონობას და მის გეგმიან ექსპლუატაციას ყურადღება არ ექცეოდა, წარმოებდა აფხაზეთის ძვირფასი ხის ჯიშების მტაცებლური დამუშავება, და დამზადებული ძვირფასი ხის მორები თითქმის მთლიანად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიდიოდა. ყოველივე ამის შედეგად აფხაზეთის ხის ძვირფასი ჯიშები (ბზა, წითელი ხე, კაკლის ხე და სხვ.) თითქმის გადაშენდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკაში ტყის მასივების მოვლა-პატრონობას და მათ გეგმიან ექსპლუატაციას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოსა და კერძოდ აფხაზეთის ძვირფასი ხის ჯიშების შენარჩუნების საქმეს. ტყეების დაცვისა და წესიერი მოვლის მიზნით საქართველოში და კერძოთ აფხაზეთში შეიქმნა სახელმწიფო ნაკრძალები, თითქმის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში სატყეო მეურნეობები, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან რესპუბლიკის ტყეები განადგურებისაგან და ყურადღება მიაქციონ ტყეების მოვლას და გეგმიან ექსპლუატაციას. ყოველივე ამის შედეგად საქართველოში და კერძოდ აფხაზეთში ნაწილობრივ აღდგენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა ხის ძვირფასი ჯიშები. აფხაზეთის ტყის მასივების მთელი ფართობი 1958 წელს 479917 ჰექტარს უდრიდა.

თუმცა ტყეებს აფხაზეთში მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (55,4%) უკავია, მაგრამ მათ ძირითად ნაწილს საკურორტო, ნიადაგდაცვითი და წყალშენახვითი მნიშვნელობა აქვს, რის გამო საექსპლუატაციოდ გამოსადეგი ტყე შედარებით მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპლუტაციო ტყეებში, ისე როგორც არა საექსპლუატაციო ტყეებში, სანიტარული ჭრის შედეგად ყოველწლიურად საკმარისი რაოდენობის საქმიანი მერქანი გროვდება.

აფხაზეთის ტყეები ძირითადად განლაგებულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე და მისი განშტოების—ბზიფის, გაგრის და კოდორის ქედებზე.

1958 წელს, აფხაზეთის ასსრ-ში დამზადებული იყო 132343 მ³ საქმიანი მერქანი, 89200,0 მ³—შეშა და 22550 მ³ დახერხილი ხის მასალა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აფხაზეთის მრეწველობის რიგი დარგები უდიდეს მოთხოვნილებას აყენებს ხე-ტყის მასალაზე. განსაკუთრებით ხე-ტყის დიდი მომხმარებელია ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა (ქვანახშირის მრეწველობა საჭირო ხე-ტყეს იღებს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან) და აფხაზეთის სამშენებლო ორგანიზაციები და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ რაიონებში რაისამრეწველო კომბინატებისა და სარეწაო არტელების მიერ მოეწყო ხე-ტყის სახერხი და ხის დამამუშავებელი საწარმოები.

აფხაზეთის ტყეების მოვლასა და გეგმიან ექსპლუატაციას აწარმოებს შემდეგი ორგანიზაციები: გაგრის, ბზიფის, კოდორის, გინჭე ეწერის სატყეო სამრეწველო მეურნეობანი. გარდა აღნიშნულისა, ხე-ტყის დამზადებას და სატყეო მრეწველობის პროდუქტებს აწარმოებენ რაიმრეწკომბინატები, სარეწაო არტელები და სხვადასხვა საუწყებო ორგანიზაციები. ყოველივე ამის შედეგად სისტემატურად იზრდებოდა აფხაზეთის სატყეო მრეწველობის პროდუქცია.

1958 წელს სატყეო მრეწველობაში მუშაობდა 1500 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი. აფხაზეთის მეურნეობის ამ დარგმა გამოუშვა 44,6 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

აფხაზეთის სატყეო მრეწველობისა და მეურნეობის ცალკეულ ორგანიზაციებს აქვს ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, რომლებიც დამზადებულ ხე-ტყეს აგზავნიან სატყეო მეურნეობებში და აქედან ის ეგზავნება მომხმარებლებს.

სატყეო მრეწველობის ცალკეული საწარმოებიდან აღსანიშნავია კოდორის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც 1939 წელს დაარსდა პატარა მოცულობის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ბაზაზე. იგი ხე-ტყის მასალას იღებს ჩხალთის, აზანთის, გენწვისის, საკენის, გაგრის ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტებიდან. აღნიშნულ ქარხანას აქვს ოთხი ძირითადი საამქრო: სახერხი, ხის გადამამუშავებელი, ავეჯის და გრეხილი სკამების. ქარხნის სახერხი საამქროს წლიური სიმძლავრე 20—30 ათას კუბ. მეტრია. სკამების საამქროს შეუძლია გამოუშვას 3500 ცალი გრეხილი სკამი წელიწადში. ქარხანას აქვს 225 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელესადგური. ქარხანაში მუშაობს 226 მუშა-მოსამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურე, აქედან 220 მუშა. ტყის გადამამუშავებელ საწარმოთა შორის შეგვიძლია კიდევ დავასახელოთ: კალდახვარის, ბიჭვინთის, გუდაურის, გაგიდის, გაგრის ხე-ტყის სახერხი ქარხნები, სოხუმისა და გაგრის ავეჯის ფაბრიკები.

მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია აფხაზეთის საქმიანი მერქნისა და შეშის დამზადების გადიდება, სოხუმისა და გაგრის ავეჯის ფაბრიკების რეკონსტრუქცია, იმ ვარაუდით, რომ ისინი წელიწადში გამოუშვებენ 4 მილიონი მანეთის ღირებულების ავეჯს.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ტყეებს აქვს საკურორტო და ნიადაგსაფარის დაცვის მნიშვნელობა, მომავალში სატყეო მრეწველობის პროდუქციის ღირებულების ზრდა უნდა მოხდეს არა ტყეების საექსპლოატაციო სამუშაოების გადიდების საშუალებით, არამედ ხის გადამამუშავებელი საწარმოების (ავეჯის ფაბრიკები, სახერხი ქარხნები) გაფართოების ხარჯზე.

1. სამშენებლო მასალათა წარმოება

აფხაზეთი მდიდარია ბუნებრივი მინერალური სამშენებლო ნედლეულით. მდ. ყოეკვარასა და გაგრიპშის ხეობებში აღმოჩენილია ასფალტის მდიდარი საბადოები. ოქუმის მიდამოებში (გალის რაიონი) თაბაშირის მნიშვნელოვანი საბადო, რომლის მარაგი რამდენიმე ასეული ათასი ტონით განისაზღვრება, თაბაშირი მოიპოვება აგრეთვე კვეზანის მიდამოებში. მნიშვნელოვანია ტყვარჩელის დოლომიტის საბადო, იგი მაღალი ხარისხისაა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებაოეობით გამოირჩეკ. დოლომიტი არის აგრეთვე გეგას, გაგრისა და ბზიფის მიდამოებში. კირქვის, როგორც საცემენტე ნედლეულის საბადო შესწავლილია მდ. ციგწყალას ხეობაში, გაგრიდან 19 კმ დაშორებით, გამოდგება პორტლანტ ცემენტის წარმოებაში. ჩვეულებრივი კირქვის საბადოები აღსანიშნავია ახალი გაგრის მიდამოებში, სოხუმის რაიონში და სხვა მრავალ ადგილას. მერგელი მოიპოვება სოხუმის, გაგრის რაიონებში და კვეზანის მიდამოებში. სოხუმის რაიონში მოიპოვება აგრეთვე მინერალური საღებავების საბადო. მდინარეებს—გუმისთის, კელასურის და ბზიფის ხეობებში მოიპოვება მარმარილოს მნიშვნელოვანი მარაგი.

მშენებლობაში გამოსადეგი სამშენებლო ქვები მოიპოვება აფხაზეთის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში.

სახურავი ფიქლები შესწავლილია სოფ. განთიადთან, ლათასთან, მდ. კოდორის სათავეებში და სხვ. აგურ-კრამიტის წარმოებისათვის გამოსადეგი თიხების საბადოები მოიპოვება ტყვარჩელის, სოხუმის მიდამოებში, რომლის ბაზაზე მუშაობს აგურის სამი მძლავრი ქარხანა. გარდა ამისა, აფხაზეთის რიგ ადგილებში არსებობს თიხის საბადოები, რომელთა დიდ ნაწილს საკოლმეურნეო აგურის ქარხნები იყენებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშლილ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებით, სისტემატურად იზრდებოდა საშენ მასალათა მრეწველობის პროდუქცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, აფხაზეთის დღევანდელი სამშენებლო მასალათა მრეწველობის პროდუქცია ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის გაშლილ მოთხოვნილებას.

როგორც აფხაზეთის საგეგმო კომისიის მასალებიდან ჩანს, 1958 წელს აფხაზეთის ასსრ კულტურულ, საბინაო და სამეურნეო მშენებლობის მოთხოვნილება 64 მილიონ ცალ აგურს შეადგენდა. ამავე წელს აფხაზეთში დამზადდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ 28,5 მილიონი ცალი პირობითი აგური, მათ შორის ადგილობრივ სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა გამოუშვეს 17 მილიონი ცალი აგური, გაგრისა და სოხუმის აგურის ქარხნებმა—4,4 მილიონი ცალი, ანუ სულ 21,4 მილიონი ცალი აგური. ამის გარდა, რიგი საუწყებო ორგანიზაციებმა დაამზადეს ბლოკები და გამოიყენეს მშენებლობაში 11000 m^3 რიყის ქვა, რაც ბლოკებთან ერთად ეთანაბრება 5 მილიონ ცალ აგურს. გარდა ამისა, 1958 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობების დამხმარე საწარმოებმა გამოუშვეს 2,1 მილიონი ცალი აგური. ამრიგად, აფხაზეთში დამზადდა სულ 28,5 მილიონი ცალი პირობით აგური. დანაკლისი 34,5 მილიონი ცალი, აქედან ნაწილი შემოზიდულ იქნა საქართველოს სხვა რაიონებიდან. გარდა საშენი საკედლე მასალისა, აფხაზეთის მშენებლობა განიცდის აგრეთვე ცემენტის, კირის და სახურავი მასალის ნაკლოვანებასაც.

აფხაზეთში შემავალ ადმინისტრაციული რაიონებიდან სამშენებლო მასალათა პროდუქციის ღირებულებით პირველი ადგილი უჭირავს სოხუმის რაიონს, რომელიც 1958 წელს იძლეოდა აფხაზეთის მთელი სამშენებლო მასალათა მრეწველობის პროდუქციის 29,6%. სოხუმის რაიონში სამშენებლო მასალათა საწარმოების შედარებით მაღალ დონეზე განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ბუნებრივ სამშენებლო ნედლეულის არსებობამ და, მეორე მხრივ, ქალაქ სოხუმთან სიახლოვემ, რომელიც დიდი რაოდენობის საამშენებლო მასალებს მოითხოვს.

სოხუმის რაიონის შემდეგ სამშენებლო მასალათა წარმოებით აღსანიშნავია გაგრის რაიონი.

რაც შეეხება ქ. სოხუმს, აქ სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია დამხმარე მასალების ტრესტის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ რკინა-ბეტონის ბლოკებსა და კონსტრუქციებს. 1958 წელს აქ დამზადებულია 2034 m^3 რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, 1898 ათასი ცალი საკედლე ბლოკები და 6468 m^3 ბეტონის ბლოკები.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის განვითარებით აღსანიშნავია აგრეთვე ქ. ტყვარჩელი, სადაც ტყვარჩელქვანახშირ ტრესტის მიერ ორგანიზებულია რიგი დამხმარე საწარმოები, როგორიცაა. აგური, კირის ქარხნები, საშენი ქვის კარიერები, რკინა-ბეტონის და ბლოკების საწარმოები და რიყის ქვისა და ღორღის დამამზადებელი კარიერები.

რაც შეეხება აფხაზეთის დანარჩენ ადმინისტრაციულ რაიონებს, როგორიცაა გუდაუთის, გალისა და ოჩამჩირის რაიონები, ამ რაიონებში სამშენებლო მასალათა საწარმოები კიდევ უფრო სუსტადაა განვითარებული და ვერ აკმაყოფილებენ მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნებს.

როგორც დავინახეთ, აფხაზეთის ასსრ-ში სამშენებლო მასალათა მრეწველობა სუსტადაა განვითარებული და ის ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს აფხაზეთის მოთხოვნილებას სამშენებლო მასალაზე. მომდინარე შვიდწლეულში გათვალისწინებულია სამშენებლო მასალათა მრეწველობის იმ დონემდე განვითარება, რომ მან მთლიანად დააკმაყოფილოს აფხაზეთის სამრეწველო და კომუნალური მშენებლობის მოთხოვნილება საშენი მასალებით. შვიდწლეულში, ერთი მხრივ, უნდა გაფართოვდეს და გარდაქმნას არსებული სამშენებლო მასალათა საწარმოები და, მეორე მხრივ, რიგ რაიონებში უნდა აშენდეს ახალი საწარმოები.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1960 წელს სოხუმის რაიონში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე აგურის ახალი ქარხნების მშენებლობას, რომლის წარმადობა 12 მილიონ ცალ აგურს შეადგენს წელიწადში. 1961 წელს გალის რაიონში უნდა აშენდეს აგურის ახალი ქარხანა 5 მილიონი ცალი აგურის წარმადობით წელიწადში, ოჩამჩირის რაიონში გათვალისწინებულია აგურის ქარხნის მშენებლობა 1.8 მილიონი ცალი აგურის წარმადობით.

შვიდწლედში გათვალისწინებულია აგრეთვე ოჩამჩირის, გალის კრამიტის, სოხუმისა და გაგრის აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია.

ტუკარჩელში ადგილობრივი ქვანახშირის წიდისა და კირქვების ბაზაზე შვიდწლედში უნდა აშენდეს ბლოკების მძლავრი ქარხანა.

აფხაზეთის მშენებლობა განიცდის აგრეთვე ცემენტისა და კირის ნაკლებობას, რაც წელიწადში დაახლოებით 23 ათასი ტონით განისაზღვრება. ამ დანაკლისის შევსების მიზნით მიმდინარე შვიდწლედში სოხუმის რაიონში (სოფ. შრომის) უნდა აშენდეს კირის მძლავრი ქარხანა. საშუალო სიმძლავრის კირის ქარხნები უნდა აშენდეს: გაგრის, გუდაუთის და აფხაზეთის სხვა რაიონებში სულ 45000 ტონა კირის წლიური წარმადობით.

გარდა ამისა, აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის ხაზით გათვალისწინებულია აშენდეს სამშენებლო მასალათა საწარმოები: სოხუმში, ოჩამჩირეში და აფხაზეთის რიგ რაიონებში. ყოველივე ამის შედეგად აფხაზეთი უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი საშენი მასალებით.

8. კვების მრეწველობა

კვების მრეწველობა აფხაზეთის მრეწველობის მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი დარგია. იგი ძირითადად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და ნაწილობრივ შემოზიდული ნედლეულის ბაზაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ისე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, აფხაზეთშიაც ხუთწლედების მანძილზე კვების ძველი საწარმოები რეკონსტრუირებულ და გაფართოებულ იქნა. ამასთან ერთად ფართოდ გაიშალა კვების მრეწველობის ახალი მექანიზებული საწარმოების მშენებლობა.

აფხაზეთის კვების მრეწველობის განვითარება ძირითადად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის წინათ არსებულ დარგთა ზრდასთან და რიგი ახალი დარგის შექმნასთან. კვების მრეწველობის გაფართოებას აქ წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა—მეთამბაქოეობა, ჩაისა და ციტრუსების კულტურათა გაშენება, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, ტუნგის ნარგავების გაშენება, მეცხოველეობის განვითარება და სხვ.

აფხაზეთის კვების მრეწველობაში აღსანიშნავია ჩაის, თამბაქოს, თევზის, საკონსერვო, ხორცის, ყველ-კარაქის, პურისა და საკონდიტრო, ლუდ-ლიმონათის, დაფნის ფოთლისა და სხვათა წარმოება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში აშენდა კვების მრეწველობის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა—გალის, პუბერტინჯის, ნაბაკევის, ახიგვარის, ოქუმის, ოჩამჩირის, კინდღის, კოჩარის, გუდაუთისა და დრანდის ჩაის ფაბრიკები, სოხუმის, განთიადის, გუდაუთისა და ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები, სოხუმისა და გაგრის თევზის ქარხნები, სოხუმისა და გაგრის ხორცკომბინატები, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის ღვინის ქარხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები, სოხუმის, ტყვარჩელის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის პურის საცხობი ქარხნები, სოხუმის ლუდის და უალკოჰოლო სასმელების ქარხნები და სხვ.

აფხაზეთის კვების მრეწველობა, მნიშვნელობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დარგებად.

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის დარგებიდან აღსანიშნავია— ჩაის, თამბაქოს, საკონსერვო, თევზის, დაფნის ფოთლის წარმოება და სხვა, ხოლო ადგილობრივი მოხმარების დარგებს მიეკუთვნება ხორცის, ყველ-კარაქის, რძის, ღვინის, ლუდ-ლიმონათის, პურისა და საკონდიტრო პროდუქციის წარმოება.

დიდია აფხაზეთის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა აფხაზეთის მთელ მრეწველობაში, იგი იძლევა აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების ნახევარზე მეტს.

აფხაზეთში შემავალ ქალაქებსა და ადმინისტრაციულ რაიონებში კვების მრეწველობა მეტ-ნაკლებადაა განვითარებული და იგი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: აფხაზეთის კვების მრეწველობის პროდუქციის 1/3-ზე მეტს (36,8%) იძლევა ქ. სოხუმში, შემდეგ თანამიმდევრობით მიდის გალის (20,8%), ოჩამჩირის (17,7%), გუდაუთის (9,9%), გაგრის (9,1%), სოხუმის რაიონი (3,3%) და ბოლოს ქალაქი ტყვარჩელი (2,4%).

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლედების მანძილზე განუწყვეტლად იზრდებოდა აფხაზეთის კვების მრეწველობის პროდუქცია, ასე მაგალითად, 1937 წელს აფხაზეთის კვების მრეწველობამ გამოუშვა 28,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც იმავე წელს აფხაზეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 58,5% უდრიდა.

1958 წელს კი აფხაზეთის კვების მრეწველობამ გამოუშვა 610,7 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც აფხაზეთის მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 52,4% უდრიდა.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ერთი მხრივ, 1937 წელთნ შედარებით 1958 წლისათვის აფხაზეთის კვების მრეწველობა განუხრელად გაიზარდა, მეორე მხრივ, 1937 წელთან შედარებით, 1958 წლისათვის აფხაზეთის კვების მრეწველობის ხვედრითი წონა აფხაზეთის მთელ მრეწველობაში თანდათან მცირდებოდა შესაბამის წლებში 58,5%-დან 52,4%-მდე. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო აფხაზეთის მრეწველობის ისეთი დარგების სწრაფი ზრდით, როგორიცაა ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვება და ნაწილობრივად სატყეო და მრეწველობის სხვა დარგები.

აფხაზეთის კვების მრეწველობის დარგებიდან ყველაზე მძლავრია ჩ ა ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, რომელიც იძლევა აფხაზეთის კვების მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 42,5%.

1958 წელს აფხაზეთში მოქმედებდა ჩაის 10 ფაბრიკა. ამ ფაბრიკებში მუშაობდა სულ 1372 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი. აღნიშნულმა ფაბრიკებმა 1958 წელს გამოუშვეს 5296,1 ტონა ჩაის პროდუქცია. მათ შორის— 17,1 ტონა ექსტრა, 2,8 ტონა თაიგული, 935,8 ტონა უმაღლესი ხარისხის ყველა კატეგორიის ჩაი, 1677,4 ტონა პირველი ხარისხის ჩაი, 2478,2 ტონა მეორე

ხარისხის ყველა კატეგორიის. 59,7 ტონა მესამე ხარისხის, 161,0 ტონა აგურა ჩაი.

აფხაზეთში ჩაის მრეწველობის განვითარება ემყარება ჩაის კულტურის გავრცელებას, რასაც ხელს უწყობს არსებული ბუნებრივი პირობები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გალის, ოჩამჩირის სოხუმისა და გუდაუთის ადმინისტრაციული რაიონები. არსებულ ჩაის საპლანტაციო მეურნეობების ბაზაზე აფხაზეთის მეჩაიეობის ძირითად რაიონებში, ხუთწლედების პერიოდში, აშენდა ჩაის პირველადი გადამამუშავებელი 10 ფაბრიკა, მათ შორის—ხუთი გალის რაიონში, სამი— ოჩამჩირის და თითო-თითო— გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში.

როგორც დავინახეთ, აფხაზეთის რესპუბლიკაში ჩაის საპლანტაციო მეურნეობითა და ჩაის მრეწველობით, პირველი ადგილი უკავია გალის რაიონს. მას მეჩაიეობით საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაშიაც.

1958 წელს გალის რაიონის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს სულ 2644,8 ტონა ბაიხის ჩაი. გალის რაიონის ჩაის ფაბრიკების პროდუქციის ღირებულება აფხაზეთის ჩაის მრეწველობის პროდუქციის ღირებულების თითქმის ნახევარს (49,4%) უდრიდა.

გალის რაიონის ჩაის ფაბრიკების ნედლეულით თანაბრად უზრუნველყოფის მიზნით ყველა მეჩაიე სასოფლო საბჭოები დანაწილებულია ზონებად და თითოეული მათგანი მიმაგრებულია მახლობელ ჩაის ფაბრიკებზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ აჩიგვარის ჩაის ფაბრიკა, რომელიც ძირითად ნედლეულს იღებს აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან და აგრეთვე მახლობელი სოფლების კოლმეურნეობებიდან. აჩიგვარის ჩაის ფაბრიკამ 1958 წელს გადაამუშავა 3514 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რომლის ნახევარზე მეტი (1850 ტონა) აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან მიიღო. რაც შეეხება ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკას, იგი ნედლეულს ძირითადად იღებს გალის რაიონის მახლობელ სოფლებიდან და აგრეთვე მეზობელ ზუგდიდის რაიონის სოფ. რიყის სასოფლო საბჭოდან. 1958 წელს ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკამ გადაამუშავა 2413 ტონა ჩაის მშრალი ფოთოლი, მათ შორის 600 ტონა მიიღო ზუგდიდის რაიონის სოფ. რიყის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონის ჩაის ფაბრიკები, გარდა ოქუმის ჩაის ფაბრიკისა, თითქმის მთლიანად დატვირთულია ნედლეულით.

როგორც დავინახეთ, გალის რაიონის მრეწველობაში ჩაის წარმოებას უდიდესი ხვედრითი წონა აქვს და იგი რაიონის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, 1958 წელს რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 87,4%-ს ჩაის მრეწველობა იძლეოდა.

ჩაის მრეწველობით საყურადღებოა ოჩამჩირის რაიონი.

1958 წელს რაიონში არსებულმა ფაბრიკებმა გამოუშვეს სულ 1810,0 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი, მათ შორის—338,6 ტონა უმაღლესი ხარისხის ყველა კატეგორიის ჩაი,—568,9 ტონა პირველი ხარისხის,—857,4 ტონა მეორე ხარისხის ყველა კატეგორიის,—6,2 ტონა მესამე ხარისხის ჩაი.—34,8 ტონა ფხვნილი.

ჩაის მრეწველობა შედარებით უფრო სუსტადაა წარმოდგენილი გუდაუთის რაიონში, სადაც მუშაობს მხოლოდ ერთი, გუდაუთის ჩაის ფაბრიკა. უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ითქვას, რომ გუდაუთის ჩაის ფაბრიკა აფხაზეთის ჩაის ფაბრიკებს შორის გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებით. 1958 წელს აფხაზეთში შხოლოდ გუდაუთის ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა 17,1 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი „ექსტრა“ ამავე დროს გუდაუთის ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა აფხაზეთის ყველა ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული უმაღლესი ხარისხის 1-ლი კატეგორიის ჩაის 1/3-ზე მეტი (74,1 ტონა). ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ გუდაუთის რაიონის ჩაის პლანტაციები განლაგებული რაიონის გორაკ-ბორცვიან ზონაში, შედარებით ხელსაყრელ მშრალ კლიმატურ და ნიადაგურ პირობებში, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ჩაის პროდუქციის ხარისხზეც.

ჩაის მეურნეობის განვითარებით უკანასკნელი ადგილი სოხუმის რაიონს უკავია. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ერთი—დრანდის ჩაის ფაბრიკა. 1958 წელს ფაბრიკაში მუშაობდა 111 მუშა-მოსამსახურე და მათ გამოუშვეს 254,3 ტონა სხვადასხვა ხარისხის მწვანე ბაიხოს ჩაი, რომლის საერთო ღირებულება 12308,0 ათასი მანეთს უდრიდა.

აფხაზეთის ჩაის ფაბრიკებში დამზადებული ჩაი იგზავნება მოსკოვის, რიაზანის, ირკუტსკის, თბილისის და საბჭოთა კავშირის რიგ სხვა ჩაის გადამწოლ ფაბრიკებში.

თ ამ ბ ა ქ ო ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მეთამბაქოეობას აფხაზეთში ძველი ისტორია აქვს. აფხაზეთის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები დიდად ხელშემწყობია თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის, ამიტომ აქ მეთამბაქოებას შედარებით ძველთაგანვე მისდევდნენ. როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ხარისხიანი მეთამბაქოეობის მნიშვნელოვან რაიონს, აფხაზეთის ასორ საქართველოში ითვლება ხარისხიანი მეთამბაქოეობის ძირითად რაიონად. აფხაზეთზე მოდის საქართველოს თამბაქოს ფართობის ნახევარზე მეტი. ამავე დროს აფხაზეთის თამბაქო ცნობილია თავისი მაღალი ხარისხით. აფხაზეთის თამბაქოს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებში იყენებენ კუბაელსათვის, სხვა რაიონებიდან მიღებულ ჩვეულებრივი თამბაქოს გაკეთილშობილების მიზნით.

თამბაქოს ნედლეულის ბაზაზე აფხაზეთში შექმნილია თამბაქოს საკმაოდ მძლავრი მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში აშენდა: სოხუმის, განთიადის, გუდაუთის და ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები. მოხდა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია. 1958 წელს აფხაზეთის საფერმენტაციო ქარხნებმა გამოუშვეს 7679,5 ტონა ყვითელი თამბაქო, მათ შორის—სამსუნის თამბაქო 7502,6 ტონა, 88,2 ტონა ტრაპიზუნდის თამბაქო და—88,7 ტონა სასიგარე თამბაქო. სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ 1958 წელს გამოუშვა 2 მილიარდზე მეტი ცალი პაპიროსი. აფხაზეთი იძლევა საქართველოში გამოშვებული ყვითელი თამბაქოს ფოთლის 55,6%,-ს ხოლო საქართველოში პაპიროსის წარმოების 15,2%.-ს.

აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობაში 1958 წელს მუშაობდა 839 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, მათ შორის—283 სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში. ამავე წელს აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 115.220 ათასი მანეთი შეადგინა, რაც აფხაზეთის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის 18,8% შეადგენდა.

აფხაზეთის თამბაქოს საწარმოებიდან აღსანიშნავია სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა. იგი კერძო მესაკუთრის მიერ იქნა დაარსებული ჯერ კიდევ 1898 წელს და მისი წლიური წარმადობა მხოლოდ 60 მილიონ ცალ პაპიროსს უდრიდა.

1926 წლის შემდეგ მოხდა ფაბრიკის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია და მისი წლიური წარმადობა რამდენჯერმე გაიზარდა. სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა ნედლეულს იღებს ნაწილს აფხაზეთის, ბათუმის და ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებიდან და აგრეთვე ჩინეთიდან, ბულგარეთიდან და ალბანეთიდან. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიდის გამოშვებული პროდუქციის 70%-მეტი.

მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ფაბრიკის ძველი მანქანა-დანადგარები შეიცვლება ახლით.

აფხაზეთის თამბაქოს გადამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვან რგოლს თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები წარმოადგენს. საფერმენტაციო ქარხნები აწარმოებს კოლმეურნეობებიდან შესყიდულ ყვითელი თამბაქოს დაჭარისხებას, სტანდარტულ სინესტემდე დაყვანას, წნეხვას, შეფუთვას და, სათანადო განრიგის მიხედვით, საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებში გაგზავნას. აფხაზეთის თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკებიდან მაღალი ხარისხის თამბაქო იგზავნება: სოხუმის, თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლვოვის, ბაქოს, არმავირის, კურსკის, კუიბიშევის, პერმის, ომსკის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის თამბაქოს ფაბრიკებში და აგრეთვე საზღვარგარეთად.

 პურის და საკონდიტრო წარმოებას აფხაზეთის კვების მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებით მეორე ადგილი უკავია ჩაის მრეწველობის შემდეგ. იგი აფხაზეთის კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 23,3%-ს იძლევა. აფხაზეთის რაიცენტრებში, საბჭოთა მეურნეობებში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში მოწყობილია ათეულობით პურის საცხობები, ხოლო ქალაქებში და დაბებში პურის მექანიზებული ქარხნები და საკონდიტრო ფაბრიკები. 1958 წელს აფხაზეთის პურისა და საკონდიტრო საწარმოებმა გამოუშვეს 52767.9 ტონა სხვადასხვა ხარისხის პური და 2528,6 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, რომელთა ღირებულება 142,5 მლნ მანეთს აღემატებოდა. იმავე წელს ამ საწარმოებში მუშაობდა 1159 მუშა-მოსამსახურე.

აფხაზეთის პურის საწარმოებიდან აღსანიშნავია: ქ. სოხუმის, ტყვარჩელის, გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის, ოჩამჩირისა და გალის მექანიზებული პურის საცხობი ქარხნები, რომლებიც ხუთწლედების პერიოდში აშენდა. პურის აღნიშნული ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქცია აფხაზეთის პურის მთელი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის 78,3% უდრიდა.

საკონდიტრო მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკა, რომელიც 1934 წელს დაარსდა. ქარხანა 80%-ით მექანიზებულია, იგი 68 სახის საკონდიტრო პროდუქციას უშვებს. 1958 წელს ქარხანაში მუშაობდა 113 მუშა-მოსამსახურე, გამოუშვა 2240,5 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 20729,2 ათასი მანეთი. იგი საკონდიტრო ნაწარმით მომსახურეობას უწევს ქ. სოხუმის მოსახლეობას და მეზობელი რაიონების კურორტებს.

თუმცა აფხაზეთი განვითარებული მეღვინეობის რაიონი არაა, მაგრამ მისი კვების მრეწველობაში გარკვეულ როლს მეღვინეობაც თამაშობს. იგი აფხაზეთის კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 6,4% იძლევა. აფხაზეთის მეღვინეობა ემყარება რესპუბლიკაში არსებულ მევენახეობას, რომლის განვითარებისათვის რიგ მაკრო რაიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა აფხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეთის გორაკ-ბორცვიანი ზონის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია: ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების ტერიტორიაზე.

1958 წელს აფხაზეთის ღვინის ქარხნებში გამოუშვეს 231400 დ/ლიტრი სუფრის ღვინო, 36200 დ/ლიტრი შემაგრებული ღვინო, 117800 დ/ლიტრი არაყი და 3200 დ/ლიტრი სპირტი. აფხაზეთი იძლევა საქართველოს რესპუბლიკის ღვინის წარმოების 5,3%.

აფხაზეთის კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია ხ ო რ ც ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. რესპუბლიკის ხორცის მრეწველობა წარმოდგენილია სოხუმისა და გაგრის ხორცკომბინატებით. აღნიშნული ხორცკომბინატების დანიშნულებაა მიიღოს აფხაზეთის რაიონებიდან დამზადებული ცოცხალი პირტტყვი და გადაამუშაოს იგი ხორცად და ხორცის პროდუქტებად (უმთავრესად ძეხვეული).

1958 წელს ზემოაღნიშნულ ხორცკომბინატებმა გამოუშვეს 2311,5 ტონა ხორცი, 1057,7 ტონა ძეხვეული, 40,4 ტონა ქონი, 16,5 ტონა ნახევრად ფაბრიკატი. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება—36169,4 ათას მანეთს უდრიდა, რაც აფხაზეთის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის 5,3% შეადგენდა.

აფხაზეთის კვების მრეწველობის ერთ-ერთი სპეციფიური დარგია მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა. აფხაზეთში მეთევზეობის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო მდებარეობა. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მოწყობილია თევზის საჭერი სარეწაოები და თევზის პროდუქტების საწარმოები. საქართველოში არსებულ თევზის საჭერ სარეწოებსა და თევზის პროდუქტების საწარმოებს შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აფხაზეთის ფარგლებში, შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმში, გუდაუთში, ბიჭვინთაში, გაგრასა და განთიადში მოწყობილია თევზის საჭერი სარეწაოები და თევზის გადამამუშავებელი საწარმოები.

1958 წელს აფხაზეთის თევზის სარეწაოების მიერ დაჭერილი იყო 2020,7 ტონა სხვადასხვა ჯიშის თევზი, მათგე გამოუშვეს 1633,0 ათასი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის თევზის კონსერვი და სხვა პროდუქტები, გაცივებულ, გაყინულ და შებოლილი. აფხაზეთის თევზის მრეწველობაში მუშაობდა 425 მუშა-მოსამსახურე, თევზის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 15970,8 ათას მანეთს უდრიდა. აფხაზეთის წილად მოდის საქართველოს თევზისჭერის 48,8%. აფხაზეთის თევზის საწარმოების მიერ. გამოშვებული თევზის კონსერვები იგზავნება საქართველოსა და მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთ ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნებში.

მეთევზეობის დარგში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს გუდაუთის რაიონის შავწყალას კალმახის მეურნეობა, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა გამოიყვანოს ორაგულის ლიფსიტები და გაუშვას გასამრავლებლად შავ ზღვაში. 1958 წელს მეურნეობამ შავ ზღვაში გაუშვა 80.000 ორაგულის ლიფსიტი. გარდა ამისა, მეურნეობა აწარმოებს კალმახის მოშენებას და მომხმარებლებზე მიწოდებას. 1958 წელს მეურნეობამ თევზის სავაჭრო მაღაზიებს გადასცა 4 ტონა კალმახი.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებულ დარგთა შორის აღსანიშნავია ს ა კ ო ნ ს ე რ ვ ო ნ ა ნ ა ნ ა, რომელიც წარმოდგენილია სოხუმის საკონსერვო ქარხნით. იგი დაარსდა 1925 წელს. ამის შემდეგ რამდენჯერმე მოხდა ამ ქარხნის გაფართოება—რეკონსტრუქცია. რის შედეგადაც ამჟამად ქარხნის წარმადობა 5 მილიონ პირობით

ქილა კონსერვს აღემატება წელიწადში. ქარხანა ძირითადად ამზადებს ხილ-ბოსტნეულის კონსერვებს. ნედლეულს ხილ-ბოსტნეულის სახით იღებს აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონიდან.

1958 წელს სოხუმის საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა 145 მუშა-მოსამსახურე, სეზონის პერიოდში მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა 250 აღწევს. ამავე წელს ქარხანამ მიიღო და გადაამუშავა 1626 ტონა ხილ-ბოსტნეული და გამოუშვა 5444,8 ათასი პირობითი ქილა სხვადასხვა სახის ხილ-ბოსტნეულის კონსერვი, მათ შორის 3309,4 ათასი ქილა უმაღლესი ხარისხის. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14730,0 ათასი მანეთს უდრიდა.

სოხუმის საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ზოგ შემთხვევაში იგზავნება საზღვარგარეთაც—ჩინეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

ვინაიდან აფხაზეთის რაიონებში მოპოვებულ ნედლეულს, ხილ-ბოსტნეულის სახით სოხუმის არსებული საკონსერვო ქარხანა მთლიან გადამუშავებას ვეღარ ახერხებდა, გაგრის რაიონში სოფელ განთიადში 1949 წელს აშენებულ იქნა ახალი საკონსერვო ქარხანა. გარდა ამისა, ქ. სოხუმში მიმდინრეობს ახალი ძმლავრი საკონსერვო ქარხნის შენებლობა, რომელიც 1962 წელს უნდა დამთავრდეს. მისი სიმძლავრე განსაზღვრულია 10 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის წარმადობით წელიწადში. ყოველივე ამის შედეგად ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება აფხაზეთის საკონსერვო მრეწველობის პროდუქცია.

გარდა ხილ-ბოსტნეულის კონსერვისა აფხაზეთში წარმოებს აგრეთვე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თევზის კონსერვების დამზადება. 1958 წელს აფხაზეთში ყველა სახის კონსერვის დამზადება 7077,0 ათას პირობით ქილას უდრიდა, რაც საქართველოს რესპუბლიკაში დამზადებულ კონსერვების 7,5% შეადგენდა.

აფხაზეთის კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია რ ძ ი ს გ ა დ ა მ მ უ შ ა ვ ებ ე ლ ი წ ა რ მ ო ებ ა, რომელიც წარმოდგენილია სოხუმის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებით. აღნიშნულ საწარმოებს აფხაზეთის ადმინისტრაციულ რაიონებში სასოფლო საბჭოების მიხედვით მოწყობილი აქვთ დამამზადებელი პუნქტები, რომლებიც აწარმოებენ კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლწევრებიდან რძისა და ყველის დამზადებას და რძის გადამამუშავებელ საწარმოებზე მიწოდებას.

აფხაზეთის რძის გადამამუშავებელი საწარმოებიდან აღსანიშნავია სოხუმისა და გაგრის რძის ქარხნები, რომლებიც უმთავრესად აწარმოებენ პასტერიზებულ რძეს და მოუხდელი რძის ნაწარმს, აგრეთვე ნაყინსა და ხელოვნურ ყინულს. რაც შეეხება გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის ქარხნებს, ისინი ძირითადად აწარმოებენ ერმო-ყველ-კარაქის და ნაწილობრივ მოუხდელი რძის ნაწარმსაც.

1958 წელს აფხაზეთის რძის პროდუქტების გადამამუშავებელ ქარხანამ გამოუშვა 270,9 ტონა ყველი,—93,3 ტონა კარაქი,—1228,2 ტონა მოუხდელი რძის პროდუქტები,—156,9 ტონა ნაყინი და—2866,8 ტონა ხელოვნური ყინული.

გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად ხმარდება ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის კვების მრეწველობის ადგილობრივი მოხმარების დარგებიდან აღსანიშნავია ლუდ-ლიმონათის წარმოება. აფხაზეთში შემავალ ქალაქებში, დაბებში, რაიცენტრებსა და სასოფლო დასახლების მსხვილ პუნქტებში მოწყობილია ლიმონათის ქარხნები და ლუდის ერთი ქარხანა (ქ. სოხუმში). აღნიშნულ საწარმოებში 1958 წელს მუშაობდა 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც გამოუშვეს 9,4 მილიონ მანეთზე მეტი სასაქონლო პროდუქცია.

აღნიშნულ საწარმოებიდან მნიშვნელოვანია სოხუმის უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის ქარხანა. სოხუმის უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში 1958 წელს მუშაობდა 93 მუშა-მოსამსახურე და მან გამოუშვა 287,4 ათასი დეკალიტრი სხვადასხვა სახის უალკოჰოლო სასმელი.

მნიშვნელოვანი საწარმოა სოხუმის ლუდის ქარხანა. ამ ქარხნის დანიშნულებაა მოამარაგოს ლუდით ქ. სოხუმი და აგრეთვე აფხაზეთის სხვა ქალაქები და რაიონები.

1958 წელს ქარხანაში მუშაობდა 76 მუშა-მოსამსახურე. ამავე წელს ქარხანამ გამოუშვა 353,8 ათასი დ/ლიტრი ლუდი. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 3,5 მილიონ მანეთს აღემატება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთ კვების პროდუქტებს აწარმოებენ აგრეთვე სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციები, რომელთა შესახებ ცალკე იქნება აღნიშნული კოოპერაციული მრეწველობის დახასიათების დროს.

აფხაზეთის კვების მრეწველობის განხილვა-დახასიათებას რიგ დასკვნამდე მივყეევართ. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კვების მრეწველობის ძირითადი დარგები უშუალოდაა დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებთან: ამ დარგების წარმოშობა-განვითარება სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში, განპირობა იმ სპეციფიკურმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა გარემოებამ, რომელიც განასხვავებენ საკლეკ რაიონს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ეკონომიურ რაიონებისაგან. ამგვარად კვების მრეწველობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის „ზედნაშენს“ და ისინი ორივე ერთად განსაზღვრავენ აფხაზეთის საწარმოო სპეციალიზაციის პროფილს, მის ადგილს საქართველოს შრომის ტერიტორიულ განაწილებაში.

აფხაზეთის კვების მრეწველობის უმთავრესი სპეციალიზირებულ დარგებს (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთებს) აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა და მათი საშუალებით აფხაზეთი დაკავშირებულია საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან მჭიდრო საწარმოო-ეკონომიური კავშირურთიერთობით. იგივე დარგები ჰქმნიან აფხაზეთში ძირითად შიდაეკონომიურ კავშირებს, რის შედეგადაც ის გარკვეულ სამეურნეო კომპლექსად გვევლინება. კვების მრეწველობის განვითარების მეორე მიმართულება განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანებით. აქ უნდა დავასახელოთ პური და საკონდიტრო, ხორცის, რძისა და ყველ-კარაქის. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობა, რომელთა წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აფხაზეთის საკურორტო მეურნეობის განვითარებაზედაც. აფხაზეთის კვების მრეწველობის აღნიშნული ორი მიმართულება პერსპექტიულ პერიოდშიაც ინარჩუნებს თავის ძალას.

9. მსუბუქი მრეწველობა

აფხაზეთის მრეწველობის შედარებით უფრო ნაკლებად განვითარებულ დარგს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობა, რომელიც ძირითადად ადგილობრივ და ნაწილობრივ შემოზიდულ ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი მსუბუქი მრეწველობა წარმოდგენილია სოხუმის ტყავ-ფეხსაცმელის კომბინატის და ქალაქების და რაიონამრეწველო კომბინატების სატრიკოტაჟო, ბამბეულის საქსოვი, ფეხსაცმლისა და ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნოებისა და სხვათა სახით. რაიონის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია განსაკუთრებით გაიზარდა ომის შემდგომ ხუთწლედების მანძილზე. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, გაფართოდა და გარდაქმნა ომისწინადროინდელი მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომელნიც შეივსო ახალი მანქანა-დანადგარებით და, მეორე მხრივ, აფხაზეთის მსუბუქი მრეწველობას შეემატა რიგი ახალი საწარმო.

1958 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს და მომხმარებელს მიაწოდეს 1170.2 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 65 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, 324,1 ათასი ცალი ტრიკოტაჟის თეთრეული, 60,2 ათასი მეტრი ბამბეულის ქსოვილი და 771,9 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი.

აფხაზეთის მსუბუქი მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოა სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი. იგი აფხაზეთის რაიონებიდან აწარმოებს ნედლი ტყავის მიღებას და მის დამუშავებას, ხოლო გამოყენანილი ტყავი მიდის ფეხსაცმელების ფაბრიკაში. 1958 წელს კომბინატის ტყავის საწარმომ დაამზადა სულ 14359,9 ათასი კვ. დეციმეტრი ხრომის ტყავი, მათ შორის ფეხსაცმელის სპირე 6918.0 ათასი კვ. დეციმეტრი და 7421,6 ათასი კვ. დეციმეტრი სასარჩულე ტყავი. კომბინატის ფეხსაცმელის ქარხანა აწარმოებს მამაკაცს, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელების დამზადებას.

1958 წელს ქარხანამ გამოუშვა სულ 1145.2 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, მათ შორის ბუნებრივი ტყავის სპირით 650,5 ათასი წყვილი. და ტილოსა და შერეული სპირით 494.6 ათასი წყვილი. გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობიდან მამაკაცის—273,1 ათასი წყვილი, ქალის—298.7 ათასი წყვილი, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის—573,4 ათასი წყვილი. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 30954.0 ათას მანეთს უდრიდა. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხმარდება ადგილობრივ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას და ნაწილი საქართველოს სხვა რაიონებშიც იგზავნება.

მიმდინარე შვიდწლედის ბოლოს 1965 წლისათვის აფხაზეთის ფეხსაცმელების წარმოებამ უნდა გამოუშვას 2 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი. ამის გარდა, აფხაზეთის ქალაქებსა და რაიცენტრებში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოებისა და საამქროების შენენებლობა. ქ. სოხუმში მოეწყობა საყოფაცხოვრებო მომსახურეობის 4 პავილიონი, ასეთი პავილიონები უნდა მოეწყოს ტყვარჩელში, გაგრაში, გუდაუთში, ოჩამჩირესა და გალში. აღნიშნულ პავილიონებში მოეწყობა ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის შეკეთება, ტანსაცმელის ქიმიური წმენდა, სანიმუშო სპარეკმახეროები, ავტომანქანის სარეცხი პუნქტები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. პოლიგრაფიული მრეწველობა

აფხაზეთის პოლიგრაფიული მრეწველობა წარმოდგენილია სოხუმის ლენინის სახელობისა და საოლქო გაზეთის სტამბებით, აგრეთვე ტყვარჩელის საქალაქო, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის სარაიონო სტამბებით. აღნიშნული საწარმოები პირველ რიგში ემსახურება საოლქო, საქალაქო და სარაიონო გაზეთების გამოშვებას. ამავე დროს მომსახურეობას უწევს რაიონის წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სატრაქტორო სარემონტო სახელოსნოებს ბლანკების, ანგარიშების, ქვითარების, განცხადებების ბეჭედთ და სხვ. ქალაქ სოხუმის ლენინის სახელობის სტამბაში წარმოებს აგრეთვე წიგნებისა და ბროშურების ბეჭდვა.

1958 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის სტამბებში მუშაობდა 323 მუშა-მოსამსახურე და სპეციალისტი, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 3046,5 ათას მანეთს უდრიდა.

აფხაზეთში არსებული სტამბებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ლენინის სახელობისა და აფხაზეთის ხაოლქო გაზეთის სოხუმის სტამბა.

შედარებით უკეთაა მოწყობილი აგრეთვე ტყვარჩელის საქალაქო სტამბა, იგი ძირითადად ემსახურება ადგილობრივი გაზეთის გამოშვებას. რაც შეეხება გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის სარაიონო სტამბებს, ძირითადად ემსახურება რაიონული გაზეთების გამოშვებას.

სოხუმისა და ტყვარჩელის სტამბებთან შედარებით სარაიონო სტამბები შედარებით კუსტარულადაა მოწყობილი.

11. კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მრეწველობა

კოოპერაციულმა და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების მრეწველობამ, როგორც ომამდელ, ისე დიდი სამამულო ომის წლებში, საგრძნობი მუშაობა გასწიეს მოსახლეობის ფართო მოხმარების საქონლით დაკმაყოფილების საქმეში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სარეწაო კოოპერაციული მრეწველობა, საქართველოს რიგ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით, უკეთ იყო განვითარებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო პროდუქციაში საკმაოდ დიდია და 1958 წელს 6,7% უდრიდა.

1958 წელს აფხაზეთის კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მრეწველობაში მუშაობდა 3413 მუშა-მოსამსახურე და მათ საწარმოებმა მომხმარებელს მიაწოდეს მრავალი სახის პროდუქცია: ავეჯი 2508 ცალი, 48881 წყვილი ფეხსაცმელი, 584 ცალი მამაკაცის ტანსაცმელი, 160740 ცალი ტრიკოტაჟის საცვალი, 10670 ზედა ტრიკოტაჟი, 27,? ტონა ლურსმანი, 19100 მ³ შეშა, 5200 მ³ საქმიანი მერქანი, 5143,1 მ³ დახერხილი ხის მასალა, 7200 მეტრი ბამბეულის ქსოვილი და მრავალი სხვა პროდუქტი. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია აფხაზეთის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები, რომელიც საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და რაიონში არსებული ბუნებრივი ნედლეულის ბაზაზე მუშაობენ. აფხაზეთის კოლ-

მეურნეობათა დამხმარე საწარმოებიდან აღსანიშნავია ავურ-კრამიტის, ხეტყის სახერხი, მარცვლეულის საფქვავი წისქვილები, სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები და სხვა. ეს საწარმოები ზრდიან კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს და ამავე დროს აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებას სხვადასხვა საჭირო პროდუქტებითა და საშენებლო მასალებით.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში განვითარდა მძლავრი, მრავალდარგოვანი მრეწველობა, რომელიც სულ უფრო მეტ სხვადასხვა სახის პროდუქციას აძლევს ჩვენს ქვეყანას. აფხაზეთს, მიუხედავად უკვე საკმაოდ მაღალი მრეწველური დონისა, კიდევ დიდი პოტენციური შესაძლებლობა მოეპოვება მძიმე, მსუბუქი და კვების ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის. აფხაზეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები მკვიდრ საფუძველს ჰქმნის არსებული სამრეწველო საწარმოთა გაფართოებისა და ახალ-ახალ საწარმოთა შექმნისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის როლი უახლოეს პერსპექტიულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

В. С. КАКАБАДЗЕ

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

До 70-х годов XIX века (до крестьянской реформы) промышленность Абхазии была представлена достаточно развитой кустарной промышленностью и мелкими ремеслами. Было развито производство по обработке металлов — кузнечное дело; здесь изготовляли предметы домашнего обихода, сельскохозяйственные орудия и холодное оружие. Распространена была выработка изделий из серебра и золота, производили различные виды домашних предметов и украшений.

Развивалось также производство керамической посуды и стройматериалов. Значительное место занимала обработка дерева и изготовление из него предметов домашнего обихода и сельскохозяйственных орудий. С древнейших времен в районах Абхазии выделывались кустарные ткани из шерсти, льна, конопли и хлопка. Почти в каждом сельском доме можно было увидеть примитивный ткацкий станок; обрабатывались также кожи и из них выделывалась обувь и шорные изделия. Некоторые из видов таких изделий вывозились за пределы Абхазии.

В конце XIX и в начале XX века в Абхазии начинают зарождаться фабрично-заводские предприятия, но вообще в том периоде промышленность Абхазии была развита очень слабо и была представлена, в основном, предприятиями по переработке сельско-хозяйственного сырья и по первичной кустарной обработке дерева. Такое слабое развитие промышленности прежде всего надо объяснить экономико-географическим положением Абхазии. Этот район не попадал в сферу обслуживания магистральных железнодорожных коммуникаций, и его транспортное положение не способствовало созданию и развитию крупных промышленных предприятий. Кроме того, колониальная политика

ეროვნული ბიბლიოთეკა

царизма вообще препятствовала организации и развитию промышленности в окраинных районах и в том числе в Абхазии.

О развитии промышленности начали заботиться с 1921 года. Наряду с развитием других отраслей народного хозяйства, было обращено внимание и на развитие промышленности.

В настоящее время в Абхазской АССР создан ряд новых отраслей промышленности, которые в основном, опираются на существующие природные ресурсы и базы сельскохозяйственного сырья.

На сегодняшний день в государственной промышленности Абхазии можно выделить следующие основные отрасли: электроэнергетическую, каменноугольную, металлообрабатывающую, строительных материалов, пищевую, легкую и полиграфическую.

В 1958 г. во всей Абхазской АССР было более шестидесяти промышленных предприятий, в которых работало 21,6 тысяч рабочих, служащих, инженеров и техников. Промышленными предприятиями Абхазии в 1958 г. была выпущена валовая продукция стоимостью 1.163.519,7 тыс. руб. (в отпускных ценах).

Ряд отраслей промышленности Абхазии имеет республиканское и союзное значение. Из Абхазии в пределы Грузии и союзных республик передается электроэнергия, вывозится каменный уголь, табачное сырье и готовый табак, эфирные масла, лесоматериалы, чай, фруктовые, овощные и рыбные консервы, цитрусовые плоды, обувь и пр.

Из отдельных отраслей промышленности Абхазии по объему промышленной продукции выделяется пищевая промышленность, выпустившая в 1958 г. продукцию стоимостью 610.761,3 тыс. рублей, что составляло 52,4% промышленной продукции всей Абхазии. Далее надо отметить каменноугольную промышленность, на долю которой приходится 18,2% валовой продукции Абхазии; затем следует электроэнергетическая промышленность (6,8%), лесная и деревообрабатывающая (3,9%), легкая (2,7%), стройматериалов (2,3%) и т. п.

Значительный удельный вес в Абхазской промышленности имеет местная и кооперативная промышленность.

Из входящих в состав Абхазии городов и административных районов наиболее значителен город Сухуми, дающий 28,9% всей промышленной продукции Абхазской АССР, затем следует отметить город Ткварчели, стоимость промышленной продукции которого составляет 26,0%. Самую большую долю промышленной продукции среди административных районов Абхазии дает Гальский район, на который падает 12,5% всей промышленности Абхазии. За ним следуют: Очамчирский район — 11,1%, Гагрский — 8,2%, Гудаутский — 8,0% и, наконец, Сухумский — 5,3%.

Таким образом, за годы Советской власти в Абхазии развилась мощная, многоотраслевая промышленность, дающая нашей стране все больше и больше разнообразных видов продукции.

Несмотря на уже достаточно высокий уровень, абхазская промышленность имеет еще большие потенциальные возможности развития тяжелой, легкой и пищевой индустрии. Природно-географические и экономические условия Абхазии создают прочную основу для расширения уже существующих промышленных предприятий и для организации новых. В связи с этим надо полагать, что в деле индустриализации Грузии роль автономной республики Абхазии в ближайшем перспективном периоде значительно увеличится.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, გამოცემა III, სოხუმი, 1958, გვ. 153.
2. (ბიგრატონი) ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941.
3. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები, შეკრებილი აფხაზეთში 1959 წელს, ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ.
4. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX სს. ტ. I, თბილისი, 1949.
5. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. II, თბილისი, 1956.
6. ჯავახიშვილი ა. და სხვ., საქართველოს სსრ გეოგრაფია, თბილისი, 1957.
7. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1939.
8. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1934.
9. Грузинская ССР. Экономико-географическая характеристика, Москва, 1958.
10. Дзидзария Г. А., Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке, Сухуми, 1958.
11. Закавказье, статистико-экономический сборник 1925, Издание высшего экономического совета ЗСФСР.
12. Известия Сухумской садовой и сельскохозяйственной опытной станции, № 11, Сухуми, 1913.
13. Народное хозяйство Абхазской АССР, Статистический сборник Абгосиздат, 1957.
14. Олопецкий А., Очерки по развитию капиталистических отношений в Абхазии (конец XIX, начало XX века), Сухуми, 1934.
15. Статистический справочник 1927 г., издания первый, Сухуми, 1948.

აფხაზეთის ასსრ
მრეწველობის რუკა
მასშტაბი
0 1 2 3 4
ბაღმარი
ბაკურიანი
ბეჭედი
ბზიფი
გაგრა
ოფურიები
ბოხუმ-ჭესი
ბზიბი
გუდაუთა
ბზიბი
ბზიბი
ბზიბი

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти т. XVI, 1961

ნ. დევიძე

სოფლის მეურნეობის განვითარება და ბალანსება აფხაზეთის ასსრ-ში

სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება

აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, თავისი ბუნებრივი პირობების მიხედვით, დიდი შესაძლებლობა გააჩნია სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ეს შესაძლებლობა წარსულში არ იყო საკმაოდ გამოყენებული და აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. ფაქტიურად სიმინდის კულტურას ეყრდნობოდა გლეხის კვება და იმავე დროს ის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. ინტენსიურ, სასაქონლო დარგებიდან აღსანიშნავია მეთამბაქოეობა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემოიჭრა აფხაზეთში და სამოციანი წლებიდან საკმაოდ გავრცელდა, რადგანაც მისთვის აქ სავსებით შესაფერისი კლიმატური და ნიადაგმბრივი პირობები აღმოჩნდა. მაღალხარისხოვან ნედლეულს განსაკუთრებით „სამსუნის“ ჯიში იძლეოდა. ეს დარგი შემოსავლიანი იყო და თამბაქოს პლანტაციები სწრაფად ფართოვდებოდა. XIX საუკუნის დამლევისათვის მეთამბაქოეობა უკვე შედარებით მკვიდრ საფუძველზე იდგა და მისი გავრცელების მიკრორაიონებში მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. აღნიშნული დარგების გარდა, რეფორმაამდელ აფხაზეთში ნაწილობრივ მეხილეობა და მევენახეობაც იყო გავრცელებული.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან სოფლის მეურნეობა სწრაფად დაეცა. მისი აღდგენა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. მოკლე ვადაში სოფლის მეურნეობამ ძირეული რეკონსტრუქცია განიცადა. ხუთწლედების მანძილზე აფხაზეთში გაშენდა ათასობით ჰექტარი ახალი კულტურების პლანტაციები—ჩაის ბუჩქის, ციტრუსების, ტუნგის, ბამბუკის, კეთილშობილი დაფნის, სუბტროპიკული ხურმის, ეთერზეთოვანი კულტურების და სხვ. განვითარდა ავრეთვე სოფლის მეურნეობის არსებული დარგები—მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მევენახეობა. შეიქმნა ახალი, სოციალისტური ტიპის სოფლის მეურნეობა, რომელიც სპეციალიზებულია საკავშირო მნიშვნელობის რიგ დარგებსა და კულტურებზე. ახალი კულტურები გაშენდა ისეთ მიწებზე, რომლებიც წინათ დაბალხარისხოვნად ითვლებოდა და თითქმის არ იყო გამოყენებული (წითელმიწა, ყვითელმიწა, სუბტროპიკული ეწერი ნიადაგები). ამგვარად ნიადაგური საფარის ხასიათმა გავლენა იქონია კულტურების გეოგრაფიულ განლაგებაზე. ჩაის ბუჩქის კულტურა, მაგალითად, გაშენდა ეწერ, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე; მარცვლეული კულტურები—ძირითადად ალუვიერ ნიადაგებზე და ა. შ. არსებული ნიადაგების ახალი დიდი მასივების ათვისება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელს უწყობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების უფრო სრულ, კომპლექსურ გამოყენებას და მოსახლეობის ეკონომიური დონის ამაღლებას.

მსხვილი კოლექტიური მეურნეობების შექმნისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შედეგად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა; გადიდდა ნათესი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები; გაიზარდა მშრომელი გლეხობის შემოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით აფხაზეთში დაარსდა მთელი რიგი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. აფხაზეთი გასდა განვითარებული სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე ჩვენს ქვეყანაში. აფხაზეთის მონაწილეობა საქართველოს და საერთო საკავშირო შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში სწორედ სუბტროპიკული მეურნეობის ხაზით მიმდინარეობს: სუბტროპიკული და სპეციალური ტექნიკური კულტურების წარმოება—აფხაზეთის საწარმოო სპეციალიზაციის ძირითადი მაპროფილებელი დარგებია.

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლამ გავლენა მოახდინა მიწის ფონდის გამოყენებაზე და სავარგულთა სტრუქტურაზე (ცხრილი 1).

ცხრილი 1

აფხაზეთის მიწის ფონდის სტრუქტურა 1958 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ჰექტარობით

მიწის ფონდის მედგენილობა	გაგრის რაიონი	გუდაუთის რაიონი	სოხუმის რაიონი	თამბილირის რაიონი	გალის რაიონი	სულ აფხაზეთის ასსრ-ში	სულ რესპუბლიკაში
სახნავი ა.ბ.	6211	12482	13609	15011	13832	61142	1007400
%	8,0	7.6	4.0	8,0	13,8	7,0	14.4
სათიბი ა.ბ.	188	669	598	215	84	1784	137500
%	0.2	0.4	0 1	0,3	0.1	0.2	1.9
საძოვრები ა.ბ.	9515	23423	40571	25489	7782	106780	1294800
%	12,3	14,4	10 1	13,6	7,7	12.4	18,4
მრავალწლოვანი ნარგავები ა.ბ.	4712	7083	8439	9188	11091	40513	232700
%	6,1	4 3	2,6	4,9	11.0	4,6	3.4
ტყე და ბუჩქნარი ა.ბ.	40558	86623	203970	113786	60925	505863	2962700
%	52,6	52,8	66,8	60,8	60,9	58,5	42,2
დანარჩენი ა.ბ.	16057	33693	70909	23173	6534	150366	1381500
%	20.8	20,5	20.9	12,4	6,5	17,3	19,7
სულ ტერიტორია ა.ბ.	77241	164004	338096	186862	100248	866451	7016600
%	100	100	100	100	100	100	100

აფხაზეთში მიწის მთლიანი ფონდი 866,5 ათას ჰექტარს უდრის, რაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის 12,3% შეადგენს. მიწათმქმედებისათვის გამოსადეგი ფართობი აფხაზეთის ასსრ-ში უაღრესად შეზღუდულია. სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად თავმოყრილია ზღვისპირა ზონაში — ვაკეზე და გორაკ-ბორცვებზე, დანარჩენი ტერიტორია კი თითქმის გამოუყენებელია (გამონაკლისია საზაფხულო საძოვრები). სასოფლო-სამეურნეო მიწებს 210,2 ათასი ჰექტარი უკავია, ანუ მთელი ტერიტორიის 24,3%. მიწის სავარგულების სასოფლო-სამეურნეო გამოყენების დონე აქ უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში (38,2%). ამ მაჩვენებლით აფხაზეთი ჩამორჩება ისეთ მცირემიწიან რაიონებსაც, როგორიცაა ქვემო იმერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(37,1%), ზემო იმერეთი (32,9%). ხოლო წინ უსწრებს რაჭა-ლეჩხუმს (23,7%). ადმინისტრატიულ რაიონებს შორის სასოფლო-სამეურნეო მიწებით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია გალის რაიონი (32,8%). მცირემიწიანობა აფხაზეთში იმითაც დასტურდება, რომ სათესი ფართობი ერთ სულ მოსახლეზე აქ 0,13 ჰექტარს შეადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 0,23, ხოლო საბჭოთა კავშირში 0,97 ჰექტარს უდრის.

სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმკვრივე ძირითადად გამოწვეულია მთიანი რელიეფით. აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მაღალ ზონაშია მოთავსებული, მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი (48,3%) ზღვის დონიდან 1000 მეტრზე უფრო მაღალ მდებარეობს.



ნახ. 1 მიწის ფონდის სტრუქტურა

აფხაზეთის მიწის ფონდის სტრუქტურის განხილვისას ყურადღებას იწვევს სახნავი მიწების მეტად დაბალი ხვედრითი წონა, იგი 7%-ს არ აღემატება. სახნავი მიწებით აფხაზეთი ბევრად უფრო ნაკლებად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონები, რაც ძირითადად ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ქვემო ქართლში ეს მაჩვენებელი 27,9%-ს უდრის, ქვემო იმერეთში — 21,4%-ს; ზემო იმერეთში — 18%-ს, მთლიანად საქართველოში — 14,4% და მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში ამ მაჩვენებლით უსწრებდება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას (7,2%). ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ამ მხრივ დიდ სხვაობას აქვს ადგილი. მაშინ, როდესაც გალის რაიონში სახნავი მიწების ხვედრითი წონა 13,8%-მდე აღწევს, სოხუმის რაიონში იგი 4%-ს არ აღემატება, ე. ი. სოხუმის რაიონი თითქმის 3 $^{1}/_{2}$-ჯერ უფრო ნაკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადაა უზრუნველყოფილი სახნავი მიწებით, ვიდრე გალის რაიონი. გაგრის, გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონებში სახნავი მიწებით უზრუნველყოფის დონე თითქმის თანაბარია.

აფხაზეთი აგრეთვე სათიბებითაც ბევრად უფრო ნაკლებად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე მთლიანად საქართველოს რესპუბლიკა, მას საძოვრებიც შედარებით ნაკლებად აქვს. საძოვრები უმთავრესად მთის სუბალპურ და ალპურ ზონაშია განლაგებული და მათი გამოყენება მხოლოდ ზაფხულის პერიოდშია შესაძლებელი.

დამუშავებაში მყოფი ფართობი (ნახნავითა და მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) მთელი მიწის ფონდის 10%-ს შეადგენს, საქართველოს რესპუბლიკაში კი ეს მაჩვენებელი 17%-ს უდრის. ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ამ მაჩვენებლით გამოიყოფა გალის რაიონი, სადაც მისი ხვედრითი წონა მთელ მიწის ფონდში 22,4%-მდე აღწევს.

საბჭოთა პერიოდში ხელსაყრელმა ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყვეს აფხაზეთში ახალი სუბტროპიკული კულტურების დანერგვას. აფხაზეთის მიწის ფონდის სტრუქტურა ხასიათდება მრავალწლოვანი ნარგავების მაღალი ხვედრითი წონით. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული სუბტროპიკული კულტურების პასპორტიზაციის შედეგად მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი აფხაზეთის ასსრ-ში შემცირდა 33,6 ათას ჰექტრამდე, იგი დამუშავებაში მყოფი მიწების 38,4%-ს უდრის, მთლიანად საქართველოში კი—მხოლოდ 19,5%-ს.

აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთანაა დაკავშირებული დიდი ტყიანობა, მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (58,5%) დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით. ტყიანობის მხრივ გამოიყოფა გალის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონები, თუმცა დანარჩენ რაიონებშიც მისი პროცენტი მაღალია და საქართველოს რესპუბლიკის შესატყვის მაჩვენებელს აღემატება. ტყიანობის მაჩვენებლებით აფხაზეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საქართველოში.

1958 წელს აფხაზეთში ნათესების ქვეშ 51,9 ათასი ჰექტარი მიწა იყო გამოყენებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნათესი ფართობი 1923 წლიდან 1940 წლამდე 40,7[1] ათას ჰექტარიდან 59,7 ათას ჰექტარამდე გაადიდა, ე. ი. 17 წლის მანძილზე 46,6%-ით გაიზარდა, მთლიანად საქართველოში კი—69,5%-ით. 1940 წლის შემდეგ ნათესი ფართობი თანდათანობით შემცირდა და 1958 წელს 13%-ით ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს.

ეს შემცირება გამოწვეული იყო იმით, რომ სახნავი ფართობის ანგარიშზე გაიზარდა მრავალწლოვანი ნარგავების პლანტაციები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის დასავლეთ რეგიონები და ატმოსფერული ნალექების სიუხვე ხელს უწყობს ეროზიულ პროცესებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს წვიმის წყლის ზედაპირული ჩამონადენისათვის და ნიადაგის ნოყიერი ფენის ჩამორეცხვისათვის. ეროზიის შედეგად ყოველწლიურად მრავალი ჰექტარი მაღალნაყოფიერი მიწა იკარგება.

---

[1] 1923 წლის ციფრობრივი მონაცემები აღებულია საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიდან. თუმცა აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორია თანამედროვე სახღვრებში ცოტა მეტია და მოტანილი მონაცემები არ არის დაზუსტებული, მაგრამ შედარებითი მიზნებისათვის მათი გამოყენება შესაძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია მრავალწლოვანი კულტურების განვითარებისათვის. მემინდვრეობის გარდა, აქ დიდი ადგილი უჭირავს მეჩაიეობას, მეციტრუსეობას, მეხილეობას, მევენახეობას. ხუთწლედების მანძილზე ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, დაინერგა უფრო შრომატევადი მრავალწლოვანი კულტურები, რომლებიც ფართობის ერთეულიდან უფრო მაღალი ღირებულების პროდუქციას იძლევა და ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

საკვები ბაზის გაფართოებამ აფხაზეთში შესაძლებელი გახადა მეცხოველეობის განვითარება, მაგრამ მეცხოველეობის ზოგიერთი დარგი ჯერ კიდევ ნელი ტემპით იზრდება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობა სუსტადაა აღჭურვილი ტექნიკით. მექანიზაციის დონე მეტად დაბალია ისეთ შრომატევად დარგებშიც, როგორიც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვ. საჭიროა მომდინარე შვიდწლედში მეტი ყურადღება მიექცეს ამ დარგებში მექანიზაციის დანერგვას, რადგანაც აფხაზეთი მუშახელის ნაკლებობას განიცდის და ამის შედეგად აგროტექნიკური ღონისძიებანი ზოგჯერ არ ტარდება დაწესებულ ვადებში, რაც საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას.

აფხაზეთის ასსრ-ში საკმაო რაოდენობით მოდის ატმოსფერული ნალექები, მაგრამ ეს არს არ ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურები სავსებით უზრუნველყოფილია წყლით. ზოგიერთი წელი ჭარბად ნალექიანია, ზოგჯერ კი ადგილი აქვს გვალვებს, განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზაფხულში, — კულტურების აქტიური ვეგეტაციის პერიოდში. აფხაზეთის მთიან რაიონებში გვალვიანი ზაფხული მოსალოდნელია 4—5 წელიწადში ერთხელ, ხოლო ვაკე დაბლობებში 2-3 წელიწადში ერთხელ. გვალვის დროს საჭირო ხდება ხელოვნური მორწყვის გამოყენება მაღალი და მყარი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. მაღალ ეფექტს იძლევა ჩაის პლანტაციების ხელოვნური მორწყვა გვალვისა და ფიონების მოქმედების პერიოდში. გარდა ჩაის პლანტაციებისა, ხელოვნური მორწყვა ტარდება მევენახეობისა და მებოსტნეობა-მებაღეობაში. მარცვლეულ კულტურებს, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ხელოვნური მორწყვა არ ესაჭიროებათ.

აფხაზეთში სარწყავი მეურნეობა სუსტად არის ორგანიზებული. ხელოვნური მოწყვა ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში ტარდება. კარგად არის მოწყობილი ხელოვნური მორწყვა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. აქ გამოყენებულია საწვიმარი დანადგარები „ადუ“ და „დეუ“. წყალს ბებესირის ტბიდან იღებენ. ჩაის პლანტაციების სარწყავი ფართობი 250 ჰექტარამდე აღწევს, ვათვალისწინებულია მისი გადიდება კიდევ 400 ჰექტარით. საჭიროა სხვა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმაც მეტი ყურადღება დაუთმონ მოწვიმებით მორწყვის დანერგვას ჩაის პლანტაციებში. საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საახგარიშო მოხსენების გამო აღნიშნა: „პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას ჩაის პლანტაციებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების მორწყვის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ამასთან ფართოდ გამოყენებულ იქნას რწყვის მოწინავე ხერხები“[1].

[1] გაზ. „კომუნისტი“, 29 იანვარი 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ჩაის პლანტაციების ხელოვნური მორწყვის დანერგვა გალის რაიონში 1080 ჰექტარზე, ოჩამჩირის რაიონში—450 ჰექტარზე, გუდაუთის რაიონში—200 ჰექტარზე.

აფხაზეთის ასსრ-ში დაკმაყოფილებული მიწებია, რომელთა გამოყენება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია მხოლოდ ამოსაშრობი სამუშაოების ჩატარების შემდეგ. ჭაობიანი მიწები უმთავრესად გალისა (68%) და ოჩამჩირის (19%) რაიონებშია მოთავსებული. ამოსაშრობი სამუშაოები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა. იგი ამოსაშრობი არხები: განთიადის სისტემა, ახალსოფლის, ახალკოლხეთის, ახალკინდღის, ადზიუბჟას, ჩაიმელიორაციის, ტამიშის, ნაბაკევის, თაგილონის, ენგური-ხუმუშკურის, ენგურ-გალის. ამოსაშრობი არხების გაყვანის შედეგად 1959 წლის 1 იანვრისათვის სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაშია 21,9 ათასი ჰექტარი მიწა. ამ მიწებიდან ნათესების ქვეშ გამოყენებულია 10,9 ათასი ჰექტარი, სათიბების ქვეშ 0,6 ათასი ჰექტარი, საძოვრების ქვეშ 1,5 ათასი ჰექტარი და მრავალწლოვანი ნარგავების ქვეშ 8,9 ათასი ჰექტარი.

მომდინარე შვიდწლიდის გეგმის მიხედვით აფხაზეთის ასსრ-ში დიდი მასშტაბით არის გათვალისწინებული ჭაობების ამოსაშრობი ღონისძიებანი. უნდა ჩატარდეს ნიადაგის დაშრობა ბიჭვინთის კონცხზე, ჩაის პლანტაციების ქვეშ ასათვისებელი მიწების დაშრობა ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

გარდა ამოსაშრობი სამუშაოებისა, აფხაზეთში საჭიროა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა წყალდიდობისაგან, ცნობილია, რომ ნიადაგრების შედეგად დიდდება მდინარეები—ენგური, კოდორი, ფსოუ და სხვ. ისინი გადმოდიან ნაპირებიდან და ფარავენ წყლით დიდძალ სასოფლო-სამეურნეო ფართობს, რითაც დიდ ზარალს აყენებენ კოლმეურნეობებს. წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიზნით ამ მდინარეებზე აგებულია ნაპირსამაგრებელი ჯებირები.

მომდინარე შვიდწლედში გათვალისწინებული აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად ათვისებულ იქნება აფხაზეთის ყამირი მიწების დიდი ნაწილი, რაც გაზრდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობს და აამაღლებს სოფლის მეურნეობის დონეს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების გეოგრაფია

მარცვლეული და პარკოსანი კულტურები

წამყვანი როლი აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში სპეციალურ კულტურებს ეკუთვნის, მაგრამ მარცვლეულის მოყვანასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასურსათო და საკვები ბაზის ძირითად წყაროს მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელი ნათესი ფართობის 2/3 მეტი (67,2%) მარცვლეულის კულტურებზე მოდის. მარცვლეულის ნათესების საერთო ფართობი 1923 წელს შეადგენდა 35,4 ათას ჰექტარს, 1940 წელს—42,7 ათას ჰექტარს, 1950 წელს—40,7 ათას ჰექტარს, 1955 წელს—36,2 ათას ჰექტარს, 1958 წელს—34,9 ათას ჰექტარს.

ძირითადი მარცვლეული კულტურა აფხაზეთში სიმინდია, რომელსაც მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის 99,3% უკავია (მთელ საქართველოში ეს მაჩვენებელი 50%-ს არ აღემატება). საკვლევ ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს სიმინდის წარმოების ორი ზონა: ერთი ზღვისპირა სუბტროპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კული ტენიანი და ჭარბტენიანი და მეორე აფხაზეთის მთაგორიანი ზონა. პირველ ზონაში შედის გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების დაბლობები, ხოლო მეორეში—გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონების მთაგორიანი ნაწილები. პირველ ზონაში გავრცელებულია სიმინდის ჯიშები: აბაშური ყვითელი, აჯამეთის თეთრი, ადგილობრივი ნახევარკბილა. მეორე ზონაში—იგივე ჯიშები და კაკოვანა თეთრი, რომელსაც უფრო მოკლე სვეგეტაციო პერიოდი აქვს. აფხაზეთში ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დანერგილი სიმინდის მოყვანის სწორი აგროტექნიკა. ნიადაგის არასწორი დამუშავება აჭარწყლებს მთელ რიგ სხვა სამეურნეო ღონისძიებათა მოსალოდნელ ეფექტურობას. სასუქები ნათესებში ნაკლებადაა გამოყენებული.

ყოველივე ამის შედეგად სიმინდის საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა კოლმეურნეობებში მეტად დაბალია, 1958 წელს იგი 11,26 ცენტნერს უდრიდა, ე. ი. უფრო დაბალი იყო, ვიდრე მთლიანად საქართველოში (14,5 ც.). სიმინდის მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს აგროვეგ ნათესების სიმეჩხრე. აგროწესების მიხედვით ერთ ჰექტარზე 35—40 ათასი ძირი სიმინდი უნდა იყოს, ფაქტიურად კი ზოგ კოლმეურნეობაში 25 ათასი და უფრო ნაკლებიც არის, რაც გამოწვეულია იმით, რომ თესლი არ ითესება საჭირო რაოდენობით და პირუტყვის გაძოვნებას აქვს ადგილი.

სიმინდის ფართობის მიხედვით, პირველი ადგილი აფხაზეთში ახლო წარსულში გალის რაიონს ეკავა, მაგრამ 1958 წელს მას ოჩამჩირის რაიონმა გაესწრო, რადგანაც გალის რაიონში სიმინდის ფართობის ინგარიშზე გაიზარდა მრავალწლოვანი ნარგავები. საკმაოდ დიდი ფართობი უკავია სიმინდს აგროვეგ სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში. გაგრის რაიონში კი ის ნაკლებადაა განვითარებული.

პარკოსანი კულტურებიდან აფხაზეთში გავრცელებულია ლობიო, რომელიც ითესება უმთავრესად სიმინდში ნათესვით (1958 წელს მისი ფართობი 1038 ჰექტარს უდრიდა).

როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს, მარცვლეულის მეურნეობა აფხაზეთში დაბალ დონეზე დგას. მარცვლეულის წარმოებას სამომხმარებლო ხასიათი აქვს, მაგრამ საკუთარი მოსავალი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას პურზე, რაც იწვევს ფქვილისა და მარცვლეულის სხვა რაიონებიდან შემოზიდვის აუცილებლობას.

სკკპ XXI ყრილობის დადგენილებით კოლმეურნეობებში შრომის მწარმოებლურობა მიმდინარე შვიდწლეულში ორჯერ უნდა გადიდდეს. ამ ამოცანის შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სამუშაო ძალის სწორად განაწილებასა და გამოყენებას. უნდა გადიდდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. კოლმეურნეობებში უნდა დაინერგოს ახალი ტექნიკა და იგი მაღალი ეკონომიური ეფექტიურობით უნდა იქნას გამოყენებული, რაც აამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და გაზრდის შრომის მწარმოებლურობას.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მემინდვრეობაში თესლბრუნვის შემოღებას. კოლმეურნეობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მეთესლეობის საქმეს, დანერგოს საუკეთესო მაღალმოსავლიანი ჯიშები, შემოიღონ სიმინდის ჰიბრიდული და დაყალიბებული თესლით თესვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური კულტურები

მეთამბაქოეობა. აფხაზეთის ასსრ თავისი კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებით მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეულის მომცემი ქვეყანაა. აქაური თამბაქო თავისი არომატით, გემოთი და სხვა ღირსებით ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ ჩვენს ქვეყანაში, იგი ცნობილია როგორც მაღალხარისხოვანი საკუპაჟე მასალა საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებისათვის. მეთამბაქოეობას დიდი ადგილი უჭირავს აფხაზეთის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში, იგი ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდა და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს. როგორც თამბაქოს პლანტაციების ფართობების ოდენობის მიხედვით, ისე, განსაკუთრებით, თამბაქოს ნედლეულის ხარისხით აფხაზეთი უმნიშვნელოვანესი თამბაქოს მომყვანი რაიონია საბჭოთა კავშირში. თამბაქოს პლანტაციები განლაგებულია ძირითადად მხარის ჩრდილოეთ-დასავლეთის ზღვისპირა რაიონებში. თამბაქოს კულტურა XIX საუკუნის სამოციან წლებში იქნა შემოტანილი აფხაზეთში. ძირითადად გავრცელდა თამბაქოს ჯიშები—სამსუნი და ტრაპიზონი.

1907 წელს ქ. სოხუმში თამბაქოს საცდელი პლანტაცია გაშენდა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეთამბაქოეობის განვითარებას. 1914 წელს თამბაქოს ნათესების ფართობი 14,3 ათას ჰექტარს უდრიდა, რაც მთელი საქართველოს თამბაქოს ფართობის 85,1%-ს შეადგენდა. მეთამბაქოეობას აფხაზეთში თავიდანვე სამრეწველო ხასიათი ჰქონდა. თამბაქოს ნედლეული იგზავნებოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ნაწილი საზღვარგარეთაც გაიზიდებოდა—ეგვიპტეში, გერმანიაში, ირანში, ავსტრიაში.

პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისიდან მეთამბაქოეობა სწრაფად ეცემა, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს იგი თითქმის სრულ განადგურებამდე მივიდა.

მეთამბაქოეობის აღდგენა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. თამბაქოს ფართობი უწყვეტლივ იზრდებოდა და 1930 წელს მაქსიმუმს მიაღწია (16,9 ათასი ჰექტარი); 1930 წლის შემდეგ ფართობი თანდათან კლებულობს (1958 წლისათვის იგი 7,4 ათას ჰ-მდე დავიდა), მაგრამ ამას არ გამოუწვევია საერთო მოსავლის შემცირება და პირიქით მოსავლიანობის გადიდების ანგარიშზე მიმდინარეობდა თამბაქოს ნედლეულის დამზადების ზრდა.

თამბაქოს პლანტაციები განლაგებულია ძირითადად მთისწინა გორაკ-ბორცვიან ზონაში, აგრეთვე ვაკე ადგილებში და მთის ფერდობებზე. თამბაქოს მოყვანა ყველა ნიადაგზე შეიძლება, მაგრამ მისი მოსავლიანობა და ხარისხი ნიადაგის ტიპის მიხედვით მკვეთრად იცვლება. თამბაქოსათვის საუკეთესოა მსუბუქი ეწერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ამასთან უფრო ხარისხოვან ნედლეულს მთის ფერდობებზე ღებულობენ.

მეთამბაქოეობაში ფართოდაა დანერგილი ნიადაგში სასუქების შეტანა. მინერალური სასუქების გარეშე შეუძლებელია თამბაქოს ნედლეულის მოყვანა. თამბაქოს კულტურისათვის განკუთვნილი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენისათვის შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სიდერატების თესვა.

ახალი ტექნიკის თვისებითა და მეცნიერების მიღწევათა სწორი გამოყენებით კოლმეურნეობებმა ომის შემდგომ პერიოდში თვალსაჩინოდ გაზარდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამბაქოს მოსავლიანობა. თუ 1940 წელს თამბაქოს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 4.18 ცენტნერს არ აღემატებოდა, 1950 წელს იგი 8,29 ცენტნერამდე ავიდა, 1958 წელს—11,3 ცენტნერამდე, ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეობებმა სარეკორდო მოსავლიანობას მიაღწიეს. მაგალითად, სოფელ ხეთევნის კოლმეურნეობაში, ცნობილი მეთამბაქოე სოციალისტური შრომის ორგზის გმირის პროკოფი სვანიძის ბრიგადამ 22 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული მიიღო ჰექტარზე. სოფ. ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის შოთა აფშილავას ბრიგადამ 29,5 ცენტნერი.

მეთამბაქოეობის კოლმეურნეობები თამბაქოს ნედლეულს საფერმენტაციო ქარხნებს აბარებენ, სადაც თამბაქოს ფოთლის პირველადი გადამუშავება ხდება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საკვლევ ტერიტორიაზე 4 საფერმენტაციო ქარხანა აშენდა. გარდა ამისა მეთამბაქეოობის ბაზაზე ერთი თამბაქოს ფაბრიკაა აგებული.

აფხაზეთში არსებობს თამბაქოს საცდელი სადგური, რომელიც დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის დადგენაში თამბაქოს მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის; საცდელი სადგური მეტად სასარგებლო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებს, მის მიერ გამოყვანილია აფხაზეთში დარაიონებული სამსუნისა და ტრაპიზონის ჯიშები.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ასსრ-ში მიწის დიდი ფართობებია დაკავებული ისეთი ძვირფასი კულტურებით, როგორიცაა: ჩაის ბუჩქი, ციტრუსოვანი კულტურები, ვაზი, ტექნიკური კულტურები, ხეხილი და სხვა, პირველი ადგილი მხარის ეკონომიკაში მაინც თამბაქოს უკავია და იგი კოლმეურნეობათა უმეტესობისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. 1958 წელს კოლმეურნეობებმა მთელი ფულადი შემოსავლის 42,5% მეთამბაქეოობიდან მიიღეს. ფულადი შემოსავალი თამბაქოს თითოეული ჰექტარიდან საშუალოდ 23,2 ათას მანეთამდე აღწევს. აფხაზეთში არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, გარდა ეთერზეთოვანებისა, არ არის ასეთი რენტაბელური, როგორც თამბაქო.

მეთამბაქეოობის ძირითადი ბაზა აფხაზეთში—სოხუმის რაიონია. აქ თამბაქოს პლანტაციებს ყველაზე მეტი ფართობი უკავია, 1958 წელს იგი 3066 ჰექტარს უდრიდა, ანუ მთელი ფართობის 41,2%-ს. გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში თამბაქოს ნარგავებით თითქმის თანაბარი ფართობია დაკავებული (1414 ჰა, 1441 ჰა და 1320 ჰა). თამბაქოს ყველაზე ნაკლები ფართობი გალის რაიონში—207 ჰა, რადგანაც იგი ძირითადად ჩაის, ციტრუსოვანთა და ტუნგის წარმოების რაიონია.

როგორც ცნობილია, თამბაქოს კულტურა ბევრ საკვებ ნივთიერებას მოიხოვს და ნიადაგის გამოფიტვას იწვევს; მისი დარგვა წლების მანძილზე ერთ და იმავე ნაკვეთზე დაუშვებელია და ამიტომ ყოველ 2-3 წელში საჭირო ხდება ნაკვეთის გადანაცვლება, რომ აღდგენილ იქნას ნიადაგის ნაყოფიერება. აღსანიშნავია, რომ მიწის სიმცირის გამო თამბაქოს კულტურის დასარგავად თავისუფალი ვარგისი მიწები აფხაზეთში არ მოიპოვება, რაც ზღუდავს მეთამბაქოეობის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, მომდინარე შვიდწლედის გეგმით აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციების გაფართოება არაა გათვალისწინებული. თამბაქოს ფართობი სტაბილური უნდა დარჩეს, ხოლო ზოგ კოლმეურნეობაში კიდევაც უნდა შემცირდეს. ამასთან გათვალისწინებულია თამბაქოს ნედლეულის დამზადების ზრდა მოსავლიანობის გადიდების ანგარიშზე. აფხაზეთის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამბაქოობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე თამბაქოს ფოთლის ხარისხიანობის ამაღლება.

აფხაზეთის ასსრ
თამბაქოს პლანტაციების განლაგება
1958 წ
ბზიბი
ბეჟიტა
ბაბეტა
ბოლოკონი
ბალეა
ბალეა
ბალეა

ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანა საქართველოში პირველად აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო და ხუთწლედების მახვილზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი მნიშვნელოვანი დარგი. ეთერზეთოვან მცენარეებიდან საკვლევ რაიონში გავრცელებულია ძირითადად რეპანი, გერანი და პაჩული, გვხვდება აგრეთვე კაზანლიკური ვარდი და ყასმინი.

ეთერზეთოვანი კულტურების ნათესების ფართობი 1940 წელს 1011 ჰექტარს უდრიდა, რაც მთელი საქართველოს ნათესების 44,2%-ს უდრიდა. შემდეგ წლებში ამ კულტურების მოყვანა, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, გადატანილ იქნა აფხაზეთიდან საქართველოს სხვა რაიონებში, უმთავრესად აღმოსავლეთ რაიონებში (თელავის, ლაგოდეხის, ყვარელის), სადაც მათთვის უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები აღმოჩნდა: შესაფერისი სარწყავი ნიადაგები, მზის სხივების სიუხვე და სხვ. აქ კულტურების მწვანე მასის მოსავლიანობა და ეთეროვანი ზეთის შემცველობა უფრო მაღალია. აფხაზეთის ხვედრითი წონა მთელ საქართველოს ეთერზეთოვანი კულტურების ნათესებში 1958 წელს 18%-მდე შემცირდა. თუმცა ეთერზეთოვანი კულტურები პირველად აფხაზეთში შემოვიდა, ამჟამად კი მათი მოყვანის ძირითად ბაზად კახეთი გადაიქცა.

საკვლევ ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს ეთერზეთოვანი კულტურების განლაგების სამი ზონა: ბაბუშერის (სოხუმის რაიონი), ტამიშისა (ოჩამჩირის რაიონი) და გუდაურის (გალის რაიონი). ნათესების ნახევარზე მეტი (53,5%) საკოლმეურნეო მიწებზეა განლაგებული, ორი საბჭოთა მეურნეობაა დაარსებული: ტამიშის გერან-კულტურების საბჭოთა მეურნეობა—ქარხანა და გალის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა.

ეთერზეთოვანი კულტურებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია რეპანი და გერანი. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პაჩულის კულტურაც, მაგრამ ის უფრო ძნელი გასაშენებელია და მას ბევრად ნაკლები ფართობი უკავია.

1958 წელს კოლმეურნეობებში ერთ ჰექტარიდან საშუალოდ 119 ცენტნერი გერანი და 34 ცენტნერი რეპანი მიიღეს. პაჩულის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 40 ცენტნერს უდრიდა. მაღალ აგროტექნიკის პირობებში იგი შეიძლება 100 ცენტნერამდე იქნას აყვანილი.

მაღალი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურების შეწამვლას სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ. რეპანი ყოველ წელს ახალ ადგილას უნდა დაირგოს, რადგანაც სოკოვანი დაავადება უჩნდება, რომელსაც შეწამვლა არ შველის.

დამზადებული ნედლეულის გადამუშავება მთლიანად ტამიშისა და გალის საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ ეთერზეთის სახდელ ქარხნებში ხდება. მზა პროდუქცია იგზავნება ქ. მოსკოვში ერბოკნიმეულისა და პარფიუმერიის მრეწველობაში გამოსაყენებლად.

ეთერზეთოვანი კულტურების განვითარება გათვალისწინებულია მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე, საბჭოთა მეურნეობებში კი განზრახულია აგრეთვე სათესი ფართობის მნიშვნელოვანი ზრდაც. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ეთერზეთოვანი ნედლეულის დამზადების მოცულობა ორჯერ და კიდევ მეტად უნდა გაიზარდოს.

ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ს ო ი ა; მისი წარმოე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა აფხაზეთში სუსტადაა განვითარებული. 1958 წელს კოლმეურნეობებს 66 ჰექტარი წმინდა, სოლო 1541 ჰექტარი შერეული ნათესები ჰქონდათ. სოია უმთავრესად სიმინდში შეთესვით ითესება. იგი კარგად იზრდება ეწეროვან და საერთოდ მწარ ნიადაგებზე. ნათესები განლაგებულია ძირითადად გუდაუთის, გაგრისა და გალის რაიონებში.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი

აფხაზეთის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მებოსტნეობა-მებაღჩეობისა და მეკარტოფილეობის განვითარებისათვის. აქ შესაძლებელია ბოსტნეულის მოყვანა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის გამოყენებული. 1923 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეულის ნათესი ფართობი არ აღემატებოდა 962 ჰექტარს, სოლო კარტოფილის—166 ჰექტარს, 1958 წლისათვის იგი გაიზარდა შესაბამისად 1979 და 438 ჰექტარამდე.

აფხაზეთის ასსრ-ის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს ბოსტნეულ-ბაღჩეულის ნათეს ფართობში 8,1%-ს უდრის, სოლო კარტოფილის ნათესებში—1,8%-ს არ აღემატება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობებში მეტ ყურადღებას უთმობენ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გადიდების საქმეს. მებოსტნეობის ერთგვარი კონცენტრაცია მოხდა. ამ დარგის გავრცელების ძირითადი ზონა ზღვისპირა რაიონია, ქალაქები—სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის ირგვლივ. აქ მებოსტნეობამ საგრეუბნო ხასიათი მიიღო.

მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა ყველაზე უფრო კარგად სოხუმის რაიონშია განვითარებული. გაგრის, ოჩამჩირის და გუდაუთის რაიონებში მებოსტნეობის ნათესი ფართობი დაახლოებით თანაბარია. გალის რაიონი ამ მხრივ ჩამორჩენილია.

ბოსტნეული კულტურების ხვედრითი წონა აფხაზეთის ასსრ-ის მთელი ნათეს ფართობში 1958 წელს 3,8%-ს უდრიდა, მთელ საქართველოში კი ანალოგიური მაჩვენებელი 2,8%-ით განისაზღვრებოდა. მებოსტნეობა უფრო გავრცელებულია აფხაზეთში, ვიდრე მთლიანად საქართველოში, რადგანაც მოთხოვნილება ბოსტნეულზე მაღალია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ჩამოსული დამსვენებლების მიერ.

ბოსტნების მთელი ფართობის 40,5% კოლმეურნეობებს უკავია, კოლმეურნეებს საკუთარი პატარ-პატარა ბოსტნები აქვს საკარმიდამო ნაკვეთებზე.

მებოსტნეობაში საჭიროა ხელოვნური მორწყვა, მაგრამ იგი მეტად მცირე მასშტაბით ტარდება, რადგანაც სარწყავი მეურნეობა არ არის მოწყობილი.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების მიზნით მებოსტნეობაში მარტო მინერალური სასუქებია გამოყენებული, ისიც მცირე დოზებით, მათი უკმარობის გამო. სასათბურე-სანერგე მეურნეობა სუსტად არის გამოყენებული და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ბოსტნეული კულტურებიდან აფხაზეთში მოჰყავთ: პომიდორი, კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, ხახვი, ნიორი, სტაფილო, კიტრი და სხვ. ორი კოლმეურნეობა—სოფ. ლესელიძის და სოფ. სალპეს (გაგრის რაიონი) სპეციალიზებულია მებოსტნეობის მეთესლეობაზე.

მებოსტნეობა-მებაღჩეობა და მეკარტოფილეობა კოლმეურნეობებში დაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მოსავლიანობით ხასიათდება. უკანასკნელ წლებში ბოსტნეულის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 33-37 ცენტნერის ფარგლებში მერყეობდა, ბაღჩეულის—44-54 ცენტნერის, ხოლო კარტოფილის—44—65 ცენტნერის ფარგლებში.

დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზია სასუქების სიმცირე და დაწესებული აგროტექნიკური წესების შეუსრულებლობა მუშახელის ნაკლოვანების გამო. მოწინავე კოლმეურნეობებმა კარგ შედეგს მიაღწიეს მოსავლიანობაში და საშუალოდ იღებენ: კომბოსტოს 250 ცენტნერამდე ჰექტარზე, პომიდორს 250—300 ცენტნერამდე, კიტრს 240—300 ცენტნერამდე და ა. შ. სანიმუშოდ აქვს დაყენებული მებოსტნეობის საქმე სოფელ ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას (გუდაუთის რაიონი) სპეციალურად გამოყოფილ საცდელ ნაკვეთზე.

გარდა კოლმეურნეობებისა, აფხაზეთში მებოსტნეობას ეწევა აგრეთვე 2 საბჭოთა მეურნეობა: „დიოსკურია“ სოხუმის რაიონში (ს. მაჭარაში) და რძებოსტნეულის საბჭოთა მეურნეობა გაგრის რაიონში (ბიჭვინთის კონცხზე).

საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებულია ხვნა, კულტურების დარგვა, მწკრივთაშორისი დამუშავება; გამოყენებულია სასუქები და მოსავლიანობა მაღალია. მთელი მოსავალი გაგრის ჯგუფის კურორტებსა და დასასვენებელ სახლებს ბარდება.

მებოსტნეობა-მებაღეობა და მეკარტოფილეობა საერთოდ შემოსავლიანი დარგებია, მაგრამ აფხაზეთის პირობებში ეს დარგები რენტაბელობის მხრივ ჩამორჩება სხვა დარგებს და კულტურებს. ბოსტნეულის წარმოება ამჟამად ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი ქალაქებისა და კურორტების მოთხოვნილებას. ბოსტნეული დიდი რაოდენობით შემოიზიდება მეზობელ რაიონებიდან (ძირითადად კრასნოდარის ოლქიდან). ამასთან დაკავშირებით ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების მკვეთრი გადიდება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ შვიდწლიანი გეგმით ფართო მასშტაბით არის გათვალისწინებული ახალი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა (ეერძოდ ბიჭვინთის კონცხზე უნდა აშენდეს ახალი კურორტი, სადაც ერთდროულად 10 ათასზე მეტი კაცი დაისვენებს, ეს იქნება საბჭოთა შავიზღვისპირა მხარის ერთ-ერთი მსხვილი კურორტი).

მებოსტნეობა-მებაღეობისა და მეკარტოფილეობის პროდუქციის გადიდება უნდა მოხდეს ნათესების გაფართოებისა და უმთავრესად მოსავლიანობის სწრაფი ზრდის გზით. კურორტების ირგვლივ უნდა შეიქმნას მსხვილი საგარეუბნო ხასიათის მეურნეობები. საჭიროა მოეწყოს საადრეო ბოსტნეულის წარმოება.

საკვები კულტურები

საკვები კულტურების წარმოებას რევოლუციამდელ აფხაზეთში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი მდგომარეობა შეიცვალა, საკვები კულტურების ფართობი მკვეთრად გაიზარდა. 1958 წელს საკვები კულტურების ნათესებმა 6551 ჰექტრამდე მიაღწია, ნაცვლად 1840 ჰექტარისა 1940 წელს, ე. ი. $3^1/_2$-ჯერ და მეტად გაიზარდა. აფხაზეთის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს საკვები კულტურების ნათესებში 3,4%-დან 4,7%-მდე გადიდდა. განსაკუთრებულ ზრდას ჰქონდა ადგილი გალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა (258 ჰექტარიდან 1940 წელს 1781 ჰექტრამდე 1958 წელს) და ოჩამჩირის (შესაბამისად 285 ჰექტარიდან 1598 ჰექტრამდე) რაიონებში. ნათესები თითქმის მთლიანად საკოლმეურნეო მიწებზეა განლაგებული. მათი ხვედრითი წონა მთელი საკოლმეურნეო ნათესების ფართობში 12,7%-ს უდრის, საქართველოს რესპუბლიკაში კი ანალოგიური მაჩვენებელი 16,2%-ს შეადგენს.

როგორც აფხაზეთში, ისე მთელ საქართველოში საკვებ კულტურათა შორის ძირითადი ადგილი სასილოსე კულტურებს უკავია. მაგრამ მთლიანად საქართველოში მათი ხვედრითი ოდენობა 37,2%-ს არ აღემატება, აფხაზეთში კი 59,5%-მდე აღწევს. სასილოსედ ძირითადად სიმინდია გამოყენებული. ერთწლოვანი ბალახები ითესება ძირითადად როგორც თამბაქოს წინამორბედი. მრავალწლოვანი ბალახები მეტად მცირე ფართობებზეა განლაგებული, რადგანაც არ არის შესაფერისი მიწის ფართობები. საკვები ძირნაყოფებისა და საკვები ბაღჩეულის როლი საკვების ბალასნში მეტად დაბალია.

სასილოსე ნათესები ყველაზე მეტ ფართობზეა განლაგებული გალის რაიონში. შემდეგ სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებში. სასილოსე სიმინდის ნათესების გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაადიდა კოლმეურნეობაში წვნიანი საკვების დამზადება. ბალახებიდან დაბალ ზონაში ითესება უმთავრესად სამთაყურა და იონჯა, მაღალ ადგილებში—ესპარცეტი.

აფხაზეთის კოლმეურნეობებში საკვები ბაზის გადიდებისათვის ყველა რეზერვი როდია გამოყენებული და კოლმეურნეობების წინაშე დგას სეროიზული ამოცანა—შეუქმნან მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახების თესვას, გაიზარდოს სხვა მაღალნაყოფიერი საკვები კულტურების ფართობი. საჭიროა რიგი ღონისძიებათა გატარება საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკოლმეურნეო პირუტყვი სხვადასხვა მაღალნაყოფიერი ცილოვანი საკვებით.

მრავალწლოვანი კულტურები

მრავალწლოვანი კულტურებიდან აფხაზეთში გავრცელებულია: ჩაის ბუჩქი, ციტრუსოვანნი, ხეხილი, ვაზი, ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი. მრავალწლოვანი ნარგავების ხვედრიული წონა მთელი დამუშავებული ფართობის მიმართ აქ მეტად მაღალია—39,4% უდრის, რაც მხარის სოფლის მეურნეობის მაღალ ინტენსიურობაზე მეტყველებს. მთელ საქართველოში ეს მაჩვენებელი 19,5%-ს არ აღემატება. მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებას წამყვანი როლი უკავია. კოლმეურნეობებში მთელი ფულადი შემოსავლის 70%-ზე მეტს მრავალწლოვანი კულტურების წარმოებიდან ღებულობენ. 1958 წელს მრავალწლოვანი კულტურების სახეობათა თანაფარდობა (ფართობის მხრივ) პროცენტობით შემდეგი იყო:

ჩაის ბუჩქი	ციტრუსოვანნი	ხეხილი	სუბტროპიკული ხეხილი	ვაზი	ტუნგი	კეთილშობილი დაფნა	ბამბუკი	სულ
28,1	6,8	39,1	3,5	14,1	7,6	0,3	0,5	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამყვანი ადგილი ფართობის მიხედვით ხეხილის ბაღებსა და ჩაის პლანტაციებს უკავია. ფულადი შემოსავლის მიხედვით კი პირველ ადგილზე მეჩაიეობაა, რომელიც ბევრად უფრო შემოსავლიანია, ვიდრე სხვა დარგები.

მეჩაიეობა. ჩაის ბუჩქის კულტურა აფხაზეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გავრცელდა. ჩაის პლანტაციების სისტემატური და სწრაფი გაშენება 1931 წლიდან დაიწყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ჩაის მეურნეობის განვითარების შესახებ მიღებული დადგენილების შემდეგ. 1933 წელს ჩაის პლანტაციების ფართობმა 3,8 ათას ჰექტარს მიაღწია, 1934 წელს 5 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, 1938 წელს 7 ათას ჰექტარს გადაამეტა, 1940 წელს—9 ათას ჰექტარს. 1956 წელს—13 ათასს. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებაც წლითიწლობით იზრდებოდა, 1956 წელს 16 ათას ტონაზე მეტი იქნა დამზადებული. ამრიგად, მოკლე დროის მანძილზე აფხაზეთში მძლავრი ჩაის მეურნეობა შეიქმნა, ჩაის მეურნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ განვითარებულ და მადალშემოსავლიან დარგად გადაიქცა. ამჟამად ჩაის ბუჩქის კულტურა გავრცელებულია აფხაზეთის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში, გარდა გაგრის რაიონისა, სადაც სასოფლო-სამეურნეო ფართობი ადრევე სხვა კულტურებით იყო ათვისებული (თამბაქო, ციტრუსოვანნი, ხეხილი) და ჩაისათვის შესაფერისი ნიადაგები აღარ დარჩა.

ჩაის პლანტაციების ძირითადი ბაზა (ფართობის 88,5%) განლაგებულია მდინარე კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოჩამჩირის და გალის რაიონებში. პლანტაციები მოთავსებულია ზღვიდან ცოტა დაშორებით დაბლობ ადგილებზე, სწორ ნაკვეთებზე და ნაწილობრივ გორაკ-ბორცვებზე. ჩაის პლანტაციები გაშენებულია ძირითადად წითელშიწა და ეწვრ ნიადაგებზე.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1940 წელს 9098 ჰექტარს უდრიდა, 1950 წელს -9932 ჰექტარს, 1955 წელს—13428 ჰექტარს, 1958 წელს—9.446 ჰექტარს.

აღსანიშნავია, რომ 1955 წელს საანგარიშო ფართობი რეალურ სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეს იქიდან ჩანს, რომ 1957—1958 წწ. ჩატარებულმა ჩაის პლანტაციების პასპორტიზაციამ გამოავლინა დანაკლისი კოლმეურნეობებში 4482 ჰექტარის რაოდენობით, ყველაზე მეტი დანაკლისი ოჩამჩირისა და გალის რაიონებში აღმოჩნდა. ეს დანაკლისი გამოწვეული იყო ნარგავების ცუდი მოვლა-პატრონობით, აგროტექნიკური ღონისძიებათა ვადების დარღვევით, მათი უხარისხო გატარებით, ახალი პლანტაციების უვარგისსა და მოუმზადებელ მიწებზე გაშენებით და სხვ., რამაც გამოიწვია ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე და ნაწილობრივ სრული დაღუპვა.

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე საშუალოდ 6,3%-მდე აღწევს, ოჩამჩირის რაიონში 8,5%-მდე, მაშინ როდესაც აჭარის ასსრ-ში სიმეჩხრე 1,9%-ს არ აღემატება. ხოლო ქობულეთის კოლმეურნეობებში—1,3%-ს. პასპორტიზაცია მთელი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარდა და მის შედეგად მთელი ჩაის პლანტაციების ფართობიც შემცირდა 51803 ჰექტარამდე.

პლანტაციების დიდი სიმეჩხრე ჩაის მწვანე ფოთლის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის საჭიროა ჩატარდეს პლანტაციების რემონტი.

ჩაის კულტურა უაღრესად შრომატევადია, კოლმეურნეობებში კი მუშახელის ნაკლებობას განიცდიან; მექანიზაციის დონე მეჩაიეობაში ჯერჯერობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია, ამის გამო აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთლიანი კომპლექსი დროულად არ ტარდება, რაც ამცირებს მოსავლიანობას.



ნახ. 3. ჩაის პლანტაციების განლაგება

ჩაის პლანტაციების მორწყვა (არგ შედეგს იძლევა, ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ აფხაზეთში მორწყვის საქმე ცუდად არის დაყენებული. სარწყავი დანადგარები ჯერჯერობით მარტო (ალეეულ საბჭოთა მეურნეობებშია გამოყენებული.

ჩაის ბუჩქის ნარგავების მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა შეუსრულებლობის გამო, ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი შედარებით დაბალია, უკანასკნელ წლებში ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შემდეგი იყო: 1950 წელს—1504 კგ, 1952 წელს—1785 კგ, 1955 წელს—2165 კგ, 1957 წელს—1565 კგ, 1958 წელს—2736 კგ, 1959 წელს—2743 კგ. თუმცა მოსავლიანობა ჩაის მწარმოებელ სხვა რაიონებთან შედარებით აფხაზეთში უფრო დაბალია, მაგრამ იგი სისტემატურად იზრდება და 1959 წელს 72%-ით გაიზარდა 1950 წელთან შედარებით. აჭარის კოლმეურნეობებში ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა ბევრად უფრო მაღალია, 1958 წელს იქ 4340 კგ ჩაის ფოთოლი მიიღეს ჰექტარიდან. ეს გარემოება იმასთანაა დაკავშირებული, რომ აჭარის ბუნებრივი პირობები უფრო ხელსაყრელია ჩაის კულტურისათვის, ამასთან მოსავლიანობის დონეზე ისიც მოქმედებს, რომ პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმეც იქ უფრო ორგანიზებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაის ბუჩქი მაღალშემოსავლიანი კულტურაა. 1958 წელს მეჩაიეობადან მიღებული შემოსავალი კოლმეურნეობათა მთელი ფულადი შემოსავლის 39,2%-ს შეადგენდა. ფულადი შემოსავლის მხრივ ჩაის კულტურას მეორე ადგილი უკავია მემცენარეობაში (თამბაქოს შემდეგ).

ავტონომიურ რესპუბლიკაში 4 ჩაის საბჭოთა მეურნეობა მუშაობს. ერთი ოჩამჩირის რაიონშია (მოქვის ჩაის მეურნეობა) და სამი გალის რაიონში (სიდის, აჩიგვარის და გალის). საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციებს 1700 ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. პლანტაციები დიდ მასივებადაა განლაგებული. ირგვლივ, როგორც წესი, ქარსაცავი ტყის ზოლებია გაშენებული. მექანიზაციის დონე აქ შედარებით უფრო მაღალია, ყველაზე დიდი და კარგად მოწყობილი აჩიგვარის მეურნეობაა. პლანტაციის ფართობის სიდიდით მას მეორე ადგილი უკავია საქართველოში (ლაითურის საბჭოთა მეურნეობის შემდეგ). მოსავლიანობის მხრივ უკეთესი მაჩვენებლები მოქვის საბჭოთა მეურნეობას აქვს. აქ 1958 წელს 4000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს ჰექტარზე, აჩიგვარის მეურნეობაში—2440 კგ, სიდის მეურნეობაში—3390 კგ., გალის მეურნეობა ჯერჯერობით ყველაზე პატარაა, ახლად ორგანიზებულია (1959 წელს).

ჩაის მეურნეობის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალს, რომელიც სამეცნიერო და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ფილიალში შუშავდება რიგი აქტუალური, მეჩაიეობისათვის პრაქტიკული ხასიათის მქონე პრობლემა, ტარდება კონსულტაციები, ეწყობა დარგობრივი კონფერენციები.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში მეჩაიეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივა მეტად ხელსაყრელია. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ახალი პლანტაციების გაშენება 5680 ჰექტარზე, აქედან გალის რაიონში 2900 ჰექტარზე, ოჩამჩირის რაიონში—2280 ჰექტარზე, გუდაუთის რაიონში—300 და სოხუმის—200 ჰექტარზე. 1965 წელს უნდა დამზადდეს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 28860 ტონა ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, აფხაზეთის მეჩაიეებმა პირობა დადეს ხუთ წელიწადში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალება. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას. პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგში უნდა გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, ამაღლდეს მექანიზაციის დონე მეჩაიეობაში, დროულად და ხარისხოვნად სრულდებოდეს აგროტექნიკური ღონისძიებანი.

მეციტრუსეობა. მეციტრუსეობა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. აფხაზეთის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების კერძოდ ციტრუსოვანთა პლანტაციების, გასაშენებლად.

აფხაზეთში ციტრუსოვანი კულტურების გავრცელებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე მეციტრუსეობა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ციტრუსები გაშენებული იყო რამდენიმე ჰექტარზე კერძო მფლობელთა ეზოებში. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ფართო მასშტაბით დაიწყო ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენება. შეიქმნა ციტრუსების მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, რიგი კოლმეურნეობა სპეციალიზებულ იქნა მეციტრუსეობაზე. მეციტრუსეობა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და მან სამრეწველო ხასიათი მიიღო.

ციტრუსოვანი კულტურები ყველა რაიონშია განლაგებული, მაგრამ ციტრუსების ძირითად რაიონებად სოხუმის, გაგრის და გალის რაიონები ითვლება. ციტრუსოვანთა კულტურების ფართობმა 1950 წელს თითქმის 9000 ჰექტარს მიაღწია. მაგრამ 1949—1950 წლის არაჩვეულებრივად მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა ციტრუსოვანთა მეურნეობას როგორც მთელ საქართველოში, ისე აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში. ციტრუსოვანთა ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულებით დაიღუპა. ფართობი მკვეთრად შემცირდა. განსაკუთრებით დაზიანდა ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები. მომდევნო წლებშიც (1952, 1955, 1957) ადგილი ჰქონდა დიდ ყინვებს, რომლებმაც საკმაოდ დააზარალეს ნარგავები, მაგრამ მათ ისეთი კატასტროფიული შედეგები არ მოჰყოლიათ, როგორც 1949/50 წელს.

წინა წლებში ციტრუსოვანი კულტურების განლაგებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ზოგ მეურნეობაში ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები გაშენებული იყო არაშესაფერ ნიადაგებზე, რომლებიც არ იყო დაცული ცივი და შშრალი ქარებისაგან. ამის შედეგად მკაცრ ზამთრებში ბევრი ნარგავი დაიღუპა. ცუდად მოქმედებს ნარგავებზე აგრეთვე განმეორებითი ღამის ყინვები. ხეობებში და ქვაბულებში, სადაც ცივი ჰაერი ჩამოედინება, ციტრუსოვანი კულტურების ღარება არ შეიძლება. საუკეთესოდ ითვლება ზღვის ნაპირისაგან 2-3 კილომეტრით დაშორებული ნაკვეთები, რომლებიც გორაკთა ფერდობების შუა ნაწილებზე, ზღვის დონიდან 120—150 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ და დაქანება აქვთ სამხრეთისაკენ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ციტრუსოვანთა გაშენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგებს, ამ მხრივ საუკეთესოა წითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები.

1955 წელს ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი 3734 ჰექტარს უდრიდა. 1950 წელთან შედარებით თითქმის 2 ½-ჯერ შემცირდა. 1957 წელს ჩატარებულმა პლანტაციების პასპორტიზაციამ როგორც ჩაის მეურნეობაში, ისე აქაც დანაკლისი გამოავლინა—1881 ჰექტარის რაოდენობით. ეს დანაკლისი იმავე მიზეზებით იყო გამოწვეული, როგორც მეჩაიეობაში. ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი ფაქტიურად 2270 ჰექტარი აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1949—1950 წლის ზამთრამდე მეციტრუსეობა წამყვან დარგად ითვლებოდა აფხაზეთში. ყინვებისაგან უმთავრესად ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავ-

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ
ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ
ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ
1949 წ.
ᲡᲮᲣᲛᲘ
ᲒᲐᲚᲘ
ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ
ᲒᲐᲛᲘᲨᲚᲘ
ᲒᲐᲒᲠᲐ
ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

27%-დან 19%-მდე. მანდარინის ფართობის ხვედრითი წონა შესაბამისად გაიზარდა 39%-დან 61%-მდე. ზოგი პლანტაცია არასრულფასოვანი შეიქმნა, როდესაც ყინვებია, იმ წელს ნაყოფს არ იძლევა.

1958 წელს ლიმონებს 481 ჰექტარი ფართობი ეკავა, ფორთოხლის ნარგავებს—377 ჰექტარი, ხოლო მანდარინის—1412 ჰექტარი. ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები უმთავრესად სოხუმისა და გაგრის რაიონებშია განლაგებული, მანდარინის ნარგავები—სოხუმის, გალისა და გაგრის რაიონებში. განსაკუთრებით ხარისხიანი ლიმონი მოჰყავთ ლიძავაში, ახალ ათონში, მაჭარაში, სადაც ისეთი ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობებია, რომ ნარგავები 1949—1950 წლის ზამთარშიაც კი არ დაზიანდა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში საუკეთესო ჯიშის ციტრუსებია გავრცელებული. ხარისხის მხრივ აფხაზეთი უკეთეს ციტრუსებს იძლევა, ვიდრე აჭარა, რადგანაც აქ ატმოსფერული ნალექები უფრო ნაკლებია და ნაყოფს მეტი შაქრიანობა აქვს.

აფხაზეთის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობისა 24,2%-ს უდრის (1958 წ.).

ციტრუსოვანთა პლანტაციების საერთო ფართობის 1/3-ზე მეტი კოლმეურნეობებს ეკუთვნის, 1/3-ზე ცოტა ნაკლები (32%) საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებზე მოდის, დანარჩენი ფართობი დაკავებულია ნარგავებით, რომლებიც კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა გაშენებული. აფხაზეთში 5 საბჭოთა მეურნეობას აქვს ციტრუსოვანთა ნარგავები: კოხორის, გაგრის, ილიჩის სახელობის, ახალი ათონისა და „დიოსკურიას". აქედან ყველაზე დიდი კოხორისა (247 ჰა) და გაგრის (238 ჰა) მეურნეობებია. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები შედარებით უფრო კარგად უვლიან პლანტაციებს და მათი მოსავლიანობაც უფრო მაღალი აქვთ. 1958 წელს კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ერთი ჰექტარიდან 141 ცენტნერი ციტრუსოვანთა ნაყოფი მიიღეს, ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში—123 ცენტნერი, გაგრის—111 ცენტნერი, „დიოსკურიაში"—85 ცენტნერი, ახალ ათონის—79 ცენტნერი. კოლმეურნეობებში ამავე წლის საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა 17 ცენტნერს არ აღემატებოდა. აქედან ჩანს, რა დიდი რეზერვები აქვთ კოლმეურნეობებს ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

1949—1950 წლის მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა ციტრუსოვანთა მეურნეობას და ამჟამად მიმდინარეობს დაზიანების შედეგების სრული ლიკვიდაცია. ახალი პლანტაციების გაშენება 1962 წლამდე არ არის გათვალისწინებული, რადგანაც ჯერ უნდა ჩატარდეს გამეჩხერებული პლანტაციების რემონტი. ამისათვის 278,4 ათასი ძირი ციტრუსოვანთა ნარგავი უნდა დაირგოს, ციტრუსოვანთა პლანტაციების ირგვლივ უნდა გაშენდეს 13 ათასი მეტრი სიგრძის ტყის ქარსაცავი ზოლი. 1962—1965 წლებში 1518 ჰექტარი ახალი პლანტაცია უნდა გაშენდეს, მათ შორის 1379 ჰექტარი მანდარინის პლანტაცია, 44 ჰექტარი ლიმონისა და 95 ჰექტარი ფორთოხლისა. ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციები უმთავრესად გაგრისა და გალის რაიონებში უნდა გაშენდეს, ხოლო მანდარინის პლანტაციები—სოხუმის, გაგრის და გალის რაიონებში. განზრახულია დაარსდეს ციტრუსების ორი ახალი საბჭოთა მეურნეობა, ერთი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის, ხოლო მეორე გაგრის რაიონში. ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ მკვეთრად გაიზრდება ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება.

მეხილეობა. მეხილეობა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები ხელს უწყობს ამ დარგის განვითარე-

აფხაზეთის ასსრ
ხეხილის ბაღების
განლაგება
1956 წ
0 5 10 15 20
ოჩამჩირე
ბაკურიანი
ბებელეთი
ბოლოკვა
ბზიბი
ბზიფი
ბარალეთი
ბალეა
ბალეა
ბალეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხილეობა სწრაფად განვითარდა ზღვისპირა ზონაში, კერძო მესაკუთრეთა ბაღებს რამდენიმე ათეული ჰექტარი ფართობი ეკავათ, ხოლო ხეხილის ცალკეული ნარგავები ყველგან იყო გაფანტული. მეხილეობის განვითარებას ხელს უწყობდა სოხუმის საცდელი სადგური, რომელიც ურიგებდა მოსახლეობას ხეხილის ძვირფასი ჯიშების სარგავ მასალას. გავრცელებული იყო ხეხილის ადგილობრივი და ევროპული ჯიშები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კოლმეურნეობათა მსხვილ მასივებზე გაშენდა ხეხილის მთლიანი ბაღები. დაარსდა მეხილეობაზე სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობებიც, რის შედეგად ბაღების საერთო ფართობი სწრაფი ტემპით გაიზარდა. 1940 წელს ხეხილის ბაღებით 7002 ჰექტარი იყო დაკავებული, 1950 წელს—8882 ჰექტარი, 1955 წელს—13314 ჰექტარი და 1958 წელს—13147 ჰექტარი. ომის შემდგომ პერიოდში ხეხილის ბაღების ფართობი 88%-ით გაიზარდა.

მეხილეობა აფხაზეთში გავრცელებულია როგორც ზღვისპირა, ისე მთის ზონაში. ხეხილის ბაღები ყველაზე დიდ ფართობზე სოხუმისა და გაგრის რაიონებშია გაშენებული. მათი ხვედრითი წონა ბაღების მთელ ფართობში 39,8% და 21,9% უდრის. დანარჩენ რაიონებში ხეხილის ბაღების ფართობი თითქმის თანაბარია. ბაღების საერთო ფართობის 29,2% კოლმეურნეობების მფლობელობაშია. რიგ კოლმეურნეობაში მეხილეობა საზოგადოებრივი მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა. ვაშლის, მსხლისა და ატმის ბაღები გაშენდა სოხუმის რაიონში—სოფ. ვლადიმიროვკას კოლმეურნეობებში, სოფ. ბესლეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ. ქლიავის მსხვილი ბაღები გაშენდა გაგრის რაიონში—სოფ. ლესელიძის და სოფ. სალშეს კოლმეურნეობებში, სოფ. მიხელიჩშის კოლმეურნეობაში „პამიატ ლენინა“, სოფ. განთიადის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფ. ნაკადულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ. თხილისა და კაკლის ბაღებია გაშენებული გალის რაიონში (სოფ. ოტობაიაში და სხვ.)

ხეხილის ბაღების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებული მიწების საერთო ფართობში 12,7%-ს უდრის. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გაგრის რაიონს აქვს (26,4%), შემდეგ სოხუმის რაიონს (23,7%). მთელ საქართველოში ეს მაჩვენებელი 8,1% არ აღემატება.

აფხაზეთში ხეხილის ნარგავების დიდი რაოდენობა კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული. მეხილეობას ეწევა აგრეთვე ორი საბჭოთა მეურნეობა—„დიოსკურია“ და სოხუმის საბჭოთა მეურნეობა „სანერგე“. მათი ხეხილის ბაღები 81 ჰექტარზეა განლაგებული. საბჭოთა მეურნეობა „სანერგე“ შექმნილია იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მოთხოვნილება ხეხილის მაღალხარისხოვან სანერგე მასალაზე. მარტო ამ უკანასკნელ ათწლეულის მანძილზე მან სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ცალკეულ მებაღეებზე ერთ მილიონზე მეტი ხეხილის კულტურების ნერგი გასცა.

აფხაზეთში გავრცელებულია ყველა სახის ხეხილი: თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი. ხეხილის მაღალხარისხოვანი ჯიშები გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული.

თესლოვანი კულტურების უმეტესი ნაწილი სოხუმის რაიონშია გავრცელებული, კურკოვანის—გაგრის რაიონში, ხოლო კაკლოვანებისა—გალის რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშახელის ნაკლებობის გამო ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობა ხარისხიანად არ ტარდება, უხეშად ირღვევა აგროტექნიკური წესები, რის შედეგად ხილის მოსავლიანობა დაბალია. 1958 წელს თესლოვანი ხილის საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა კოლმეურნეობებში 32 ცენტნერს არ აღემატებოდა, კურკოვანი ხილის მოსავლიანობა—5 ცენტნერს, კაკლოვანების—1,3 ცენტნერს. ხილის მოსავლიანობის ზრდის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ნიადაგის განყოფერება სასუქებით, მაგრამ ეს ღონისძიება თითქმის არ ტარდება.

მეხილეობას აფხაზეთში სასაქონლო ხასიათი აქვს, იგი დიდ როლს ასრულებს კოლმეურნეობათა ეკონომიკაში და მოსახლეობის ბიუჯეტში. მეხილეობის პროდუქცია ადგილობრივ ქალაქებს, და კურორტებზე პოულობს გასაღებას. ხილის მოსავლის დიდი ნაწილი საკონსერვო მრეწველობას ბარდება. მეხილეობის ბაზაზე საკვლევ რაიონში 2 მსხვილი საკონსერვო ქარხანაა აგებული.

სამრეწველო მეხილეობის შემდგომი ფართო განვითარებისათვის შვიდწლედის მანძილზე დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ახალი ბაღების გაშენება უნდა ხდებოდეს მაღალხარისხოვანი დარაიონებული კულტურებისა და სამრეწველო ჯიშების მცენარეებით. ხილის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ბაღების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, ხეხილის მავნებლთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია აგრეთვე კენკროვანი კულტურები. შვიდწლიანი ეგებით გათვალისწინებულია ბაღის მსხვილნაყოფა მარწყვის გაშენება 110 ჰექტარზე გაგრის, გუდაუთის და სოხუმის რაიონებში.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში სუბტროპიკული მეხილეობაცაა განვითარებული სუბტროპიკულ ხეხილის ბაღებს 1164 ჰექტარი ფართობი უკავია, აქედან გაგრის რაიონში 176 ჰექტარია, გუდაუთის რაიონში—272 ჰექტარი, სოხუმის—361 ჰექტარი, ოჩამჩირის—166 ჰექტარი და გალის რაიონში—189 ჰექტარი. ეს კულტურები ძირითადად კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული, საკოლმეურნეო ბაღებზე მარტო 81 ჰექტარი ფართობი მოდის. სუბტროპიკული ხეხილიდან გვხვდება: სუბტროპიკული ხურმა, ლიმონი, ბროწეული, ფეიხოა, ზეთისხილი, ზღმარტლი და სხვ.

სუბტროპიკული ხურმა ძირითადად გალის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებშია გავრცელებული, ლიმონი—გაგრისა და გუდაუთის რაიონებში.

სხვა სუბტროპიკული ხეხილიდან აღსანიშნავია ზეთისხილი. ზეთისხილი კაცობრიობის უძველესი კულტურაა. იგი ფართო გამოყენებას პოულობს საკონსერვო მრეწველობაში და კულინარიაში. ზეთისხილის ნარგავები ძირითადად გაგრის, გუდაუთის და სოხუმის რაიონებშია განლაგებული.

მევენახეობა. აფხაზეთის მოსახლეობა მევენახეობას ძველთაგანვე მისდევდა. აქ ვაზის მრავალი ადგილობრივი ძვირფასი ჯიში იყო გავრცელებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში თავი იჩინა ვაზის სხვადასხვა სოკოვანმა დაავადებამ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება ცნობილი არ იყო, ამიტომ ეს დაავადებანი თავისუფლად ვითარდებოდა და ამის შედეგად მრავალი ადგილობრივი ვაზის ძველი ჯიში სრულიად დაიღუპა. მათი მარტო სახელებია შემორჩენილი, ზოგიერთის კი კვალიც არ არის დარჩენილი. ადგილობრივი ჯიშები შეცვლილ იქნა იზაბელათი.

ვენახების აღდგენა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. დაბლარი ვენახების ფართობმა 1937 წლისათვის 309

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰექტარს მიაღწია და შემდეგ წლებში სწრაფი ტემპით იზრდებოდა. 1937—1940 წლებში ვენახების ფართობი 3,2-ჯერ გაიზარდა, მთელ საქართველოში კი მხოლოდ 32%-ით. დიდი სამამულო ომის წლებში მევენახეობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, ვენახების ფართობი შემცირდა.

1940—1950 წლებში აფხაზეთის ხვედრითმა წონამ საქართველოს მევენახეობაში 0,18%-დან 0,14%-მდე იკლო. შემდეგ წლებში ვენახების ფართობი თანდათანობით იზრდებოდა და 1958 წ. 1390 ჰექტარს მიაღწია ე. ი. ომამდელ დონეს 39%-ით გადაამეტა.

ამ ბოლო ხანებში აფხაზეთში ფართოდ ვრცელდებოდა იმერული ჯიში ცოლიკოური და ზოგიერთი სუფრის ყურძნის ჯიში, რომლებიც სხვასთან შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა. ადგილობრივი ჯიშებიდან ცნობილია კაჯეჯი, აუსირხუა, ამლახუ, აჩკეკეი და სხვ.

აფხაზეთის ასსრ-ში მევენახეობა ძირითადად გავრცელებულია მაღლარის სახით, მაღლარ ვენახებს უფრო მეტი ფართობი უკავია, ვიდრე დაბლარს. მაღლარი ვაზის რაოდენობა 1940 წელს 918 ათასი ძირით განისაზღვრებოდა. შემდეგ წლებში იგი თითქმის სტაბილური დარჩა და 1958 წლისათვის 837 ათას ძირამდე შემცირდა, რაც ფართობზე გადაყვანით 3350 ჰექტარს შეადგენს. ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ეს ფართობი შემდეგნაირად ნაწილდება: გაგრის რაიონში 480 ჰექტარია, გუდაუთის—895 ჰექტარი, სოხუმის—815 ჰექტარი, ოჩამჩირის—615 ჰექტარი და გალის რაიონში 545 ჰექტარი. მაღლარი ვენახები ძირითადად კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული. დაბლარი ვენახები, პირიქით, უმთავრესად გაშენებულია საკოლმეურნეო ფართობზე.

ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მევენახეობის განვითარებას უმთავრესად ზღვისპირა ზონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში—სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონებში. აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს დაბლობს, რომელიც შეუფერებელია მევენახეობისათვის, რადგანაც აქ გრუნტის წყლები მაღლა დგას და ატმოსფეროული ნალექების სიჭარბეს აქვს ადგილი.

აფხაზეთში მევენახეობას ძირითადად მეღვინეობის მიმართულება აქვს. მევენახეობის ბაზაზე აქ ღვინის პირველადი გადამუშავების 3 ქარხანაა აგებული, რომლებიც ორდინარულ ღვინოებს უშვებენ; ცალკეულ მიკრორაიონებში კი მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოსაც ამზადებენ. ზოგ კოლმეურნეობაში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ვენახების დიდი მასივებია გაგრის რაიონში (სოფ. ლესსელიძეში, განთიადში, სიხარულში და სხვ.); ვაზის ჯიშებიდან წამყვანი როლი ცოლიკოურს ეკუთვნის, ეს ჯიში კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. მას დაბლარი ვენახების მთელი ფართობის 90%-მდე უკავია. მცირე ფართობებზეა გავრცელებული ჩხავერი, ციცქა, რქაწოთელი. ჩხავერმა კარგი შედეგი გამოიღო, მისი შაქრიანობა 24%-მდე აღწევს.

ყურძნის მოსავლიანობა აფხაზეთში დაბალია. 1958 წელს კოლმეურნეობებმა ჰექტარზე საშუალოდ 33,8 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ცალკეულ მიკრორაიონებში კი გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს. მაგალითად, სოფ. ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თითოეულ ჰექტარზე 212 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

აფხაზეთში არსებობს მევენახეობის ერთი საბჭოთა მეურნეობა—ბამბორის საბჭოთა მეურნეობა, მას ვენახი 152 ჰექტარზე აქვს გაშენებული. ვაზის ჯიშებიდან აქ ძირითადად ცოლიკოური, რქაწოთელი და საფერავია გავრცელებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურძნის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 1958 წელს 153 ცენტნერს უდრიდა. გათვალისწინებულია მეურნეობის გაფართოება 250 ჰექტარამდე.

აფხაზეთის ასსრ
ვენახების განაგება
(დაბლარისა და მაღლარის)
1958 წ
0 5 10 15 20 25
ბიჭვინთა
ოჩამჩირე
გაგრა
სოხუმი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბორჯომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაორკეცდეს. აქ ვაზისათვის შესაფერისი მიწები მოიპოვება. ახალი ვენახები უნდა გაშენდეს 1293 ჰექტარზე. აქედან სოხუმის რაიონში—396 ჰექტარზე, გუდაუთის—375 ჰექტარზე, გაგრის—215 ჰექტარზე, ოჩამჩირის—155 ჰექტარზე და გალის—152 ჰექტარზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში ვაზის მაღლარი ნარგავები გაშენებულია დიდი რაოდენობით. დაბლარი მევენახეობა ახალია აფხაზეთის რაიონებში და მას მცირე ფართობი უჭირავს. მაღლარი ნარგავები კი მევენახეობის ექსტენსიურ ტიპს წარმოადგენს. ამიტომ აფხაზეთის მევენახეთა წინაშე უნდა დაისვას ამოცანა—თანდათან შეაპცირონ მაღლარის ფართობი და შეცვალონ იგი უფრო კულტურული მევენახეობის ტიპით—დაბლარით.

ციტრუსოვანთა და სუბტროპიკული ხეხილის გარდა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში აშენებენ აგრეთვე ისეთ ძვირფას მ რ ა ვ ა ლ წ ლ ო ვ ა ნ ს უ ბ ტ რ ო პ ი კ უ ლ კ ულ ტ უ რ ე ბ ს, როგორიცაა—ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი.

ტ უ ნ გ ი ვაკე ადგილებზე და ფერდობებზეა გაშენებული, ძირითადად ციტრუსოვანთა პლანტაციების ახლომახლო წითელმიწა, ნაწილობრივ ყვითელმიწა და ეწერი ნიადაგებზე, 300—350 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

1940 წელს ტუნგის ნარგავებს 4688 ჰექტარი ფართობი ეკავა, 1950 წელს 3048 ჰექტარი, 1955 წელს—4034 ჰექტარი, 1958 წელს—2563 ჰექტარი.

აფხაზეთის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს ტუნგის ნარგავების ფართობში 29,6%-ს შეადგენს. ტუნგის ძირითადი მასივები ოჩამჩირის და გალის რაიონებშია გავრცელებული.

სუბტროპიკული ტექნიკურ კულტურათა შორის აღსანიშნავია კ ე თ ი ლ-შ ო ბ ი ლ ი დ ა ფ ნ ა, რომელსაც აშენებენ დაფნის ფოთლის მისაღებად. დაფნა ვაკე ადგილებზე და მთის ფერდობებზე სხვადასხვა ნიადაგზეა გაშენებული. მაგრამ მისთვის უფრო შესაფერისია ნეშომპალა-კარბონატული, წითელმიწა, ყვითელმიწა და ეწერი ნიადაგები.

1940 წელს დაფნის ნარგავებს 88 ჰექტარი ფართობი ეკავა, 1950 წელს—135 ჰექტარი, 1955 წელს—149 ჰექტარი, 1958 წელს—95 ჰექტარი. დაფნის პლანტაციები ძირითადად სოხუმის რაიონშია განლაგებული (სოფ. ვლადიმიროვკა, ესტონკა და სხვ.) პლანტაციების ნახევარზე მეტი (55,8%) საკოლმეურნეო მიწებზეა გაშენებული.

დაფნა—მაღალშემოსავლიანი კულტურაა, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა აფხაზეთში ხელსაყრელია, მაგრამ თავისუფალი ფართობების უქონლობა ზღუდავს პლანტაციების გაფართოების შესაძლებლობას.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კეთილშობილი დაფნის ახალი პლანტაციების გაშენება—ყოველწლიურად 20 ჰექტარზე ძირითადად სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გავრცელებულია აგრეთვე ბ ა მ ბ უ კ ი ს კულტურა, რომელიც გვხვდება გორაკ ადგილებში და მთის სამხრეთ ფერდობებზე. ბამბუკის პლანტაციებს 1940 წელს 110 ჰექტარი ეკავა, 1950 წელს—207 ჰექტარი, 1955 წელს—162 ჰექტარი.

პლანტაციები ძირითადად გალის (58 ჰა) სოხუმისა (56 ჰა) და გაგრის (42 ჰა) რაიონებშია განლაგებული. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბამბუკის ახალი პლანტაციების გაშენება 102 ჰექტარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობა

მეცხოველეობა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. მრავალწლოვანი კულტურების გაშენებასთან დაკავშირებით, მეცხოველეობის ბუნებრივი საკვები ბაზა შემცირდა. მაღალმთიანი სძოვრები ნაკლებგამოსადეგია მსხვილი რქოსანი პირუტყვისათვის, მათი დიდი დაქანების, მცირეპროდუქტიულობისა და მავნე ბალახებით დასარევლიანებულობის გამო. უკანასკნელ წლებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადრმა ერთგვაროვან შემცირდა. მეცხოველეობის სტრუქტურა პირობით მსხვილი რქოსანი პირუტყვზე გადაყვანით შემდეგ სურათს გვაძლევს: მსხვილი რქოსანი პირუტყვი 72% ცხვარი და თხა 7.7%, ღორი 12,2%, ცხენი 8.1%. მეცხოველეობის ძირითადი რაიონებია: სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის. აფხაზეთი მსხვილი რქოსანი პირუტყვის მაღალი სიმჭიდროვით, ხოლო მისი დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება. მესაქონლეობას სასორცე-სარძეო მიმართულება აქვს.

მეფრინველეობა-მეცხოველეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგია აფხაზეთის კოლმეურნეობებში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს მას უფრო მეტი ყურადღება ექცევა. დაარსდა საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის მსხვილი ფერმები.

აფხაზეთის ზღვისპირა ზონაში ფართოდაა განვითარებული მეაბრეშუმეობა. ერთ-ერთი უძველესი დარგია აქრეთვე მეფუტკრეობა. აფხაზეთში გავრცელებულია მსოფლიოში საუკეთესო ჯიშის ფუტკრები—აფხაზური, მეგრული, იმერული, სვანური. სოხუმის სახელმწიფო ფუტკრის საშენი ყოველწლიურად აგზავნის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთაც მრავალ დედაფუტკარს და პაკეთფუტკარს.

აფხაზეთში ბევრი ბუნებრივი წყალსატევი მოიპოვება, სადაც შესაძლებელია თევზის მოშენება, მაგრამ ეს დარგი არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ორაგულ-ალმახის მოშენებას შავწყალას საშენი მეურნეობა ეწევა (გუდაუთის რაიონში). განზრახულია საკოლმეურნეო გუბურათა მშენებლობა თევზის ძვირფასი ჯიშების მოშენების მიზნით.

საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი მაჩვენებლები

აფხაზეთის კოლმეურნეობები ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) და შემდგომი პლენუმების და პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მიზნათ ისახავენ თავის მუშაობით ხელი შეუწყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, პირველ რიგში თამბაქოს, ჩაის, ხილის, ციტრუსოვანთა და სხვ. წარმოების გაფართოებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას.

სოფლის მეურნეობაში მიწა წარმოების ძირითადი საშუალებაა, რაც უფრო სწრაფად გამოიყენება კოლმეურნეობებში მიწის ფონდი და მუშახელი მით უფრო მაღალი იქნება მათი ეკონომიური დონე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სულ 226 კოლმეურნეობაა. ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 450 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის, უფრო ნაკლები, ვიდრე ისეთ მცირემიწიან ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვეყანაინებში, როგორიცაა—ზემო იმერეთი, ქვემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი. კოლმეურნეობათა მიწის საშუალო ნორმიდან სახნავი 212 ჰექტარს შეადგენს; შრომისუნარიანთა საშუალო რიცხვი ერთ კოლმეურნეობაზე 222 კაცს არ აღემატება. სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მერყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს 1,27 ჰექტარიდან (გაგრის რაიონი) 2,52 ჰექტრამდე (გუდაუთის რაიონი), ხოლო სახნავი მიწების ოდენობა—0,82 ჰექტარიდან 1,21 ჰექტრამდე. შედარებისათვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქვემო ქართლში ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 2000-ზე მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ფართობი მოდის, აქედან 846 ჰექტარი სახნავია და თითოეულ კოლმეურნეობაში საშუალოდ 392 შრომაუნარიანი კოლწევრი ითვლება. საქართველოს რესპუბლიკის შესატყვისი მაჩვენებლები ასეთია: 1002, 354 და 250. საბჭოთა კავშირის რაიონებში ეს მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია. ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის სიმკვრივე აქვს ადგილი.

1958 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებში 41,3 ათასი კომლი ითვლებოდა, რომელიც აერთიანებდა 171 ათას სულს. ამ მხრივ უფრო მაღალი მაჩვენებელით სოხუმის, გალის და ოჩამჩირის რაიონები ხასიათდებოდა. კოლწევრთა საერთო რაოდენობიდან შრომისუნარიანი კოლწევრების რიცხვი 64,5 ათას შეადგენს. არსებული შრომითი რესურსები არ არის რაციონალურად გამოყენებული. შრომადღეების გამომუშავება ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე დაბალია, 1958 წელს იგი 215 შრომადღეს არ აღემატებოდა. ეს მაჩვენებელი შედარებით უფრო მაღალია გაგრის რაიონში (270 შრ/დღე).

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის გაძლიერება აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი რეზერვია. საჭიროა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და შრომისუნარიანი მოსახლეობის საკოლმეურნეო შრომაში უფრო კარგად გამოყენება; უნდა გაძლიერდეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება დახარჯული შრომის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობის შემდგომ აღმავლობას და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობა სპეციალიზებულია სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოებაზე. სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია საყოველთაოდ დაყრდნობილია წამყვანი დარგის ან კულტურის დამხმარე და დამატებით დარგებთან და კულტურებთან შეთანაწყობაზე.

საკოლმეურნეო წარმოებაში დარგთა შეთანაწყობის განსაზღვრის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ ნატურალური მონაცემები, როგორიც არის: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობი, შრომის დანახარჯები სხვადასხვა დარგზე, მეცხოველეობის სულადობა, მისი პროდუქტიულობა ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე, ფულადი შემოსავლის ოდენობა სხვადასხვა დარგებიდან და სხვ. ასეთი მაჩვენებლების მეოხებით, თუმცა ჩვენ სრული სიზუსტით ვერ დავახასიათებთ ამა თუ იმ დარგის სამეურნეო მნიშვნელობას საკოლმეურნეო წარმოებაში, მაგრამ შედარებითი მიზნებისათვის მათი გამოყენება სავსებით დასაშვებია.

განვიხილოთ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტიული დარგების—მემცენარეობისა და მეცხოველეობის შეთანაწყობა. ეს ორი დარგი სოფლის მეურნეობის მთელ პროდუქციას იძლევა. ბუნებრივია, რომ მათზე შრომითი დანახარჯების ძირითადი ნაწილიც მოდის. 1958 წელს კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების მთელ რაოდენობიდან 75,9% ამ ორ დარგზე მოდიოდა, აქედან 67,1%—მემცენარეობაზე და 8,8%—მეცხოველეობაზე. 1958 წელს საკოლმეურნეო წარმოების მთელი ფულადი შემოსავლის 90,7% მიღებულია მემცენარეობიდან, ხოლო 5,8%—მეცხოველეობიდან. ამ ციფრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთში საკოლმეურნეო წარმოებაში წამყვანი როლი მემცენარეობას ეკუთვნის. მეცხოველეობა აფხა-

ზეთის პირობებში სუსტადაა განვითარებული და თავის მნიშვნელობით ბევრად ჩამორჩება მემცენარეობას.

მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგთა შეთანაწყობის განსაზღვრისათვის, განვიხილოთ ამ დარგების ძირითადი მაჩვენებლები.

მემცენარეობაში მთელი მიწის ფართობის 42,3% მარცვლეულის მეურნეობაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი აფხაზეთში ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე სხვა რაიონებში. მაგალითად, ზემო იმერეთში იგი 68,3% აღწევს, ქვემო იმერეთში 52,6%-მდე, რაჭა-ლეჩხუმში 70,7%-მდე, ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ აფხაზეთი განვითარებული ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების რაიონია.

მნიშვნელოვანი ფართობი მეჩაიეობას (15,5%), მეთამბაქოეობას (15,2%) და საკვებმოპოვებას (12,5%) უკავია, ფართობის მხრივ დაბალი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობას, მეციტრუსეობას, მებოსტნეობა-მებაღჩეობას, მეკარტოფილეობას. შრომის დანახარჯების თვალსაზრისით, რომ განვიხილოთ ამ დარგების შეთანაწყობა, დავინახავთ, რომ ამ მხრივ წამყვანი ადგილი მეთამბაქოეობასა (56,4%) და მეჩაიეობას (21,9%) უკავია. მარცვლეულის მეურნეობა, მართალია, ჩამორჩება ამ დარგებს, მაგრამ მასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დახარჯული შრომის მოცულობაში. დანარჩენ დარგებს დაბალი ხვედრითი წონა აქვს შრომის დანახარჯებში.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და დარგთა შეთანაწყობას საკოლმეურნეო წარმოებაში უფრო მკვეთრად ცალკეულ დარგთა სასაქონლო პროდუქციის მოცულობა და მათგან მიღებული ფულადი შემოსავალი ახასიათებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი აფხაზეთის საკოლმეურნეო მემცენარეობაში მეთამბაქოეობას და მეჩაიეობას უჭირავს. ფულადი შემოსავლის 91,9% ამ ორ დარგზე მოდის. მაღალი შემოსავალი აქვს კოლმეურნეობებს აგრეთვე მეხილეობიდან და მევენახეობიდან. დანარჩენ დარგებში საქონლიანობა შედარებით დაბალია, რადგანაც მათი პროდუქცია ძირითადად საკუთარი საკოლმეურნეო საჭიროებისათვის მოიხმარება.

ფულადი შემოსავალი ერთ შრომადღეზე ყველაზე მაღალია მეჩაიეობასა და მეხილეობაში, ხოლო ერთ შრომისუნარიან კოლწევრზე—მეთამბაქოეობა და მეჩაიეობაში.

კომპლექსურად რომ განვიხილოთ მემცენარეობის დარგთა შეთანაწყობა კოლმეურნეობებში, ზემომოყვანილი მაჩვენებლების საფუძველზე და აგრეთვე ცალკე კულტურების საშუალო მოსავლიანობის გათვალისწინებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ წამყვანი ადგილი აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მეთამბაქოეობას, მეჩაიეობას და მეხილეობას ეკუთვნის. მეთამბაქოეობა და მეჩაიეობა აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ყველაზე მკვეთრად გამომსახველი დარგებია. მათი მნიშვნელობა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებისათვის ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგების შრომატევადობას და ამავე დროს მაღალშემოსავლიანობას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად.

მეხილეობაც შრომატევადი და შემოსავლიანი დარგია, მისი შემდგომი აღმავლობისათვის საჭიროა ყველა შესაძლებლობა იქნეს გამოყენებული.

საკვებშრო მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მევენახეობას. მას შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს, იგი მაღალშემოსავლიანი დარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი დარგებია აგრეთვე მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, მეკარტოფილეობა, საკვებმოპოვება. ეს დარგები ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება.

საკურორტო მშენებლობასთან დაკავშირებით მკვეთრად უნდა განვითარდეს მებოსტნეობა-მებაღეობა და მეკარტოფილეობა. ამ დარგებმა საგარეუბნო ხასიათი უნდა მიიღოს. კონკრეტული ღონისძიებები უნდა გატარდეს საკვებმოპოვების გადიდებისათვის, რადგანაც იგი მეცხოველეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

აფხაზეთის ასსრ
კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის სტრუქტურა (%%-ით)
1958 წ.



ნახ. 7. კოლ-ბათა ფულადი შემოსავლის სტრუქტურა

აფხაზეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. იგი სპეციალიზებულია ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკულ კულტურებზე, რაც მეურნეობის მაღალ ინტენსიობას გულისხმობს.

მეცხოველეობა წარმოდგენილია ძირითადად მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებით. ამ დარგზე სულადობის 76,2% მოდის, იგი წამყვანი დარგია ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადი შემოსავლითა და შრომის დანახარჯების მხრივაც. შრომატევადი და უაღრესად შემოსავლიანი დარგია მეაბრეშუმეობა. თუმცა მეფრინველეობა და მეფუტკრეობა ამჟამად მეცხოველეობის ჩამორჩენილი დარგებია, მაგრამ მათი განვითარების პერსპექტივა ხელსაყრელია.

ვანვიხილოთ მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე. აფხაზეთის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰექტარ სახნავსა და სათიბ-საძოვრებზე მიღებულ იქნა 1958 წელს 17,6 ცენტნერი ხორცი (ცოცხალი წონით) და 66,6 ცენტნერი რძე, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე—2277 კვერცხი, ყოველ 100 ჰექტარ ხნულზე—8,6 ცენტნერი ღორის ხორცი. მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი მიწის სავარგულების ერთეულზე ჯერჯერობით დაბალია და ჩამორჩება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებს, მაგრამ წინა წლებთან შედარებით იგი გაზრდილია რამდენადმე.

საკოლმეურნეო წარმოება აფხაზეთში წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. საკოლმეურნეო ეკონომიკის განმტკიცება თავის გამოსახულებას ფულადი შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების ზრდაში პოულობს. განუყოფელი ფონდების ზრდამ საშუალება მისცა კოლმეურნეობებს განამტკიცონ საზოგადოებრივი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გააფართოვონ კაპიტალური მშენებლობა. ამ უკანასკნელ წლებში ავტონომიურ რესპუბლიკაში გაფართოდა საკოლმეურნეობათშორისო კავშირები—აიგო საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფერმები, შეიქმნა საერთო სამშენებლო ორგანიზაციები და სხვ. რამდენიმე კოლმეურნეობა შეერთებული ძალით ატარებს ამა თუ იმ ღონისძიებას, რაც უფრო იაფი ჯდება და უკეთეს ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებს.

განსაზოგადოებული წარმოება წამყვანი უნდა იყოს თავის ხვედრითი წონის მიხედვით სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადიდება მექანიზაციის ფართოდ დანერგვას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში წამყვანი როლი საკავშირო მნიშვნელობის დარგებსა და კულტურებს ეკუთვნის. ამასთან ერთად მკვეთრად გაფართოდა ადგილობრივი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი ორგანიზაცია არსებული ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიური რესურსების კომპლექსურ გამოყენებას გულისხმობს.

ვიღებთ რა მხედველობაში საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ნიადაგ-ბრივ-კლიმატურ და საწარმოო-ეკონომიურ თავისებურებებს და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში შესაძლებლად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების 2 ზონა გამოვყოთ: ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის. თითოეულ ზონაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობამ გარკვეულად თავისებური საწარმოო მიმართულება მიიღო.

ჩრდილო-დასავლეთის ზონაში შედის გაგრის, სოხუმისა და გუდაუთის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია. ეს არის მეთამბაქოეობის, ციტრუსოვანთა, მებაღეობა-მევენახეობის ზონა. წამყვანი როლი ზონაში მეთამბაქოეობას უჭირავს. აქ განლაგებულია აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციების მთელი ფართობის 4/5-დი. ზონაში მოყვანილი თამბაქოს ფოთოლი თავისი ხარისხის მიხედვით საუკეთესო თამბაქოს ნედლეულად ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი მეთამბაქოეობიდან უაღრესად მაღალია. თამბაქოს პირველი ადგილი უკავია ზონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში. უკანასკნელ წლებში მეთამბაქოეებმა თვალსაჩინოდ აწიეს თამბაქოს მოსავლიანობა. პლანტაციების განვითარება შვიდწლედის მანძილზე არ არის გათვალისწინებული, თამბაქოს ნედლეულის დამზადების ზრდა მოსავლიანობის გადიდების ანგარიშზე უნდა მოხდეს, უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე ფოთლის ხარისხი.

ჩრდილო-დასავლეთის ზონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მეციტრუსეობა. ზონაში განლაგებულია აფხაზეთის ციტრუსოვანთა პლანტაციების მთელი ფართობის 4/5-ზე მეტი. მაღალი ხარისხის ლიმონები, ფორთოხალი და მანდარინები მოჰყავთ მიკრორაიონებში: ლიძავაში, კოლხიდაში, სიხარულში, განთიადში (გაგრის რაიონი), ფსირცხაში, პრიმორსკოეში, ანუხვაში (გუდაუთის რაიონში) შაუმიანოვკაში, ვლადიმიროვკაში, ესტონკაში, გულრიპშში, წებელდაში (სოხუმის რაიონი) და სხვ.

ციტრუსოვანთა მეურნეობაში ყურადღება უნდა მიექცეს კულტურების მიკრორაიონებს შორის სწორ ლოკალიზაციის საკითხს, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ციტრუსოვანნი ყველგან ვერ ძლებს, ახალი პლანტაციები ისეთ მიკრორაიონებში უნდა გაშენდეს, სადაც მათთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. ამასთან უნდა გაუმჯობესდეს ნარგავთა მოვლა-პატრონობა, ამაღლებულ იქნას მოსავლიანობა.

შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი დარგია მებაღეობა-მევენახეობა. ხეხილის ბაღების მთელი ფართობის 3/4, ხოლო ვენახების 2/3-ზე მეტი ზონის ფარგლებშია განლაგებული. ზონაში გავრცელებულია ყველა სახის ხეხილი. ვენახების ფართობი უკანასკნელ წლებში მკვეთრად იზრდება. მევენახეობის მიკრორაიონებიდან აღსანიშნავია: განთიადი, სალმე, სულევო (გაგრის რაიონი), მუგუძიხვა, ახალსოფელი, დურიაში, ხოფი, ლიხნი (გუდაუთის რაიონი), ოქტომბერი (სოხუმის რაიონი) და სხვ. მეხილეობა-მევენახეობიდან მიღებული მთელი ფულადი შემოსავლის 80%-მდე ზონის კოლმეურნეობებზე მოდის. აფხაზეთის შრომის შიდარაიონული დანაწილების თვალსაზრისით, აღნიშნულ ზონაში აუცილებელია მეხილეობა-მევენახეობის მკვეთრი აღმავლობა, რადგანაც აქ მოთავსებული მრავალი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი მთელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან დიდძალ დამსვენებლებს იზიდავს, რომლებიც მზარდ მოთხოვნილებას აყენებენ ამ დარგების პროდუქციაზე.

გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, მნიშვნელოვან როლს საკოლმეურნეო წარმოებაში ასრულებენ—მარცვლეულის მეურნეობა, სახორცე სარძეო მიმართულების მესაქონლეობა, საკვებმოპოვება, მეჩაიეობა, მეღორეობა.

საკურორტო მშენებლობის გაშლასთან დაკავშირებით, მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარებისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის აღდგენასთან ერ-

თად, ზონის სოფლის მეურნეობის უახლოეს ამოცანად მიჩნეული უნდა იქნეს მძლავრი კომპლექსური საგარეუბნო მეურნეობის შექმნა განვითარებული. მებოსტნეობა-მებაღეობით, მეხილეობით, მეფრინველეობით, მეფუტკრეობით და სხვ., რომელიც შეძლებს ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩამოსული დამსვენებლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. მესაქონელობამ ამ ზონაში თანდათანობითი სარძეო-სახორცე მიმართულება უნდა მიიღოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ზონაში შედის ოჩამჩირის და გალის რაიონები. ეს ზონა როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე მეურნეობრივად ძალიან განსხვავდება ჩოდილო-დასავლეთის ზონისაგან. იგი სუბტროპიკული მეურნეობის მკაფიოდ გამოსახული მიმართულებით ხასიათდება. აქ უაღრესად განვითარებულია მეჩაიეობა, ტუნგის გაშენება, მარცვლეულის მეურნეობა, მესაქონელობა და სხვ. ზონის სოფლის მეურნეობის პროფილის მიმცემია მეჩაიეობა. ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან შესაბამისად ჩაის ბუჩქის კულტურა კარგად განვითარდა. აფხაზეთის ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის 87% ამ ზონაშია განლაგებული.

ფუძად შემოსავალში მეჩაიეობა წამყვან როლს თამაშობს. 1958 წელს ზონის კოლმეურნეობებმა მემცენარეობიდან მთელი ფულადი შემოსავლის 3/4-ზე მეტი მეჩაიეობიდან მიიღეს, მომავალში ჩაის ბუჩქის კულტურა კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. უურადღება უნდა მიექცეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ამაღლებას.

ზონის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მეციტრუსეობა. ფართოდ არის დანერგილი მეციტრუსეობა მიკრორაიონებში: აგუბედია, რეკა, ახალი დაბა, კოჩარა (ოჩამჩირის რაიონი), მზიური, ჭუბურისხინჯი, მუხური, წარჩეოქუმი და სხვ. (გალის რაიონში). მეციტრუსეობის განვითარების პერსპექტივები ხელსაყრელია. ახალი პლანტაციები უნდა გაშენდეს ნაკვეთებზე დაკაბადებული მიწების ფონდიდან, რომლებზედაც განზრახულია ამოსაშრობი სამუშაოების ჩატარება.

სუბტროპიკული კულტურებიდან ზონაში გავრცელებულია აგრეთვე: ტუნგი, ეთერზეთოვანი კულტურები, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი. ზონის ხვედრითი წონა ეთერზეთოვანი კულტურების მთელ ფართობში 72%-ს უდრის, ხოლო ტუნგის ფართობში—67,%-ს. გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ზონაში განვითარებულია დამხმარე დარგები, რომლებიც ზონის მეურნეობრივ სპეციალიზაციას ვერ გამოსახავენ, ესენია: მეაბრეშუმეობა, მარცვლეულის მეურნეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. ეს დარგებიც გარკვეულ როლს თამაშობს ზონის ეკონომიკაში.

Н. Г. Девидзе

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Абхазская Автономная Советская Социалистическая республика расположена в северо-западной части Грузинской ССР и охватывает

ეროვნული ბიბლიოთეკა

территорию Гагрского, Гудаутского, Сухумского, Очамчирского и Гальского районов общей площадью 8,7 тыс. кв. км.

Природные условия Абхазской АССР вполне благоприятны для сельскохозяйственного производства, однако до Октябрьской социалистической революции Абхазия была отсталым сельскохозяйственным районом, поставлявшим России, главным образом, желтые табаки и частично фрукты и виноград. Животноводство также слабо было развито, в виду необеспеченности кормовой базой.

В условиях социалистического строя почвенно-климатические условия явились главной предпосылкой для создания в Абхазии многогранного высокоразвитого субтропического хозяйства. Климат влажных субтропиков с мягкой зимой и жарким летом в прибрежной полосе, а также наличие красноземных, желтоземных и субтропических подзолистых почв создали весьма благоприятные условия для разведения ценных субтропических культур. За советский период сельское хозяйство Абхазии подверглось коренной реконструкции — были заложены крупные плантации новых культур: чайного куста, цитрусовых, тунга, бамбука, благородного лавра, субтропической хурмы, эфиромасличных культур и т. д. Дальнейшее развитие получили существующие отрасли сельского хозяйства — табаководство, плодоводство, виноградарство. Субтропическое хозяйство превратилось в ведущую, профилирующую отрасль сельского хозяйства Абхазской АССР.

Современная Абхазия — район развитых субтропических и технических культур.

Изменение отраслевой структуры сельского хозяйства повлияло на использование земельных фондов и структуру земельных угодий. Сельское хозяйство Абхазской АССР характеризуется недостаточной обеспеченностью сельскохозяйственными угодьями. Сельскохозяйственная площадь не превышает 24% земельного фонда, в то время, как по Грузинской ССР она составляет 38%. Сельскохозяйственные земли сосредоточены, в основном, в приморской зоне Абхазии на низменностях и холмистых предгорьях, остальная часть территории остается почти неиспользованной, если не считать летние пастбища. Обращает на себя внимание чрезмерно низкий удельный вес пахотной земли (7%).

О малоземелье говорит также тот факт, что посевная площадь на душу населения составляет по Абхазской АССР только 0,13 га, в то время как по Грузинской ССР достигает 0,23 га, а по Советскому Союзу — 0,97 га.

Структура земельного фонда Абхазии отличается высоким удельным весом многолетних насаждений, который составляет 38,4% обрабатываемой площади, а по Грузинской ССР этот показатель не превышает 19,5%. Пастбищами и сенокосами Абхазия обеспечена хуже, чем Грузинская ССР в целом. Значительная часть территории [58,5%] покрыта лесом; по лесистости Абхазия занимает одно из первых мест среди экономико-географических районов Грузии.

Сельское хозяйство Абхазской АССР является многоотраслевым, в нем широко представлены различные отрасли земледелия и животноводства; оно характеризуется низким уровнем механизации, что связано, в основном, с горным рельефом страны.

Посевная площадь составила в 1958 году 51,9 тыс. га, по сравнению с 1940 годом она несколько сократилась, что вызвано в основном расширением площадей под многолетние насаждения.

За годы Советской власти структура полеводства улучшилась и стала более рациональной. Удельный вес зерновых культур снизился

ეროვნული ბიბლიოთეკა

с 88% в 1929 году до 67% в 1958 году, технические культуры составили 15,2% посевной площади, кормовые культуры — 12,7%.

Основной зерновой культурой является кукуруза. Урожайность кукурузы низкая, что вызвано, в основном, неудовлетворительной обработкой полей — непроведением в установленные сроки необходимых агромероприятий, а также недостаточным применением минеральных удобрений. В работе приводятся данные о географическом размещении зерновых культур и намечаются мероприятия, осуществление которых должно привести к подъему зернового хозяйства.

Из технических культур следует отметить табак и эфиромасличные культуры. Табак играет ведущую роль в сельском хозяйстве Абхазской АССР. Высокосортные ароматные табаки Абхазии отличаются своим высоким качеством. Табачные плантации размещены в основном в северо-западных прибрежных районах. Посевы табака занимают 7,4 тыс. га. Табачное сырье отгружается табачным фабрикам Советского Союза, а также в демократические страны, Египет, Финляндию.

Площадь под эфиромасличными культурами несколько сократилась, так как эти культуры в плановом порядке были перенесены в другие районы Грузинской ССР (Телавский, Лагодехский, Кварельский и др.). Из эфиромасличных разводят, главным образом, герань, базилик, пачули, частично жасмин и казанлыкскую розу.

Овощеводство недостаточно развито, так как в колхозах основное внимание уделяется ведущим субтропическим культурам. Намечается концентрация овощеводства вокруг курортов. Перспективы развития очень благоприятные.

Площадь под кормовыми культурами в последнее время увеличилась. Больше половины этой площади занято силосными культурами, а ¼ — однолетними травами.

Одной из ведущих отраслей сельского хозяйства Абхазской АССР является чаеводство, которое имеет важное значение для экономики автономной республики. На красноземных и подзолистых почвах размещены обширные чайные плантации, занимающие около 9,4 тыс. га. Чай — высокодоходная культура; чаеводческие колхозы получили в 1958 году свыше 158 млн. рублей денежного дохода. Помимо колхозов, чаеводством занимаются 4 чайных совхоза: Моквский, Сидский, Ачигварский и Гальский. Ачигварский совхоз по величине плантации занимает второе место в Грузии, (уступая Лайтурскому чайному совхозу). На базе чайного хозяйства в Абхазии создан ряд чайных фабрик.

Важной отраслью субтропического сельского хозяйства Абхазской АССР является цитрусоводство, хотя оно имеет значительно меньшее значение, чем чаеводство. Отрицательной стороной развития цитрусовых культур является их сильная повреждаемость морозами. Цитрусоводство считалось ведущей отраслью сельского хозяйства, однако в суровую зиму 1949—1950 года значительная часть цитрусовых насаждений погибла от мороза. Площадь под цитрусовыми культурами сократилась и составила в 1958 году 2,3 тыс. га. Наиболее ценные насаждения — лимон и апельсин размещены, главным образом, в Сухумском и Гагрском районах; насаждения мандарина — в Сухумском, Гальском, Гагрском районах.

Древнейшей отраслью сельского хозяйства Абхазии является плодоводство. Площадь плодовых садов превышает 13 тыс. га. Абхазия славится качеством своих плодов (чернослив, персик и т. п.) Возделываются почти все виды плодовых культур (семячковые, косточко-

ეროვნული ბიბლიოთეკა

вые, орехоплодные, субтропические) и ягодные. Плодоводство распространено по всему побережью, но главным образом, в Сухумском и Гагрском районах.

Из субтропических плодовых следует отметить субтропическую хурму, инжир, гранат, фейхоа, маслину, мушмулу. Плодоводство—доходная отрасль и имеет важное значение для экономики Абхазии.

Наряду с плодоводством в Абхазии развито виноградарство. Виноградарство представлено, главным образом, экстенсивным типом виноградной лозы — высокоствольными насаждениями, которые дают более низкосортные вина. Но в последнее время получили распространение и низкоствольные насаждения, (в частности имеретинский сорт «цоликоури»). Площадь виноградников достигла в 1958 году 4,7 тыс. га, в том числе высокоствольные виноградники 3,4 тыс. га. Природные условия Абхазии вполне благоприятны для развития виноградарства. В некоторых колхозах Гудаутского района виноградарство является ведущей отраслью сельского хозяйства. Дальнейшее развитие виноградарства должно итти по линии интенсификации хозяйства. Необходимо постепенно сократить площадь высокоствольных насаждений и заменить их низкоствольными высокосортными насаждениями, улучшить уход за плантациями и т. д.

Помимо цитрусовых и субтропических плодовых, в Абхазии разводятся также ценные многолетние субтропические культуры — тунг, благородный лавр, бамбук. Плантации тунга размещены, главным образом, в Очамчирском и Гальском районах, лавра — в Сухумском и Гагрском, бамбука — в Гальском, Сухумском и Гагрском районах.

Важной отраслью сельского хозяйства Абхазской АССР является животноводство. Благодаря развитию многолетних культур кормовая база животноводства уменьшилась. Горные пастбища, вследствие крутизны рельефа, мало пригодны для крупного рогатого скота, вытоптаны, засорены вредными травами. Структура животноводства в переводе на условный скот представляется в следующем виде: крупный рогатый скот 72% ,овцы и козы 7,7%, свиньи — 12,2%, лошади — 8,1%.

Направление животноводства мясомолочное, характеризуется оно весьма высокой плотностью при низкой продуктивности.

На каждые 100 га пашни, сенокоса и пастбищ приходится 35 коров со средне-годовой удойностью на одну колхозную фуражную корову лишь 791 кг. Отсталой отраслью животноводства является птицеводство, хотя в последнее время ему оказывается больше внимания — организуются крупные межколхозные птицеводческие фермы, что даст возможность значительно снизить расходы и повысить рентабельность хозяйства. Большую роль в развитии птицеводства играет Гагрская птицеводческая фабрика, назначение которой обеспечить санатории и дома отдыха, а также частично и население диэтическим яйцом и свежим мясом.

В прибрежной зоне Абхазии широко развито шелководство. Эта отрасль распространена, главным образом, в Гальском и Сухумском районах.

Обилие в Абхазии медоносной растительности способствует развитию пчеловодства. Здесь распространены лучшие в мире пчелы: абхазская, мегрельская, имеретинская, сванская. Сухумский государственный пчелинный питомник ежегодно отправляет посылки с пчелинными матками в различные уголки Советского Союза и за-границу (Польшу, Францию, Финляндию, Данию и пр.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Наличие в Абхазии естественных водоемов способствует развитию рыбоводства, однако эта отрасль не стоит на должной высоте. Разведением форели и лососи занимается Чернореченское племенное хозяйство (Гудаутский район). Намечается строительство колхозных водоемов для разведения ценных сортов рыбы.

В работе освещаются основные показатели колхозного производства, в частности, вопрос о сочетании отдельных отраслей и культур в сельском хозяйстве.

На основе анализа структуры сельского хозяйства в исследуемом экономико-географическом районе выделены две зоны сельскохозяйственного производства в соответствии с почвенно-климатическими и производственно-экономическими особенностями: 1) северо-западная и 2) юго-восточная. Первая зона охватывает территорию Гагрского, Сухумского и Гудаутского районов и является зоной развитого табаководства, цитрусоводства и садоводства. В юго-восточную зону входят Очамчирский и Гальский районы; эта зона характеризуется ярко выраженным субтропическим направлением сельского хозяйства с преобладанием культур чая, тунга и др.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. აფხაზეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული სტატისტიკური მასალები, ვაზუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდ., №№ 703—708.
2. ვ. მ ა ვ ა ნ ა ძ ე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საქართველოს კპ XX ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი,“ 1960 წ. 26. 1.
3. ი. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.
4. საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბ., 1925.
5. ს. უ გ უ ლ ა ვ ა, გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობა (ეკონ. გეოგრაფ. მიმოხილვა) ა. მ. გორკის სახ. სოხუმის სახ. პედაგოგიური ინსტ., შრომები X—XI, 1958.
6. დ. უ კ ლ ე ბ ა, აფხაზეთის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება თბ. 1959, ვაზუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, № 1375.
7. ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მეთამბაქოეობა, თბ., 1958.
8. М. Т. Б г а ж б а, Пчеловодство Абхазии, Абгиз, Сух. 1956..
9. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, изд. 2-ое М., 1958.
10. А. Е. К р а е в а, Вопросы теории землеустройства, М., 1956.
11. А. А. М и н ц, Основные черты хозяйственного освоения влажных субтропиков Грузинской ССР, Вопросы географии, сб., 41, 1957.
12. Народное хозяйство Грузинской ССР, Стат. сборник, Тб., 1957.
13. Народное хозяйство Абхазской АССР, Стат. сборник, Абгосиздат, 1957.
14. М. Н. С а б а ш в и л и, Почвы Грузии, Тб. 1948.
15. Ц к и т и ш в и л и, Субтропические технические культуры, Тб, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. თამბაქოს პლანტაცია სოფ. სალხინოში

სურ. 2. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 3. გაგრის საბჭოთა მეურნეობის სარძეკვე ფერმა

სურ. 4. გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ა. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

საუკეთესო კლიმატური პირობები, თბილი ზღვა, მდიდარი ბალნეოლოგიური რესურსები და ულამაზესი ბუნება წარმოადგენს აფხაზეთის ასსრ საკურორტო მეურნეობის ფართო განვითარების მტკიცე საფუძველს. კლიმატური მაჩვენებლებით როგორც მთიანი, ისე, განსაკუთრებით, ზღვისპირა ზოლი წარმოადგენს უნიკალურ რაიონს პირველხარისხოვანი კურორტების შესაქმნელად. ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ალიარებულ კურორტთა გასლაგების ადგილებს — საფრანგეთის ლაჟვარდოვან ნაპირს და იტალიის რივიერას. აფხაზეთის კურორტების საუკეთესო კლიმატურ პირობებზე ნათლად მეტყველებს მათი სეზონური ტემპერატურების შედარება სხვა უმნიშვნელოვანეს ზღვისპირა კურორტებთან:

ცხრილი 1

№ რიგ.	კურორტების დასახელება	საშუალო სეზონური ტემპერატურები				წლიური
		ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	
1	ნიცა (საფრანგეთი)	8,5	14,5	22,0	16,6	15,7
2	სოჭი	6,7	11,9	21,8	15,6	14,1
3	იალტა	5,1	10,3	22,6	15,7	13,4
4	სოხუმი	6,7	12,8	22,6	17,7	14,6

საშუალო წლიური ტემპერატურებით აფხაზეთის კურორტები თითქმის არ ჩამოუვარდება ევროპის უდიდეს ზღვისპირა კურორტ ნიცას და უფრო მაღალი ტემპერატურებით ხასიათდება, ვიდრე სსრკ პირველხარისხოვანი ზღვისპირა კურორტები სოჭი და იალტა. აფხაზეთის კურორტების სეზონური და საშუალო წლიური ტემპერატურის განსხვავება კიდევ უფრო მეტია შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე კურორტებთან შედარებით (ვარნა-ბულგარეთში, კონსტანცა-რუმინეთში), სადაც საშუალო წლიური ტემპერატურები მხოლოდ 11—12° აღწევს.

კურორტთა დადებით კლიმატურ მაჩვენებელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მზის ნათების ხანგრძლივობას, რომელიც სოხუმში შეადგენს 2125 საათს წელიწადში, წინაღმდეგ 1852 საათისა ბათუმში და 2149 საათისა სოჭში. მზის ნათების ხანგრძლივობა აფხაზეთის კურორტებზე ბევრად მეტია, ვიდრე ბალტიის ზღვისპირა ზოლში ან, თუნდაც, აჭარის კურორტებზე. მაგრამ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებელით ისინი საგრძნობლად ჩამორჩება ოდესას, ყირიმის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირის კურორტებს, სადაც მზის ნათების ხანგრძლივობა შეადგენს 2200—2300 საათს წელიწადში. აფხაზეთის სანაპიროზე ღრუბლიანობა შედარებით მცირეა, მზიან დღეთა რაოდენობა შეადგენს 200-მდე წელიწადში. ზამთარი რბილია, ყინვები იშვიათია, დღისით ტემპერატურა ზოგიერთ შემთხვევაში + 20° აღწევს. დეკემბერ-იანვრის საშუალო ტემპერატურა აქ უფრო მაღალია, ვიდრე სექტემბერ-ოქტომბრის ტემპერატურა საპჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის (ენტრალურ რაიონებში. წლის სეზონთა შორის საუკეთესოა აფხაზეთში შემოდგომა. ზაფხული საკმაოდ ცხელია, დღისით ტემპერატურა + 35 აღწევს. თუმცა ზღვის ბრიზები საგრძნობლად აზომიერებენ სიცხეს.

აფხაზეთის კურორტებზე ზღვაში ბანაობის სეზონი დიდი ხანგრძლივობით გამოირჩევა. ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა ივნისში შეადგენს 20°, ივლისში 24°, აგვისტოში 24,5°, სექტემბერში 23°, ოქტომბერში 20°, ივლის-აგვისტოში ზღვის წყლის მაქსიმალური ტემპერატურა შეიძლება ავიდეს 26°,—27°-მდე. ამასთანავე ზაფხულში წყლის საშუალო თვიური ტემპერატურა 2—3°-მეტია, ვიდრე ყირიმის ნაპირებთან და 5—6° მეტი, ვიდრე ბალტიის ზღვის ნაპირებთან. საბანაო სეზონი (სამკურნალო მიზნებისათვის) 5—6 თვეს გრძელდება, წინაალდეგ 3—4 თვისა ყირიმში და 2—2,5 თვისა რიგის ზღვისპირეთში.

დიდი საკურორტო მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის მთიან ზონას. მის ფარგლებში არმორჩენილია სხვადასხვა ტიპის მინერალური სამკურნალო წყაროები მდ. ბზიფის, კოდორის, ლაშიფსეს, ოაღიძგას, ბესლეთის ხეობებში და სხვა ადგილებში. ნაწილი მათგანი გამოყენებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ჯერჯერობით შედარებით არის ათვისებული მხოლოდ ავადხარასა და ტყვარჩელის მინერალური წყაროები. ავადხარას რაიონში შესწავლილი მინერალური წყაროები თავისი ქიმიური შედგენილობით ანალოგებია: ბორჯომის, ნაბეღლავის, უწერის, საირმეს და ვიშის (საფრანგეთი) მინერალური წყაროებისა. ავადხარას კლიმატი, ტიპიური მაღალმთიანი კურორტისათვის, ხასიათდება ცივი ზამთრით (იანვრის საშ. ტემპერატურა—9,5°) და გრილი ზაფხულით (აგვისტოს საშ. ტემპერატურა 14,4), მზის ნათების ხანგრძლივობა აღწევს 1500 საათს წელიწადში. ამ მაჩვენებლებით აღნიშნული კურორტი ჩამორჩება საქართველოს (შოვი, ბაკურიანი, ბახმარო) და შვეიცარიის (დავოსი, ლეიზენი) მაღალმთიან კურორტებს. ავადხარაში წარმატებით მკურნალობენ შემდეგ დაავადებებს: კუჭნაწლავის, ღვიძლის, ნაღველის, შარდსადენი გზების, ნერვული სისტემის ფუნქციონალურ დაავადებებს და სხვა.

საშუალმთიან კლიმატურ კურორტებს მიეკუთვნება რიწა. რიწის ტბის მიდამოები ხასიათდება ცივი ზამთრით და გრილი ზაფხულით. აგვისტოს საშ. ტემპერატურა + 18. შეადგენს, ნალექების რაოდენობა 1600 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა—1580 საათს წელიწადში.

ტყვარჩელის მინერალური წყაროები მდებარეობენ მდ. ღალიძგის ხეობაში 350 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ რაიონის საშუალო წლიური ტემპერატურა + 13° შეადგენს. ძირითად სამკურნალო საშუალებას რადიოაქტიური თერმალური წყაროები წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის საკურორტო რესურსები ძალზედ უმნიშვნელოდ იყო გამოყენებული. ამ მხრივ აფხაზეთის საკურორტო რაიონი, როგორც კავკასიის შავი ზღვისპირეთი მთლიანად, საგრძნობლად ჩამორჩებოდა ყირიმის სამხრეთი სანაპიროს და კავკასიის მინერალური წყლების საკურორტო რაიონებს. უკანასკნელნი უკვე იმ პერიოდში საკმაოდ კარგად იყო ათვისებულნი და ყოველწლიურად იქ ათეულ ათასობით დამსვენებელი ჩადიოდა. ამავე დროს კავკასიის შავი ზღვისპირეთის უდიდესი კურორტები სოჭი და სოხუმი არ სარგებლობდნენ ფართო პოპულარობით და კეთილმოუწყობელ სავაჭრო ქალაქებს წარმოადგენდნენ.

აფხაზეთის კურორტების სამკურნალო ღირებულება ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში იქნა დადგენილი. 1898 წელს ექიმების საერთაშორისო კონგრესმა მოსკოვში სოხუმი ერთ-ერთ საუკეთესო კლიმატურ სადგურად სცნო ფილტვებით დაავადებულთათვის, ხოლო გაგრის შესახებ შავი ზღვისპირეთის კლიმატის მკვლევარი, გამოჩენილი რუსი გეოგრაფი ა. ი. ვოეიკოვი წერდა [3]: „გაგრას, ყველა მისი კლიმატური პირობებით, არ შეიძლება ქონდეს სხვა მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ გახდეს კლიმატური კურორტი, საბანაო და, საერთოდ, სამკურნალო ადგილი“. გაგრის კლიმატური სადგური 1903 წლის იანვარში დაარსდა, როდესაც ამ კუთხის მფლობელმა პრინცმა ოლდენბურგელმა აქ ააგო რამდენიმე შენობა დასვენებისა და გართობისათვის.

კურორტად გადაიქცა გულრიფში, სადაც ააგეს ორი სანატორიუმი. აფხაზეთის ეს უძველესი სანატორიუმები განკუთვნილი იყო (და დღესაცაა) ტუბერკულოზის ღია და დახურული ფორმებით ავადმყოფთა სამკურნალოდ.

XIX ს. დამლევის და XX ს. დამდეგს საკურორტო მშენებლობა სოხუმსაც შეეხო. მის შემაღლებულ ნაწილში გაშენდა ბურჟუაზიისა და მსხვილი მოხელეების ავარაკები. ისინი ქმნიდნენ მკვეთრ კონტრასტს ქალაქის დაბლობ, სავაჭრო უბნებთან, სადაც მოსახლეობის ღარიბი ფენები ცხოვრობდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობდა მხოლოდ 2 სანატორიუმი 150 საწოლით. მშრომელთა მკურნალობის და დასვენების მიზნით ოციან წლებში კერძო პანსიონატები და ავარაკები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად. გაჩაღდა ახალი საკურორტო დაწესებულებების მშენებლობა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო მეორე ხუთწლედის მანძილზე. დიდი სამამულო ომის წლებში, გასაგები მიზეზების გამო, ახალი მშენებლობა შეწყდა ხოლო არსებული სამკურნალო დაწესებულებანი ჩვენი მამაცი მებრძოლების დასვენებისა და მკურნალობის კერად გადაიქცნენ.

ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის კურორტების რეკონსტრუქცია-გაფართოება კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაზედაც ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი[1]:

ცხრილი 2

	1950	1955	1956	1958
სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობა	30	33	36	35
მათში საწოლები	3558	4694	5419	5911

[1] ცხრილში არ არის შესული სანატორიუმები, რომლებიც ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში წარმობს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების გამსჯავლება და მათი გადაყვანა მთელი წლის განმავლობაში მუშაობის რეჟიმზე. რამაც მკვეთრად გაზარდა მათი გამტარუნარიანობა. ორგანიზებულ დამსვენებელთა რაოდენობა 1940 წელს შეადგენდა 65 ათას სულს, 1950 წელს—36 ათასს, 1959 წელს კი 100 ათას სულს გადააჭარბა. დამსვენებელთა ძირითადი ნაკადი მიემართება მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, თბილისიდან, შედარებით ნაკლები რაოდენობით სსრკ სხვა მსხვილი ქალაქებიდან. ორგანიზებულ დამსვენებელთა რაოდენობით აფხაზეთის საკურორტო რაიონი ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება ჩვენი ქვეყნის საკურორტო რაიონთა შორის, ჩამორჩება-რა მხოლოდ სოჭას, ყირიმის სამხრეთ ნაპირს, კავკასიის მინერალურ წყლებს და ოდესას.

აფხაზეთში დიდად განვითარდა ტურიზმი. ამჟამად ტურისტული ბაზები არსებობენ გაგრაში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში და სოხუმში. მათში საწოლების რაოდენობა 1500-ს აღწევს, ხოლო წლიური გამტარიანობა 35 ათას სულს სჭარბობს.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზრდება პანსიონატების ქსელი. ამჟამად ისინი ფუნქციონირებენ სოხუმში, ახალ ათონში (ორი), გუდაუთში, ბიჭვინთაში, გაგრაში, ციგწყალაზე (გაგრასთან), განთიადში, რიწის ტბაზე. არსებულ ცხრა პანსიონატში 1380 საწოლია (1959) მათი წლიური გამტარუნარიანობა 14 ათას სულს აღწევს. ამ სახის დაწესებულებათა ქსელი სულ უფრო ფართოვდება. მარტო ბიჭვინთაში 1963 წლის დამლევისათვის აკებული იქნება ხუთი პანსიონატი 3 ათასი საწოლით.

გარდა ორგანიზებული დამსვენებლებისა, აფხაზეთის სანაპირო ზოლში წლის თბილი პერიოდის მანძილზე (მაისი-ოქტომბერი) დიდძალი არაორგანიზებული დამსვენებელი იყრის თავს. ისინი ცხოვრობენ სასტუმროებში და კერძო პირთა ბინებში. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სასტუმროების რაოდენობა აფხაზეთის კურორტებზე აშკარად არა საკმარისია. ასეთ პირობებში დამსვენებლების უმრავლესობა იძულებულია იქირაოს კერძო ბინები, რომლებიც სათანადოდ არ არიან მოწყობილი.

აფხაზეთის კურორტების დახასიათებისას ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ მათი დაჯგუფება და გარკვეულ მაჩვენებელთა საფუძველზე სამი საკურორტო რაიონის გამოყოფა: 1. გაგრა-რიწის; 2. სოხუმ-გუდაუთის და 3. ტყვარჩელ-ოჩამჩირის. პირველსა და მეორე რაიონში ამჟამად ნათლად ჩამოყალიბებული საკურორტო კომპლექსები შეიქმნა, მესამეში—კი საკურორტო მეურნეობამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო ჩასახვა.

გ ა გ რ ა-რ ი წ ი ს საკურორტო რაიონი მდებარეობს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და შედგება კურორტთა სამი ჯგუფისაგან: გაგრა-ბიჭვინთის, ლესელიძე-განთიადის და რიწა-ავადხარის. გარდა წმინდა საკურორტო ფაქტორებისა, ამ ქვერაიონების ერთიანან კომპლექსად გადაქცევას ხელს უწყობს საერთო სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ბაზის შექმნა ბიჭვინთის კონცხზე.

გ ა გ რ ა-ბ ი ჭ ვ ი ნ თ ი ს კურორტთა ჯგუფს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მასში წამყვანი კურორტია ბუნების სილამაზითა და კლიმატურ პირობებით საყოველთაოდ ცნობილი **გ ა გ რ ა**. იგი გაგრის ქედის ფეოდოებზეა განლაგებული, ციგწყალიდან ახალ გაგრამდე თითქმის 20 კმ მანძილზე. 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს გაგრის კურორტზე მუშაობდა 11 სანატორიუმი, 5 დასასვენებელი სახლი, 2 პანსიონატი, ტურბაზა და სასტუმრო. მათ რიცხვს 1960 წელს შეემატა ახალი 150 ადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი და ტურისტული ბაზის მეორე კორპუსი. ყველა ამ სამკურნალო და დასასვენებელი დაწესებულების ერთდროულმა ტევადობამ 1960 წელს თითქმის 3,5 ათას სულს მიაღწია. უახლოეს წლებში რაიმე ახალი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა არ არის ნავარაუდები. მოსალოდნელია მხოლოდ არსებული სამკურნალო დაწესებულებების გამტარუნარიანობის ზრდა. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ გაგრის კურორტზე სრულებით არ ექცევა ყურადღება საზაფხულო ტიპის ნაგებობების მშენებლობას. იმასთან დაკავშირებით, რომ კურორტ ბიჭვინთის საჭიროებისათვის შენდება ძძლავრი მსხვილპანელიანი კასეტური სახლთმშენებლობის ქარხანა, შესაძლებელია მისი პროდუქციის ნაწილი მოხმარდეს გაგრის კურორტს და აიწყოს მზა პანელებისაგან საზაფხულო ტიპის ნაგებობანი.

ყურადღებას იპყრობს გაგრის კურორტის შერეული მთა-ზღვის ტიპის კურორტად გადაქცევის შესაძლებლობა. ახალი გაგრიდან პირდაპირი ხაზით მხოლოდ 6 კმ-ს დაშორებით, გაგრის ქედზე, არის მაღალმთიანი ადგილი მ ა მ ზ ი შ ხ ა (1900 მ. ზ. დ.) ეს მაღალმთიანი ადგილი პრაქტიკულად იმ შემთხვევაში გახდება გაგრის კურორტის ორგანული ნაწილი, თუ მანამდე გაყვანილი იქნება საჰაერო-საბაგირო გზა.

გაგრიდან 30 კმ-ს მანძილზე ამავე სახელწოდების მქონე კონცხზე მდებარეობს კურორტი ბ ი ჭ ვ ი ნ თ ა (პიცუნდა). იგი შემოფარგლულია ფიჭვის ტყით, რომლისგანაც წარმოდგა მისი სახელწოდება. ფიჭვნარს, რომელიც მესამეული პერიოდის პონტური ფლორის რელიქტს წარმოადგენს, უჭირავს 189 ჰა. ბიჭვინთის ფიჭვი მსოფლიოში უიშვიათესი ხეა, რომელიც, აფხაზეთის გარდა, კავკასიაში მხოლოდ ანაპის მახლობლად მდებარე მთების კალთებზე გვხვდება. ბიჭვინთის კონცხი სხვა სახის მცენარეულობითაც არის მდიდარი. მას აშშვენებს კვიპაროსის ხეივნები და ბზის ნარგავები. კურორტის მიდამოებში პლაჟი თანდათანობით ეშვება ზღვაში, ხოლო ზღვა ყურეში თითქმის ყოველთვის მშვიდია. საშუალო წლიური ტემპერატურა 15°-ია, მზიან დღეთა რაოდენობა წელიწადში 216-ია. მშენებლობის დროს გასათვალისწინებელია ამ რაიონის დრენაჟის აუცილებლობა, ხოლო სამკურნალო დაწესებულებანი განლაგებული უნდა იქნეს. უშუალოდ ზღვის პირას, სადაც იგრძნობა ბრიზების მოქმედება.

ამჟამად ბიჭვინთაში ფუნქციონირებს პანსიონატი და ტურბაზა. 1959 წელს სსრკ უმაღლეს ორგანოების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბიჭვინთის კონცხზე საკავშირო მნიშვნელობის თანამედროვე დიდი კურორტის მშენებლობის შესახებ, რომელიც პროტოტიპი იქნება კომუნიზმის ეპოქის კურორტებსა. მისი მომსახურეობისათვის სადგურ ბზიფში შენდება საქართველოში პირველი მსხვილპანელიანი კასეტური სახლთმშენებლობის ქარხანა.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მასში ერთდროულად დაისვენებს 10 ათასი ადამიანი. ამჟამად მიმდინარეობს პირველი რიგის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს 1963 წლისათვის შემდეგი მსხვილი ობიექტების მშენებლობას: ხუთი პანსიონატი (3 ათას დამსვენებლისათვის), ორი სასადილო (500 და 250 ადგილიანი), რესტორანი, სასტუმრო ავტოტურისტებისათვის (300 მანქანისათვის), ტურისტული ბაზა (500 ადგილიანი), სანატორიუმი, დახურული საცურაო აუზი, საკურორტო დარბაზი ღია და დახურული კინოთეატრებით და ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი, კაფეები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა-ბიჭვინთის კურორტების ჯგუფი აერთიანებს აგრეთვე რამოდენიმე სასოფლო დასახლებულ პუნქტებს (მაგ., სოფ. ლიძავა და სხვ.), რომლებიც ცნობილია არაორგანიზებულ დამსვენებლებს შორის.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე-გ ა ნ თ ი ა დ ი ს კურორტების ჯგუფი თავისი მნიშვნელობით დიდად ჩამორჩება გაგრა-ბიჭვინთის კურორტების ჯგუფს. როგორც ლესელიძე, ასევე განთიადი მხოლოდ უკანასკნელი 20—30 წლის მანძილზე გადაიქცა დასვენების ადგილად. ისინი იჩენენ ტენდენციას გაგრა-ბიჭვინთის კურორტთა ჯგუფთან გაერთიანებისაკენ.

ლესელიძე მდებარეობს მდ. ფსოუს ალუვიურ დაბლობზე, ზღვასთან მისი შეგრთების ადგილას. 1959 წელს ლესელიძეში მუშაობდა 3 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

განთიადი საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტია. თავისი საკურორტო მნიშვნელობით იგი ჯერჯერობით ჩამორჩება ლესელიძეს. ზაფხულში აქ მუშაობს პანსიონატი.

ლესელიძეში და განთიადში საგზურებით 1959 წელს დაისვენა 10 ათასზე მეტმა ადამიანმა; ზაფხულში აქ იხსნება მრავალრიცხოვანი პიონერთა ბანაკები გარდა ამისა ათასობით არაორგანიზებული დამსვენებელი თავსდება კერძო ბინებში. პერსპექტივაში მოსალოდნელია ამ პუნქტებში სასტუმრო-პანსიონატების მშენებლობა. შესაძლებელია დასასვენებელი სახლების მშენებლობაც. განსაკუთრებული ყურადება უნდა მიექცეს ამ რაიონის კეთილმოწყობას, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობას.

განხილულ კურორტთა ჯგუფებთან მეზიდრო კავშირშია რ ი წ ა-ა ვ ა დ ხ ა-რ ი ს კურორტთა ჯგუფი. მას სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური პროფილი აქვს. რიწის ტბა ტურიზმის უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს, რადგან თვით რიწის ტბასაც და მიმდებარე მთებსაც იშვიათი სილამაზე ახასიათებთ. ბუნების სილამაზის მხრივ ეს რაიონი მთელს მსოფლიოშია ცნობილი. მას ზაფხულობით ყოველდღე რამოდენიმე ათასი ტურისტი ეწვევა. რიწის ტბისაკენ ნიდის კარი გზა რომელიც მდ. ბზიფთან გამოეყოფა შავი ზღვის შარაგზას და 39-ე კმ მიადგება რიწის ტბას. რიწის ტბა მდებარეობს 950 მ სიმაღლეზე ზ. დ., გარშემორტყმულია ტყით შემოსილი მაღალი ციცაბო მთებით (აცეტუკი 2542 მ ზ. დ., აგეფსთა—3263 მ ზ. დ.). 1947 წელს იქ აგებულ იქნა სასტუმრო და რესტორანი. შემდგომში მწყობრში ჩადგა პანსიონატი.

ავადხარის ბალნეოკლიმატური რესურსები ჯერ უმნიშვნელოდაა გამოყენებული. ზაფხულობით ავადმყოფები და დამსვენებლები, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ათასს აღწევს, საცხოვრებლად ფიცრულებს აგებენ. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ ავადხარის საკურორტო რესურსების უფრო სრულად გამოყენებისათვის სრულიად აუცილებელია სანატორიუმისა და პანსიონატის აგება. რაც შეეხება რიწის ტბის რაიონს, იგი მომავალშიაც შეინარჩუნებს ტურიზმის ცენტრის როლს. აქ საჭიროა ტურისტული ბაზის და კიდევ ერთი სასტუმრო-პანსიონატის აგება.

აფხაზეთის კურორტთა მეორე უმნიშვნელოვანეს რაიონს სოხუმ-გუდაუთის საკურორტო რაიონი წარმოადგენს. მასში გამოიყოფა კურორტთა ორი ჯგუფი: ა) საკუთრივ სოხუმისა და ბ) ახალი-ათონი-გუდაუთის.

ს ო ხ უ მ ი ს კურორტთა ჯგუფში შედის საკუთრივ სოხუმი, გულრიფში აგუძერა და ეშერი. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის სოხუმს უჭირავს. ამ ქალაქს, როგორც აფხაზეთის ასსრ-ს დედაქალაქს, მრავალგვარი ფუნქციები ახა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიათებს, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკურორტო ფუნქციაა. სოხუმში მუშაობს დასასვენებელი სახლი, კურორტოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური ბანყოფილება, პანსიონატი „სინოპი“, აფხაზეთში ყველაზე დიდი ტურისტული ბაზა, სპორტული ტურისტული ბანაკი. სოხუმში საგზურებით ყოველწლიურად ისვენებს 18—20 ათასი ადამიანი. არაორგანიზებული დამსვენებლები თავსდებიან მრავალრიცხოვან კერძო ბინებში და 3 სასტუმროში.

სოხუმის კლიმატის დადებით მაჩვენებელთა შორის აღსანიშნავია თბილი, მზიანი შემოდგომა, რბილი ზამთარი, მზიან დღეთა სიუხვე მთელი წლის მანძილზე. დასვენებისა და მკურნალობისათვის საუკეთესო პერიოდი გრძელდება სექტემბრიდან ივლისამდე. ივლისი და აგვისტო მტისმეტად ცხელია. სოხუმს კარგი საზღვაო პლაჟი გააჩნია, მისი სუსტი მხარეა ქალაქიდან მნიშვნელოვანი დაშორება. თვით ქალაქი, მარად მწვანე სამოსელში გახვეული, სწორი სუფთა ქუჩებით და ბაღ-ხეივნებით ძალიან მიმზიდველია და შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი ულამაზეს ქალაქად თვლება.

მომავალში სოხუმში ფართოდ უნდა გაიშალოს პანსიონატების და დიდი სასტუმროების მშენებლობა, რომელთა ნაკლებობა მწვავედ იგრძნობა.

სოხუმიდან სამხრეთით, 12 კმ-ის მანძილზე, ტყით შემოსილ გორაკებზე მდებარეობს კურორტი გ უ ლ რ ი ფ შ ი, სადაც აფხაზეთის ორი უძველესი სანატორიუმი არსებობს. ისინი მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში, ივლისი-აგვისტოს გარდა, როდესაც მაღალი ტემპერატურის გამო მკურნალობა ნაკლებ ეფექტს იძლევა. ორივე სანატორიუმი სპეციალიზებულია ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობაზე.

სოხუმიდან რამოდენიმე კმ-ის დაშორებით მდებარეობს სამკურნალო ადგილი ა გ უ ძ ე რ ა, სადაც იმყოფება დასასვენებელი სახლი, რომელიც წელიწადში 4 ათასამდე დამსვენებელს ატარებს. ზაფხულობით აქ ბევრია აროორგანიზებული დამსვენებელიც. სოხუმიდან ჩრდილოეთით სოფ. ეშერაში არის კიდევ ერთი დასასვენებელი სახლი.

დიდად ცნობილია დამსვენებელთა შორის გ უ დ ა უ თ ა-ახალ ა თ ო ნ ი ს კურორტების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს კურორტებს გუდაუთას და ახალ ათონს, გარეთვე სამკურნალო ადგილებს მიუსერას და სანაპიროს.

კურორტი გ უ დ ა უ თ ა მდებარეობს შედარებით ფართო ზღვისპირა დაბლობზე, სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 37 კმ მანძილზე. იგი ხასიათდება უფრო ცივი და ნოტიო კლიმატით, ვიდრე სოხუმი. მისი პლაჟი ერთ-ერთი საუკეთესოა აფხაზეთის სანაპიროზე. აქ მუშაობს 2 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. მათი წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 10—11 ათას სულს. არაორგანიზებული დამსვენებელი გუდაუთაში ნაკლებია, ვიდრე სხვა კურორტებზე, რადგან იგი მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა ფართოდ ცნობილი.

საუკეთესო სამკურნალო თვისებებითაა განთქმული კურორტი ა ხ ა ლ ი-ა თ ო ნ ი, რომელიც ივერიის მთის ძირას არის გაშენებული. იგი შეიქმნა აქ არსებული ახალი ათონის მონასტრის ბაზაზე. ყოფილი მონასტრის შენობები ამჟამად უკავია 510 ადგილიან დასასვენებელ სახლს „ფსირცხას“. მის გარდა, აგებულია სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, 2 პანსიონატი და ტურისტული ბაზა. მათი წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 30 ათას სულს. უსაგზურო დამსვენებელთა რაოდენობა ყოველწლიურად მრავალი ათასი სულით განისაზღვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე, ტყვარჩელ-ოჩამჩირის საკურორტო რაიონი ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ბალნეოლოგიური კურორტი ტყვარჩელი მდებარეობს მდ. ღალიძგის ვიწრო ხეობაში. აქ მუშაობს 120 საწოლიანი სანატორიუმი „ღალიძგა", მის მახლობლად კი ქ. ტყვარჩელის ქვემო წყაროს 100 ადგილიანი სტაციონარი.

უკანასკნელ 5-6 წლის მანძილზე თანდათან ცნობილი ხდება არაორგანიზებული დასვენებელთათვის ქ. ოჩამჩირე. კარგი პლაჟი, დიდი სპბინაო ფონდი, სიწყნარე, და ხილ-ბოსტნეულით დამკმაყოფილებელი მომარაგება ხელს უწყობს დასვენებელთა მიზიდვას. ოჩამჩირე წარმოადგენს აგრეთვე ერთდღიანი დასვენების ადგილს ქ. ტყვარჩელის მშრომელებისათვის.

საკურორტო მეურნეობა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. აფხაზეთი დასვენების კერაა ასიათასობით ადამიანისათვის და მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ამის გამო საჭიროა სისტემატურად იზრდებოდეს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სასტუმრო-პანსიონატების რაოდენობა. ვინაიდან დამსვენებელთა რაოდენობა აფხაზეთის კურორტებზე მაქსიმუმს წლის თბილ სეზონში აღწევს, განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება საზაფხულო ტიპის ნაგებობათა მშენებლობაზე.

Э. Д. КОБАХИДЗЕ

КУРОРТНОЕ ХОЗЯЙСТВО АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Прекрасные климатические условия, теплое море, богатые бальнеологические ресурсы и живописная природа обусловили возможность создания в Абхазии курортов всесоюзного значения. По климатическим показателям Абхазское побережье отнюдь не уступает лучшим советским (Сочи, Южный берег Крыма) и зарубежным (Лазурный берег Франции и Итальянская Ривьера) курортным районам. Весьма значительны бальнеоклиматические ресурсы и в горной полосе.

Попытки создания в Абхазии климатических станций имели место еще в конце XIX и в начале XX века, однако планомерное использование курортных ресурсов и создание мощного курортного хозяйства стало возможным лишь после установления Советской власти. В довоенные и послевоенные годы было построено большое количество лечебных учреждений и на месте небольших дачных городков возникли благоустроенные современные курорты. Черноморское побережье Абхазии превратилось в один из основных курортных районов СССР. В 1959 г. здесь функционировало 35 санаториев и домов отдыха, 9 пансионатов, 4 турбазы с общим числом коек ок. 8,5 тыс. По емкости лечебных учреждений Абхазская АССР занимает одно из первых мест в СССР (после Сочи, Южного берега Крыма, Кавказских Минеральных вод и Одессы). Общее число отдыхающих по путевкам превысило 100 тыс. чел., количество же отдыхающих, приезжающих на курорт в неорганизованном порядке значительно больше.

На территории Абхазии нами выделены следующие курортные районы: 1. Гагра-Рицинский, в который входят группы курортов: а) Гагра-

Бичвинтская, б) Гантиади-Леселидзевская и в) Рица-Авадхарская 2. Сухуми-Гудаутский, включающий собственно Сухумскую и Гудаута-Ахали Афонскую группу курортов; 3. Ткварчели-Очамчирский, находящийся в стадии возникновения. Среди курортов Абхазии по своей значимости выделяются Сухуми, Гагра и Ахали-Афони. В ближайшем будущем особенно возрастет значение курорта Бичвинта (Пицунда), где будут построены различного типа учреждения для отдыха и лечения, рассчитанные на одновременное пребывание 10 тыс. человек.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ჯავახიშვილი დ., კურორტოლოგია. 1945.
2. Виленкин В. Л., По центральному Кавказу и Западному Закавказью, М., 1955.
3. Воейков А. И., Пастерицкий Ф. И. и Сергеев М. В., Черноморское побережье, СПБ, 1898.
4. Гогохия Ш. Д., Рица-Авадхара, Сухуми, 1955.
5. Гокиели В. Г., Гагра, Тб. 1958.
6. Григолия А. Л., Курортные богатства Абхазии, Ленинград, 1934.
7. Джавахишвили Д. В., Курорты ССР, Грузии, Тб. 1933.
8. Дьячков-Тарасов А. Н., Гагры и их окрестности. Записки КОИРГО, т. XXIV, вып. I. Тифл. 1903.
9. Курорты СССР. Медгиз, М., 1951.
10. По Черноморскому побережью Кавказа. Путеводитель, Краснодар, 1956.
11. Селянинов Г. Ш., Климатические ценности курорта Гагра, Курортное дело, № 4—5, 1924.
12. Советское Черноморье, Путеводитель, М., 1955.
13. Сухуми и его окрестности, Абхазское гос. изд-во, Сухуми, 1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

რ. კვერენჩხილაძე

აფხაზეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი

აფხაზეთის ტერიტორია, რომელსაც აკრავს ერთის მხრივ, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ხოლო მეორეს მხრივ, კავკასიონის მთავარი ქედი, გრძელ ზოლადაა განლაგებული ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მას მეტად მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რაც შემდეგში გამოიხატება: ავტონომიურ რესპუბლიკაზე გადის დიდი ეკონომიური მნიშვნელობის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები, რომელთა საშუალებით მყარდება არა მარტო აფხაზეთის, არამედ ცენტრალური და დასავლეთი ამიერკავკასიის მშვიდრო ეკონომიური კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებთან. აღნიშნული ხაზები მიმართებიან ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის მთელ სიგრძეზე მისი ტერიტორიის გაჯრცელების მიმართულების შესაბამისად. აფხაზეთის ასს რესპუბლიკა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალით უკავშირდება რსფს რესპუბლიკის ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებს, ხოლო საზღვაო გზით—უკრაინისა და რსფს რესპუბლიკის ნავსადგურებს და ამდენად, გასავალი აქვს მნიშვნელოვან საზღვაო ტრასებზე. სატრანსპორტო ხაზებით აფხაზეთი მშვიდროდაა დაკავშირებული მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს სხვა რაიონებთან, სამრეწველო ცენტრებთან და სანავსადგურო ქალაქებთან. საუღელტეხილო გზებით იგი კავშირს ამყარებს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებთან. ზემოთ აღნიშნულის გამო, აფხაზეთის ტერიტორია, საქართველოს ზოგიერთი რაიონის (მაგალითად მის აღმოსავლეთით მოსაზღვრე სვანეთის, ანდა რაჭა-ლეჩხუმის) მსგავსად, არ წარმოადგენს სატრანსპორტო ჩიხს. აქედან ნათელი ხდება, რომ აფხაზეთის სატრანსპორტო პირობები ხელსაყრელია. ეს კი ზედმიწევნით დადებითად მოქმედებს მის მეურნეობრივ განვითარებაზე*.

აფხაზეთის მეურნეობრივი და კულტურული ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ტრანსპორტს, რომელზედაც მოდის ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის (1958 წ.) დაახლოებით 75%[1]. ტვირთბრუნვის მაჩვენებლებით ტრანსპორტის ეს სახე ძირითადია არა მარტო აფხაზეთის, ანდა მთლიანად საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო მასშტაბებთაც.

---

* სტატიის მოცულობის შეზღუდვის გამო აქ ვერ ვბეჭდავთ მასალებს აფხაზეთის ტრანსპორტის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებიდან. ეს უკანასკნელი სხვა ადგილას ქვეყნდება.

[1] 1959 წელს აფხაზეთში ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მასალები ტრანსპორტის შესახებ, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდოს მასალა № 701.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის დანარჩენი სახეების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში ყოველწლიურად იზრდება. მაგრამ მათი ხვედრითი წონა (შედარებით რკინიგზის ტრანსპორტთან) საერთო ტვირთბრუნვასა და მგზავრების გადაყვანაში ჯერჯერობით მცირეა.

აფხაზეთის რკინიგზების სიხშირის მაჩვენებლები ასეთია: ავტონომიური რესპუბლიკის ყოველ 100 კვ. კმ-ზე მოდის 2,6 კმ რკინიგზა (აღმატება საქართველოს საერთო მაჩვენებელს), ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე—0,6 კმ (რესპუბლიკურ მაჩვენებელზე ნაკლები).

აფხაზეთის რკინიგზები, რომელიც მთლიანად ელექტროფიცირებულია, წარმოგვიდგება შავი ზღვის მაგისტრალისა (სამტრედია-ტუაფსე) და მისი ტოტის (ოჩამჩირე-აკარმარა) სახით. გარდა ამისა, აფხაზეთში არის რამდენიმე ვიწროლინდაგიანი განშტოება, რომლებიც ემსახურება კარიერებიდან საშენებელო მასალის გამოზიდვას. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქცეულია რკინიგზის მაგისტრალის დასწლოებით 200 კმ. იგი კვეთს მრავალრიცხოვან პატარა და აგრეთვე დიდ მდინარეებს. ამის გამო, ხაზის გასწვრივ ვხვდებით რკინა-ბეტონის ვიადუქტებსა და სხვა სანაყინრო საგზაო ნაგებობებს. იქ, სადაც რკინიგზა მეტად უახლოვდება ზღვის ნაპირს, აშენებულია სამაგრები, რომლებიც იცავს ნაპირს აბრაზიისაგან. რკინიგზის გასწვრივ ზღვის ნაპირას ბევრგანაა აგრეთვე ტალღათმსხვრევი ბლოკები.

ოჩამჩირე-აკარმარას ხაზი, რომლის სიგრძეა 36,4 კმ, მიჰყვება მდ. ღალიძგის ხეობას. იგი თითქმის მთლიანად კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს, ხაზის მხოლოდ უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კვეთს მთაგორიან ადგილებს. ავტონომიური რესპუბლიკის მთიანი რაიონები მოკლებულია სახმელეთო ტრანსპორტის ამ ძირითად სახეობას. არსებობს მოსაზრება მთიან აფხაზეთის, კერძოდ მდ. კოდორის ზემო წელის რკინიგზის მაგისტრალთან (ქ. სოხუმთან) დაკავშირების შესახებ[2].

რკინიგზის აღნიშნული მაგისტრალი და შავი ზღვის გზატკეცილი (ბათუმი-ნოვოროსიისკი) წარმოადგენს აფხაზეთის ტრანსპორტის ძირითად „ნერკვებს". რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის სატრანსპორტო მომსახურეობის საქმეში. ისინი გაივლიან საქართველოს უმნიშვნელოვანეს სუბტროპიკულ რაიონებს, სადაც თაქმოყრილია მოსახლეობის დიდი ნაწილი, კურორტები და სამრეწველო ცენტრები. ამ ორი უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო ხაზის სისტემაში რაკს იყრის მთიანი რაიონებიდან მომავალი გზები. აფხაზეთის ნავსადგურების საშუალებით მათ უერთდება აგრეთვე საზღვაო ტრასები. რკინიგზა და გზატკეცილი მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე თითქმის ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთთან ახლო მანძილზე მიემართება ზღვის სანაპიროების გასწვრივ. მათ ასეთ განლაგებას კარნახობს რელიეფის პირობები. იქ, სადაც აფხაზეთის კავკასიონის განტოტებანი (განსაკუთრებით გაგრის ქედი) ახლოს აღწევს ზღვის ნაპირთან, ისინი იყრება: რკინიგზა იმალება გვირაბში, გზატკეცილი კი მთებისაკენ უხვევს.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობის გამომსახველია რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის სისტემატური ზრდა. მოყოლებული 1938 წლიდან იგი განუწყვეტლივ მატულობს, რასაც მოწმობს შემდეგი ცხრილი:

---

[2] გ. ბუაჩიძე, ნ. შანიძე, ა. კონიაშვილი, რკინიგზის ქსელის განვითარების საკითხები საბჭოთა საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 4, 1958, გვ. 76.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების
ტვირთბრუნვა (ათას ტონებში)[3]

წელი	ტვირთების გაგზავნა	ტვირთების მიღება	საერთო ტვირთ-ბრუნვა
1938	171,3	227,4	398,7
1940	146,6	254,5	401,1
1945	302,9	329,5	632,4
1950	793,8	1003,1	1786,9
1955	1039,9	898,0	1937,9
1958	1913,4	1314,7	3228,1

ომამდელ. 1940 წელთან შედარებით, ტვირთბრუნვა გაიზარდა 1945 წელს 1,6-ჯერ. 1950 წელს—4,4-ჯერ. 1955 წელს—4,8-ჯერ და 1958 წელს—8,0-ჯერ. უკანასკნელი 20 წლის (1938—1958) განმავლობაში ტვირთბრუნვა გაიზარდა 8,1-ჯერ. თუ 1940 წელს აფხაზეთის რკინიგზის ქვირთბრუნვა შეადგენდა საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის 3,0%-ს, 1950 წელს მისი ხვედრითი წონა გაიზარდა 9,5%-მდე.

ომისშემდგომ წლებში აფხაზეთის რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ასეთი სწრაფი ზრდა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: შავი ზღვის რკინიგზის გაყვანით როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მიმართულებით გზა გაეხსნა დიდმნიშვნელოვან ტვირთებს (ქვანახშირი, მანქანა-მოწყობილობანი, ხე-ტყე და სხვა სახის სამშენებლო მასალები), რომლებიც ქმნის მასიურ ტვირთდინებებს. ტვირთბრუნვის გადიდება გამოიწვია აფხაზეთის სამთომოპოვებითი (კერძოდ ქვანახშირის). აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობის, საკურორტო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სპეციალიზირებული დარგების განვითარებამ.

აფხაზეთის რკინიგზის სადგურებს შორის ტვირთბრუნვით გამოირჩევა კვეზანი, საიდანაც იგზავნება ტყვარჩელის ქვანახშირი. ეს მნიშვნელოვანი სათბობი რკინიგზით გადაზიდვისას ოჩამჩირეში უერთდება შავი ზღვის მაგისტრალით მომავალ დონბასის ქვანახშირის ნაკადს და ქმნის მასიური ტვირთების ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის ძლიერ დინებას. საერთოდ ქვანახშირი ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობს საქართველოს ტვირთების ფორმირებაში. იგი შეადგენს საქართველოს იმ ტვირთების ნახევარზე მეტს, რომელიც მიდის აღმოსავლეთის მიმართულებით[4]. ტყვარჩელის კოქსადი ქვანახშირით მარაგდება ძირითადად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა.

იმის გამო, რომ ტყვარჩელის რკინიგზა შავი ზღვის მაგისტრალს შეუერთდა ოჩამჩირესთან, ეს უკანასკნელი გახდა სატრანსპორტო კვანძი, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან სატვირთო ოპერაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის რკინიგზის სადგურები აწესრიგებს ძირითადად ტრანზიტული ტვირთების ძლიერ ნაკადს ორივე მიმართულებით.

---

[3] Народное хозяйство Абхазской АССР, стат. сб., Абгосиздат, 1957, გვ. 65. 1958 წლის მონაცემები მიღებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

[4] Грузинская ССР, экономико-географическая характеристика, изд. 2-е, М. 1958, გვ. 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის რკინიგზის ტრანსპორტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის მგზავრალზე მდებარე სახმელეთო და საზღვაო კომუნიკაციების თავშეყრის ისეთ პუნქტებს, როგორიცაა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდაუთი, გაგრა, ახალი ათონი და სხვ. ზემოთ აღნიშნული ცენტრები საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებია, რომელთა რკინიგზის სადგურები ემსახურება როგორც სამშენებლო და სასუროსათო ტვირთების გადაზიდვას, ისე დიდი რაოდენობით დამსვენებელთა გადაყვანას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთის კურორტებზე ყოველწლიურად ჩამოდის რამდენიმე ათეული ათასი დამსვენებელი, მაშინ ნათელი გახდება რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა მგზავრთა გადაყვანის საქმეში.

აფხაზეთის რაიონებს შორის სატრანსპორტო ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რკინიგზის შავი ზღვის მგზავრალის ის სადგურები, რომელიც მდებარეობს მთიანი რაიონებიდან მომავალი გზებისა და რკინიგზის ხაზის გადაკვეთის ადგილას. ისინი ემსახურება ხე-ტყისა თუ სხვა სახის სამშენებლო მასალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, სამრეწველო ტვირთების მიღება-გაგზავნას. ასეთი სადგურებია: გალი, ტამიში, ბზიფი, განთიადი, კელასური. ეს უკანასკნელი ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე მდებარეობს და იგი აწარმოებს ძირითადად სატვირთო ოპერაციებს. გარდა ამისა, ქალაქის ფარგლებში არის თვითონ სოხუმის სამგზავრო სადგური. იგი აფხაზეთში ერთადერთი რკინიგზის სადგურია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მგზავრების გადაყვანას ემსახურება. სამგზავრო ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ქალაქის აღნიშნულ ორ სადგურს შორის მდებარე ბარათაშვილის სახელობის ბაქანი. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის მგზავრალი სოხუმის ტერიტორიაზე ქალაქის ცენტრალურ უბნებში გადის. რკინიგზის გაყვანის დროს გათვალისწინებულ იქნა, რომ იგი დააბრკოლებდა ქალაქ სოხუმის სხვადასხვა რაიონებს შორის კავშირურთიერთობას. ამიტომ გადაწყდა, ქალაქში გაყვანილი ყოფილიყო გვირაბები და რკინიგზის ესტაკადა. მიუხედავად ამისა, რკინიგზა მაინც უარყოფთად მოქმედებს საქალაქო ცხოვრებაზე, იწვევს ხმაურს.

აფხაზეთის შიდარაიონულ გადაზიდვებსა და მგზავრების გადაყვანაში დიდ როლს ასრულებს ს ა ა ვ ტ ო მ ობ ი ლ ო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. ამ მხარისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია. ასეთი რელიეფის პირობებში კი ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია ავტოტრანსპორტი, რომელსაც ახასიათებს მაღალი გამავალობა და მანევრუნარიანობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კურორტების სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ავტოტრანსპორტის მკვეთრი განვითარება. ავტოტრანსპორტს გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა ლოგნად გაფართოვდა საგზაო ქსელი. თუ მაგალითად 1925 წელს აფხაზეთის შარაგზების სიგრძე შეადგენდა 388,4 კმ-ს[5], აშკამად საავტომობილო გზების სიგრძე უდრის 1555,1 კმ-ს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის გზების ტექნიკური მდგომარეობის დონე (შედარებით საქართველოს სხვა რაიონებთან) მაღალია. ამიტომ, ავტოგზების გაუმჯობესებაზე დახარჯული სახსრები მალე ნაზღაურ-

[5] გ. გ ე ნ ტ მ ა ნ ი, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, მეორე გამოცემა, ტფ., 1925, გვ. 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებით. 1957 წელს 1 ტონა-კილომეტრის გადაზიდვის თვითღირებულება ცხინვალის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხაზით, რომელსაც შედარებით ცუდი გზები აქვს, შეადგენდა 68,0 კაპიკს, მაშინ როდესაც სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხაზით ეს მაჩვენებელი უდრიდა 43,5 კაპიკს, ე. ი. 24,5 კაპიკით ნაკლებს.[6] ეს აიხსნება იმით, რომ აფხაზეთის მაგისტრალური გზატკეცილი, რომელზედაც მოდის ავტოგადაზიდვების დიდი ნაწილი, ხასიათდება ტექნიკური მდგომარეობის მაღალი დონით და კეთილმოწყობილია.

აფხაზეთის საავტომობილო გზების საერთო სიგრძის 76,3%-ს შეადგენს ადგილობრივი, 1,9%-ს—რესპუბლიკური და 21,3%-ს—საკავშირო მნიშვნელობის გზები. როგორც ვხედავთ, რესპუბლიკური გზები აფხაზეთში თითქმის არ არის (სულ 29,0 კმ). ეს იმიტომ, რომ თითქმის ყველა კეთილმოწყობილი გზატკეცილი, რომელიც მომსახურეობას უწევს კურორტებსა და სახალხო მეურნეობას, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, რაც თავისთავად მეტ-ყველებს ამ გზების ძირითად როლზე აფხაზეთის მეურნეობისა და მოსახლეობის ავტოტრანსპორტით მომსახურეობის საქმეში.

აფხაზეთის საგზაო ქსელზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

მაჩვენებლები ავტოსაჭაპანო გზების შესახებ[7]

წელი	ავტოსაჭაპანო გზების სიგრძე (ათას კმ-ებში)	მ. შ. მაგარსაფარიანი გზები (ათას კმ-ებში)
1941	1,5	0,7
1948	1,6	0,9
1958	1,6	1,2

აღსანიშნავია, რომ ავტოსაჭაპანო გზების საერთო სიგრძის მიმართ მაგარსაფარიანი გზების ასეთი დიდი პროცენტი (75,0) საქართველოს თითქმის არც ერთ რაიონში არ გვაქვს, მაგალითად აჭარაში იგი უდრის 45,4%-ს[8].

გზების სიხშირის მიხედვით აფხაზეთს თუ შევადარებთ მთლიანად საქართველოს, ან მის ცალკეულ რაიონებს, ასეთი სურათს მივიღებთ: აფხაზეთში ყოველ 100 კვ. კმ-ზე მოდის 17,9 კმ საავტომობილო გზა, აჭარაში—დაახლოებით 37,0 კმ, სამხრეთ ოსეთში—6,9 კმ, მთლიანად საქართველოში—24,4 კმ. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მაჩვენებლიო აფხაზეთი მთლიანად საქართველოს დონეზე დაბლა დგას.

შევეხოთ აფხაზეთის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლებს (სამწუხაროდ, მონაცემები 1950 წლამდე ხელთ არა გვაქვს).

ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ნათელი ხდება, რომ აღნიშნული 8 წლის განმავლობაში შესამჩნევად იზრდებოდა როგორც ტვირთების გადატანა, ისე

---

[6] გ. რობიტაშვილი, ავტოტრანსპორტის როლი და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების პერსპექტივები 1959—1965 წ.წ., ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 8, 1959, გვ. 26.

[7] ცხრილი შედგენილია აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების საფუძველზე.

[8] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათუმი, 1958, გვ. 58.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჩვენებლები ავტოტრანსპორტის შესახებ[9]

წელი	გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (ათასი კაცი)	გადაზიდული ტვირთების რაოდენობა (ათას ტონებში).
1950	7003,1	113,6
1952	11332,4	124,4
1954	18688,0	510,7
1956	34368,1	721,9
1958	38236,0	1094,3

მგზავრთბრუნვა. ამასთან ამ უკანასკნელის ზრდა (446,0%) თითქმის სანახევროდ ჩამოუვარდება ტვირთბრუნვის ზრდას (863,5%). ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა სწრაფად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სამრეწველო და სხვა სახის ტვირთების გადაზიდვას ემსახურება რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. 1958 წელს აფხაზეთის ავტოტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები შეადგენდა სახმელეთო და საზღვაო ტვირთბრუნვის 5,9%-ს, 1958 წელს მისი ხვედრითი წონა 25,1%-მდე ვაიზარდა. თუ 1950 წელს აფხაზეთის ავტოტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები შეადგენდა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების 0,4%-ს, 1956 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1,1%-მდე. თუ 1950 წელს საქართველოს საავტობუსო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების 36,7% მოდიოდა აფხაზეთზე, 1956 წელს მისი ხვედრითი წონა შემცირდა 23,5%-მდე. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში მგზავრების გადაყვანა მთლიანად საქართველოში უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე აფხაზეთში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მგზავრების გადაყვანა აბსოლუტური მაჩვენებლებით აფხაზეთში არ იზრდებოდა.

ავტოსაგზაო ქსელი არათანაბრადაა განლაგებული. მათი უმრავლესობა დაბლობ ნაწილშია მოქცეული. აქ გადის შავი ზღვის გზატკეცილი. ხოლო, რაც შეეხება იმ გზებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპირო რაიონებს აერთებს მთით აფხაზეთთან, თითქმის ყველა მთაგანი მდინარეთა ხეობებშია განლაგებული. ასეთი გზები მიყვება ენგურის, ღალიძგას, კოდორის, კელასურის, ბზიფის, ფსოუს და სხვა მდინარეთა ხეობებს.

აფხაზეთის მთავარი გზებია: შავი ზღვის გზატკეცილი, სოხუმი-ჩერქესკი (ყოფილი სოხუმის სამხედრო გზა), ოჩამჩირე-ტყვარჩელი, ბზიფი-რიწა-ავადხარა და სხვ. აღნიშნული გზებიდან დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის გზატკეცილს (ბათუმი—ნოვოროსიისკი, 796 კმ). იგი აერთებს შავი ზღვის სანაპირო ქალაქებსა და კურორტებს. მასზე გადის ტრანზიტული ტვირთებიც. გზატკეცილი ზოგჯერ კვეთს კოლხეთის დაბლობის გორაკ-ბორცვად ზონას, რის გამო იგი დაკლაკნილი ხდება. მასზე იქმნება ე. წ. მარყუჟები (მაგალითად სოხუმსა და ახალ ათონს შორის). მდინარეთა ღრმა ხეობებით რელიეფის დანაწევრების გამო, გზატკეცილზე გვხვდება მაღალთაღოვანი ხიდები და სხვა სახის საგზაო ნაგებობანი. დიდია ამ გზის გამტარუნარიანობა. მაგალითად, 1958 წელს სოხუმის განაპირას. კელასურის ხიდთან მან გაატარა ავტომანქანათა საკმაოდ

[9] დასახელებული სტატისტიკური კრებული აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის შესახებ, გვ. 67. 1958 წლის მონაცემები მიღებულია აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი რაოდენობა, რომელთაგ ტვირთდაძაბულობა შეადგენდა დაახლოებით ორ ხახეგარ მილიონ ტონას[10].

აფხაზეთის ავტოტრანსპორტი ვითარდება არა მარტო საგზაო ქსელის გაფმაოებესების, არამედ ავტომანქანათა რაოდენობრივი ზრდის გზით. თუ 1925 წელს აფხაზეთში ირიცხებოდა 41 ავტომანქანა,[11] 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო 5446 ავტომობილი. ხოლო ორი წლის შემდეგ მისი რაოდენობა 1127-ით გაიზარდა.[12] ავტომანქანების საერთო რიცხვის 42,1%-ს შეადგენს სატვირთო მანქანები. კერძო ავტომანქანები რაოდენობა უდრის 2763-ს, რაც მსუბუქი მანქანების საერთო რიცხვის 83,2%-ს შეადგენს.

აფხაზეთის საერთო სარგებლობის სამგზავრო ავტოტრანსპორტი წარმოდგენილია სოხუმის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და ოჩამჩირის ავტოსატრანსპორტო კანტორებით. აფხაზეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ქალაქთაშორისი საავტობუსო მიმოსვლის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა სოხუმი, სიდან ადაც დანიშნულია 30-მდე სხვადასხვა მარშრუტი.

აფხაზეთის სამეურნეო განვითარების მოთხოვნილებანი ძირითადად თუმცა უზრუნველყოფილია ტრანსპორტით (სამიმოსვლო გზებითა და მოძრავი შემადგენლობით), მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი კუთხე ჯერ კიდევ განიცდის უგზოობას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე. ჩვენი აზრით, უახლოეს მომავალში მიზანშეწონილი იქნება გაყვანილ იქნას ზოგიერთი საავტომობილო გზა.

სოფელი ფსხუ მთელ აფხაზეთში ერთადერთია, რომელიც არ უკავშირდება საავტომობილო გზების ქსელს. ამ სოფლამდე გზის გაყვანას (გარდა იმისა, რომ იგი ამაღლებს სოფლის მეურნეობრივ და კულტურულ დონეს) აძლევრებს ის გარემოება, რომ ამ მიდამოებში არსებობს საშენებლო მასალების მნიშვნელოვანი მარაგი და ხე-ტყის მასივები. გზა ხელს შეუწყობს მათი ექსპლოატაციის დაჩქარებას.

საჭიროა კეთილმოწყობილი გზის მშენებლობა ამტყელის ტბისაკენ. გზას ექნება როგორც მეურნეობრივი (ხე-ტყის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვა), ისე ტურისტულ-საექსკურსიო (შეიძლება საკურორტოც) მნიშვნელობა. ადგილობრივი საკურორტო მნიშვნელობის იქნება აგრეთვე გზა სოფ. ჭუბურისხინჯიდან სატანჯოიმდე.

აფხაზეთის მთიანი რაიონების მეურნეობასა და მოსახლეობას მომსახურეობას უწევს საკავშირო ტრანსპორტი, რომლის ტვირთბრუნვის აღრიცხვა არ წარმოებს. ამიტომ ეკონომიური მაჩვენებლებით მასზე მსჯელობას მოკლებული ვართ.

აფხაზეთი საზღვაო ქვეყნად ითვლება. მის ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით აკრავს შავი ზღვა, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ავტონომიური რესპუბლიკის მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობების შექმნაში. აფხაზეთზე მოდის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ხა-

[10] *საორიენტაციო* გამოთვლები მოვაზდინეთ სოხუმის ს.გზაო-საექსპლოატაციო უბნის მონაცემების საფუძველზე. მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა არასიზუსტისა, ისინი ერთგვარ წარმოდგენას მაინც იძლევიან აღნიშნულ გზატკეცილზე მოძრაობის დაძაბულობის შესახებ.

[11] გ. გეფტმანის დასახელებული წიგნი, გვ. 192.

[12] გეოგრაფიის ინსტიტუტის ზემოთ დასახელებული საფონდო მასალა, გვ.5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის (310 კმ) დაახლოებით ორი მესამედი ნაწილი. ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონს გასავალი აქვს საზღვაო ტრასებზე. იგი ზღვით კავშირს იქერს რსფს რესპუბლიკასთან და უკრაინასთან, სახალხო დემოკრატიის ევროპულ ქვეყნებთან და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებთან.

ზღვა ყოველთვის წარმოადგენდა ამა თუ იმ საზღვაო ქვეყნის ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების მთავარ ფაქტორს. იგი აადვილებდა ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებას და მეზობელ ტერიტორიებთან ურთიერთობის განვითარებას. ასეთ როლს ასრულებდა შავი ზღვა და მისი ტრანსპორტი აფხაზეთის ზღვისპირა რაიონების მიმართ. აფხაზეთისათვის ისტორიულ წარსულში საზღვაო ტრანსპორტის დიდი მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდება იმის გათვალისწინებით, რომ 1931 წლამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზები არ არსებობდა, ხოლო არსებული ურელსო გზები არც თუ ისე კეთილმოწყობილი და სატრანსპორტო მიმოსვლისათვის გამოსადეგი იყო. მაშინაც კი, როდესაც (XIX საუკუნის დასასრულისათვის) გაიყვანეს გზა სოხუმსა და ზუგდიდს შორის, ტვირთების გადაზიდვა, ერთის მხრივ, სოხუმსა და, მეორეს მხრივ, მის სამხრეთით მდებარე სხვა საზღვაო პუნქტებსა და ზღვის სანაპიროებთან მდებარე ქალაქებს შორის ზღვით ხდებოდა. საზღვაო ტრანსპორტის უპირატესობას (სასმელეთო გზების უვარგისობის გარდა) ძალიერებდა გადაზიდვის სიიაფე, მაგალითად, 1932 წლისათვის სოხუმიდან გაგრამდე 1 ტ ხე-ტყის ვაგონით გადაზიდვის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 10—15 მანეთს, ავტომანქანით კი—დაახლოებით 95—100 მანეთს, ე. ი. 7,5-ჯერ მეტს[13]. 1936 წელს საბჭოთა კავშირში საზღვაო ტრანსპორტით 1 ტ ტვირთის 1 კმ-ზე გადატანის თვითღირებულება შეადგენდა მხოლოდ 0,9 კაპიკს, ე. ი. 1,4 კაპიკს 1 საზღვაო მილზე[14].

ზღვით ტვირთების გადაზიდვა ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე სმელეთით. „საზღვაო გზა ძალზე იაფია, რამდენადაც იგი „ააშენა“ თვით ბუნებამ“[15]. ზღვით 1 ტ ტვირთის გადაზიდვა დაახლოებით 3-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე რკინიგზით, 10-ჯერ უფრო იაფი, ვიდრე საავტომობილო გზით, 30-ჯერ უფრო იაფი, ვიდრე საქმაპანო ტრანსპორტით.[16]. ნ. ბარანსკის მიახლოებითი გამოთვლებით 1 ტ ტვირთის 1000 კმ-ზე გადაზიდვა ჯდება გრუნტის გზებით—600 მანეთი, გზატკეცილით—60 მანეთი, რკინიგზით—10 მანეთი. ხოლო წყლით—5 მანეთი და 60 კაპიკი.[17]. რაც უფრო დიდ მანძილზე ხდება გადაზიდვა, მით უფრო შესამჩნევია საზღვაო ტრანსპორტის სიიაფე. ეს უკანასკნელი გადაზიდვის მასშტაბისა და ამ სახის ტრანსპორტის ეკონომიურობის შედეგია. საზღვაო ტრანსპორტი იყო და არის აფხაზეთისა და სხვა საზღვაო ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირების იაფი და მოხერხებული საშუალება.

---

[13] А. В. Фадеев, Очерки по экономической географии Абхазии, Сухуми, 1932, გვ. 18.

[14] Т. С. Хачатуров. Размещение транспорта в капиталистических странах и в СССР, М., 1939, გვ. 672

[15] Ю. Г. Саушкин, Введение в экономическую географию, М., 1958, გვ. 310.

[16] გ. ჩიკვაიძე, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან, თბ. 1953, გვ. 67—68.

[17] Н. Н. Баранский. Экономическая география, экономическая картография, М., 1956, გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დინამიკის განხილვისას შეინიშნება, რომ შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანამდე საერთო საზღვაო ტვირთბრუნვა მატულობდა. მაგრამ აღნიშნული რკინიგზის გაყვანის შემდეგ სატვირთო ოპერაციების ნაწილმა რკინიგზის ტრანსპორტზე გადაინაცვლა. ამან კი გამოიწვია საზღვაო ტვირთბრუნვის შემცირება. რაც შეეხება აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვას, იგი რკინიგზის გაყვანით არამც თუ შემცირდა, არამედ პირ ქით—თითქმის ორჯერ გაიზარდა, რაც დაკავშირებულია ამ მხარეში კურორტების სწრაფ ზრდასთან და დამსვენებელთა და ტურისტთა დიდი რაოდენობით გადაყვანასთან.

1950 წელს აფხაზეთის საზღვაო ტვირთბრუნვა შეადგენდა საქართველოს შესატყვისი მაჩვენებლის 0,4%-ს, 1955 წლისათვის იგი უცვლელი დარჩა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა აბსოლუტურად არ იზრდებოდეს (იხ. ცხრილი ქვემოთ). პირიქით—იგი ყოველწლიურად მატულობს. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ პერიოდში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გაზიდვა-შემოზიდვით დიდად გაიზარდა საქართველოს პირველხარისხოვანი ნავსადგურები ფოთი და ბათუმი, რომლებზედაც გადის მასიური ტვირთები (მანგანუმის მადანი, ნავთობი და სხვ.). ამან მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვა. ხოლო რაც შეეხება აფხაზეთის საზღვაო პუნქტებს, კერძოდ სოხუმს, ტვირთბრუნვით ისინი დიდად ჩამორჩება აღნიშნულ ორ ნავსადგურს. ამ მხრივ მათი ერთმანეთთან შედარებაც კი არ შეიძლება. ხვედრითი წონა საქართველოს საერთო მაჩვენებელში იგივე დარჩა. თუმცა აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა თავისთავად შესამჩნევად გაიზარდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი[18]:

წელი	საერთო ტვირთბრუნვა (ათას ტონებში)	მგზავრების გადაყვანა	
		მგზავრები (ათასი კაცი)	მგზ.—მილი (ათასი)
1950	15,1	89,0	182,0
1955	31,4	327,7	1633,0
1958	42,7	902,0	4946,0

როგორც ვხედავთ, დროის აღებულ მონაკვეთში (1950—1958 წწ.) ტვირთბრუნვა გაიზარდა 2,8-ჯერ, ხოლო მგზავრების გადაყვანა—8,7-ჯერ. საზღვაო ტვირთების გადატანა თითქმის მოლიანად მცირე კაბოტაჟზე მოდის. დიდი კაბოტაჟით ტვირთბრუნვა იშვიათ შემთხვევაში ხდება. ნავსადგურებიდან გაზიდვის მთავარი ტვირთებია სამშენებლო მასალები, ჩაი, ციტრუსები, ხილ-ბოსტნეული, თამბაქო და სხვ. შემოზიდვაში ჭარბობს ავთომობილ პროდუქტები, ქანქარები, ლითონი, კვების პროდუქტები (ფქვილი, ბურღული, შაქარი) და სხვ. გაზიდული და შემოზიდული ტვირთების სტრუქტურის განხილვისას ნათლად ჩანს

[18] ზემოთ დასაბეჭდებული სტატისტიკური კრებული აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის შესახებ, გვ. 66. ცხრილი შედგენილია ეგრეთვე იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მივიღეთ სოხუმის ნავსადგურის სამმართველოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მეურნეობრივი სპეციალიზაცია, კერძოდ ის, რომ ეს მხარე არის ძირითადად სუბტროპიკული მეურნეობის და კურორტების რაიონი.

აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია სოხუმი, რომელსაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, უპირველეს ყოვლისა, ფართო ყურე გააჩნია. ნავსადგურის მიერ დაკავებული ტერიტორია შედგენს 0,8 ჰ-ს, აკვატორიისა კი — 50 ჰ-ს. 1930 წლამდე სოხუმს ჰქონდა მოუხერხებელი ნავმისადგომი, რაც მნიშვნელოვნად ადიდებდა სატვირთო ოპერაციების ღირებულებას. აუცილებელი შეიქნა ნავსადგურის რეკონსტრუქცია. აშენდა ცემენტ-ბეტონის ნავმისადგომი, რომლის შემდეგ ამ საზღვაო პუნქტის ეკონომიური მნიშვნელობა აფხაზეთისათვის განუწყვეტლივ იზრდება. სოხუმზე გადის ყირიმი-კავკასიის (ოდესა-ბათუმი) საზღვაო ტრასა, რომელიც შავი ზღვის მთავარი სამგზავრო ხაზია. სოხუმი მდებარეობს დაახლოებით შუა გზაზე ბათუმსა და სოჭს შორის. მის ნავსადგურში შემოდის შავი და აზოვის ზღვების აუზების პირველი კლასის სამგზავრო გემები.

გარდა სოხუმისა, შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე განლაგებულია ნავსადგურები: ოჩამჩირე, გაგრა; ნავმისადგომები: გუდაუთი, ახალი ათონი, განთიადი, ბიჭვინთა და სხვა, რომლებიც ემსახურება ძირითადად ადგილობრივ გადაზიდვებს. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მგზავრთა გადაყვანის საქმეში. აღნიშნული ნავსადგურებისა და ნავმისადგომების მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება კურორტებისა და ტურიზმის შემდგომ განვითარებასთან და ამდენად მგზავრთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით. აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტს მგზავრთა გადაყვანაშიაც რომ ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ეს იქიდან ჩანს, რომ 1958 წელს ზღვით გადაყვანილ მგზავრთა საერთო რაოდენობის (902,0 ათასი კაცი) 77,7% მოდიოდა ადგილობრივ ნაოსნობაზე.

საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა აფხაზეთის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობასთან და კურორტებისა და ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით დიდად გაიზრდება მომავალში. ამასთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გაფართოვდეს არაცბული ნავსადგურებგ. მიუხედავად ნავმისადგომების სიმრავლისა აფხაზეთში, მათი რაოდენობა კიდევ უნდა გადიდდეს, რადგან დამსვენებელთა და ადგილობრივი მარშრუტებით მგზავრთა გადაყვანა ყოველწლიურად მატულობს.

აფხაზეთის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებს საავიაციო ტრანსპორტი. იგი შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. მას, როგორც ტრანსპორტის იაფ და მოხერხებულ სახეს, დიდი პერსპექტივები აქვს საქართველოს მთიანი რაიონების, კერძოდ აფხაზეთის სამეურნეო და კულტურული მომსახურეობის საქმეში. გარდა ამისა, რომ აფხაზეთის საავიაციო ტრანსპორტი ემსახურება საგარეო ტვირთბრუნვასა და მგზავრების გადაყვანას, მას ადგილობრივი მნიშვნელობაც აქვს. მხედველობაში გვაქვს მისი საშუალებით სატრანსპორტო ურთიერთობის დამყარება მთიან აფხაზეთთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავიაციო ტრანსპორტს აფხაზეთის მალფუჭადი სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის საქმეში.

მკვეთრად იზრდება აფხაზეთის საავიაციო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში. ომამდელ, 1940 წელთან შედარებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა გაიზარდა 1950 წელს 2,1-ჯერ, 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

წულ—4,2-ჯერ. მგზავრთბრუნვის ასეთი ზრდა დაკავშირებულია იმასთან, რომ დამსვენებელთა რაოდენობა აფხაზეთის კურორტებზე ყოველწლიურად მატულობს. დამსვენებლები სარგებლობენ არა მარტო სარკინიგზო, არდა საზღვაო მიმოსვლით, არამედ საჰაერო ტრანსპორტითაც, რომელიც ხასიათდება დიდი სისწრაფით. ქალაქი სოხუმი საჰაერო მიმოსვლით დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან. აქ გადის მრავალი საჰაერო მაგისტრალი. საჰაერო მიმოსვლას აფხაზეთი ინხორციელებს სოხუმის აეროსადგურის საშუალებით.

იზრდება აფხაზეთის საჰაერო ტვირთბრუნვაც, თუმცა მისი ხვედრითი წონა აფხაზეთის ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვასა (0,1%) და საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში მცირეა.

აფხაზეთს, როგორც სხვადასხვა ნედლეულით მდიდარ მხარეს, უძველესი დროიდან ჰქონდა ეკონომიური კავშირურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. საკავშირო-ეკონომიური კავშირი მყარდებოდა საზღვაო ქვეყნებთან და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებთან. ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენ ვაჭრებს აფხაზეთიდან გაჰქონდათ სელი და მისი ქსოვილები, ტყავ-ბეწვეული და სხვ[19].

ისტორიულ წარსულში აფხაზეთის საექსპორტო საგნებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბზის შესახებ. წინათ ეს ძვირფასი ხე დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული კოლხეთის დაბლობზე. ამას მოწმობს მაგალითად ოჩამჩირის სახელწოდებაც (ჩამჩირ თურქულად ნიშნავს ბზას. „ოჩამჩირე, ე. ი. ბაბუ ადგილი). მას მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა: იგი წარმოადგენდა ძვირფას სამშენებლო მასალას, ძველ საქართველოში მას წარმატებით იყენებდნენ სახლების სახურავადაც[20] და სხვ. დიდი იყო უცხოელთა ინტერესი ამ ძვირფასი ხისადმი. ბზის სავაჭროდ აფხაზეთში მოდიოდნენ ჯერ კიდევ გენუელები (XII—XV საუკუნეებში). იმ ადგილს (ბიჭვინთასა და ბომბორს შორის), საიდანაც ბზა გაჰქონდათ, იტალიელებმა **Capo de Buis**-ი (ბზის ნავსადგური) უწოდეს. მათ მოჰქონდათ მარილი და ცვლიდნენ ამ ძვირფასი ჯიშის ხეზე.

მთელი სამუალო საუკუნეების განმავლობაში XIX საუკუნის დასასრულამდე აფხაზეთის ბზა დიდ ადგილს პოულობდა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე. დროთა განმავლობაში, ძლიერი ექსპლოატაციის გამო, აფხაზეთისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ბზის ტყეები გაიჩეხა. მიუხედავად ამისა, თ. სახოკიას ცნობით, გასული საუკუნის დასასრულისათვის აფხაზეთ-სამურზაყანოდან საზღვარგარეთ ყოველწლიურად იგზავნებოდა 650—800 ტონა ბზა[21].

მართალია, გასულ საუკუნეში სამრეწველო საწარმოების აღმოცენებამ და საგზაო მშენებლობამ ერთგვარად გამოაცოცხლა აფხაზეთის ეკონომიური ცხოვრება. მაგრამ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა, მხარის მეურნეობის აგრარული ხასიათი ზღუდავდა რაიონთაშორისი კავშირის გაფართოებას. ამ პერი-

---

[19] Сухуми и его окрестности (краткий историко-краеведческий очерк), под ред. Н. А. Бердзенишвили, издание Абгиза, 1953 გვ. 14; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 124 და სხვ.

[20] გეოგრაფია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (თარგმანი და და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა), ტომი მესამე, ტფ. 1936, გვ. 170.

[21] თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950, გვ. 317.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდის აფხაზეთის ეკონომიური კავშირი ასახავდა მხარის მეურნეობის არაინტენსიურ ხასიათს და მის დამოკიდებულებას მეტროპოლიისადმი.

გასულ საუკუნეში აფხაზეთის მთავარი საექსპორტო საგანი ბზასთან ერთად იყო სამინდი. მის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენდა თურქეთი. მცირე რაოდენობით სიმინდი გაჰქონდათ საფრანგეთშიაც (გარდა აღნიშნულისა, ამ მხარიდან გადიოდა თამბაქო, ხილი, თევზი, ტყავი და სხვ.). უცხოეთიდან აფხაზეთში შემოჰქონდათ თამბაქო, პირველადი მოთხოვნილების საგნები, შალის ქსოვილები, ქაღალდის ნაკეთობანი და სხვ. აფხაზეთიდან ზღვით ტვირთების გაგზავნა-შემოზიდვას ემსახურებოდა ძირითადად სოხუმისა და ოჩამჩირის ნავსადგურები.

XIX საუკუნის შუა წლებში საზღვარგარეთიდან აფხაზეთში საქონლის შემოტანასა და გატანაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

მაჩვენებლები სოხუმის ნავსადგურის შესახებ[22]

წელი	საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი (ათას მანეთებში ვერცლით)	საზღვარგარეთი გატანილი საქონელი (ათას მანეთებში ვერცლით)
1845	37,2	8,3
1850	296,5	27,2

გასული საუკუნის დასასრულისათვის რუსეთის საქონელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული აქაური ბაზარი. საქონელგაცვლით აფხაზეთი უცხოეთის საზღვაო ქვეყნებთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე რუსეთის რაიონებთან. ამისი ერთ-ერთი მიზეზი იყო შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებთან საზღვაო ტრანსპორტით დაკავშირების სიიაფე და მოხერხებულობა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მთლიანად შეიცვალა აფხაზეთის მეურნეობრივი და კულტურული სახე, რაც გამოსატულებას პოულობს თანამედროვე რაიონთაშორის კავშირში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გაცვლით დაუკავშირდა როგორც საქართველოს ცალკეულ კუთხეებსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებს, ისე საზღვარგარეთის ევროპულ, აზიურ და აფრიკული სახელმწიფოებს.

აფხაზეთი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სხვა რაიონებთან და სამრეწველო ცენტრებთან. მაგალითად: სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობანი ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონში იგზავნება თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, მინერალური სასუქები-რუსთავიდან, ფქვილი-ძირითადად თბილისიდან, შაქარი-აგარიდან, მეცხოველეობის კონცენტრიული საკვები-საქართველოს მსხვილი სამრეწველო ცენტრებიდან და სხვ. საქართველოს ფარგლებში აფხაზეთიდან გადის: ქვანახშირი (ძირითადად რუსთავში), ხე-ტყე და ავეჯი (საქართველოს მრავალ რაიონში), ფეხსაცმელი და მსუბუქი მრეწველობის სხვა ნაწარმი (სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში), ციტრუსოვანთა ნაყოფი (თბილისში, რუსთავში და სხვა სამრეწველო ცენტრებში), ჩაი (თბილისში). თამბაქოს ნედლეული და მზა პროდუქცია (ძირითადად თბილისში), თევზისა და ხილ-ბოსტნეულის კონსერვი (რესპუბლიკის მრავალ რაიონში) და სხვ.

[22] С. Пушкарев, Краткий очерк портов северо-восточного берега Черного моря и торгового на этом берегу мореплавания, Записки Кавк. Отд. имп. Русск. Геогр. Об-ва, кн. II, Тифлис, 1853, დამატებანი, გვ. 291.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება-გაგზავნით აფხაზეთს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს დამყარებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებთან. ჩვენი ქვეყნის მრავალ რაიონსა და ქალაქში იგზავნება აქაური ციტრუსოვანთა ნაყოფი, დაფნა, ხილი, თამბაქო. ეთერზეთების ქარხნების პროდუქცია მიდის მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, რიგის საპარფიუმერიო ქარხნებში. ჩაი იგზავნება ძირითადად ირკუტსკის, რიაზანისა და მოსკოვის ჩაის გადამწონ ფაბრიკებში. სამსუნის ჯიშის თამბაქო, რომელიც თავისი ხარისხით ცნობილია მსოფლიო მასშტაბით, ნახევარფაბრიკატის სახით მიდის მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე რსფსრ-ს, უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების თამბაქოს ქარხნებში. საკონდიტრო ნაწარმი იგზავნება ძირითადად რსფსრ-ში.

სანაცვლოდ აფხაზეთი ღებულობს: ქვანახშირს, მარცვლეულს, შაქარს—უკრაინიდან, მარცვლეულს, ცემენტს—რსფსრ-დან, მანქანა-მოწყობილობებს—მოსკოვის, ლენინგრადის, დონის როსტოვის სამრეწველო საწარმოებიდან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს—ჩრდილოეთი კავკასიიდან და სხვ.

ეკონომიური ურთიერთობით აფხაზეთი დაკავშირებულია უცხოეთის ქვეყნებთანაც. ამ მხარის მაღალხარისხოვანი თამბაქო იგზავნება ეგვიპტეში (აქედან ხდება მისი რეექსპორტი), ალბანეთში, შვეიცარიაში, ბულგარეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. 1959 წელს აფხაზეთიდან საექსპორტოდ გაიგზავნა 245 ტ თამბაქო.

უცხოეთიდან აფხაზეთში შემოდის: ქაღალდი ფინეთიდან, საკონდიტრო წარმოებისათვის საჭირო ნედლეული—ჩინეთიდან და ინდოეთიდან და სხვ. 1959 წელს ვიეტნამიდან შემოტანილ იქნა სამრეწველო ხე-ტყე.

აფხაზეთის სამეურნეო და კულტურული განვითარების მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია ტრანსპორტის ძირითადი სახეებით. ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომ ეკონომიურ აღმავლობასთან ერთად გაიზრდება ტრანსპორტის როლი მხარის სამეურნეო ცხოვრებაში. ეს კი თავისთავად გააღიდებს აფხაზეთის კავშირურთიერთობას საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან.

Р. И. КВЕРЕНЧХИЛАДЗЕ

ТРАНСПОРТ И МЕЖРАЙОННЫЕ ЭКОНОМИЧЕСКИЕ СВЯЗИ АБХАЗИИ

Резюме

Абхазская АССР располагает выгодным транспортно-географическим положением. По ее территории проходят коммуникации большого экономического значения, при помощи которых осуществляется связь Абхазии и всего Закавказья с другими районами Советского Союза. После проведения Черноморской железнодорожной магистрали (Самтредиа—Туапсе) Абхазия уже не является транспортным тупиком, что оказало значительное влияние на ее хозяйственное и культурное развитие.

Абхазия в основном горная страна с сильно расчлененным рельефом. Целый ряд горных хребтов, пересеченных многочисленными глу-

ეროვნული ბიბლიოთეკა

бокими и узкими ущельями, тянется в различном направлении, препятствуя сухопутному сообщению[23].

В статье дается экономико-географическая характеристика основных видов современного транспорта Абхазии — железнодорожного, автомобильного, морского и воздушного.

Доля железнодорожного транспорта в общем грузообороте сухопутного и морского транспорта в Абхазской АССР составляет 75%. На каждые 100 кв. км. территории приходится 2,6 км железных дорог, на каждые 1000 чел. населения — 0,6 км. Железные дороги Абхазии — Черноморская магистраль с ответвлением Очамчире-Акармара, полностью электрофицированы. Черноморская магистраль и Черноморское шоссе (Батуми—Новороссийск) основные транспортные артерии Абхазии. Они пересекают субтропические районы, сосредотачивающие в себе большую часть населения, промышленные центры и курорты. На протяжении последних 20 лет (с 1938—1958 гг.) грузооборот Абхазской АССР возрос в 8,1 раза и составил 3228,1 тыс. тонн. Если в 1940 г. грузооборот железнодорожного транспорта составлял 3,0% соответствующего показателя Грузинской ССР, то его доля в 1950 году возросла уже до 9,5%. Такой подъем грузооборота был вызван развитием угольной и лесной промышленности, специализированных отраслей сельского хозяйства и курортным строительством в Абхазской АССР.

В условиях горного рельефа Абхазии, в местных перевозках немаловажную роль играет автомобильный транспорт, характеризуемый высокой проходимостью и маневренностью. Быстрое развитие промышленности, сельского хозяйства и курортов за годы Советской власти повлекло за собой и развитие автотранспорта. Расширилась дорожная сеть, повысился технический уровень автомобильных дорог, и поэтому себестоимость перевозок, в сравнении с другими районами Грузии, в Абхазской АССР небольшая. Например, себестоимость 1 тонны груза на 1 кв. км в Юго-Осетинской автономной области равна 68,0 коп., против 43,5 в Абхазии. Густота автомобильных дорог в Абхазии такова: на каждые 100 кв. км территории приходится 17,9 км; соответствующий показатель Аджарской АССР равен 37,0 км, Юго-Осетинской ао — 6,9 км, а по Грузинской ССР — 24,4 км. В 1950 г. грузооборот автотранспорта составлял 5,9% всего грузооборота сухопутного и морского транспрта Абхазской АССР, а в 1958 г. его доля возросла до 25,1%. Если в 1950 г. грузы ,перевозимые автотранспортом Абхазии, составляли 0,4% грузов автотранспорта Грузии, то в 1956 году этот показатель достиг 1,1%. Основные автомобильные дороги Абхазии: Черноморское шоссе, Сухуми—Черкесск (бывшая Военно-Сухумская дорога) и др.

Значительную роль в обслуживании горной части Абхазии выполняет гужевой транспорт, который обеспечивает местные перевозки на небольшие расстояния.

Динамика грузооборота морского транспорта Абхазской АССР показывает, что до проведения Черноморской железной дороги грузооборот морского транспорта имел тенденцию к росту, а после проведения указанной магистрали часть грузовых операций стала вы-

[23] В виду ограниченности публикуемого объема работы, материалы по историко-географической характеристике транспорта Абхазии в данной статье не даются, они будут опубликованы особо.

ეროვნული ბიბლიოთეკა

polnyatsya zheleznoy dorogoy. Pri etom passazirooborot morskogo transporta ne umenshilsya, a vozrosshi v 2 raza, chto obusloveno bystrym rostom kurortov i intensivnym perevozom bolshogo kolichestva otdyakhayushchikh i turistov. V 1950 g. gruzooborot morskogo transporta Abkhazii sostavlyal 42,7 tys. tonn, t. e. 0,4% analogichnogo gruzooborota Gruzii. Perevozka morskikh gruzov proiskhodit pochti tseliko na malyy kabotazh. Osnovnye porty Abkhazii—Sukhumi, Ochamchire, Gagra i dr.

Novym vidom transporta, kak dlya nashey strany v tselom, tak i dlya Abkhazii yavlyaetsya aviatsionnyy transport. Etot vid transporta osobenno znachitelen dlya kratkovremennoy perevozki passazirov i skoroportyashchikhsya selskokhozyaystvennykh gruzov. Aviatransport imeet bolshie perspektivy, osobenno bystrymi tempami rastut perevozki passazirov.

Posle ustanovleniya Sovetskoy vlasti v Abkhazii polnostyu izmenilsya ee khozyaystvennyy i kulturnyy oblik, chto otrazilos takzhe i na ne tolko s drugimi raionami Gruzii i Sovetskogo Soyuza, no i s nekotorymi zarubezhnymi stranami. Iz Abkhazii vyvozitsya ugol, les, produktsiya legkoy promyshlennosti, efirnye masla, konservy, tabak, chay, fruktsy (osobenno tsitrusovye) i dr. V avtonomnuyu respublyku vvozitsya promyshlennye i selskokhozyaystvennye mashiny, tsement, mineralnye udobreniya, selskokhozyaystvennye produkty i drugie tovary.

Vyshe-ukazannymi vidami transporta potrebnosti khozyaystvennogo i kulturnogo razvitiya Abkhazii v osnovnom udovletvoreny. Naryadu s dalneyshim ekonomicheskim podyemom avtonomnoy respublyki vozrastet i rol transporta v khozyaystvennoy i kulturnoy zhizni ekonomiko-geograficheskogo rayona, chto uvelichit ekonomicheskie svyazi Abkhazii s drugimi raionami nashey strany.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. გოშაძე გ., ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ელექტროფიკაციისა და ექსპლოატაციის საკითხისათვის, თბ., 1959
2. კვერენჩილაძე რ., კვემო იმერეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია, ქვემო იმერეთი, თბ., 1960.
3. Белоусов И. И., О нерациональных перевозках, География и хозяйство, Сб. 1, М., 1958.
4. Никольский И. В., География транспорта СССР, М., 1960.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. რკინიგზის შავი ზღვის მაგისტრალი და შავი ზღვის გზატკეცილი



სურ. 2. შავი ზღვის გზატკეცილის ერთ-ერთი ნონაკეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 3. გაგრის რკინიგზის ბაქანი



სურ. 4. სოხუმის ნავსადგურის გენთმისადგომი

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XVI, 1961
Академия наук Груз. ССР — Труды Института географии им. Вахушти, т. XVI, 1961

ნ. ნაფაქმბია

აფხაზეთის ასსრ-ს შიდარაიონული სხვაობანი

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული ისე ეკონომიურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთ მთლიანს წარმოადგენს, მის ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს ქვერაიონები, რომლებიც გარკვეულად განსხვავდება ერთიმეორისაგან არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ მეურნეობის ცალკეული დარგების შეთანაწყობით და მოსახლეობის სიმჭიდროვით.

აღნიშნულ სხვაობათა ს ფუძველზე აფხაზეთში შეიძლება გამოიყოს ჩრდილოეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვერაიონი.

I ჩრდილოეთ-დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონი

ჩრდილოეთ-დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში შედის სოხუმის, გუდაუთის, გაგრის ადმინისტრაციული რაიონები და ქ. სოხუმი. იგი მოიცავს ზღვის სანაპირო ვაკე-დაბლობს, ძლიერ დანაწევრებულ გორაკ-ბორცვიან წინამთებს და აფხაზეთის, ბზიფისა და გაგრის ქედების სუშელო და მაღალმთიან ტერიტორიებს. ბუნებრივი რესურსებიდან აქ აღსანიშნავია ჰიდრორესურსები და ტყეები, წიაღისეულიდან კი—ბარიტი. ქვერაიონის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მეთამბაქოეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის, მევენახეობის და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონის სამეურნეო ცხოვრება ძირითადად თავმოყრილია მის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც მთელი ტერიტორიის დაახლოებით ერთი მეოთხედი უკავია. იგი მოიცავს მჭიდროდ დასახლებულ სანაპირო დაბლობს, ამაღლებულ ვაკე-დაბლობს და გორაკ-ბორცვიან ზონას. აქ მდებარეობს აფხაზეთის ყველაზე დიდი ქალაქი სოხუმი, რომელიც გამოირჩევა თავისი ადმინისტრაციული, კულტურული, სამრეწველო, სატრანსპორტო და საკურორტო ფუნქციებით. სხვა ქალაქებიდან და მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან აღსანიშნავია: გაგრა, გუდაუთი, ახალი ათონი, გულრიპში, ლესელიძე და სხვ. ქვერაიონის ამ ნაწილში ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 95%. აქვეა თავმოყრილი ენერგეტიკული, კვების, ხე-ტყის დამმუშავებელი, მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოები, თამბაქოს, ციტრუსების, ჩაის, ტუნგის პლანტაციები, ვენახები და ბაღ-ბოსტნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რაიონის ხელსაყრელმა ეკონომიურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა განაპირობეს მისი მნიშვნელოვანი ეკონომიური როლი აფხაზეთის მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის ეს ნაწილი გადაიქცა კვების, ხე-ტყის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის, მეთამბაქოეობის, მეხილეობა-მევენახეობის, მეჩაიეობის დასაკურორტო მეურნეობის მნიშვნელოვან რაიონად.

ქვერაიონის მრეწველობის მძლავრ დარგს წარმოადგენს კვების მრეწველობა, რომელიც იძლევა ავტონომიური რესპუბლიკის კვების მრეწველობის ძთელი პროდუქციის ღირებულების თითქმის 58%; ეს დარგი წარმოდგენილია თამბაქოსა და ჩაის ფაბრიკებით, საცხობებით, თევზის, ხორცის, ღვინის ქარხნებით და სხვ. მნიშვნელოვანია სატყეო და ხის გადამამუშავებელი მრეწველობა. მასზე მოდის აფხაზეთის მთელი ანალოგიური დარგის პროდუქციის ღირებულების 80%-ზე მეტი. ამ მრეწველობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენენ კოდორის ხე-ტყის კომბინატი, ბიჭვინთის, ჩხალთის სახერხი ქარხნები, გაგრისა და სოხუმის ავეჯის ფაბრიკები.

დიდია ამ რაიონის ხვედრი წონა სამშენებლო მასალების წარმოებაშიც (დაახლოებით 75%). აქვეა მთლიანად თავმოყრილი ლითონდამუშავებული მრეწველობაც. მაგრამ მისი მნიშვნელობა აფხაზეთის საერთო მრეწველობაში ჯერ კიდევ მცირეა.

გარდა ამისა, აქ წარმოდგენილია მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობის რიგი საწარმოები.

განსაკუთრებული ადგილი ქვერაიონის მეურნეობაში მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას უკავია.

დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მეთამბაქოეობას, რომელზედაც მოდის აფხაზეთის თამბაქოს ფართობის თითქმის 76%. თამბაქოს გასაგრცელებლად განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებით ხასიათდება სოხუმის რაიონი, კერძოდ კი გორაკ-ბორცვიანი წინამთების ზონა 300 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან. აქაურ ნიშმპალა-კარბონატულ ნიადაგებზე მოდის „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო, რომელიც თავისი მაღალი ხარისხით ცნობილია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. თამბაქოს პლანტაციების ფართობით აქ გამოირჩევა დრანდის, მერხეულის, გულრიპშის, მაჯარის, თავისუფლების, გუმისთის, ზემო ეშერის და ბესლეთის სასოფლო საბჭოები.

გუდაუთის რაიონში საკმაოდ დიდი ფართობი უკავია თამბაქოს ანუ ხვის, აჭანდარის, ჯირხვის, მწარას, აგარაკის, პრიმორსკოეს და ლიხნის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე.

მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ თამბაქო ამ რაიონში მეტ-ნაკლებად ყველგან არის გავრცელებული, გარდა დურიპშისა და კულანურხვის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებისა.

მეთამბაქოეობით გამოირჩევა გაგრის რაიონიც, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი. საუკეთესო პირობებია მეთამბაქოეობისათვის მდ. ფსოუს, ლაფსტას მეხადრის, ხაშუპსეს ქვემო და შუა წელს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. ეს ნაწილი ძირითადად უკავია ამაღლებულ ვაკე-დაბლობს და ბორცვიან წინამთებს. აქ გავრცელებული ნიშმპალა-კარბონატული ნიადაგები და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგები საუკეთესოა თამბაქოს გასავრცელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ხელსაყრელია სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობები, რომლებიც უხვად განიცდის მზის რადიაციას. აქაური თამბაქო გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ხარისხით. ამასთან ერთად, რამდენადაც ამ მხარის რელიეფი ხასიათდება ნაკლები დანაწევრებით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა შეიძლება მექანიზაციის გამოყენება. უფრო რთულია დასამუშავებლად ამ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც ძირითადად გორაკ-ბორცვებს მოიცავს. თუმც აქაური ნიადაგურ-კლიმატური პირობებიც ძალზე ხელსაყრელია მეთამბაქოეობისათვის. აქ თამბაქო 200 მეტრიდან 500—600 მეტრამდე ვრცელდება. ამ კუთხეში თამბაქოს მოყვანით გამოირჩევა განთიადის, ლესელაძის, ნაკადულის, ბალნარისა და ხაშუფსეს სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები. სოფლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია განთიადი, ხეოვანი და სულევო.

გაგრის რაიონში მეორე მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს კოლხიდა-ბზიფის მეთამბაქოეობის უბანი, რომელიც მოიცავს გაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორაკ-ბორცვებს და მდ. ბზიფის შესართავ ნაწილს. აქ მეთამბაქოეობით გამოირჩევა კოლხიდის, ბზიფისა და ალახაძის სასოფლო საბჭოები.

საკმაოდ მძლავრია ამ რაიონში სუბტროპიკული მეურნეობა, რომელიც წარმოდგენილია მეჩაიეობით, მეციტრუსეობით და ტუნგის პლანტაციების გაშენებით. ამათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეჩაიეობა, რომელიც რაიონის რიგ კოლმეურნეობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აფხაზეთის ამ ნაწილზე მოდის ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის დაახლოებით 12%. მეჩაიეობის ძირითადი უბანია გუდაუთის რაიონი, კერძოდ კი—დურიშ-ლიხნის პლატო. აქ ყვითელ მიწებზე და მურამიწებზე საუკეთესო პირობებია ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. ჩაის პლანტაციების თითქმის 90% მეტი თავმოყრილია დურიფშისა და ლიხნის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში. მეჩაიეობით აქ განსაკუთრებით გამოირჩევა სოფ. დურიპშისა და ლიხნის კოლმეურნეობები. მეჩაიეობას მისდევენ ავრეთვე: მეგუძირხვეის, ზვანდრიფშის, ჯირხვის, ყულანურხვეის, ბარმაშის, აცისა და ახალი სოფლის კოლმეურნეობები. მცირე ფართობი უკავია ჩაის კულტურას კალდასვარის, ბალაბურხვის, აშანდარის და პრიმორსკოეს კოლმეურნეობებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩაის საშუალო საკენტრო მოსავლიანობით გუდაუთის რაიონს პირველი ადგილი უკავია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სოხუმის რაიონში მეჩაიეობას ძირითადად მისდევენ ლარგდისა და გულრიპშის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე. გუმისთის, მერეეულის, ბესლეთის, კელასურის სასოფლო-საბჭოებში მათი ფართობი უმნიშვნელოა. მეჩაიეობის სუსტად განვითარება სოხუმის რაიონში შესაფერისი ნიადაგების უქონლობით აიხსნება. გაგრის რაიონში მეჩაიეობას არ მისდევენ. ეს რაიონი ითვლება აფხაზეთის მეციტრუსეობის მთავარ რაიონად. მასზე მოდის ავტონომიური რესპუბლიკის ციტრუსოვანი ნარგავების თითქმის 78% (1770 ჰექტარი).

ციტრუსოვანი ხეხილის დიდი ფართობები გვხვდება გულრიპშის, დრანდის, ეწერის, ბესლეთის, ზემო ეშერისა და მაპარის სოფლსაბჭოთა ტერიტორიებზე. გუდაუთის რაიონში ამ მხრივ გამოირჩევა პრიმორსკოეს, ფსირცხის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუგუძირხვის, ჯირხვის, ლიხნის და აგარაკის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ რაიონის ტერიტორიაზე გაშენებულია აფხაზეთის ორი დიდი მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა—გულრიპშისა და ახალი ათონის. ციტრუსოვანი ხეხილი საკმაოდ არის აგრეთვე გაშენებული „დიოსკურიის“ საბჭოთა მეურნეობაში და რიგ კოლმეურნეობაში. ციტრუსოვანთა ნარგავები გვხვდება აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზედაც.

ხელსაყრელი პირობებია აგრეთვე ციტრუსოვანი ხეხილის გავრცელებლად გაგრის რაიონში. მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ახალაძეს მიდამოებში გაშენებულია აფხაზეთის ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობა—გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა. მეციტრუსეობას მისდევენ აგრეთვე კოლხიდის, განთიადის, ლესელიძისა და ბზიფის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონის ცალკეულ კუთხეებში ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობებია, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ციტრუსეულების განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, ეს შეიძლება ითქვას განთიადისა და ლესელიძის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე წარმატებით შეიძლება მანდარინის პლანტაციების გაშენება.

გაგრის რაიონზე მოდის აფხაზეთში გავრცელებული ციტრუსოვანი ნარგავების დაახლოებით 20%.

საკმაო ადგილს იჭერს ამ ქვერაიონის სუბტროპიკულ მეურნეობაში ტუნგის კულტურა, რომელსაც უკავია მთელი აფხაზეთის ტუნგის ნარგავების დაახლოებით 33% (855 ჰექტარი). იგი ძირითადად გავრცელებულია სოხუმისა და გუდაუთის რაიონების გორაკ-ბორკიკვან ნაწილში, უმთავრესად კარბონატულ ნიადაგებზე. პლანტაციების ყველაზე მეტი ფართობი (ნარგავების 16%) მოდის გუდაუთის რაიონზე, სადაც ტუნგის დიდი ფართობით გამოირჩევა სოფელ აგარაკის მიდამოები, მას მოჰყვება ლიხნის, ჯირხვის, აკანდარის, პრიმორსკოეს, ანუხვის და ოთხარის კოლმეურნეობები. სოხუმის რაიონში ტუნგის გავრცელებით განსაკუთრებით გამოირჩევა ძისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი—გულრიპშისა და დრანდის კოლმეურნეობები, აგრეთვე თვით სოხუმის ირგვლივ მდებარე სოფლების ზემო ეშერის, გუმისთვის, მერხეულისა და მაჯარის მიდამოები. გაგრის რაიონში ტუნგს მცირე ფართობი უკავია (აფხაზეთის მთელი ფართობის 3,2%).

ამ რაიონის ზომიერი ჰავა, საკმაო ნალექები, ყვითელმიწა, წითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ხელსაყრელია მეხილეობისა და მევენახეობის ფართოდ განვითარებისათვის.

ხეხილის გავრცელებით განსაკუთრებით გამოირჩევა ქ. სოხუმის მიდამოები, რომლის ირგვლივაც შექმნილია მეხილეობის საკმაოდ მძლავრი ზონა. მსხლის, ვაშლის, ბლის, ატმის, ქლიავის, ლეღვის, ტყემლისა და სხვა ხეხილის მასიური ნარგავებით გამოირჩევა ბესლეთის. კელასურის, ოდიშრის, ეშერის, გუმისთის, გულრიპშისა და დრანდის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები. გუდაუთის რაიონში მეხილეობით ცნობილია ახალი სოფლის, ოთხარის, ჯირხვის, ლიხნის, მწარის, ზვანდრიფშის და აცის კოლმეურნეობები. აქაურ ხილს დიდი მნიშვნელობა აქვს დამსვენებლების უზრუნველსაყოფად ზაფხულის პერიოდში. ამავე დროს მას იყენებს სოხუმის საკონსერვო მრეწველობა.

ხეხილის ბაღების საკმაო მასივები გვხვდება აგრეთვე გაგრის რაიონში. აქ ხეხილიდან უმთავრესად გავრცელებული ქლიავი, მსხალი, ალუბალი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა შამამ ქლიავმა (იტალიური უნგრული), რომლის ნარგავებიც უმთავრესად თავმოყრილია რაიონის დასავლეთ ნაწილში. შავი ქლიავის ბაღებით გამოირჩევა ლესელიძის, განთიადის, ნაკადულის და მიხელრიპშის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები. ფსოუს ხეობაში გავლისას მგზავრს თვალში ეცემა სოფ. სალმეს, სულევოსა და მიხელრიპშის მიდამოებში გაშენებული შავი ქლიავის მოზრდილი ბაღები. უკანასკნელ პერიოდში შავი ქლიავის გავრცელება კოლხიდისა და ბზიფის სოფლსაბჭოების ტერიტორიაზეც დაიწყეს, მაგრამ სათანადო ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო მან ფართოდ ვერ მოიკიდა ფეხი.

მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია რაიონში მევენახეობის განვითარებისათვის. ვენახებს აქ უკავიათ 3199 ჰექტარი ანუ აფხაზეთის მთელი ვენახების ფართობის დაახლოებით 67%. აფხაზეთის ეს ნაწილი ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა მევენახეობით. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40—50-იან წლებში ბიჭვინთის კონცხიდან მოყოლებული ოჩამჩირემდე მთელი სანაპირო და გორაკ-ბორცვითი ზოლი გარეული ვენახით ყოფილა დაფარული.[1] მაშინ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მევენახეობით ბომბორი, ლიხნი, კულანურხვა, აცი, დრანდა და სხვ.[2]. ამ რაიონის ღვინოები, განსაკუთრებით კი ბომბორის ღვინო, საუკეთესო ყოფილა, იგი თურმე არ ჩამოუვარდებოდა ყირიმის ღვინოსაც კი. იმ პერიოდში წლიურად ამზადებდნენ დაახლოებით 50.000 ვედრო ღვინოს. ღვინის ნაწილი გაჰქონდათ ანაპაში, ნოვოროსიისკში, რეფუტ-კალეში და სხვ.[3]. 80-90-ანი წლებში ვენახების დიდი ნაწილი სოკოვანმა დაავადებამ მოსპო. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში მევენახეობა აქ ერთგვარად გამოცოცხლდა, მაგრამ იგი მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა მხარის მეურნეობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება ექცევა ამ რაიონში სამრეწველო ხასიათის ვაზის ჯიშის გავრცელებას. განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა ქალაქ გუდაუთის ირგვლივ მდებარე ტერიტორია, სადაც ყვითელმიწა და წიმომპალა-კარბონატული ნიადაგებზე კარგად იხარა ვაზმა. მევენახეობით გამოირჩევა ახალი სოფლის, ლიხნის, ანუხვის, ოთხარის, აჭანდრის სასოფლო საბჭოები. აქ ჯერჯერობით აშენებენ როგორც დაბლარ, ისე მაღლარ ვენახს. უფრო მეტი ყურადღება ექცევა დაბლარი ვაზის გაშენებას. დაბლარიდან ძირითადად გავრცელებულია „ცოლიკოური", აგრეთვე „ჩხავერი", „ფასლა" და სხვ. მაღალი მოსავლიანობითა და მაღალხარისხოვანი საღვინე მასალის დამზადებით ცნობილია ახალი სოფელი და ბომბორის საბჭოთა მეურნეობა.

სოხუმის რაიონში მევენახეობით გამოირჩევა ქალაქის ირგვლივ მდებარე სასოფლო საბჭოების ტერიტორიები, რომლებიც რკალივით არტყია მას. აქ გორაკ-ბორცვებზე, მდ. გუმისთისა და კელასურის ტერასებზე ვაზი მეტად კარგად ხარობს. აქაც უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა დაბლარი ვენახის გაშენებას.

დიდი ყურადღება მიექცა მევენახეობის განვითარებას გაგრის რაიონშიც. ამჟამად ვენახების საერთო ფართობი აქ დაახლოებით 700 ჰექტარია, რაც აფ-

[1] Кутаисское генерал-губернаторство часть 5, стр. 251.
[2] იქვე, გვ. 252.
[3] იქვე გვ. 253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზეთის ვენახების საერთო ფართობის თითქმის 15% შეადგენს. ჯერჯერობით ჭარბობს მაღლარი ვენახი, მაგრამ დაბლარის ფართობი შეუნელებლად იზრდება. აქ ძირითადად აშენებენ „ცოლიკოურს“, აგრეთვე „შასლას“, „ოჯალეშს“, „ჩაუშს“ და სხვ. მეევნახეობით განსაკუთრებით გამოირჩევა განთიადის და ლესელიძის სოფლსაბჭოები. სოფლებიდან აღსანიშნავია ხვივანი და ლესელიძე.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია მარცვლეულის მეურნეობა, რომელსაც აქ სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს. მარცვლეულიდან თესენ მხოლოდ სიმინდს. იგი უმთავრესად გავრცელებულია ქვეყარაონის დაბლობ ნაწილში. აგრეთვე მდ. კოდორის, კელასურის, მაჭარის ხეობებში. სოხუმის რაიონში სიმინდის მოსავლიანობითა და ფართობით გამოირჩევა ბესლეთის, გუმისთისა და ესტონკას კოლმეურნეობები, გუდაუთის რაიონში კი—ახალსოფლისა და ლიხნის კოლმეურნეობები. სულ სიმინდის საერთო ფართობი ამ მიკრორაიონში 17 ათას ჰექტარამდეა, რაც აფხაზეთის მთელი მარცვლეულის ნათესი ფართობის დაახლოებით 49% შეადგენს. უკანასკნელ პერიოდში აღსანიშნავია ნათესების შემცირება, ეს მოვლენა გამოწვეულია, ერთის მხრივ, მრავალწლიანი კულტურების ზრდით, მეორეს მხრივ, კი ეროზიული მოვლენებით, რომლის მიმართაც ჯერჯერობით სათანადო ზომებს არ ღებულობენ.

მეცხოველეობას. მარცვლეული მეურნეობისაგან განსხვავებით საქონლური მნიშვნელობაც აქვს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობა აფხაზეთის ამ ნაწილში, რსვევ, როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს, რადგან იგი მოკლებულია სათანადო საკვებ ბაზას. მეცხოველეობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს საძოვრებისა და სათიბების სიმცირე. თითქმის აღარ არის ე. წ. „გარდამავალი საძოვრები“ სოფელსა და საზაფხულო საძოვრებს შორის. ეს გარემოება ძირითადად გამოიწვია სოფლის მიდამოებში არსებული მიწების მაღალსაქონლური კულტურებით დაკავებამ. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ რაიონში არის ცდები მაღალპროდუქტიული მერძევე მესაქონლეობის გასავითარებლად, რასაც მოწმობს საკვები კულტურებისა და სასილოსე სიმინდის ფართობის წლითიწლობით ზრდა. საკვებ კულტურებს აქ უჭირავს 3172 ჰექტარზე მეტი, რაც აფხაზეთის ანალოგიური კულტურით დაკავებული ფართობის თითქმის 49%-ია. მერძევე-მესაქონლეობის მსხვილი ფერმები შექმნილია ქალაქების და კურორტების მახლობლად მდებარე კოლმეურნეობებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვეყარაონისათვის საგარეუბნო სოფლის მეურნეობას, რომელიც ძირითადად მომსახურეობას უწევს ამ რაიონის საკურორტო მეურნეობას. ამ მიზნით ბიუჯეტნის კონცხზე შეიქმნა გაგრის მებოსტნეობისა და სარძევე და მესაქონლეობის მეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლებიც სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს აწვდის ფრინველს, რძესა და ბოსტეულს. გარდა ამისა, მერძევეობასა და მებოსტნეობას მისდევს რაიონის რიგი კოლმეურნეობა. გაგრის რაიონში მებოსტნეობა-მებაღეობით განსაკუთრებით გამოირჩევიან სალმესა და ხვივანის კოლმეურნეობები. კარტოფილის წარმოებით ცნობილია ლესელიძის, სულეკოს, ხაშუფსეს და ბზიფის კოლმეურნეობები. სამწუხაროდ, რაიონის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყოფს რძითა და ბოსტნეულ-ბაღეული პროდუქტებით გაგრის საკურორტო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას. მებოსტნეობა-მებაღეობისა და მერძევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიჭვინთის კონცხის დაკაობებული ადგილის ამოშრობას და მათ ათვისებას, მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში განზრახულია ბიჭვინთის საკურორტო მეურნეობის ფართო მშენებლობა. სოხუმის რაიონში მებოსტნეობა-მებაღეობითი გამოიყენება მებღვლობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა „დიოსკურია". გუდაუთის რაიონში კი — ახალსოფლისა და ლიხნის კოლმეურნეობები.

აფხაზეთის ამ ნაწილზე მოდის მთელი რესპუბლიკის ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ფართობის 71% ანუ დაახლოებით 1400 ჰექტარი. უნდა აღენიშნოთ, რომ ეს დარგი აქ ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას და ამის გამო დამსვენებლებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას ბოსტნეულის პროდუქტებზე ვერ უზრუნველყოფს.

ამ რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა, რომელსაც აფხაზეთის სათვეზაო უბნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება. ქვერაიონის სანაპირო ზოლში არის სოხუმის, გუდაუთის, განთიადის, გაგრისა და ბიჭვინთის სათვეზაო უბნები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული თევზის გადამამუშავებელ საწარმოებთან. ამ უბნებიდან თევზეურის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიჭვინთის უბანი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გაგრის რაიონი იძლევა აფხაზეთის თევზეურის ნახევარზე მეტს: ამ რაიონში სამრეწველო მნიშვნელობის თევზეებიდან იკერეს ტაკვრულას, ქაფშიას და პელამიდს. თევზის გადამუშავება ხდება სოხუმის, გაგრის, ბიჭვინთის და განთიადის საწარმოებში. ბიჭვინთის საკონსერვო საამქრო უშვებს მაღალხარისხოვან კონსერვებს, რომელთა ნაწილი საზღვარგარეთაც კი იგზავნება.

ქვერაიონის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ს ა კ უ რ ო რ ტ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ამ სანაპირო ზოლზე მდებარეობს საბჭოთა კავშირში ცნობილი კურორტებ : გაგრა, ახალი ათონი, გუდაუთი, გულრიპში და ქალაქი-კურორტი სოხუმი. ყოველ მათგანს თავისებური სილამაზე და მიმზიდველობა ახასიათებს, რაც განპირობებულია ირგვლივ მდებარე ბუნებრივი ლანდშაფტის სიჭრელით, არქიტექტურული ანსამბლების მრავალფეროვნებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკურორტო მეურნეობა ამ ქვერაიონის სპეციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გამომხატველია. განსაკუთრებული ადგილი უკავია გაგრას, რომელიც წარმოადგენს არა მარტო აფხაზეთის, არამედ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმსხვილეს საკურორტო რაიონს. საკურორტო ზონა აქ გაჭიმულია მდ. ფსოუს შესართავიდან ბიჭვინთის კონცხამდე. კურორტებიდან და საკურორტო ადგილებიდან აქ აღსანიშნავია ლესელიძე, განთიადი, გრეგეშოკი, გაგრა და ბიჭვინთა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გაგრა, რომელიც შესანიშნავი კლიმატური პირობებით ხასიათდება. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში არსად იცის ისეთი თბილი ზამთარი, როგორც აქ. ზომიერი ჰავის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაგრის ქედს, რომელიც იცავს კურორტს ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან. გაგრის ქედი ზედ კურორტთან ეშვება და წარმოქმნის ე. წ. „გაგრის ვიწრო კორიდორს". განუშორებელ სილამაზეს წარმოადგენს ერთის მხრივ, სანაპირო ზოლი მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით და, მეორეს მხრივ, გაგრის მთის ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეთ დაფარული ციცაბო კალთები და მდინარეთა ხეობები. ამ თვალწარმტაცი ბუნების ფონზე გაშლილია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების და ტურბაზების ფართო ქსელი, რომელნიც მრავალფეროვან არქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექტურულ ანსამბლს ქმნის და ლამაზადაა შეხამებული გარემოსთან. ეს არის, თუ შეიძლება თქვას, საზღვაო კურორტების უნიკალური რაიონი.

ამ ქვერაიონის ტერიტორიას, რომელსაც მოხერხებული სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთით გადაკვეთს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციები. აქ გადის ე. წ. შავი ზღვის სარკინიგზო მაგისტრალი და პირველხარისხოვანი გზატკეცილი, რომელიც აფხაზეთს აკავშირებს საქართველოს, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის სხვა მნიშვნელოვან კკონომიურ რაიონებთან. ქვერაიონისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის სანაპირო გზატკეცილსა და იმ გზებს, რომლებიც სანაპირო ზოლსა და შიდა რაიონებს ერთი მეორესთან აკავშირებს, მისი ტერიტორიის სიღრმეში მიმავალი გზებიდან გამორჩევა სოხუმ-მაჭარა-წებელდა-აჟარის გზატკეცილი, რომელიც აფხაზეთის მთიან ნაწილს ბართან აკავშირებს.

ქვერაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს აგრეთვე აფხაზეთის უმსხვილესი ნავსადგური სოხუმი, რომლის ძირითადი ფუნქციები მგზავრთა გადაყვანით განისაზღვრება. ამ მხრივ გამოირჩევა აგრეთვე გუდაუთი, ახალი ათონი და ქ. სოხუმის ტერიტორიის ცალკეულ უბნებში მოწყობილი ნავმისადგომები. ეს პუნქტები სრული დატვირთვით მუშაობს ზაფხულის პერიოდში, როცა განსაკუთრებით დიდია დამსვენებელთა და ტურისტთა ნაკადი. ნავსადგურის ტვირთბრუნვა უმნიშვნელოა და იგი ამ მხრივ შავი ზღვის ნავსადგურებს შორის დიდ ყურადღებას არ იმსახურებს.

ქვერაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც გაგრის, აფხაზეთისა და ბზიფის ქედების ციცაბო ფერდობებს მოიცავს, სუსტადაა ათვისებული სამეურნეო თვალსაზრისით. შედარებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით წებელდა ამტყელის ქვაბული, მდ. კოდორის შუა წელი და აგრეთვე მდ. ლაფის, აჟარის, ბზიფის ხეობები, სადაც მოსახლეობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ხე-ტყის დამზადებაში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან აქ მოჰყავთ თამბაქო, სიმინდი, კარტოფილი და სხვა კულტურები. საკარმიდამო ნაკვეთებზე საკმაო ადგილი უკავია ხეხილის ბაღებსაც.

მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე ბ ი თ განსაკუთრებით გამოირჩევა წებელდის ქვაბული. აქ თამბაქო ვრცელდება 450—550 მეტრამდე. წებელდის ქვაბულში მეთამბაქოეობა მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენს წებელდის, ამტყელისა და ოქტომბრის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებისათვის, თუმცა აქაური თამბაქო თავისი ხარისხით ჩამოუვარდება გორკ-ბორცვების ზონაში გავრცელებულ თამბაქოს. თამბაქო ვრცელდება სოხუმის ადმინისტრაციული რაიონის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც, მდ. კოდორის ხეობაში ლათისა და აჟარის სასოფლო საბჭოებში 400—700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მაგრამ სასაქონლო ღირებულების თვალსაზრისით ეს მეთამბაქოეობის ყველაზე უმნიშვნელო უბანია.

აჟარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომელიც ხშირად ცნობილია აფხაზეთის სვანეთის სახელწოდებით, აფხაზეთის ხე-ტყის დამზადების ერთ-ერთი ძირითადი რაიონია. ხე-ტყეს ამზადებენ კოდორის, საკენის და აჟარის ხეობებში. ამ მხარის მსხვილი სამრეწველო საწარმოს წარმოადგენს ჩხალთის სახერხი ქარხანა. გარდა ამისა, აქაურ მოსახლეობას მოჰყავს სიმინდი, მისდევს მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებას. ამ მხარის მსხვილი სასოფლო-დასახლე-

ბული ჰუნქტებიდან აღსანიშნავია წებელდა, ამტყელი, ლათა და ზემო აჟარა. სატრანსპორტო-ეკონომიური თვალსაზრისით მიკრორაიონის ეს ნაწილი სოხუმ-წებელდა ზემო აჟარის გზატკეცილით დაკავშირებულია სანაპირო ზონის ეკონომიურ ცენტრებთან.

ჯერჯერობით სამიმოსვლო გზებს მოწყვეტილია ფსხუს სასოფლო საბჭო, რომელიც ქვერაიონთან საავიაციო ტრანსპორტით და საცალფეხო ბილიკებითაა დაკავშირებული. ამ კუთხის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა წარმოადგენს.

ჯუდაუთის რაიონის მაღალმთიან ნაწილში მდებარეობს შესანიშნავი მაღალმთიანი კურორტები რიწა და ავადხარა, რომლებიც ზაფხულში ათასობით ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავენ.

II. სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონი

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვერაიონში შედის ოჩამჩირისა და გალის ადმინისტრატიული რაიონები და ქალაქი ტყვარჩელი. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზოლს, ხოლო ჩრდილოეთით, აღმართულია კოდორის ქედი. ოხაჩქუეს მასივის ნაწილი. ეს მხარე საკმაოდ მდიდარია წიაღისეულით, რომელთაგანაც პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ქვანახშირი. სხვა წიაღისეულიდან აღსანიშნავია ბარიტი და ალუმინი. ქვერაიონის დაბლობი და გორაკ-ბორცვიანი ნაწილის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მეჩაიეობის, ტუნგის კულტურის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ავტონომიური რესპუბლიკის ეს ნაწილი გადაიქცა ქვანახშირის, ელექტრო-ენერგეტიკული, ქიმიური, კვების მრეწველობისა და სუბტროპიკული მეურნეობის მნიშვნელოვან რაიონად. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია მეთამბაქოეობა, მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა.

მიუხედავად ამისა, ქვერაიონის ტერიტორიაზე სამეურნეო სპეციალიზაციის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავებული ტყვარჩელის ინდუსტრიული კერა და გალი-ოჩამჩირის სამეურნეო ზონა.

პირველს უკავია ქვერაიონის მთიანი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია კოდორის მთების ტყით დაფარული ციცაბო ფერდობებით და ოხაჩქუეს კარსტული მასივით. გალი-ოჩამჩირის სამეურნეო ზონა ძირითადად მოიცავს გალისა და ოჩამჩირის ადმინისტრაციულ რაიონების დაბლობს დაგორაკ-ბორცვიან ზოლს.

ტყვარჩელის ინდუსტრიული კერა აფხაზეთის მძიმე მრეწველობის მთავარი რაიონია. ამავე დროს იგი დიდ როლს თამაშობს საქართველოს სახალხო მეურნეობაში. საკმარისია ითქვას, რომ 1958 წელს ტყვარჩელზე მოდიოდა საქართველოში მოპოვებული ქვანახშირის თითქმის 34% და ავტონომიურ რესპუბლიკაში გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების დაახლოებით 83%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო მნიშვნელოვან ნედლეულის ბაზაზას წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული კომბინატისათვის.

თუ ტყვარჩელის ინდუსტრიული კერის მაპროფილებელ დარგს ქვანახშირის მოპოვება და ელექტროენერგეტიკული მრეწველობა წარმოადგენს, გალი-ოჩამჩირის სამეურნეო ზონის სპეციალიზაციას განსაზღვრავს მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა და მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობა.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაობების ამოშრობას. ჭაობების ამოშრობა ხდებოდა, როგორც ზღვისპირა დაბლობ ნაწილში, ისე ამაღლებულ ვაკე დაბლობის ცალკეულ მონაკვეთებზე. ამოშრობილი ადგილებიდან აუსანიშნავია ბებესერის ტბის სამხრეთით არსებული ტერიტორია, რეფიშმშელეთის, ჭუბურხინჯის მასივები და სხვ.

ამ რაიონის ყვითელმიწები და ეწერი მიწები საუკეთესო აღმოჩნდა მთელი რიგი სუბტროპიკული და სხვა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასავრცელებლად, რაზედაც დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ ზონის ეკონომიკისათვის აქვს მეჩაიეობას. აქ განლაგებულია აფხაზეთის ჩაის პლანტაციების თითქმის 88%-ზე მეტი (6345 ჰექტარზე მეტი) და საქართველოს ჩაის მწარმოებელ რაიონებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს.

ქვერაიონის ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი თავმოყრილია გალის რაიონის გორაკ-ბორცვიან ზოლში. აქ წარმოდგენილი ყვითელმიწა და შედარებით მცირე ფართობის წითელმიწა ნიადაგები მეტად ხელსაყრელია ჩაის გავრცელებისათვის. ამ ნაწილში მეჩაიეობით გამოირჩევა: აჩიგვარის, პირველი გალის, ოქუმის, ეუბერხინჯის, მუხურის და ბედიის სასოფლო საბჭოების ტერიტორიები. აქ განსაკუთრებით ვრცელი ფართობი უკავია აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობას, რომელზედაც მოდის გალის რაიონის მთელი ჩაის ფართობის თითქმის 20%.

ჩაის პლანტაციები საკმაოდაა გაშენებული ამაღლებული ვაკედაბლობის ზოლში, რომელსაც ძირითადად უკავია რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ზონის დიდი ფართობი დაფარული იყო ჭაობებითა და კოლხეთის ლუშამბიანი ტყით. ამჟამად კი გორაკ-ბორცვიან ზონასთან ერთად ჩაის გავრცელების მნიშვნელოვან რაიონს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზონა ჰიფსომეტრიულად უფრო დაბლა მდებარეობს გორაკ-ბორცვიან ნაწილთან შედარებით, იგი დრენირებას განიცდის. აქ ჩაი გავრცელებულია სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებზე. ჩაის მასიური პლანტაციებია გაშენებული სიდის, ზემო ბარღების, თაგილონისა და ნაბაკეევის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე. ჩაის კულტურამ ზღვისპირა სანაპირო დაბლობზედაც კარგად იხარა. ერთ დროს გაუვალი ტყეებითა და ჭაობებით დაფარული ქვემო-ბარღების, გუდაველ, განახლების, ოტობაიის და ფიჩორის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ამჟამად საკმაოდაა გავრცელებული ივი და რიგი კოლმეურნეობების ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ოჩამჩირის რაიონში ჩაის პლანტაციები გავრცელებულია როგორც დაბლობ, ისე ამაღლებულ დაბლობზე და გორაკ-ბორცვიან წინამთებზე. გორაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორცვიან ზოლში ჩაის პლანტაციები გაშენებულია ყვითელმიწებზე და წითელ-მიწებზე, დაბლობ ნაწილში კი სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებზე. აქ ჩაის ფარ-თობითა და მოყვანით გამოირჩევა მოქვის, კოჩარის, ათარის, ჭლოუს, ფოქვე-შის, გუფის, ჯგერდისა და თხინის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. ჩა-ის პლანტაციების ყველაზე დიდი ფართობი უკავია მოქვის საბჭოთა მეურნე-ბას. მეჩიიეობის ძირითად უბნებში განლაგებულია ჩაის ფაბრიკები, რომლებიც ახდენს მწვანე ჩაის ფოთლის გადამუშავებას. აფხაზეთში არსებული 10 ჩაის ფაბრიკიდან 8 (ნაბაკევის, აჩიგვარის, ოქუმის, ჭუბურხინჯისა, გალის, ოჩამჩი-რის, კოჩარისა და კინდღის ჩაისფაბრიკა) ამ ქვერაიონის ტერიტორიაზე იმ-ყოფება. ეს ფაბრიკები იძლევა აფხაზეთის ჩაის პროდუქციის ღირებულების თითქმის 84%-ზე მეტს.

ეს ზონა პირველ ადგილზეა აფხაზეთში ტუნგის პლანტაციების ფართობით, მასზე მოდის რესპუბლიკის მთელი ფართობის 66%-ზე მეტი (1708 ჰექტარი). ტუნგის ნარგავები ოჩამჩირის რაიონში ძირითადად განლაგებულია მოქვის, აგუბედიის, ამიუკბას, ორაკერის, რეკის, ოხურეის, ახალი-კინდღის, ჯგერდის და კოჩარის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში. ტუნგის პლან-ტაციების თითქმის ერთი მესამედი მოდის მოქვის სასოფლო საბჭოს ტერიტო-რიაზე. ტუნგი აქ კარგად ხარობს ორგორც გორაკ-ბორცვიან ზოლში, ისე დაბ-ლობ ნაწილში; განსაკუთრებით კარგად ეგუება იგი ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს. მიუხედავად ხელშემწყობი პირობებისა, პლანტაციების დიდი ნაწი-ლი მოუვლელია, რაც, ბუნებრივია, აქვეითებს მის მოსავლიანობას.

გალის რაიონში ტუნგი გავრცელებულია როგორც გორაკბორცვიან ზოლში, ისე ვაკე-დაბლობზე. ტუნგის მასიური პლანტაციებია გაშენებული აჩიგვარის, საბერიოს, ოქუმის, ჩხორთოლის, ლეკუხონისა და ჭუბურხინჯის სა-სოფლო საბჭოების ტერიტორიაზე.

ამ ზონის სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ციტრუსოვანი მეხილეობა, მასზე მოდის ავტონომიური რესპუბლი-კის ციტრუსების მთელი ფართობის დაახლოებით 22%.

ციტრუსოვანი მეხილეობის განვითარებისათვის საკმაოდ კარგი ნიადაგობ-რივ-კლიმატური პირობებია გალის რაიონში. ციტრუსების გავრცელების ძი-რითად რაიონს აქ წარმოადგენს გორაკ-ბორცვიანი ნაწილი, რომელიც უკეთე-სად იცავს მათ ცივი ქარებისა და ყინვებისაგან. ციტრუსოვანი ხეხილის ბაღე-ბით გამოირჩევა მზიურის მუხურის, ოქუმის, ჭუბურხინჯისა და აჩიგვარის სა-სოფლო საბჭოები. ამ ზონაშია გაშენებული კოხორის მეციტრუსეობის საბჭო-თა მეურნეობა. დიდი ფართობით ცნობილია აგრეთვე ოქუმისა და მზიურის კოლმეურნეობები. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ახალი მეციტ-რუსეობის მეურნეობის შექმნა. მზიურისა და ჭუბურხინჯის გამოუყენებელი მიწების ხარჯზე.

სხვა ადმინისტრატიულ რაიონებთან შედარებით აქ ყველაზე უფრო სუს-ტად არის განვითარებული ციტრუსოვანი მეხილეობა ოჩამჩირის რა-იონში. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 116 ჰექტარია. რაც აფხაზეთის მთელი ციტრუსოვანი ნარგავების მხოლოდ 5%-ზე ცოტა მეტს შეადგენს. ციტ-რუსოვანი ხეხილის მცირე ფართობები გვხვდება რეკის, მოქვის, აძიუკბასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭლოუს კოლმეურნეობებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ამ ზონის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია მ ე თ ა მ ბ ა-ქ ო ე ო ბ ა, რომელიც რიგი კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თამბაქოს პლანტაციების ფართობი აქ 1527 ჰექტარია, რაც აფხაზეთის თამბაქოს მთელი პლანტაციების ფართობის თითქმის 20,4%-ს შეადგენს. მეთამბაქოეობას ოჩამჩირის რაიონში უმთავრესად გორაკ-ბორცვიან ზოლში მისდევენ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ათარა-სოფხურის, არადის, ლაბრის, მოქვის, ჭლოუს, აგუბედიის და ჯგერდის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში. თამბაქოს შედარებით მცირე პლანტაციები გვხვდება აგრეთვე ილორის, ოხურეის, ტამიშის და ახალი კინდღის კოლმეურნეობებში.

გალის რაიონი თამბაქოს პლანტაციების ფართობით აფხაზეთში უკანასკნელ ადგილზე იმყოფება (2,7% რესპუბლიკის ფართობის მიმართ). გალის რაიონი იძლევა დაბალი ხარისხის თამბაქოს. განსხვავებით ჩრდილო-დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონისაგან, აქ ავრცელებენ აგრეთვე სასიგარო თამბაქოს—ჰავანასა და სუმატრას. თამბაქოს შედარებით დიდი ფართობი უკავია, ოქუმის, ჭუბურხინჯის, საბერიოს, წარჩეს, რეჩხი-ცხირისა და ზემო ბარღების სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის შემოსავლიან დარგს წარმოადგენს აგრეთვე ე თ ე რ-ზ ე თ ო ვ ა ნ ი კ ულ ტ უ რ ე ბ ი. მათი პლანტაციები ძირითადად გავრცელებულია ქ. ოჩამჩირის სამხრეთ-დასავლეთით ტამიშის, არადისა და კვიტოულის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში. ტამიშში მუშაობს ეთერ-ზეთების ქარხანა. გალის რაიონში ეთერზეთოვანი კულტურების დიდი პლანტაციები გაშენებულია გინძე-ეწერში.

საკმაო ფართობი უკავიათ ამ ზონაში ბ ა ღ-ვ ე ნ ახ ე ბ ს, მაგრამ ამ დარგებს საქონლური ხასიათი არა აქვთ. უკანასკნელ პერიოდში გორაკ-ბორცვიანი ზონის კოლმეურნეობებში და აკარმიდამო ნაკვეთებზე დაიწყეს დაბლარი ვენახის—„ცოლიკოურის", „ოჯალეშისა" და „ჩხავერის" გაშენება. ვენახების შედარებით მნიშვნელოვანი ფართობები გაფანტულია არადის, ჭლოუს და ახალი კინდღის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე.

გალის რაიონის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მისდევენ მ ე ხ ი ლ ე ო-ბ ა ს, მაგრამ მათი საქონლური მნიშვნელობა დაბალია. აქაური ხილიდან აღსანიშნავია თხილი, რომლის მასიური ფართობები გფანტულია ოტობაიას, ზემო და ქვემო ბარღების, ნაბაკევის, განახლების სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში.

დღევანდელი ქვერაიონის ტერიტორია, რომლის დიდი ნაწილიც ძველად სამურზაყანოს სახელით იყო ცნობილი, საქართველოს მარცვლეული მეურნეობის ერთ-ერთ უმსხვილეს რაიონს წარმოადგენდა. სიმინდი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ამ კუთხის სამეურნეო სპეციალიზაციის ძირითადი გამომხატველი იყო **და საქონლური მნიშვნელობით ხასიათდებოდა.** მისი დიდი ნაწილი ოჩამჩირის ნავსადგურიდან გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ამჟამადაც ეს მხარე ს ი მ ი ნ დ ი ს ფართობით პირველ ადგილზე იმყოფება აფხაზეთის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის (რესპუბლიკის სიმინდით ნათესი ფართობის თითქმის 50,7%). ოჩამჩირის რაიონში სიმინდის ნათესები ძირითადად განლაგებულია მდ. კოდორის, მოქვის, ღალიძგისა და სხვა მდინარეთა ჭალებში ალუვიურ ნიადაგებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაო ფართობი გვხვდება გორაკ-ბორცვებზედაც. სიმინდის დიდი ფართობები უპირავთ მოქვის, კვიტოულის, აგუბედიას, გუფის, ფოქვეშის, ჯგერდის და ათარა-სომხურის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებს.

გალის რაიონში სიმინდის მოყვანით ცნობილია: ოქუმის, ოტობაიას, ზემო და ქვემო ბარღების, საბერიოს, გუდავას, რეფი-შუშელეთის და განასლების კოლმეურნეობები. სიმინდის ყანები ძირითადად განლაგებულია მდ. ოქუმის, ენგურის ჭალებში, აგრეთვე ზღვისპირა დაბლობ ზოლში.

მიწათმოქმედების სხვა დარგებიდან აქ აღსანიშნავია მ ე ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ა-მ ე ბ ა ღ ე ო ბ ა, რომელზედაც მოდის აფხაზეთის ანალგიური დარგის ფართობის 29,4% (460 ჰექტარი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოსტნები ძირითადად თავმოყრილია ქ. ოჩამჩირის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე (არადის, ბესლეხუბის და მოქვის სასოფლო საბჭოები).

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი—მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე-ო ბ ა აქ დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა. ძირითადად მისდევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას; მეწველი პირუტყვის მოშენებით ოჩამჩირის რაიონში ცნობილია: აგუ-ბედიის, გუფის ფოქვეშის, მოქვის, არადის, აძიუეგბას, კვიტოულისა და ჯგერდის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები. ზაფხულის განმავლობაში მუშა-პირუტყვი და ძროხების 70% კოდორის ქედზე და ოხაჩხუეს მასივზე განლაგებულ საძოვრებზე იმყოფება, შემოდგომაზე კი ისევ უკან ბრუნდება და მთელი ზამთარი ბაგურ კვებაზეა.

გალის რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებით გამოირჩევა: ჭუბურხინჯის, ოქუმის, განასლების, თაგილონის, ოტობაიას, ნაბაკევის, ზემო და ქვემო ბარღების სასოფლო საბჭოები. რაიონის ზღვისპირა ჯერ კიდევ დაჭაობებულ და ტყვიან ტერიტორიებზე მისდევენ მეკამეჩეობას. ამ მხრივ ცნობილია სოფლები—ოტობაია, გაგიდა, რეფი და აგრეთვე ქვემო ბარღები. ეს ქვერაიონი არის აგრეთვე აფხაზეთის მედორეობის მნიშვნელოვანი რაიონიც.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებამ, საბჭოთა მეურნეობების და ჩაის ფაბრიკების შექმნამ, მოხერხებულმა სატრანსპორტო მდებარეობამ განაპირობეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტების „ინდუსტრიალიზაცია“, კეთილმოწყობა და გამსხვილება. ამ რაიონის ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს ოჩამჩირე და გალი, რომელიც გამოირჩევა ადმინისტრაციული, კულტურული და სამრეწველო ფუნქციებით. სხვა დასახლებული ადგილებიდან აღსანიშნავია: აჩიგვარა, ოქუმი, ჭუბურხინჯი, ნაბაკევი, კოჩარი, კინდღი და სხვ. აღნიშნული პუნქტები წარმოადგენს ჩაისა და კვების მრეწველობის და საბჭოთა მეურნეობების მაორგანიზებულ ცენტრებს. ამ დასახლებული პუნქტების ფუნქციებმა ერთგვარი გავლენა მოახდინეს მათ გარეგნულ ელფერზეც; ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიებზე გაჩნდნენ კომპაქტური დასახლებები, სადაც შექმნილია სათანადო საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები.

Н. НАЧКЕБИА

ВНУТРИРАЙОННЫЕ РАЗЛИЧИЯ АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

Абхазская АССР представляет собой довольно целостный экономический район Грузинской, ССР однако в процессе его формирования сложились некоторые внутренние различия. На территории исследуемого района можно выделить два экономико-географических подрайона — северо-западного и юго-восточного, которые отличаются друг от друга не только природными условиями, но и характером производственной специализации и плотности населения.

I .В северо-западный экономико-географический подрайон входят Сухумский, Гудаутский, Гагрский административные районы и г. Сухуми. С точки зрения производственной специализации он является важным районом **пищевой и лесной промышленности, табаководства, плодоводства, чаеводства, а также крупным районом курортного хозяйства.**

В этом подрайоне наиболее важное хозяйственное значение имеет прибрежная часть, узкая прибрежная низменная полоса и предгорно-холмистая часть территории.

Важнейшей отраслью промышленности подрайона является **пищевая** промышленность, на долю которой приходится почти 58% валовой продукции Абхазской пищевой промышленности. Эта отрасль представлена табачными и чайными фабриками, предприятиями рыбной, мясной промышленности и т. д. **Лесная и деревообрабатывающая** промышленность дает более 80% продукции аналогичной отрасли Абхазии.

Особое место в хозяйстве подрайона занимает многоотраслевое сельское хозяйство. Большое экономическое значение имеет **табаководство.** На долю этого подрайона приходится около 76% занятой под табачными плантациями площади Абхазии.

Важное значение имеет субтропическое хозяйство. Ведущее место по площади занимает **цитрусоводство,** на долю которой приходится около 78% площади цитрусовых Абхазии. Для некоторых колхозов подрайона доходной отраслью сельского хозяйства является **чаеводство.** По разведении чайного куста выделяется Гудаутский район — Дурипш—Лихнское плато где имеются более подходящие почвенно-климатические условия чем на других участках подрайона. Здесь сосредоточено около 12% чайных плантаций автономной республики.

Ценной субтропической культурой является **тунг** на долю которой приходится свыше 33% площади тунговых насаждений Абхазии.

Наряду с табаководством и субтропическим хозяйством в этой зоне заметную роль играет плодоводство, виноградарство, полеводство и животноводство. Большое внимание уделяется развитию овощеводства для снабжения овощами курортов и городов республики.

Прибрежная часть подрайона является крупной курортной зоной всесоюзного значения. Здесь расположены известные морские курорты Гагра, Новый Афон, Гудаута, Сухуми, Гульрипши и другие.

В экономическом отношении слабо развита горная часть подрайона. Некоторое хозяйственное значение имеет Цебелда—Амткельская

ეროვნული ბიბლიოთეკა

котловина, среднее течение р. Кодори, а также ущелье реки Лати, Сакени и Ажара. Здесь занимаются **полеводством, табаководством и животноводством.** Важное значение имеет **лесная промышленность.**

II. В состав юго-восточного экономико-географического подрайона входят Гальский, Очамчирский административные районы и г. Ткварчели.

В хозяйственном отношении эта территория размещения **каменноугольной, электроэнергетической, пищевой промышленности и субтропического хозяйства.**

В экономическом отношении здесь выделяется **Ткварчельский индустриальный очаг** являющийся крупным производителем электроэнергии республики и важной сырьевой базой металлургической промышленности Грузии. Важную экономическую роль играет Гальско-Очамчирская хозяйственная зона, охватывающая низменные и предгорно-холмистые территории подрайона. Это мощный район **субтропического хозяйства** Абхазии. Ведущей отраслью является **чаеводство** на долю которой приходится свыше 88% площади чайных плантаций Абхазии. Здесь расположены крупные чаеводческие совхозы — Ачигварский, Сидский, Моквский и т. д. На базе чаеводства работает крупная чайная промышленность. Важное место в субтропическом хозяйстве этой зоны занимает культура тунга (более чем 66% общей площади плантации Абхазии).

Из других субтропических культур разводят цитрусовые, благородный лавр, эфирномасличные культуры и т. д.

Второстепенную роль в сельском хозяйстве играет полеводство и животноводство.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. აფხაზეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული სტატისტიკური მასალები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ ფონდი № № 703—708.
2. ვ. მეგანაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კპ XX კონგრესზე, გაზ. „კომუნისტი" 1960 წ. 26. 1.
3. ტ ა ბ ი ძ ე დ., მეგენახეობის განვითარება საქართველოში, თბ., 1950.
4. რ ე ტ ი ნ ლ ა ძ ე ი., საქართველოს მეგენახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.
5. უ გ ო ლ ო ვ ა ს., გაგრის რაიონი (ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), სოხუმის სახ. პედინსტიტუტის შრომები, IX, 1956.
6. უ ბ ო ლ ა ვ ა ს., ბუდუთის რაიონის სოფლის მეურნეობა (ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, X—XI, 1958.
7. უ ძ ო ლ ე ბ ა დ. აფხაზეთის ასსრ-ს ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება; 1959, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი № 1375.
8. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა. და სხვა, საქართველოს სსრ გეოგრაფია., თბ., 1957.
9. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ა. მეთამბაქოეობა, თბ., 1958.
10. А л ь б о в Н., Состояние садоводства в Абхазии, Одесса, 1892.
11. Б а х т а д з е И., История культуры табака в Грузии и перспективы ее восстановления в старых табаководческих районах, Тб., 1948.
12. Б г а ж б а М., Пчеловодство Абхазии, Абгиз. Сух. 1956.
13. Б и б и к о в Л., и С е м е н о в В., Животноводство и кормовая база Абхазии, Труды Абх. научн. исслед. Инст., Краевед. вып. 1, Сух. 1934.
14. Б у ч и н с к и й А., В о л о д а р с к и й Н. и А с т а е в П., Табаководство, М., 1959.

15. Грузинская ССР, экономико-географическая характеристика, изд. 2-ое М., 1958.
16. Кварацхелия Ф., К изучению Абхазских сортов винограда, Сух., 1934.
17. Колосовский А., Альпийские пастбища Очамчирского и Гальского районов Абхаз., Сух., 1935.
18. Минц А., Основные черты хозяйственного освоения влажных субтропиков Грузинской ССР, Вопросы геогра., сб., 41, 1957.
19. Чиков П., Культура табака в Абхазии и Западной Грузии, Краснодар., 1940.
20. Чача А., Некоторые вопросы развития табаководства, Сух., 1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი—ОГЛАВЛЕНИЕ

1. ნ. ნაჭყებია. აფხაზეთის ასსრ-ის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგადი დახასიათება 3

Н. В. Начкебиа. Общая характеристика развития и размещения народного хозяйства Абхазской АССР . . 10

2. ე. კობახიძე. აფხაზეთის ბუნებრივი პირობები და რესურსები . 13

Э. Д. Кобахидзе. Природные условия и ресурсы Абхазии 27

3. კ. ანთაძე. აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი . . 31

К. Д. Антадзе. Историко-географический очерк Абхазии 51

4. ვ. ჯაოშვილი. აფხაზეთის მოსახლეობა და ქალაქები . . . 55

В. Ш. Джаошвили. Население и города Абхазии . . 96

5. ვ. კაკაბაძე. აფხაზეთის ასსრ მრეწველობის განვითარება და განლაგება 101

В. С. Какабадзе. Развитие и размещение промышленности Абхазской АССР 125

6. ნ. დიკიძე. სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება აფხაზეთის ასსრ-ში 131

Н. Г. Девидзе. Развитие и размещение сельского хозяйства Абхазской АССР 161

7. ე. კობახიძე. აფხაზეთის ასსრ საავტომობილო მეურნეობა . . . 167

8. რ. ყვერენჩხილაძე. აფხაზეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი ეკონომიური კავშირი 177

Р. И. Кверенчхиладзе. Транспорт и межрайонные экономические связи Абхазии 187

9. ნ. ნაჭყებია. აფხაზეთის ასსრ-ს შიდარაიონული სხვაობანი . . 191

Н. В. Начкебиа. Внутрирайонные различия Абхазской АССР 204

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ნ. ჯობავა

გადაეცა წარმოებას 1.8.1961; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 8.12.1961; ქაღალდის ზომა 70×108 1/16;
ქაღალდის ფურცელი 6.80, საბეჭდი ფურცელი 18,60; სააღტორო
ფურცელი 15.75; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,13;
შეკვეთა № 1143; უე 02931; ტირაჟი 600
ფასი 1 მან. 34 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

ห้อ. 34 ง.33.

จุฬาลงกรณ์มหาวิทยาลัย